# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით
ფასი 1,50 ლარი
23 დეკემბერი 2011
№26(156)

1516
2011

ნოდარ გურაბანიძე ზინა კვერენჩხილაძეზე

თემურ ქორიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილზე

ექსპრეს-ინტერვიუ მაკა მახარაძესთან

ინგა აბელეს სიყვარულის წლები

ცენტრალიზაციის წინააღმდეგ

ჯემალ აჯიაშვილის სონეტები

გოგი ჩარკვიანის სილუეტი

ცრემლივით წმინდა ესეები

ზაურ კალანდიას ნოველა

ლია სტურუას ლექსები



# წიგნის თარო






გიორგი სოსიაშვილი
ნარკვევები
შიდა ქართლის ისტორიიდან


გიორგი სოსიაშვილი
ნარკვევები
ლიახვის ხეობის
ისტორიიდან




გიორგი სოსიაშვილი
დიცის ისტორია




მანანა ავალიშვილი
შინ, ჩქარა შინ!


ELDAR MAMISTVALASHVILI
საქართველოს საგარეო
პოლიტიკა და დიპლომატია
FOREIGN POLICY AND DIPLOMACY
OF GEORGIA
II

## შინაარსი


წიგნი და მკითხველი 2 ვახტანგ ბახტაძე ცრემლივით წმინდა
(მაკა ჯოხაძის წიგნის „სამოთხე უსიყვარულოდ“ გამო)

ექსპრეს-ინტერვიუ 4 მაკა მახარაძე „მშვიდობა მსოფლიოს!“
(მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)

პროზა 5 ზაურ კალანდია ილორში ხატებს მირონი სდის

პოეზია 10 ჯემალ აჯიაშვილი სონეტები

პოეზია 14 ლია სტურუა კიდევ ერთხელ, თიხისტანიანებზე

უცხოეთის ცხოვრებიდან 16 პაატა ჩხეიძე ცენტრალიზაციის წინააღმდეგ
(ჯონ რენდოლფ როანოკელი)

მარადი ხელოვნება 18 ნოდარ გურაბანიძე „ო, ბედისწერავ, გარდუვალო, ბრმაო და გულქვავ“ (ზინა კვერენჩხილაძე)

დაუვიწყარი სახელები 24 ლელა ჯიყაშვილი ქალაქივით დიდი გულით
(გოგი ჩარკვიანი)

ახალგაზრდებო, ან კი თქვენ 26 ანა ბერძენიშვილი კიდევ ერთი კლუბი...
(საუბარი მანანა არველაძესთან)

ვაჟა-ფშაველა — 150 28 ამირან არაბული „რა ფერისაა ქვეყანა“...

ლიტერატურული ცხოვრება 35 თეკლე ჯანელიძე ჯერაც უდაბნოში ხეტიალისას
(წარდგინება დაურ ნაჭყებიას რომანისა „ღამის ნაპირი“)

მოგონებათა სკივრი 36 როსტომ ჩხეიძე თვალები ბერნარდ შოუსი
(მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებიდან „ორი მდინარის შესაყარზე“)

კრიტიკა 40 ნინო ჩხიკვიშვილი თუკი პოეზიამ ალსარებისკენ არ გიბიძგა
(მანანა ჩიტიშვილის პოეტური კრებული „მაინც საქართველო ერქვა“)

კლასიკური მემკვიდრეობა 42 ელისაბედ ზარდიაშვილი „ხე ნაყოფით იცნობება“

რეპორტაჟი 44 ეკა ბუჯიაშვილი „აბა რით ვერ დამიმახსოვრე?!“
(შეხვედრა მარიამ ნიკლაურთან)

კრიტიკა 50 ლაშა გვასალია მოზაიკური სულის დღიური
(ზაურ გერგედავას პოეტური კრებული „არ წამიკითხო, თუ შეიძლება!“)

გამოხმაურება 52 გიზო ზარნაძე ჰაიჰარად ნუ დავსწამებთ ერთმანეთს პლაგიატორობას!

ჩემი პატარა ქალაქი 54 ჩაფერფლილი ცხოვრების ზღაპარი
(ნოშრევან ჯიშკარიანის გახსენება)

ესეისტიკა 57 თემურ ქორიძე თურმე არც რამე დაკარგულიყო
(როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“)

უცხოური ნოველა 59 ინგა აბელე სიყვარულის ნლები

თვალსაზრისი 62 ლილი გიორგობიანი კონცეფცია გალერეის შესახებ

მოზაიკა 63 როიალი და ვიოლინო



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია — (995 32) 96_20_62
რეკლამა — (995 93) 65_93_68
გავრცელება — (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაიბეჭდა სტამბაში "ომეგა ტექი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TECH" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი — კარლო ფაჩულია დიზაინერი — მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი — ნინო დეკანოიძე დაკაბადონება — თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური — ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ბერნარდ შოუ
მწვერვალი „დავით ალმაშენებელი“, ფოტო ბაბუა ალუდაურისა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2012 წლის 13 იანვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბახტაძე

# ცრემლივით წმინდა

*

## მაკა ჯოხაძის წიგნის გამო

მაკა ჯოხაძის წიგნი „სამოთხე უსიყვარულოდ“ (ესეები, ლიტერატურული წერილები) გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა 2009 წელს.

ამ წიგნში არცერთი სიტყვა არაა შემთხვევითი, მათ შორის ეს მიძღვნაც. ცხადია, ავტორმა წიგნი არა მხოლოდ პატარა სანდროს მიუძღვნა, არამედ საერთოდ სანდროს თაობას, რომელიც ჩვენთვის სანატრელ, საოცნებო საქართველოში იცხოვრებს და უკეთესადაც მოუვლის სამშობლოს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენს სალიტერატურო სივრცეში მაკა ჯოხაძის წიგნზე არაერთი საინტერესო და საგულისხმო ლიტერატურული სტატია დაიწერა.

ერთ წერილში იგი წერს: „ხელოვნების ნიმუში უნდა იგრძნო, უნდა გადაგედოს, მორჩა და გათავდა... ეს საკმარისია... ძალიან ხშირად ამ გრძნობას აზიანებს ახლოით ჩაწჩხრეკა, რყვნის და აკნინებს, ისე, როგორც ცრემლის სიწმინდეს მისი ქიმიური ანალიზი...“

სავსებით ვეთანხმები ამ აზრს. მაკა ჯოხაძის ესეები და ლიტერატურული წერილები იმდენად მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული; ისე უხვად, სრულყოფილად და ზუსტად არის გამოყენებული პოეტური მეტყველება, რომ სრულიად ზედმეტად მიმაჩნია მისი „ახლოით ჩაწჩხრეკა“. მის „ცრემლს“ არ სჭირდება „ქიმიური ანალიზი“. ეს წიგნი, უბრალოდ, უნდა წაიკითხო და იგრძნო, რადგან იგიც, შეიძლება ითქვას, ცრემლივით წმინდაა.

მაკა ჯოხაძის წიგნის მხოლოდ დასათაურებაც „სამოთხე უსიყვარულოდ“ განსაკუთრებულ და დამაფიქრებელ განწყობას აღუძრავს მკითხველს. ერთი შეხედვით მართლაც პარადოქსულს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ამ განწყობას სათაურშივე ნაგულისხმევი ტკივილი ასაზრდოებს. მაგრამ ეს ტკივილი განკურნებისათვისაა აუცილებელი, რადგან სიყვარულის სურვილისაკენ უბიძგებს ადამიანს, რომლის ნაკლებობა თუ არარსებობა, რომლის უკიდეგანო საჭიროება ალბათ ყველაზე მეტად, ყველაზე მტკივნეულად იგრძნობა სამოთხეში, უფრო სწორად, ჩვენს ირგვლივ არსებულ გარემოში, ჩვენს ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოში, რომელიც გვინდა, რომ სამოთხე იყოს დღევანდელ უსულგულო გლობალისტურ ეპოქაში... მწერალი ყველაზე დიდ საფრთხეს სიყვარულის უკმარისობაში ხედავს. სამოთხე უსიყვარულოდ აღარაა სამოთხე. არც სიყვარულიანი ჯოჯოხეთია ჯოჯოხეთი, რადგან სადაც სიყვარულია, იქაა ღმერთი.

ტრაგიკულად საზეიმოდ აღიქმება მაკა ჯოხაძის ამ წიგნის პირველივე სიტყვები: „მოდი, სიყვარულზე ვილაპარაკოთ და შევეშვათ სადუკევლებზე, ფარისევლებზე ფიქრსა და ფორიაქს. რა ხანია თავი აიშვეს შავმა აფრებმა. მათი საქმეები ისე გაცხადდა, როგორც ჭრილობები მაცხოვრის ტანზე ცრემლად რომ ღვრიან სისხლის წვეთებს, მზეს ჭორფლავენ და აბნელებენ...

...„*მოდი! სიყვარულზე ვილაპარაკოთ, მხოლოდ სიყვარულზე ვილაპარაკოთ და იმდენხანს ვილაპარაკოთ იქნება მოხდეს სასწაული! იქნებ სული ჩაიდგან სიტყვებმა, რომლებიც რა ხანია მკვდრადშობილი ჩვილებივით ყრია სუდარებზე... სუდარამ იტვირთა თოვლის სისპეტაკე და ფიფქები მოანატრა სამყაროს. მოდი, ფიფქზე ვილაპარაკოთ, რომელიც დნება მკვდარი ცხენის ღიად დარჩენილ თვალის კაკალზე, „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს“ – სასტიკი ფილმის სასტიკი სათაურია – დღევანდელი საქართველოს სისხლიანი მეტაფორა*“ (*სისხლიანი მეტაფორა, შესავლის მაგიერ*).

რაც უნდა აწყობილი იყოს ცხოვრება, რაც უნდა სასიამოვნო იყოს ადამიანისათვის გარემო, მაკა ჯოხაძის ყაიდის მწერლის, ანუ ჭეშმარიტი მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი მაინც ყოველთვის კრიტიკული და მძაფრია (თუმცა არა თვითმიზნური), თუნდაც მხოლოდ იმ მარადიული პრობლემების გამო, რაც სიმბოლურად პირველცოდვამ, ადამიანის ცოდვითდაცემამ მოუტანა საკუთრივ ადამიანს.

როდესაც უამრავ ყოველდღიურ, უსახურ პრობლემებში ვიხრჩობით, მწერლისთვის ნამდვილ ფუფუნებას წარმოადგენს მხოლოდ მარადიულ სატკივარზე წერა. მაკა ჯოხაძის წიგნიდან კი ჩანს, რომ მისთვის აურაცხელ ყოველდღიურ ეროვნულ თუ ზნეობრივ პრობლემებზე წერა ისეთივე აუცილებელი და სისხლხორცეულია, როგორც მარადიულზე.

მწერლისა და ლიტერატორის მაკა ჯოხაძის მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული პოზიციის წარმოსაჩენად, აუცილებლად მიმაჩნია მისი ინტერვიუდან ორი ფრაგმენტის მოყვანა, რომელიც მან „ქალთა გაზეთის“ (7, 2005) კორესპონდენტს მისცა და რომელიც წიგნშია შეტანილი. შეკითხვაზე: „თქვენი აზრით, უახლოეს წარსულში, ყველაზე მეტად, როდის უჭირდა საქართველოს? და რას ფიქრობთ ახლანდელ პოლიტიკაზე, პოლიტიკოსებზე, „ვარდების რევოლუციაზე“ და მათ პოლიტიკურ ოპოზიციაზეო?“ *მაკა ჯოხაძე პასუხობს*: „ალბათ მაშინ, როდესაც ამ თხუთმეტი წლის წინ, ეროვნული ხელისუფლების დამხობა რომ მზადდებოდა და უზარმაზარი აგენტურული ქსელის მეშვეობით ჩვეულებრივი სახელმწიფო სამხედრო გადატრიალება სამოქალაქო ომად საღდებოდა. მაშინაც, როცა საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე ნადირობდნენ კოლხეთის ტყე-ღრეებში, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით...“

„თავისუფლებისმოყვარე ადამიანი ვარ, მაგრამ რევოლუციები არ მიყვარს, არანაირი ფერის და არანაირი სურნელის. რაც მთავარია, არ მჯერა მისი „კეთილშობილური“ მიზნებისა და დაპირებების. რევოლუციებს ყველგან და ყოველთვის ძირითადად ხელმოცარულებს ახდენინებდნენ, ძალაუფლების მოპოვებით რომ ჩაიხშონ საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასრულფასოვნების კომპლექსი... მე მჯერა მამულიშვილების და არა პოლიტიკური ოპოზიციონერების. მამულიშვილობა, ერთგულება და თავგანწირვა. ოპოზიციონერობა – ლავირება და რაღაც ეტაპზე გარიგება, ანუ პოლიტიკური ტერმინით, სასაცილო სიტყვა კონსენსუსია".

შეკითხვაზე: „რას ფიქრობთ პოლიტიკოს ქალებზე?" *მაკა ჯოხაძე პასუხობს:* „თანამედროვე პოლიტიკა მღვრიეა, მატყუარა და მეტად ამბიციური. ისეთივე მღვრიე, მატყუარა და ამბიციურები არიან მასში მონაწილე ქალებიც... დღევანდელი პოლიტიკოსები უშიშრად ყიდიან ზღვებსა და ტყეებს, მინებსა და წიაღისეულს, უფრო მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, ყიდიან საკუთარ სამშობლოს..."




*მეორე ფრაგმენტი.* კორესპონდენტის შეკითხვაზე: „ქალბატონო მაკა, რამდენიმე წლის წინათ ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს „ეგრეთ წოდებული თავისუფალი" დაარქვით. ახლა მოშლით ამ „ეგრეთ წოდებულს"? *მაკა ჯოხაძე პასუხობს:* „სამწუხაროდ, ახლაც ეგრეთ წოდებული თავისუფლებაა, ანუ ცუდად გაგებული თავისუფლება. ნამდვილად თავისუფალი ქვეყანა, ხალხი, ადამიანი მაშინ იქნება, როცა მხოლოდ უკვე ჩადენილი ცოდვებისაგან კი არა, არამედ ცოდვითი მიდრეკილებისაგანაც განთავისუფლდება, როცა მოვა დიდი სინანული და მისი მაცოცხლებელი ცრემლით ამოავსებს ცოდვით გაჩენილ დიდ სულიერ სიცარიელეს. დღეს ამ სიცარიელის ავსებას ათასი რამით ცდილობენ. ყოველ ნაბიჯზე ხაფანგებივით საცდურებია დაგებული. ჩვენი საცხოვრისი დრო და სივრცე ცოდვაში ჩაძირული გონებითაა დანაღმული. გულს დაცილებული გონება ბუმერანგივით ბრუნდება და ნამდაუწუმ ფეთქდება ჩვენი ოჯახები, სოფლები, ქალაქები. შიში – თავისუფლების მარადიული და მარად ახალი ჯალათი, შიში – როგორც ლაჩრობა და ბოროტებისათვის ქედის მოხრა. დღეს ისე, როგორც არასოდეს ეშინიათ ადამიანებს ერთმანეთის და ამიტომ კვდებიან ისინი მონობაში როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად..."

მაკა ჯოხაძის ამ წიგნში მართლაც რომ „სისხლისფერი ყვავილებივით" აღიქმება სხვადასხვა წერილში სხვადასხვა ვარიაციით განმეორებული სიტყვები იმის შესახებ, რომ შიში არის:

– „თავისუფლების სასტიკი ჯალათი";

– „თავისუფლების უძველესი და მარადიული ჯალათი";

– „თავისუფლების ყველაზე ძველი და მარად ახალი ჯალათი".

ალბათ იშვიათია შიშის ასეთი ყოვლისმომცველი განსაზღვრა.

ეს ფრაზები ყველა წერილსა და ესეიში არაა, მაგრამ ყველაში იგრძნობა, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველაზე ზუსტი და ტრაგიკული მახასიათებელი. ასე იყო გასულ საუკუნეში, ასეა, სამწუხაროდ, დღესაც.

მაკა ჯოხაძისათვის ერთადერთი შიშია მისაღები, ესაა ღმერთის შიში, რადგან ეს შიში არცაა შიში – იგი სიყვარულია. „მხოლოდ ღვთისმოშიში ადამიანია თავისუფალი, მხოლოდ ღვთაებრივი კანონების მორჩილი ადამიანია სულით ძლიერი და მხნე" – ამბობს მწერალი.

ასეთ, სიყვარულთან ნაზიარებ შიშზეა ლაპარაკი რუსთველთანაც, როდესაც ავთანდილი თავის საყვარელ გამზრდელს, მეფე როსტევანს მიმართავს: „ამა საქმესა ვიკადრებ შიშით, კრძალვით და რიდობით". ავთანდილის ეს შიშიც კრძალვის, რიდის ტოლფასია.

მაგრამ ბოროტი ძალები ყველაფერს აუფასურებენ და ამახინჯებენ.

ასე მოხდა ცნობილი გამოთქმის შემთხვევაშიც: „შიში შეიქმს სიყვარულსა". ამ გამონათქვამის შესახებ მაკა ჯოხაძე წერს:

„თავის დროზე ეს სანუკვარი ფორმულა დემაგოგიურად იქნა გახსნილი, გაშიფრული, გამოყენებული. რადგან მას თავისი ძირითადი არსი ღვთის მოშიშობის შესახებ გამოაცალეს. ქრისტიანობის ეს უპირველესი და უნათლესი პირობა დააბნელეს, დაამდაბლეს, დაამინეს, გაამდაბიურეს..."

სავსებით ზუსტია მაკა ჯოხაძის ეს შეფასება.

იოანეს სახარებაში იოსებ არიმათიელზე წერია, იგი ქრისტეს მოწაფე იყო, მაგრამ ამას ფარავდა, რადგან იუდეველებისა ეშინოდაო. ეს საინტერესო დეტალიც ადასტურებს შიშის მაკა ჯოხაძისეულ ყოვლისმომცველ განსაზღვრას.

ლიტერატორი და პუბლიცისტი ივანე ამირხანაშვილი თავის წერილში ორიგინალურად აღნიშნავს, რომ „მაკა ჯოხაძისათვის ემოცია ის ჟანგბადია, რომელიც წვის პროცესს არეგულირებს..." იგი ცალკე გამოყოფს მწერლის უაღრესად დრამატულ პათოსს, რომელიც „სახისმეტყველების ენაზეა გადმოცემული". რასაც გულწრფელად დავეთანხმებით.

მაკა ჯოხაძის წიგნში ისე ძალდაუტანებლად, ისე თავისუფლად მოედინება სათქმელი, რომ ძალზე სასიამოვნო ლიტერატურულ განწყობას ქმნის, თუმცა ეს სათქმელი ხშირად ძალიან ტკივილიანია, და რა თქმა უნდა, ფრიად საყურადღებო, ანგარიშგასაწევი და გასათავისებელი.

დაბოლოს, ერთი მრავლისმეტყველი ამონარიდით დავამთავრებ ამ წიგნში შესული ინტერვიუდან:

„ყველაზე მეტად რა მოეთხოვება მწერალსო, მეკითხებით. ნიჭიერება, როგორც ღვთის წყალობა, თავისთავად იგულისხმება. ხოლო პირადად მას, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება, იყოს პიროვნება და იყოს მამაცი".

აი, ასე ამბობს ქალბატონი მაკა!

აი, ასეთია ეს მშვენიერი წიგნი – სიმამაცის, თავისუფლების, სიყვარულის, ზნეობის, ნიჭიერების, სიკეთის თანამდგომი, ეროვნულ ფასეულობათა დამცველი და დიდი გულშემატკივარი.

ასეთია თვით მისი ავტორიც – ქართველი ინტელექტუალი მწერალი, ქალბატონი მაკა ჯოხაძე.

27899

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა მახარაძე

# „მშვიდობა მსოფლიოს!“

**— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— როდესაც შვილი ჰყავს ავად და ვერაფრით ეხმარება მშობელი.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— სადაც ვცხოვრობ – საქართველოში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— როცა შენს გარშემო არავის უჭირს და შენც ვიღაცას სჭირდები...

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ჩემი საცეკვაო რეპერტუარიდან გამომდინარე – კარმენი (თუმცა მის საქციელს არ ვიზიარებ).

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

— დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— იმპრესიონისტები.

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

— მოცარტი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, პროკოფიევი, ყანჩელი.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ერუდიციას, განათლებას, სიყვარულის უნარს (ეს არ ეხება მხოლოდ ქალისადმი სიყვარულს) და ღირსების გრძნობას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

— ალბათ ისევ სიყვარულის უნარს, რაც ჩემი აზრით, ნიჭია...

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— დედობა, ბებიობა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— ბავშვებთან ურთიერთობა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

დედა — მედეა ჩახავა.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— დამყოლი ვარ... ზოგჯერ ზედმეტადაც...

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— გულწრფელობასა და ერთმანეთისთვის თავდადებას...

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ზედმეტად მიმნდობი...

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— იხ. მე-3 კითხვაზე პასუხი...

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ამაზე ფიქრი არ მინდა და არც ამის წარმოდგენა მინდა!

**— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— რაცა ვარ ეგა ვარ.



**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— ხაკისფერი.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ყველა ყვავილი მიყვარს.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— გედი.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, ტოლსტოი, მარკესი, კუპრინი, ჩეხოვი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— აკაკი, გალაკტიონი, პუშკინი, ცვეტაევა, ახმატოვა, ბელა ახმადულინა.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— კარმენი.

**— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— ის ბიჭები, რომლებიც ამ ბოლო წლებში საქართველოსთვის დაიღუპნენ და ამ ბიჭების მშობლები.

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ჟანა დარკი.

**— საყვარელი სახელები?**

— ნატო, ანა, მარიამი, ელენე, მედეა, დავითი, ნიკოლოზი, კოტე, ივიკო და თემური.

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— უპასუხისმგებლობას, უხამსობას, შიმშილს...

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ჰიტლერი.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— არცერთი საომარი მოქმედება არ იწვევს ჩემს აღტაცებას, ვერასდროს გავიგებ რატომ უნდა იომონ ადამინებმა და ქვეყნებმა.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ბატონყმობის გადავარდნა.

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— მინდა რომ კარგი ხმა მქონდეს და სიმღერა შემეძლოს...

**— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

— ჯანმრთელი.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— დამაკმაყოფილებელი.

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— ყველაფრის პატიება შეიძლება, გააჩნია სიტუაციას.

**— თქვენი დევიზი?**

— მშვიდობა მსოფლიოს!

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— მოდი ჩემთან!

ზაურ კალანდია

# ილორში ხატებს მირონი სდის

*დიმა ჯაიანს*
*გია კალანდიას*

– ილორი...

მოხუცი გზის პირას, ჭადრის ჩრდილქვეშ იდგა.

– რა? – ალვირი მოქაჩა მეურმემ. სადღაა ადგილი, ვერა ხედავ, რამდენი რამე გვიწყვიაო, განაწყენებულმა მხრები აიჩეჩა, მერე ქალისკენ მობრუნდა. ცოლმა თვალი გაუსწორა ქმარს, მიიწმანწნა კუთხისკენ, ამით აგრძნობინა, ამოვიდეს, მადლიაო.

– აბა, ცოცხლად... – დათმო უკმეხად, ადუდუნდა, – რეისზე კი არა ვარ...

მოხუცმა არ დაახანა, ყოჩაღად ამოძვრა ორთვალაზე, ქალის გვერდით მოთავსდა.

ორთვალა აჭრიალდა...

შეჭირვებულად ისხდნენ... შეჭირვებულად და შებოჭილად გრძნობდნენ თავს სამნი ორთვალაზე... ორთვალას ვერ იტყოდი, წყლის საზიდარივით მოკლე და ვიწრო ურიკა იყო, აღმოსავლეთ საქართველოში ვირით და უკანადევნებული ჩოკინათი რომ შეხვდები. კოჭლი, ხბოსხელა, გაძვალტყავებული ცხენი ება, თან ორი ტომარა ქატო და სხვა ათასი წვრილმანი ედო გალის ბაზრობიდან მომავალ აფხაზ ცოლ-ქმარს.

მეურმის უკან, ქალისგან ზურგშექცევით იჯდა ბესა. ქალს ეს არ აწუხებდა, პირიქით, ცდილობდა, უფრო თავისუფლად დამჯდარიყო მოხუცი და, იმდენი იწრიალ-იჩოჩიალა, ტომრებსა და საზიდრის ჭალშუა უშნოდ ჩაიჭეჭყა... არ შეიმჩნია. ცივი სახით იჯდა ძაძებში მოსილი და თავდახრილი. ისედაც სარივით თხელი, სიფრიფანა ქალი იყო, ოღონდ სიმშვიდე ყოფილიყო ქვეყნად, უბედურებას არ გადაყროდნენ გზაში, არ გაეძარცვათ ადრინდელივით და რას არ გაუძლებდა, სივიწროვე რას მიქვია, თოხის ტარზე დაეტეოდა უკანალი, ისე ჩავიდოდა შინ, ოხურეიში...

ერთ დროს ლარივით გზა ნამხდარი, გაპარტახებული იყო.

ცხენის სიკოჭლე, მორყეული საზიდრის თვალის ყანყალი და რაკარუკი აგვისტოს სიცხეში იმდენად მძიმე და აუტანელი იყო, იქნებ, ჯობდა, ისევ ფეხით მევლოო, გაიფიქრა მოხუცმა. უფრო მომაბეზრებელი საზიდრის პატრონი აღმოჩნდა – ფიქრის საშუალებას არ აძლევდა, რომ დაიქოქა, აღარ გაჩერებულა: მე არავისი მეშინიაო!.. სიკვდილიც ვნახე, შიმშილიც და ძალადობაცო... რაც ეს უბედურება ტრიალებს, შავი ვერ გაუხდია ჩემს ქალსო, ბესასკენ მოიღრეცდა დაჭიმულ ძარღვებად ქცეულ კისერს, თან თვალებში ჩააშტერდებოდა და კბილებჩანახევრებულ, ჩაშავებულ პირს უფჩენდა... შუახნის მამაკაცი იყო, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა, გრძელი, შავგვრემანი სახის, ჭაღარა, თვალებქვემოთ რგოლებად და წყება-წყება ეკიდა უპეები. ლოთია საწყალი, რა დღეში ექნება თირკმლებიო, შეეცოდა ბესას. ის კი არ ცხრებოდა, ისე ჩქარ-ჩქარა ისროდა სიტყვებს, თითქოს გუნდ-გუნდად პყრიდა პირიდან. უცნაური ვინმე იყო, ეტყობა, შიში ალაპარაკებდა ამდენს, თან ზოგჯერ ისეთი ყოყოჩი გამოხედვით მოავლებდა თვალს გარშემო, იმისი თქმა თუ სურდა – წურავის ავიწყდება, აქაურობის პატრონი მე ვარო!



ბესასთვის სულერთი იყო, არ აიტკივებდა თავს ამის გამო. ის უფრო აწუხებდა, ადრინდელი გზა და სილამაზე არსად იყო, თუმცა, აჩიგვარას ცენტრს რომ გამოსცდნენ, გზა ცოტა გამოკეთდა თუ თვალი-ყური შეეჩვია უგზოობას, ფიქრს ფიქრი, წარსულს წარსული გამოება, რაღაც მოლანდებები დაეწყო... თვალი გაახილა, დახუჭა, ისევ გაახილა, ხილვა მაინც არ გაუქრა... ცრემლიც მზესავით აწვალებდა, აწვებოდა... თვალის დახამხამება საკმარისი იყო, უცნაური მოლანდებები წყება-წყება მოსძალებოდა ცრემლებად, გადამტყდარ მზის სხივებად... მზეს უცემდა ცრემლში გული, მის პერანგში იყო ყოველივე – გამჭვირვალე და ფერადი, სევდისმომგვრელი და მსუბუქი... ისეთი შეგრძნება ჰქონდა მოხუცს, ცრემლისფერი იყო ეს გზა, ცა, მინდორი... ცხელი ჰაერიც სიცხისგან დაძაბული და გათანგული ცახცახებდა...

– გაპარტახდა ყველაფერი!..

ისევ ყინჩად შემოუბრუნდა აფხაზი.

– აბა! – დაეთანხმა ბესა, ჩაფიქრდა, – თუმცა მშობლიური ნაცარიც ოქროა, – სინანული შეეპარა ხმაში.

„პატიოსანი კაცი ჩანს“, – გული მოულბა, შეეცოდა აფხაზს მოხუცი. – „ჩვენსას ხომ არ წავიყვანო? რა მოხდება? ვინ რას მეტყვის?“ – გაიფიქრა, ბოლომდე ვერ გადაეწყვიტა და ქალს გამოხედა. ქალმა იგრძნო კაცის მზერა, ფიქრს თუ მიუხვდაო, თვალი გაუსწორა: ილორიდან სად წავა, რას იზამს საწყალი, ვინ შეიფარებსო, შეწუხდა. შარია, ვინ რა კუდს გამოაბამს, ღმერთმა უწყისო, ფიქრი უარყო და ორთვალა შეაჩერა კაცმა.

– ოხურეიში მივდივართ ჩვენ... ილორი აქვეა, ორი ვერსიც არ იქნება...

– ვიცი...

წამოიწია ბესა.

– დაიცა, შე კაცო, შეგეშველები.

ცქაფად ჩახტა, ხელი შეაშველა.

– აგაშენათ ღმერთმა! დალოცვილები იყავით. გაიხარეთ.

– შენც ყოჩაღად იყავი.

მოუბოდიშასავით აფხაზმა.

– შარას გერეთ...*

---

* შარას გერეთ – გზაზე დგახართ (მეგრ.)

ქალმა პატარა შავი პარკიდან კვახის ფოთლებში გახვეული ცივი ღომი და ყველი ამოიღო, გაუწოდა.

ბესას შერცხვა. თვალზე მოწოლილმა ცრემლმა ისევ აუფერადა მზერა...

– გამოართვი, გამოართვი... ხალხნი ვართ.

– გმადლობთ.

ორთვალა დაიძრა.

— Вара, я очен уважаю человека, каторый любит своё отечество и всегда болеем за нево!..

თავალერილმა მოაძახა.

ოხურეისკენ რომ გადაუხვია, ისევ გამოხედა ბესას აფხაზმა.

– აერგაშვა!*

ხელში მოკლედ დახვეული ალვირი თავზემოთ დაიბზრიალა და ცხენს დასჭყივლა.

...მაწანწალა ძაღლი, აჩიგვარასთან რომ აედევნა ორთვალას, იქვე ჩამჯდარიყო და ბესას მისჩერებოდა. ისეთი უმწეო მზერა ჰქონდა, კვახის ფოთლებში გახვეულ ღომში ჩემი წილი თუ არისო, გაფიქრებინებდა.

– შენ რა, ვერ მელევი? მეგზურობა შენ უნდა გამიწიო, ცუგა...

ესიამოვნა და ნელა დაიძრა.

ძაღლიც მიჰყვა.

კარგა ხანს მიდიოდნენ.

მოხუცი დაიღალა, მუხლებში სისუსტე იგრძნო.

– ხომ არ შევისვენოთ, ცუგა?

ძაღლი ჩაჯდა, ხელებში მიაჩერდა უნდობლად, ტუჩები მოილოკა.

...დიდი ხნის გავერანებულ, პარტახ ნასახლართან იდგა.

ღობე არ ჩანდა, ჭიშკრის მაგივრად რკინის ორი ბოძი იყო ჩაბეტონებული მიწაში.

ძაღლიც შეჰყვა.

შიშველი, გამურულ-გაბზარული კედლილა ყანყალებდა ეზოს შუაგულში. გარშემო ფერფლისა და ნაგვის გორები იდგა. სიდამპლისა და სინესტის სუნით ჰყარდა იქაურობა. უკვე მერამდენე ზამთარ-ზაფხულს ვერ გაექრო ეს სუნი. აქ დაყუდებულ სევდა-ტკივილს ვერც ვერაფერი გაფანტავდა.

აი, აფხაზურ-ქართული ძმობის მემორიალიო, მწარედ გაეცინა ბესას.

ნასახლარი, სადაც მოხუცმა და ძაღლმა შეაფარეს თავი, ქართველისა იყო. ჯერ ერთი, ამ ადგილებში ქართველები სახლობდნენ. მეორე: აქეთ ომი არც იყო. ომი გუმისთასთან იყო და, როცა გუმისთა გადმოლახა მტერმა, სოხუმი დაეცა, უპატრონოდ დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობა გარბოდა... ვინც ქართველი იყო, ვინც მტრად გრძნობდა რუსსა და აფხაზს, ხსნას გაქცევაში ხედავდა. მის სახლ-კარსაც ცეცხლი ეკიდა... ისე, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვისი იყო – ქართველის თუ აფხაზის, არც აინტერესებდა, უბრალოდ, ჩემიც ამ დღეშია, ალბათო, გაიფიქრა და გულის კოვზთან მოაწვა რაღაც, თავბრუც დაეხვა და კინაღამ აზიდინა... ძლივს შეიკავა თავი, კედლის შორიახლოს ცივ ქვაზე ჩამოჯდა.

ძაღლი არ ჩანდა.

– ცუგა!..

ძაღლი ნაგავში იქექებოდა, უფრო ღრმად და ღრმად მიძვრებოდა.

– ცუგა, ცუგა...

ძაღლი მოშორდა ნაგავს. მიუახლოვდა, გაუჩერდა, ჩაჯდა.

ღომი მოტეხა და გადაუგდო.

ძაღლი შეხტა, ლუკმა ჰაერში დაიჭირა.

– დაიცა, ყველი მოგცე...

არც ახლა შეშლია ნახტომი.

– მეც ცოდვა ვარ...

მოტეხა, ერთი-ორი ლუკმა გადაყლაპა.

...იმ წელიწადს, ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ აფხაზეთში, დიდ ბებიასთან ჰყავდათ ავათხარაში. ბებია კაკლის ჩრდილში დასვამდა და საკუთარი ხელით აჭმევდა, თან ყოველ ლუკმას აყოლებდა: დიდი ღომი, პატარა ყველიო...

ძაღლის შეყეფვამ გამოაფხიზლა.

რაც შერჩა, გადაუგდო. ხელები დაიფერთხა.

ღამდებოდა.

დილით, დღის შუქზე უფრო კარგად გამოჩნდება, როგორ სდის ხატებს მირონიო, გაიფიქრა და, სადაც ილორი უნდა ყოფილიყო, იქით გაიხედა.

რა შორს ილორი იყო, ხმას მიაწვდენდა კაცი იქამდე, ოღონდ, სადაც ილორი იდგა, მის გასწვრივ ხეების სიმწვანე ზღვის ტალღასავით იყო აქოჩრილი.

მერე აგრილდა და... ზღვის დავიწყებულმა სურნელმა დაქროლა...

ხვალ უფრო შორი და გრძელი გზა ედო, პატარ-პატარა, მაგრამ რთული აღმართებით, უფრო ზუსტად, ზევით და ქვევით...

ბესა გზას ადგა.

ის ამ გზისთვის მზად იყო!

## სამი დღის შემდეგ

– ალო... ალო... თბილისია?

– გისმენ. რომელი ხარ?

– ნუცა ვარ, მამიდა. მოგიკვდეს ჩემი თავი...

– რა მოხდა? ხომ მშვიდობაა?

– რა მშვიდობა... ჭირი და დოზანა ჩემს თავს... ბეს... ბესა...

– რა ბესა? ამოიღე ხმა! ვერ იტყვი, რა მოხდა?

– სამი დღეა ვეძებთ... დაიკარგა. არა ჩანს...

– გაგიჟდი შე-ენ?! სად დაიკარგა? სად წავიდა?!

– არაფერი დაუბარებია... არც სიტყვა, არც წერილი... თბილისში ხომ არ ჩამოსულათქვა და ვრეკავ...

– სამი დღეა?! აქამდე სად იყავი, ქალო, მთლად გამოჩერჩეტდი? ორი კვირით ჩამოგიყვანე უფროსი ძმა და ვერ მიხედე? გადამრევთ მე თქვენ!

– რა ვიცი, მამიდა...

– ტირილი არ შველის მაგას!

– რა ვქნა, მამიდა... დილიდან დაღამებამდე ბაზრის კართან ვგდივარ... რომ მოვედი, არ დამხვდა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი... ახლა მთელი სენაკი ეძებს, ფეხზეა ყველა!.. პოლიციამაც იცის. განცხადებაც დამაწერინეს. საავადმყოფოებში ვნახეთ... წარიას ბიჭი მორგშიც იყო, გიხაროდეს, არ ჩანსო.

* აერგაშვა – ა-ერგ. – წმ. გიორგი, ა-შვ. – სიმღერა (აფხაზ)

– სად იყო?
– მორგში, მორგში...
– მერე რა გიხაროდეს, ქალო, რას ბჟუტურებ?
– რა ვიცი, ტვინი მაქვს არეული... რაც თქვა, ის გითხარი... ფოთშიც ვაფრინე ჩვენებთან მეზობელი, ზუგდიდშიც. ზუგდიდში მისამართი შეუცვლიათ, თბილისში გადავიდნენო.
– ვინ გადავიდნენო თბილისში?
– ზუგდიდში რომ იყვნენ ნადიას შვილები.
– მაგი მადარდე ახლა, სად გადავიდნენ. საკუთარ შვილებთან და შვილიშვილებთან არ გაჩერდა, ჩემს დასთან მინდა, სენაკშიო, და ნადიას შვილებთან წავიდოდა?
– მაინც ვიკითხე. ხო ჩამოხვალ?
– რა? ჩამოვალ, აბა, რა ჯანდაბას ვიზამ! ამაღამვე წამოვალ, თუ ვიშოვე რამე.
– თარბი, შვილო, მეზობელი ბიჭის ჯიბის ტელეფონით გელაპარაკები, რა ვიცი, პატარა იმედი მქონდა, იქნებ თბილისშიათქო.
– რა თბილისში, ქალო? სამი დღე რად უნდა თბილისში ჩამოსვლას, სამი საათი ეყოფა.
– ნარიამ ნახა ბოლოს...
– ვინ ნარიაა?
– იცნობ შენ, ლტოლვილია, ჩვენებური, მღვდლის ამხანაგად მუშაობს ეკლესიაში... თბილისი-სოხუმის ტრასაზე იდგაო...
– მერე?
– უკითხავს, სად მიდიხარ, ბესა ბიძიაო. ჩემები მიხმობენო, ხელი გაუქნევია გაურკვევლად.
– ვინ ჩვენებიო?
– რა ვიცი, ვერაფერს მივხვდი. კიდევ სად არიან ჩვენები... ჰო, კიდევ ეს უთქვამს: ილორში ყველა ხატს მიროჩნი სდისო... ეს მეორე დღეს თქვა ნარიამ. მერე, სანამ შენი ტელეფონი მოვძებნე და დაგირეკე, კი გავიდა ერთი დღეც...
– რა ილორი, ქალო, რას პრუტუნებ. რა, პარტიზანობა დამიწყო? ეგ მაკლდა ახლა! ზღვით შევიდა აფხაზეთში, ოცარცეს.*
ხიდი ცხენით გადავიდა თუ ფრთები გამოისხა... გამაგიჟებთ მე თქვენ?!
– რა ვიცი... ორი-სამი დღე ისე ცუდად იყო, ჩემი ხელით ვაბრუნებდი ლოგინში. წელი ჰქონდა გაკავებული. წინა დღეს ადგა, ძლივს ჩავიდა ჯოხით ეზოში.



*მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი*

– გეყოფა! შენი ტირილი მინდა ახლა მე? ლუტუმ იცის?
– აბა, საიდან? ლუტუს ტელეფონი არცა მაქვს. შენ ხომ ეტყვი? ხომ ჩამოხვალთ?
– ჰო, ჰო! აბა, რა ჯანდაბას ვიზამთ!
– შხეფთან უნახავთ ვილაც უცნობი მოხუცი, ქუჯის ციხისკენ ადიოდაო. მეზობლები გავარდნენ მანქანით. იქნებ, რაიმე სასიკეთო ამბავი მოიტანონ... უმალ დაგირეკავ.
– ჰო, მოვდივარ. დილისთვის მაინც იქ ვიქნები.

## ერთი კვირის შემდეგ

(რაიონული თეატრის წინ, ჩრდილქვეშ, ძელსკამზე, ორი ასაკოვანი მამაკაცი ზის).
– რა იყო? გაბრაზებული ჩანხარ... ხომ მშვიდობაა?
– ახლახან, ქუჩა რომ გადმოვჭერი, ისეთი სიჩქარით ჩამიქროლა მანქანამ, კინაღამ გამიტანა. თან თავი გამომიყო ვილაც ვიგინდარამ ფანჯრიდან: გეგე ხეცურია, სოხუმში არ მოდიხარო, მომაძახა. ნერვები მომეშალა.
– ვინ ოხერი იყო?
– ნეტა მაცოდინა. მოვიხედე, წამში გაქრა... ნომერსაც ვერ მოვკარი თვალი. ციგანი იყო ვილაცა...
– ციგნები გიკვირს შენ? ციგნებით გაივსო ქვეყანა. თავად ცხოვრება იქცა ცირკად. ის თუ გაიგე, ბესა დაკარგულა.
– აბა ბესა?
– ბესა ხეცურია.
– რას მეუბნები? კი მარა, რა სჭირდა დასაკარგი? თბილისში არის შვილებთან კარგადო, ასე ვიცოდი.
– შენც კარგა გამოჩერჩეტდი. ეს კვირა მეტი არაფერია სენაკში სალაპარაკო. კვირაა, არა ჩანს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცის. ცუცასთან ჩამოსულა ორი-სამი კვირით, თარბის უფროს ვაჟს ჩამოუყვანია. მეც არ მინახავს; სამი-ოთხი დღეა, გავიგე.
– ვინმემ გითხრა?
– შენც ისე ხარ, რა... თუ იქით არ მოგიკითხა კაცმა, არავინ გახსენდება. სახლში ხარ, სინაზე გაბმული ძაღლივით შენთვის ილრინები... წუხელ ტელევიზიითაც გამოაცხადეს – უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. შვილები და შვილიშვილები ეძებენო... სურათიც უჩვენეს. ცრემლი მომერია, ავტირდი...
– ეგ რა მითხარი! თარბი ვნახე ორიოდე დღის წინ და შევრცხვი კაცი. კი შევატყვე, ვერ იყო გუნებაზე, თუმცა არაფერი უთქვამს... დამიმალა?
– რაა დასამალი? გითხარი, ტელევიზიით გამოაცხადეს — თქვა.
– ღმერთო მომკალი! ახლა ვხვდები, რას იფიქრებ-

* ოცარცე – ხიდის სახელწოდება ენგურზე.

და... მეც რა, ვჩქარობდი, შვილიშვილი მიმყავდა სკოლაში... უმცროსი ძმაც ახლდა... რა ჰქვია, ლუტუ, ხომ? გულგარეთ მოვიკითხეთ ერთმანეთი. ესაა ცხოვრება?

– აბა, კაცო! მარტო სირცხვილს სად ნაუხვალ? სირცხვილი რომ არ განუხებს, მაშინაა არაფერი, თორემ... ოჯახის თავის მოჭრაა, ღმერთმანი! აქეთ საწყალი ცუცა თავს იკლავს, მკვდარი მაინც მაჩვენეთ ჩემი გამზრდელი ძმა, ვიტირებო და... არ გაჩერებულა, სულ ტირის და ტირის... ვეუბნები, არ შეიძლება ცოცხალი კაცის ტირილითქვა, არ ესმის. სამი დღის წინ ფოთში გამაგზავნეს ახლობლებთან, გულრიფშელები არიან, ბესას უფროსი ძმის შვილიშვილები. გაგიჟდა ის კაცი, აქეთ ერთხელ არ მოვუკითხივარ, ჭირიც მქონდა და ლხინიც, სათოფეზე არ გამკარებიანო! ისიც მომაძახა ბოლოს: თარბი და მისი შვილები კი აშენდნენ აქაც, ლტოლვილობაში, და ვინმეს გავახსენდიო? ასეთია ჩვენი კაცი, შენ უნდა მოიკითხო, შენ უნდა უგორო იქით კოჭი, თავად ფეხებზე ჰკიდიხარ... კვდებოდე, არ მოგინახულებს, პანაშვიდს დაელოდება. ჰო, ილორში ხატებს მირონი სდისო, ნარიას ბიჭისთვის უთქვამს იმ დღეს...

– რა სდისო?

– მირონიო...

– გადამრევ მე შენ! საიდან იცის, დაესიზმრა? შენ არ მომიკვდე, რალაც სხვა ამბავია აქ! რა მირონი და ხატი აუტყდა? როდის გახდა ბესა ხეცურია ღვთისმოშიში?! სასწაულია პირდაპირ... სად უნდა ნასულიყო?

– რა გითხრა, კვირაა ვმარჩიელობთ. ექიმს უთქვამს თბილისში, გაქანებული სკლეროზი აქვსო. შვილიშვილმა მითხრა, შვილები არც ამხელენ...

– რა გაქანებული აქვსო? რა ოხრობაა ასეთი?

– არ თქვა! უბედური ავადმყოფობაა. არც მკვდარი ხარ, არც ცოცხალი... არაფერი გახსოვს თურმე, რა სვი, რა ჭამე გუშინ...

– არც მკვდარი, არც ცოცხალიო, არა? ნუ მომკალი აიცილით. ჩვენი ავადმყოფობაა ეგა! მეცამეტე წელინადია არაფერი მახსოვს. ვიყავი, არ ვიყავი. ვარ თუ არა ვარ... პურის ფულს რომ ვერ შეიტან კაცი ოჯახში, მკვდარს რითი ჯობიხარ?..

– სამაგიეროდ, ის ხომ გახსოვს, სად დაიბადე და გაიზარდე?

– რას მეუბნები? სოხუმის დავიწყება შეიძლება? მაგითი მიდგას სული... ეხ, რა დრო იყო, სად ვცხოვრობდით!

– გოროდ ბეზ ფრაეროვ, არა?

– იცინე, იცინე... – ხმადაბლა ღიღინებს: – სუხუმი, სუხუმი, სუხუმი... როგორ თქვი, სკეიე...

– სკლეროზი. ასე იოლი არაა, ძლივს დავიმახსოვრე.

– ეტყობა, ლტოლვილებისთვის არის ეს ავადმყოფობა გამონერილი. ასეა, თუ არ გჯერა, გეტყვი. პურზე გამომიშვა რძალმა, მე კი შეგრჩი შენ... როგორ თქვა ტელევიზორმა – ბესა ხეცურია დაიკარგაო! ჩვენ რა, უკეთეს დღეში ვართ? ბესას და სხვებს – ვინც აფხაზეთში ჩარჩა და დაიკარგა, რითი ვჯობივართ?..

დგება. ნასასვლელად ემზადება.

– ამ საღამოს ცუცასთან გადავალ. ახლა გაგიგეთქვა, მოვუბოდიშებ მაინც...

– მოდი. მოგწმენდ სირცხვილს...

## ორი კვირის შემდეგ

ის დრო, პარტიზანულ მოძრაობას რუს-აფხაზებზე მეტად ჩვენები ებრძვიან.

დიმა ჯაიანი შემხვდა და, ზუგდიდში ხომ არ წამოხვალო, მითხრა. რატომაც არა-მეთქი.

მეორე დღეს გამთენიისას ჩავსხედით მანქანაში და დილის თერთმეტი საათისთვის ზუგდიდში ვიყავით. მეგობარი გზაში გამომიტყდა, ერთი სოხუმელი კარგი კაცი დაილუპა სამურზაყანოში და გალში ვაპირებ გადასვლასო. არ მოვცილდი, ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, შენთან ვარ-მეთქი. ერთი ლტოლვილი მეომარი ბიჭის წყალობით შამგონიდან სიდაში, იქიდან გალში გადავედით. ტყე-ღრე ვიარეთ გადაცმულებმა, გვარიანი შიშიც ვჭამეთ.

უკან რომ ვბრუნდებოდით იმავე გზით, უკვე ღამდებოდა.

შევისვენეთ.

– ჭიქა არაყის გარეშე ვერ გაგიშვებთ, – ამბობს ჩვენი მეგზური და, სანამ ენგურს გადმოვლახავდეთ, ნამორზე პურს, ყველს და არყის ბოთლს დგამს.

მოვიხსენიეთ მიცვალებული.

– თარბი ხეცურიას თუ იცნობ?

დიმას ეკითხება პარტიზანი.

– რას ჰქვია, ვიცნობ? მეგობარია.

პასუხობს დიმა.

– ამ რამდენიმე დღის წინ ტელევიზორში მოვისმინე – მამამისი ბესა დაიკარგაო.

სანადირო დანით მინას ჩხვერს და ქვემოდან ამოგვყურებს.

– აბა, კაცო! – წუხს დიმა, ზურგჩანთას იხსნის და ჯდება ზედ, – ბოლო დროს ცუდად იყო... დას სტუმრობდა სენაკში... დილით სახლიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგაო...

– მეც კარგად ვიცნობ ძმებ ხეცურიებს. ცუდად ყოფილა ძია ბესა, მახსოვრობა დაკარგული ჰქონდაო, ასე გავიგე.

საუბარში ვერევი, გულმოდგინედ ვაზუსტებ.

– მეც ასე მითხრეს...

კვერს მიკრავს პარტიზანი, ისევ ისე ჯიუტად იჩიჩქნება მიწაში.

ვგრძნობ, რალაცის თქმა უნდა და ვჩუმდები.

– სანამ ტელევიზორში გამოაცხადებდნენ, ოთხი-ხუთი დღით ადრე მაჭარკასთან, ტეკს ქვემოთ პატარა მინდორი გეხსომებათ, იქ ვდგავარ, მეწყვილეს ველოდები, სერიოზული დავალება მაქვს. იქაურობას ვერ იცნობ, ტყე-ბარდს აქვს ნალებული.

გავიხედე, მტირალა ტირიფის ქვეშ კაცი ზის, გაუბედურებული მოხუცი... მეცნაურა. მივუახლოვდი და... ბესა ხეცურია შემრჩა. კაი თხუთმეტი წელი არ მენახა, მაგრამ, ხატზე დავიფიცებ, თავადაც უმალ მიცნო და თვალი მომარიდა. რა მიხვედრა უნდა, არ მენდობა. წამოდგა, მიდის, შიში აქვს ჩემი, თავის არიდება უნდა... ვერ გაამტყუნებ, რაც ჩვენ ვნახეთ და გამოვიარეთ, საკუთარ ძმას ვერ მიენდობი ბოლომდე. არ მოვეშვი, ხან ერთგან მოვიხელთე, ხან მეორეგან... მანანწალა ძალლი ჰყავს ადევნებული საწყალს, ვერ ვაცილებ. რავი, იქნებ ცოფიანია, ვუფრთხი,

კბილი არ გამკრას, ტყვიას და ხმაურს ვერიდები. თარბის უმცროსი ძმა, ლუტუ, მეგობარია ჩემი, ერთად დავამთავრეთ პედინსტიტუტი. მათ სახლს რა დამავიწყებს ჭამბაზე, მათ სხვენზე ვინახავდით ეროვნულ დროშებს სტუდენტური მოძრაობის აქტივისტები.

როგორც იქნა, გამომიტყდა – ჩემები მიხმობენო!..

თვალები სოხუმისკენ გაექცა, თან ბალღივით ამიტირდა.

ვინ იყო ეს „ჩვენები“ – მიცვალებულები თუ ცოცხლები, ვერ გეტყვით. ხელოვანი ხალხი ხართ და, იქნებ, თქვენ იფიქროთ და გაარკვიოთ... მართალი გითხრათ, მე ჩემი დარდი მქონდა. ბაგრამიანის შნირებს სამჯერ დავუსხლტი ხელიდან. ჩემი აფხაზურით ვჩირთიფირთობ რალაცას, ნემსის ყუნწში ვძვრები. ის კაცი, დღეს რომ მივაბარეთ მიწას, მათი ხელიდანაა განწირული. ვიცი ეს მე! როგორც სოხუმელი სოხუმელებმა იცნეს და არ დაინდეს.

ამასობაში ჩემი მეწყვილეც მოსულიყო, თვალებით მეძებს.

ნახევარი პური და ოცი რუბლი ვაჩუქე.

იმავწამ ავორთქლდით იქიდან.

მოვბრუნდი თუ არა ზუგდიდში, ლუტუს შევუთვალე, აუცილებლად მნახე-მეთქი.

ზუგდიდში ყოფილიყო, მეორე დღეს მომაკითხეს ფიჩორში, სანდო კაცის ოჯახში.

ასე და ასე იყო-მეთქი, მოვუყევი ყველაფერი, სად და რა დღეში ვნახე, არაფერი დამიმალავს.

– რას ამბობ? – გამიგიჟდა თარბის უფროსი ვაჟიშვილი, – მაჭარკასთან რა უნდოდა? რა დარჩენია ბაბუაჩემს სოხუმშიო?

წამომიხტა და აქეთ მიტევს.

ლუტუს ვცემ პატივს, არ მინდა, მის თვალწინ მივბერტყო ლაწირაკი.

ლუტუ კიდევ ზის და ხმას არ იღებს.

ბიჭო უმცროს-უფროსი არ იცი შენ? ჭკუას მოუხმე, არაფერი შეგეშალოს-მეთქი!

შეასმენ რამეს?

ისევ მემამლაყინწება...

– ჩვენებურები რომ თქვი, ყველა ჩვენებური აქ არ არის? ვინ დარჩა სოხუმში, რომელი ერთი? რად მინდა მე ეს არაკები?

წამოხტა, დადის აქეთ-იქით, სიგარეტს გვაფუილებს სახეში, არაფრის გაგონება აღარ უნდა.

ვიცნობ, რა ახვარი ბავშვიცაა. ბენზინზე ჩალიჩობს, სამურზაყანოდან ოთხმოც თეთრად გადმოაქვს და ზუგდიდში, სოფელ-სოფელ ლარად ყიდის. იშოვა ორი კაპიკი, აწყობილი აქვს ვითომ ბიზნესი და კაცი ჰგონია თავი.

არადა, სოხუმში რა დარჩენია ბაბუაჩემსო?

ამან რა იცის მშობლიური ქალაქის სიყვარული?

ამ ნაწილს რა ესმის მშობლიური მიწის ყივილის?

გიჟს ვგავარ, ეს ნეხვი ამ სიფათით როგორ უნდა გავუშვა... წამოვიწიე...

ლუტუ მიმიხვდა, მაჯაზე ვიგრძენი მისი ხელი.

სინდისი რომ გქენჯნიდეს, სინდისი უნდა გქონდეს კაცსო...

დუდღუნებს, კარისკენ თავდახრილი მიდის.

– ნადი ახლა შენ ჭკვიანად!..

ერთი შევუღრინე მაგ ლაწირაკს.

ნავიდნენ.

მეორე თუ მესამე დღეს ტელევიზორში შემთხვევით მოვისმინე: ესა და ეს კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და, თუ ვინმემ ნახეთ, შეგვეხმიანეთო!

...

რა არის ეს?!

ვალის „პატიოსნად“ მოხდა საზოგადოების თუ მშობელი მამის წინაშე.

ვინაა უგზო-უკვლოდ დაკარგული – ბესა ხეცურია თუ მისი შვილები და შვილიშვილები! ამგნების ხელში ვინ დაგიბრუნებს სოხუმს?

მეხსიერება, შეიძლება, მართლაც დაკარგული ჰქონდა საწყალს, მაგრამ, სად უნდა ეპოვნა აღსასრული, ეგ იცოდა!

წამოდგა.

ჩვენც გავიმართეთ წელში.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

...

– დიმა!

დაბნელებულიყო, ჩვენი მეგზური არ ჩანდა.

– მთავარი დამავიწყდა. გამომშვიდობებისას მითხრა: ილორში ხატებს მირონი სდისო! ამ დღეებში ვიყავი ილორში... ჩემი ხელობის კაცი შორს უნდა იდგეს ეკლესიისგან, მაგრამ, თუ დამიჯერებ, ჩემი თვალით ვნახე...

– რა? მართლა სდის ხატებს მირონი?!

იმხელაზე ბლავის დიმა, ლამის ენგურს გაღმა-გამოღმა ქალები შეძრას.

– ასეა ეს, ძმაო, დიმა! – არც პარტიზანი ჩამორჩა ხმით დიმას, – ეტყობა, ჩვენს მაგივრად ხატები ტირიან!..

– ვიყოთ, აბა, ხატების იმედად...

ვდუდღუნებ ჩემთვის.

დიმას ვეძებ.

ენგურს გაღმა-გამოღმა ყრუ სიბნელე წევს.

...

წკვარამში ვარ...

ნავბორძიკდი. ეკალ-ბარდში ვარ გახლართული, ძლივს ვთავისუფლდები.

მჭახე გადაჩხავლებით გადამიფრინა თავზე რაღაც ფრინველმა...

– ახლა ქაჯი ვერ გადავა ენგურზე, – გამსახურდიას მებორნე მახსენდება, თან მეშინია, მეგობრის ფეხის ხმა არ დავკარგო, – ის მაინც მითხარი, რა გვარისა ხარ?

სიბნელეს შევბღავი.

– მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია!

მეხმიანება მეგობარი.

...

სადღაა ენგური...

ენგურიც გამქრალია...

ფეხებზე ბორკილდადებული რომ იყო, ისე გადალახავ, კოჭი არ დაგისველდება!..

– სადღაა ენგური?

დიმას ფეხს ვუწყობ.

– ენგურმაც გვიღალატა, ძმაო!.. ჰაი, ჰაი!.. „ძველ მეგობრებსაც ვატყობ მე ღალატს!..“

წუხს დიმა.

– ჰაი, ჰაი!..

წუხილით ვეხმაურები მეც.



ჯემალ აჯიაშვილი მთარგმნელის სტატუსით შემოვიდა ლიტერატურაში. თარგმანის ვირტუოზის სახელი მოიხვეჭა იმთავითვე და შერჩა ეს პროფესიული ნიშანი ლექსის „გურმანს", თხემით ტერფამდე პოეტს.

რაც უფრო მეტს თარგმნიდა, მით უფრო ცხადყოფდა თავის პოეტურ ტალანტს.

თუ პოეტი არ ხარ, პოეზიას ვერ თარგმნი. მითუმეტეს, ვერ თარგმნი კარგად.

ჯემალ აჯიაშვილი პოეტია. გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პირველ, ფანტასტიკურ თარგმანებშივე, რომლებიც სამოცდაათიანი წლების მიწურულს გამოქვეყნდა, ავტორად უფრო გვევლინებოდა, ვიდრე ტექსტის გადმომღებად.

როგორც ჩანს, სონეტი მისი ფორმაა.

ეპიგრაფის მაგიერ წამძღვარებულ სტრიქონებში არის მინიშნებანი კლასიკურ სიმბოლოებზე, მაგრამ მთავარი ამ სიმბოლოებში კი არა, ინტონაციებში იკითხება. ეს არის კამერტონი, რომლის სევდიან ბგერაზე არის აგებული თითოეული სონეტის „ხმა".

იგი თავისებურ აქტუალობას ანიჭებს ამ მყარ სალექსო ფორმას, ტრადიციულში ჭვრეტს თანადროულს, პირადულში დაგვანახვებს ზოგადს, ადამიანურს, თბილს, ტკივილიანს.

პილიგრიმის სიმღერებს გვაგონებს ეს სტრიქონები, რომლებიც ჩვენს გულისთქმას მთელ სისავსით ეხმიანება. რას ვიზამთ, „გრძელდება ბინდის შემოქმედება, მიცურავს ნავი, მენავე არ ჩანს".

**ჯემალ აჯიაშვილი**

**ეპიგრაფის მაგიერ:**

*ნოემბრის ნისლი მოდგა, მომეფდა,*
*ჩადგა გრიგალი, დასრულდა დავა*
*და უცხო ქვეყნის მისადგომებთან*
*შეჩერდა ჩემი მოხუცი მამა.*

*გრძელდება ბინდის შემოქმედება,*
*მიცურავს ნავი, მენავე არ ჩანს*
*და შელამების ფერი ედება*
*მარწყვის მდელოზე დაცვენილ მარჯანს...*

* * *

მზემ თიბათვისამ — აისურმა თუ დაისურმა,
სითბომ და სილბომ — სიტკბოებამ ქუთაისურმა
კვლავ მოიხილა დაკარგული ჩემი ბალღობა
და ხსოვნის ჩრდილში ხელმეორედ დგომა ისურვა.

კვლავ გაიხსენა მოწამეთის ძველმა მიწურმა
დღისა და ღამის მიმოქცევა, მთვარის მიწურვა,
თბობა და კვირტის გამოღება, თოვლის გაღღობა, —
და მანაც, მანაც — ბავშვობაში ყოფნა ისურვა.

ისევ აქ არის — უცნაურის, თავისთავადის —
ხსოვნა წარსულის — საუკუნოდ, ან და მარადის;
ჩონგურს ამღერებს შინაბერა — სოფლის ჯავარი,

ჯოგს განდგომიან ხარლაღები, თითქოს სარფიან
მწყემსებს მიანდეს ქვეყნიური ავაწჩავანი
და, თავდახსნილნი, მდინარისკენ ლაღად გარბიან...

* * *

ისევ ჩაშალა კარალეთის ნაცნობმა ქარმა
ძილისპირული პაემანი კალმის და მელნის,
დამშვიდდი, უკვე გაილვარა ქალდეის ქარვა
და ქარავანი უხალისოდ შეუყვა მერმისს...

გახსენი კარი, უაზროა შიში და მალვა, —
სიყრმის ჭიუხზე შეყინულა ჭიხვინი მერნის,
ძილგატეხილი სინანული მალვიძებს მალ-მალ
და მოგონებაც უცნაურად მეწვის და მელმის.

ნავიდა ყველა, სიჩუმეა... ნუღარას ცდილობ,
ხელმოცარული ხელოვანის ფუნჯო და ტილოვ!
მძლეველმა მიმტრო რახანია, მთნეველმაც მითნო,

უჩუმრად ვჯდები მარტის მზის ქვეშ, უმნეოდ ვთბები,
ვაშლის ტოტებზე ძველებურად მოჟონავს სიტკბო
და ისევ იმ ხმით მიმღერიან დაღლილი დები...

* * *

დასრულდა უგზო ფორიაქი, კვლავ შევისვენე,
ახლა ვსვამ, — რაც მე ადრიდანვე უნდა შემესვა, —
რომ ვიგრძნო მიწის სინოტივე, ფოთლის სისველე
ძეთაგან შენთა განდგომილმა ძემ უმრწემესმა.

მარტო ვარ, მარტო, შემოღამდა... ღმერთო, მიშველე, —
სიზმრად ვნახე თუ სიჭაბუკის ჰანგად შემესმა
ცვრიან ბალახზე გაზაფხულის სიფეხშიშველე
და ტყემლის ბაღში ყვავილების თეთრად შელესვა...

მაგრამ წვიმის წილ ჭკნობა მძლავრობს, —
გაქრა დაფნარი
და საპნის ბუშტებს გვინაწილებს ცა ნასაპნარი;
როგორ მიაცხრე, სულო ჩემო, როგორ მილურსე

გრგვინვა და ხაფი ზარიანი — ხმა აზავრული
და ოხვრად შეგრჩა შემოდგომის ძილისპირულზე
ნელი ჩქამი და პილიგრიმის ბოლო ფსალმუნი..

* * *

დახშული იყო ცა და მიწა, — თითქოს ედემის
ბაღს მორღვეოდა შარავანდი, და მზე ჭიოტა
ხრჩოლავდა ნაშთად ულიმღამო შემოქმედების
და ღვთის ჭალებში ჯოჯოხეთის ლანდი ყიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლემდა სახლიც და სამოსახლოც, ეზოც, კედელიც
და სადაც ფოთლებს აჩქამებდა ფრთონვა სიოთა, —
სულს აუნჯებდა მოგონება ლურჯი ქედების
და მათ ადგილზე შემოდგომის ცრემლი ცვიოდა.

დუმდნენ ღმერთები — დუმდი, ჟამო, ჟამო ტიალო, —
ქრისტეს უხმობდა გატანჯული საქრისტიანო;
მიიქცეოდა უსასრულოდ ცოდვის მდინარე

და წყალს, რომელიც დღენიადაგ სადღაც მიტოპავს, —
ნოეს სიბერე აფიქრებდა ყოვლის წინარე
და უიმედოდ ატოკებდა დაშლილ კიდობანს...

* * *

მითხარ, არაგვო, არაგვობას რატომ ივიწყებ,
იმის მაგიერ — ჭახჭახებდე, ავსულს ჩხიბავდე, —
მხარი გიქცია გულუბრყვილო შენმა სიფიცხემ
და ნყლის სპეკალი წვეთწვეთობით ქარში მიფანტე.

ფუძეს რომ გვირლვევ, მწვერვალისკენ
როგორ გვიბიძგებ,
მომწონს ეგ შენი სიჩაუქე, შენი სიმარდე,
მაგრამ რა ქარმა გადაგაგდო მისისიპისკენ,
იცი — რა გზაა არაგვიდან მისისიპამდე?

ვნახოთ რას მოგვცემს შენი სიმხნე, შენი სიალე,
მიდი, იარე, უთავბოლოდ იხეტიალე;
მაგრამ მაინც მწამს, აყვავდება ძველი სავარდე,

სუსხი მოაშთობს პრერიების ყველა მოჰიკანს,
წყალი ჩვეულ გეზს დაუყვება შესართავამდე
და შენც შენი გზა საბოლოოდ მტკვართან მოგიყვანს...

* * *

*თითქოს ქვეყანა იყოს ბაღი გაუმარგლავი...*
**შექსპირი**

მადლობელი ვარ, დიდო მეფევ, — ძვლები გამითბე,
მტვრისგან მშობე და ამარიდე სუსხი, დაზრობა,
შენს ტაძრეულთან მაგალობე, ვით მედავითნე
და ღვთის ტაძარში გამიმართე დიდი ტაძრობა.

თავში დამსვი და გამარინდე... ნუთი დავითმე
და უცებ მაცნემ ჩაფიქრებულს მალვით მაცნობა,
რომ თავი ქვეთავს უბრუნდება და ქვეთავითვე
გვითრევს ამაო ფორიაქი და უაზრობა.

ბაღში შეველ და ბაღის ნაცვლად, როცა ვიდროვე,
ღვარძლის სიჭარბე მეცნაურა და სიმჭიდროვე;
მზე კი თვალთმაქცობს, — გასრულდაო ბინდი ხენეში, —

უცხო მეგზური მოსდგომია ძველ ნაბოგირევს
და მდინარეთა მოჩვენებით სითავთხელეში
მის შესახვედრად აქერონის ტალღა ბოგინებს...

* * *

იძინებს მთვარე, დედას კოცნის, კოცნის მამილოს
და ვიდრე ღამე დაუხშობდეს ხსოვნის გალავნებს,
სხივებს, რომელიც მინანქარში უნდა ჩამინოს,
ქარვად გაღვრის და შემოდგომის ქარში განაბნევს.

აქ კი ვილაცა — ჰაიჰარად ნამღერ ალილოს,
ბეჭდებს, მძივებს და ქინძისთავებს — გულზე დანაბნევს,
ფრესკებს, სანთლებს და ქანდაკებებს —
ცივ მარმარილოს —
უკვდავ ღმერთებთან აიგივებს და ათანაბრებს.

ილვნის ეს ხალხი, გაუხდია საქმე მეგზურად —
ნაბიჯ და ნაბიჯ, მეთოდურად და კომპლექსურად;
ან კი რას მისცემთ მთვარის როტვა, ქარის ჭარტალი,

როცა ყოველდღე — საუკუნო ლხინის თავდებად —
ყველა სიოხრე, — ქვეყნის ჯართი თუ ნაჯართალი, —
ოქროს კერპებად უგროვდებათ და უხვავდებათ...

* * *

ქვებს მიაგლისა უძრაობის ხავსი და ხვიფლი,
სიავის ნერგიც სიშორეში უჩუმრად მირგო,
როდესაც იგრძნო ხელახალი აღდგომის ხიბლი
და მოფრქვეული საკმევლების სუნი და სილბო.

მაგრამ რას ნიშნავს დაბინდული თვალების ლიბრი,
ტანო ტატანოს გულწამტანო კავო და ზილფო,
რა უარეა — აზეიმო შური და ჯიბრი
და ულპოლველის უხრწნადობა გვიხრწნა და გვილპო.

და ისმის შორი ღაღადისი ბრძენთა და მოგვთა,
ის კი იმ წყალს სვამს აღსადგომად, რომლითაც მოკვდა;
იმავ ჭურჭლით ჭამს, რომლიდანაც აქამდე ჭამდა

და ხელაღებით იმეორებს ერთადერთ მოტივს:
საგაზაფხულო ახირებებს დროთა და ჟამთა
და გარდასახვის გამუდმებულ ნადილს და ლოდინს...

## ეშმაკის მონოლოგი

სამყაროს წყლებში მოვისროლე ჩემი ანკესი
და რომ უხამსი სურვილებით სულ მთლად ამეკლე, —
ბულბულებს მივეც ფარშავანგის ხმა უტლანქესი
და ვარდებს — ქაცვის გულცივობა და სინარეკლე.

შხამს ნაორკეცალს დავუსართე შხამი სამკეცი
და როცა ხორცის ჩანასახი სულში ჩარეკლე, —
ადამის სახეს ჩავაცქერდი ღმერთის სარკეში
და ნეკნებს შორის ჩავუშენე ერთი სანეკნე.

მასაც ენადა გამორჩევა, ნიშანსვეტობა,
სახელს და პატივს მიელტვოდა, მაგრამ შეტოპა;
ხასხასებს მიწა მრავალფერი — ღმერთის კოლაჟი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირმოლუშულმა მოირებმა მოთქმას უხშირეს
და შხამთან რევენ დამათრობელ მანდრაგორაში,
სიცილს და ტკივილს, ალმაფრენებს და სიდუხჭირეს...

* * *

რბიან ქარები, დაუგდიათ ძველი ბუნაგი
და თოვლით, მე რომ გაზაფხულის ბალში დავტოვე, —
ყვავილთა თოვლით — იმტვერება ყლორტი
სარტოვე, —
ქრიან ქარები, დაუგდიათ ძველი ბუნაგი.

ფაფარაყრილი, იალალზე გარბის ულაყი
და სულს, რომელიც გუშინდელი თოვლით დავთოვე,
ეცლება ძველი უნდობლობა და სიმარტოვე, —
რბიან ქარები, დაუგდიათ ძველი ბუნაგი...

ბრუნავს ჩელხი და ჩალაბულა, ბალახბულახი, —
რბიან ქარები, დაუგდიათ ძველი ბუნაგი;
და სხივს — გადამქრალს სილამაზის გადასაკლიტად —

კვლავ უბრუნდება სიხარული, ტკბილო გადიავ,
რბიან ქარები, მიმაქცევენ ჩემი საკნიდან
და, თავდახსნილნი, სივრცეებში ლაღად გადიან...

* * *

მტრად შერაცხილი სამოყვრეში, მოყვრად — სამტრეში,
ქალშავი ვინმე — თავქეიფა და ნაგიჟარა —
წარდგა დევის წინ, დაიმონმა ვირი ტანტრესი
და სამსჯავროში ფეხმორთხმულმა ურცხვად გვიშარა.

ზამთარზე უფრო შეუვალი და უზამთრესი,
შორეული და იდუმალი, როგორც ნიჟარა, —
მოდგა სხვა ვინმე, ჩაგვჩურჩულა რალაც ანდრეზი
და გული თითქოს სამეგობროდ გადაგვიშალა.

ო, რა დრო იყო, — აბეზღებდა მიჯნურს მიჯნური,
ერთურთს მიჯროდა გასამიჯნი და გამიჯნული;
ხმა კი ხაფობდა, — ცხადი იყო და საცნაური

ხმა ედემიდან განდევნილთა — უედემოთა,
მიწურულიყო ნათლისღების დღესასწაული
და მის სანაცვლოდ პარასკევის დილა დგებოდა...

* * *

რომ გაიძახი — კარგიაო ხალხში გარევა, —
სად გავერიო, სათნოება თუკი დამიწდა,
თუ წესად გვექცა ღირსეულის დაბეჩავება
და ვილაც ხეპრე — ყეენივით დგას სამთავისთან.

ომში ჩაბმაო — ჩამჩიჩინებ, — როგორ ჩავება,
თუკი შურმა და უნდობლობამ დაგვცა თანისთან,
დაუჩქარეო, — დამცაცხანებ, — რა მეჩქარება,
სულში თუ გაჯდა სიძულვილი და გათავისდა.

ტყე აკაციის გაფოთლილა უაკაციოდ,
გულში მჯილს იცემს ქონდრისკაცი — ქუდზე კაციო!
მაგრამ მომდგარ მტერს რანაირად დაეძგერები,

როცა შინ გვიზის მოსისხარი აბუჩალაკი,
როცა საძოვრად მიუშვია ზეზვას ცხენები
და მატყლის ჯარას მიჯდომია თორღვას ჯალაბი...

* * *

უფალო, გესმის? — ივიწყებენ ბედთან ცილობას
და კეთილ ქარებს ნებდებიან, როცა მახლობელ
ტყეს შეატყობენ გარდასახვის სიამტკბილობას
და სანთიობოს სიჩუმეში სანთლებს აქრობენ;

დრო კი თვალს ახელს, — მეძუძური თითებს ილოკავს
და ვიდრე ცისკენ ალავლენდეს ჩვენს სამადლობელს,
კვლავ შეგვახსენებს ნათლისღების ნაცნობ კილოკავს
და გაზაფხულის დადგომამდე ცოტას გვადროვებს...

და ტყეც კვლავ ტყეობს, მეტყეური დგას
მარტოსულად
და ვხედავ — მხსნელი სიჩუმეში ჩვენს ხსნად მოსულა;
დრო კი მაინც რბის, — მიდის ჟამი და გვაჩიავებს,

შავრა მერანი მიაგელვებს სოფლის შავტუხებს
მაგრამ ცა ისევ ისაკუთრებს ნაცნობ ჭიაფერს
და მიწა — თავთავს ასაზრდოებს და ათავთუხებს...

* * *

სიმწრით მოსთვლილს და მონაწევარს მუქთად
წარცემენ, —
სიბრძნის კბილები დაიბრიყვა კბილმა სარძევემ,
ენა ალარ გვაქვს, მოენეო, ვისთან ვიენოთ,
ნიავს გვწყვეტენ და ჯოჯოხეთის ქარში გვარწევენ;

სიცარიელეს ცარიელი სიტყვით ავსებენ,
არსის ადგილზე უარსობას დაგვიარსებენ,
თავთუხს გადგამენ უგუნურთა სამარჩიელოდ
და მის მაგიერ გუდაფშუტის მარცვლებს არჩევენ.

ყბებზე აუკრავთ ოქროკაცებს ოქროს ქილვაში
და ვილაც მჭევრობს საკვირაო მიმოხილვაში...
გადი-გამოდის კამათლებით ქვეყნის სულთანი,

ჭკვიანს ამცრობს და აბეჩავებს, დუშაშს აშაშებს,
ბრუნავს არენა — ნაომარი, ნააბსურდალი
და უსასრულოდ იმეორებს ნაცნობ პასაჟებს...

* * *

კვლავ გვახსენდები სიშორეში გადაკარგული,
ქალდეის მზეო, — წარმართულო და უხიაგოვ:
ითხოვს უცხო ხმა — შეფარული და დამარხული,
რომ წარმართ ღმერთებს სასიკვდილო მსჯავრი მიაგონ.

ცის მაყრიონმა დაიმშვენა ოქროს ფარლული, —
დაე, ერთხელაც ძველებურად გაიკიაფონ, —
უკუიქცევა ვარსკვლავების ბრუნვა ჩარხული
და შენი ჩარხიც მობრუნდება, კოჭლო იაკობ!

ბეთლემის კალთებს გადათქერენ, გადაისრავენ,
ფეხდაბუშულო მკელობელო, ძველო ისრაელ;
გელის სასმელი უმნარესი და უმწუთხესი,

მაგრამ არ გძლიოს უდიერთა სიარამზადემ,
ზიხარ ვეფხვივით — მოშრიალე შამბის კუთხეში
და, განაბული, სახვალიო ნახტომს ამზადებ...

## ეზეკიელი

ერთად დაესვათ მიწიერი და ზეციერი,
ფეხმარდი რაში ფეხათრევით რბოდა ოჩანთან,
უცხო ბექობთან მომდგარიყო ეზეკიელი
და ცისკიდურზე უცნაური კვამლი მოჩანდა.

ერთი მზე კრთოდა — საზიარო ერთი მთიები
დიდთა, მცირეთა, მდაბიორთა, გვირგვინოსანთა,
მაგრამ უეცრად აგუგუნდა ჰანგი ხმიერი
და ღვთის კარავთან აწყვეტილი ხალხი მოჯარდა.

არც ღმერთს უნდოდა, მოგახსენოთ გადაწყვეტილად,
რომ მდინარეებს უნინდელი წესით ედინათ;
მაგრამ ვერ თმობდა: მოთუხთუხე ლავის ნაკადი

ტბორად დგებოდა მღვიმეების გასადინართან,
ცას ასკდებოდა ბორგნეულის გმინვა-ღაღადი
და მთის ფერდობზე დამშეული ლომი ბრდღვინავდა...

* * *

უკეთურ ქარებს, სულო ჩემო, მისთვის შევებით,
რომ სოფლის ჭუჭყი აგარიდო, მტვერი ავგავო,
და უფლის ვანში — განდეგილის ლამისთევებით
ვიხელთო წამი — უშურველი და უანგარო.

ტყე კვლავ სავსეა ავსულებით, სავსე — დევებით,
შენ შემეწიე, გულმოწყალე ჩემო ამქარო,
რომ ისევ თმენით, შერიგებით და მიტევებით
დავთმო საძმო და სამოსახლო, დავთმო სამყარო...

აჰა, ზარი ხმობს, ჩანგოსანმა ჩანგი მომართა,
მშვიდობით, ძენო განკიცხულთა და უნდობართა!
ვჭვრეტ ფერებს ფერვალ-გადამქრალთა და
დანაცრულთა

და ფოთლებს — წვიმით ჩამორეცხილს,
ქარით მოხვეტილს:
დასრულდა დროსთან პაემანი, ლხინიც დასრულდა,
მოხვედით, მაგრამ ვისთან დარჩით, —
რისთვის მოხვედით!..

* * *

მზემ ცისკიდურზე სადაისოდ დისკო დაკიდა
და წყალნიც წავიდ-წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი;
გამორბის ბიჭი მოგონების ყრუ გორაკიდან
და ელვად მოსდევს ქერუბიმის თეთრი ისარი.

გზა კი ისევ დუმს, მითვლემილა ზამთრის ბალი და
ისვენებს მთვარე — ღამეების უტყვი ხიზანი
და ბოშა ქალის ნაფეშქაშებ თუ მონაყიდარ
ოქროს საყურით სარკოფაგში წევს კურტიზანი.

გვერდით ფალოსი, ოქროს კერპი, იქვე — სალოსი,
ჯვალო და ჯვარი, ძონძეული და სანდალოზი;
და, სადაც ბალახს ასწლოვანი ვერხვი იფარავს,

კრთის ბავშვი, საბნად — აბრეშუმის თეთრი ქსოვილი,
ტუჩებზე — ღიმი გაცრეცილი და სიფრიფანა
და ხსენი — დედის კერტებიდან გამოწოვილი...

* * *

ისევ ურჯუკობს ურჩი მოდგმა და უზნეურობს,
მთვარე ზნეს უცვლის კეთილ ქარებს და ტაიფუნებს:
სუსტი სალობს და სალამათობს, მძლავრი სნეულობს,
ღვინო კი მაინც დალვინდება, პურიც იპურებს.

...და დრო-ჟამს უჟმურს, უსიცოცხლოს და უზეიმოს,
ჭიქებს და სურებს — ნაოქროვალს, ნაფაიფურევს,
და ძვირფას ბეჭდებს, სამკაულებს სამუზეუმოს —
აკვდენს, აცოცხლებს, აჩუმათებს, აბაიბურებს.

ნელზე ფეხს იდგამს დედაბერი — დარდით გამქრალი
და მინებს იკრებს დამტვერილი ნამინანქრალი;
ცა კი კვლავ დაგვცქერს — უპოვართა ცა მწყალობელი,

ერთურთს მიჯრიან რიგრიგობით მწვანეც, ყვითელიც,
მინდვრად გამორბის გაზაფხულის მახარობელი
და მწყემსი გოგო მდინარისკენ თიკნებს მიდენის...

* * *

გაინავარდა ჯეირანმა, — მიხტა და მოხტა,
მაგრამ უეცრად შეიმართა, თითქოს უებარ
მიზანს მისწვდა და გაილვარა სისხლის რუებად, —
ჩაკიდა თავი ნატყვიარი — ნაზი და კოხტა.

დანარჩენი კი, რა თქმა უნდა, თავისით მოხდა:
სოფლის სიცრუით ასე ულვთოდ ვინ იცრუება! —
გასრულდა სულის უნაპირო შევიწროება,
ჩარიგდა ბოლო თადარიგი სრათა და ქოხთა.

როგორ იწყობა, დაიშლება, ისევ იწყობა
ბანი და კარი — შთაგონება და ნებისყოფა!
სალამი, შორო სივრცეებო, — განო და სიგრძევ,

სწრაფვავ და ჟინო — მოქცეულო არწივის ფრთაში
და ვეფხვის სამკვდრო გაბრძოლებავ, როდესაც იგრძენ
ბოლო ნახტომის ჭეშმარიტი გემო და ფასი!



რატომ ხდება, რომ ზოგჯერ სიურრეალური უფრო რეალურია, ვიდრე რეალური? ალბათ იმიტომ, რომ სიურრეალურის მიმართ ჩნდება მეტი ინტერესი. რეალობის ხარისხს ინტერესი განსაზღვრავს. სანამ გაინტერესებს, თუ სად იხილა აზრმა სიზმარი, სად დაიბადა გონების ზმანება, მანამ არსებობს ირრეალურის ფარგლებში შობილი ფაქტი, რომელსაც შეგიძლია სინამდვილე უწოდო.

ლია სტურუას ლექსს ვერ წაიკითხავ, თუ მის მეტაფორებს გამოცანებად აღიქვამ. გამოცნობის მექანიზმი აქ არ მუშაობს, რადგან ეს არის დამოუკიდებელი რეალობა, რომელშიც იგულისხმება მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ. კაცმა რომ თქვას, ამას ვერც რეალობას უწოდებ და ვერც ზერეალობას. ეს არის შუა გზა, ქვეცნობიერიდან ყოფიერებისაკენ მიმავალი მაგისტრალის შუაწელი, შუალედური სივრცე, სადაც ფორმის სიმყარე როგორც ასეთი, არ არსებობს.

პოეტის რადიკალიზმი შეიძლება იწვევდეს პროტესტს, მაგრამ ვინ თქვა, რომ პროტესტის გასაღვივებლად არ შექმნილა ეს ესთეტიკა? ანდა რა საჭიროა აკადემიზმი ვეძებოთ იქ, სადაც პროტესტია, სადაც მიმდინარეობს აჯანყება ყოველდღიურობის წინააღმდეგ.

უთუოდ უმჯობესი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა არის ყოფითი რეალობისგან გამოცალკევებული სინამდვილე – მარტო ემოცია, შეგრძნება, იმპულსი, წარმოსახვა თუ ჰარმონია, რომელიც ყველაფერ ამას აერთიანებს.

ლია სტურუა

## კიდევ ერთხელ, თიხისტანიანებზე

ზაფხულის ჟესტები, მრგვალი და ზანტი,
მიმიკაში თვალები ჭარბობს –
გაოცებული ცომი
ახლა, ამისგან აცხობენ?
თიხას რომ სრესდა,
ზედ ანატომიას აბამდა,
ლოგოსი – ენაზე, პიკასო – თავში!
ცომი უნიჭო ხელებითაც იზილება
კულინარიის ერთი-ორი გაკვეთილი
ტელევიზორში და საფუარზე ამოსულებს,
გაცვეთილი კბილების ნაცვლად,
რაფინადის ორლობე პირში,
წითლად კმაყოფილი ენა ამის გამო,
ან რა მეტყველება!
რა ხრაშუნა პრონონსი!
რა გაძლება მაცივრის ხარჯზე!
რა მასალა შოუბიზნესისთვის!
რომელიმე თიხისტანიანს კი
თუნდაც, უკვე ასაკით დარბილებულს,
მუცელი რომ გადაუხსნა
სახლეჩი ატამივით
შიგ ვილაც სუნთქავს...

* * *

ხელგაშლილი ვნევარ, სიბრტყეს ვაძლიერებ,
მხოლოდ, დღევანდელი დღე!
დღეს არის ხვალაც და ზეგაც,
ოღონდ, უფრო პირობითი.
კიბეზე რომ ადიხარ,
სიმაღლე ჰორიზონტივით გარბის,
დღე თავდება –
ორი სიბრტყე: შავი და შავი,
შუაში მარწყვის მდელოები
სისხლის გაიოლება?
ტანის ანემიურ მონაკვეთებზე სახლს ვიშენებ, ბაკანს,
ნიჟარას,
აქედან ვესალმები ცას,
ქვედას, ულმერთოს,
ზევით ჯერ არ მინდა,
ჯერ ის ღმერთი მიყვარს,
ვინც გვიმგვანებს, როცა
ხელგაშლილები ვნებდებით სივრცეს,
ლურსმნებს გვაძრობს
და მარწყვის მდელოებს გვაფარებს,
ისე მივყავართ
უისრო საათებთან და უჩრდილო საგნებთან,
გულებს სწორ ხაზზე გვიტკეპნის,
ტვინს გარედან
ნაცრისფერი ფუფხი სცვივა,
შიგნით ალისფერია, დაუჯერებლად...

## დრეკადობის შესახებ

ღამე ზამბარები ამომდის თავიდან,
ანუ ფიქრების გრეხილი,
დილისთვის დრეკადობას კარგავს,
ვილაცას ბუხარი მოაქვს,
ვილაცას – ცეცხლი,
სითბოს ხანძრების სუნი აქვს,
გამოფხიზლებულ ენაზე – კომფორტის
ამ შუქით მოდიხარ
თორმეტსართულიანი ინფარქტის სიმაღლე,
ზამბარებით თუ მოგწვდები,
სანამ სიზმარი დრეკადია,
ცეცხლი ორლობეებში დამირბის, –
შენ მოგდევ,
მოსახვევზე წავიფორხილებ
და გამელვიძება...

## პანაშვიდი

რაც მეტია ხალხი,
მით უფრო ნაკლები ხარ შენ.
ვერავითარი აქაური პირობითობა
ვერ მიმანიშნებს
იმ ვარაუდებს ქვეყანაზე,
სადაც კიდევ უფრო ცოტა იქნები.
მზიანი ლექსი დაგიწერე,
თავისი ზიმზიმით, ზარ-ზეიმით,

გამიზნული ალიტერაციით,
შეეძლო გათბობა, დააგვიანდა...
დილის კრიალა ლაპარაკი,
განსჯამდე არმისული, გაწყდა
რამდენ ხანს ვთამაშობდით:
შენ – სიცოცხლეს, მე – იმედს;
თოხლო კვერცხივით დაუმთავრებელს,
ბოლოს შეიკრა,
უნაკლო ფორმა მიიღო
აქამდე უნდა ამომეგლიჯა
თმის ღერები, სიმწრის ხმოვნები,
სალებავის მსუქანი ლაქები,
ვაშლის კანები და პლასტილინი მიმეშველებინა,
ვერ მოვასწარი ეს ჩიტის სამშობლო!
თავშესაფრის თხოვნა,
იქ საწყლად ცხოვრება.

* * *

სანამ სახლში ხარ,
იცი, რომელი გზა აირჩიო,
ან დაბრიცო,
რომელ აბლაბუდაში გიზის კაფკა,
ვის ამოსდის პირიდან ბალახი,
ქუჩაში რომ გახვიდე
და ბროდსკი ჩაგივარდეს თავში?
სანამ ამოილებდე, მეტასტაზებს გაუშვებს:
ამდენი გზა, ამდენი ზღვა, ამდენი ამერიკა!
რომელი მისამართი იკისრებს
შენს სახლობას? რომელი ცა
ლურჯ ბრეზენტობას შენს თავზე?
რომელ კაცს აირჩევ?
ციმბირის წყლულიანი თვალებიდან
შეუძლებელი ვენეცია გადმოელვაროს,
თან მთები სიახლოვეს...
„რატომ არ მღერითო"?
ისეთი დავიწროებული ყელით ეუბნება,
თავი რომ მაჯაზე ეკეთოს,
ეს არ თავდება...

* * *

ჩემს მუცელში მულტფილმი იხარშება:
სისხლით სავსე ბოთლიდან
ჭიქაში კურდღელს ვისხამ
კუთხიდან აქნეული ხაზები – ჩიტები,
კარდიოგრამა – ჭიაყელებს
ხმა რომ გამოურთო.
ყველა მათგანის მაგივრად ლაპარაკი –
უდარდელობის და სევდის
განსხვავებული ინტონაცია
თან რომ გძინავს
და თან ეკრანზე გადიხარ,
რომელიც სისხლია
უმწეოების, დაუცველების,
ქათქათა თეთრების
ამ კონტრასტის ხიფათიანობა
მითრევს, მისი ტრიალი, გათამაშება,
საერთოდ, აზარტი –
მხატვრულად მშიერი ძაღლი,
მაშინ რომ მჭამს,
თუ მუცელი მიბრწყინავს
სიმაძღრისგან და მულტფილმობისგან
და ჭირს
კეთილი ბოლოს გაკეთება –
კუთხიდან აქნეულ ხაზებამდე მისვლა
ანუ ჩიტებამდე...

## ტელევიზორი

ასეთი ზაფხული, კუსტარული,
ხელით რომ გადაწიო,
პირდაპირ, ნოემბერი ჩანს:
ნეგატივის ალბინოსი პეიზაჟები,
არმატურისძვლებიანი ქარი
ამდენი მშენებლობიდან.
ჰქონდა კი ის, ქარაფშუტა,
მწერებიანი წარსული?
არყის ბოთლი – რამდენი გრადუსი
ცელსიუსით?
კარგად ტემპერირებული მზე...
ობობები ტელევიზორის ხმას წუწნიან,
სისხლის გემო აქვს, სავსებით აკმაყოფილებთ.
კულტურის არხზე ჟღალთავიანი ჩასაბერები,
ნიკაპებიდან – სიმების ტოტები
ჩემთვის ხომ რამე უნდა შრიალებდეს!
ხეები ისეთი შიშველია,
ეს აღარ გამოსდით...

* * *

ნეშო – ალისფერმკერდიანი პიონერი, ზედ ვერ გაივლი,
ახალი მწვანიდან
თავგადაპარსულ თინეიჯერებს ელოდები.
კარაქივით შუაში ხარ ჩავარდნილი,
კოვზი ზემოდანაა დაშვებული მოსარევად,
დამწვრობის ასაცილებლად, სიდამპლის,
რასაც ყველაზე მაძღარი ფერი აქვს
აქედანაც ჩნდებიან ბავშვები
რამდენი ტყუილით უკეთესები
თავიდანვე გონიერებზე?
ჯერ ერთი, ბამბის ჩხრიალით,
მერე, ყალყზე შემდგარი ფერებით,
განსხვავებით ქაღალდზე ნაწვენილებისგან.
საკმარისია, დაუჯერო,
პიონერის ყელსახვევები
მზესთან აფრინო,
(ბევრი ნითელი სჭირდება)
სუიციდის მცდელობებსაც აიცდენ,
ბამბაში ნემსებს ჩაუყრი,
თეორიული ტკივილით
წარმოსახვას გაუკეთილშობილებ
და მერე?
გეშინია იმის, რაც არ იცი...

პაატა ჩხეიძე

# ცენტრალიზაციის წინააღმდეგ

*

## ჯონ რენდოლფ როანოკელი

როანოკი ქალაქია ვირჯინიის შტატში, მაგრამ ჯონ რენდოლფი იქაური არ გახლდათ, უზარმაზარი მამულის მფლობელი იყო და სწორედ ამ მამულს ერქვა როანოკი.

პირველად რომ აირჩიეს კონგრესში, 1799 წელს, ოცდაექვსი წლისა იყო და მაშინვე გავლენიან ფიგურად იქცა კაპიტოლიუმში. ბრწყინვალე ორატორი ყოფილა და მგზნებარე მებრძოლი უსამართლობის წინააღმდეგ. ჯერ ფედერალისტებს (ჯონ ადამსი) ედგა ოპოზიციაში და შემდეგ ტომას ჯეფერსონს. იცავდა შტატების უფლებებს, ესარჩლებოდა აგრარულ საკითხებს და წინააღმდეგი იყო ცბიერი საგარეო პოლიტიკისა.

ჯონ რენდოლფ როანოკელი ტომას ჯეფერსონს გარე ბიძაშვილად ერგებოდა (ჯეფერსონის დედა რენდოლფი იყო), მაგრამ ამის გამო კი არ არის ცნობილი, არამედ იმით, რომ მნიშვნელოვან პოლიტიკური ფიგურად მოევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას XIX საუკუნის პირველ მესამედში. ჯეფერსონის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს რესპუბლიკელთა ლიდერი იყო კონგრესში, მერე კი კავშირი განყვიტა ბიძაშვილთან და ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში. მოგვიანებით ორატორულმა ნიჭმა და გამჭრიახმა გონებამ ორივე პარტიისათვის საშიშ მოწინააღმდეგედ აქცია. იმ დროშიც გახმაურდა და არც მერე დავიწყებიათ მისი დუელი სახელმწიფო მდივან ჰენრი კლეისთან, ყველა გააოცა მისმა უთანხმოებამ ახალგაზრდა ჯონ კ. კოლჰაუნთან, ხოლო მისმა სიკვდილისწინა საქციელმა და ანდერძმა ყველა სახტად დატოვა. ჯონ რენდოლფმა ოთხასი მონა გაათავისუფლა, მიწები უყიდა ოჰაიოს შტატში და დაასახლა. რენდოლფი დასცინოდა იანკების ფარისევლურ პოლიტიკას მონობის მიმართ: სიტყვით აბოლიციონისტები არიან და საქმით კი მშვენივრად ცხოვრობენ მონების კისერზეო. მისი სიტყვები გამართლდა. ამერიკის სამოქალაქო ომი თითქოსდა მონობის მოსასპობად დაიწყო და როცა დასრულდა, აბრაამ ლინკოლნმა სამხრეთის შტატებში კი გააუქმა მონობა, მაგრამ კენტუკის შტატში მისი ცოლისძმა კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა მონებს.

რასელ კერკს საყვედურობდნენ: მეტისმეტად აქებ ჯონ რენდოლფს და არარსებულ თვისებებს მიაწერ, ლამის ღვთისმოსავ ქრისტიანად დაგვისახო ეს მკრეხელობით განთქმული ექსცენტრული პოლიტიკოსიო, – მაგრამ მაინც აღიარებენ, როცა რენდოლფის სიტყვებსა და წერილებს შეეხებიან, რომ ამგვარი ინტელექტუალები, ერუდიტები და თუნდაც ინგლისური ენის მცოდნენი ამერიკულ პოლიტიკაში აღარ არიან. აღარც კონსერვატული იდეების ასეთი ერთგულებითა და სიღრმით გამოირჩევიან მემარჯვენეები.

რასელ კერკი რენდოლფს "კონსერვატორ სახელმწიფო მოღვაწეს" უწოდებდა, რიჩარდ უიველი "ინდივიდუალისტ კონსერვატორად" მიიჩნევდა, სხვების აზრით იგი "არისტოკრატი ლიბერტარიანელი" იყო.

კონსერვატიზმის ფალავანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასელ კერკი, ადრეულ შემოქმედებაშივე დაინტერესდა ვირჯინიელი ჯონ რენდოლფ როანოკელის ცხოვრებით, მოკლე ბიოგრაფიული თხზულება მიუძღვნა და წიგნს მძაფრი ორატორული გამოსვლებისა და სტატიების კრებული დაურთო.

ჯონ რენდოლფმა პირველი გაკვეთილები ორატორობასა თუ პოლიტიკაში ბიძის, ედმუნდ რენდოლფისაგან მიიღო. ედმუნდ რენდოლფი ჯორჯ ვაშინგტონის პირველი იუსტიციის მინისტრი გახლდათ. რენდოლფი ჭაბუკობაში გატაცებული იყო ჰიუმის სკეპტიციზმითა და პეინის იდეებით. განისწავლა პრინსტონისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში, თუმცა ამტკიცებდა: განათლება როანოკის საკუთარ ბიბლიოთეკაში მივიღეო. თავგადაკლული მკითხველი იყო და ყველას აოცებდა ერუდიციით. თანამიმდევრულ რესპუბლიკელს მეგობრებიც ბევრი ჰყავდა, თაყვანისმცემლებიც და მტრებიც. ჭაბუკობაშივე უარყო ფრანკოფილია და ინგლისური წესისაკენ გადაიხარა. მეტად მწარედ აკრიტიკებდა ჯონ კ. კოლჰაუნს, და ამ ახალგაზრდა მეამბოხეს თითქოს უნდა შესძულებოდა უფროსი კოლეგა, მაგრამ სწორედ მისგან შეითვისა კონსერვატული იდეები.

რასელ კერკი „ამერიკელ ბერკს" უწოდებდა, რადგან რენდოლფსაც ბერკივით სძულდა მეტაფიზიკური აბსტრაქციები თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ. რენდოლფს ზიზღს ჰგვრიდა თეორიები ბუნებრივი უფლებების გამო, ლოკისა იქნებოდა თუ რუსოსი, და ჯეფერსონის მიერ ნაქებ ადამიანის უფლებებსაც ათვალწუნებით უყურებდა. თავისუფლება ადათებრივია და არა აბსოლუტურიო, დაიჟინებდა რენდოლფი. მან იცოდა, რომ თავისუფლება ადამიანის აბსტრაქტული და აბსოლუტური, უცვლელი და განუყოფელი უფლება კი არ არის, არამედ პრივილეგიაა მინიჭებული მათთვის, ვინც ემორჩილება ღვთის ნებას და ზღვარს დაუდებს თავის მადას. რენდოლფი აღიარებდა ბუნების კანონებს, მაგრამ თავზარს სცემდა ვითომდა ამ კანონებზე დაფუძნებული აბსოლუტური თავისუფლება. ბერკი თუ ინგლისელ არისტოკრატიას აქებდა, რენდოლფი სამხრეთელ პლანტატორებს მიიჩნევდა სახელმწიფოს თავისუფლების დედაბოძად და ციხე-სიმაგრედ. იგი წუხდა, რომ ძალაუფლება თანდათანობით „ქალალდის არისტოკრატიის", ბანკირების, მაკლერების, სპეკულანტების ხელში გადადიოდა. მისი აზრით, ამერიკის იდეალები იკარგებოდა და ამერიკელების კანონით შენიღბული ძარცვა იწყებოდა, ამიტომაც განუდგა წარმატებულსა და გავლენიან ნათესავებსა თუ მეგობრებს და თავისუფლების დამცველებს ჩაუდგა სათავეში. თავისი არისტოკრატული წარმოშობით ამაყობდა და აცხადებდა: არისტოკრატი ვარ, მიყვარს თავისუფლება და მძულს თანასწორობაო. და რა გასაკვირია, რომ ვერ იტანდა საფრანგეთიდან შემოპარული "თანასწორობის" სუნს. რენდოლფი იურისტი იყო და კანონის წინაშე თანასწორობა მისთ-

ვის უპირველესი ღირებულება გახლდათ, მაგრამ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ გათანაბრებას მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე არ ჰყოლიაო, წერს რასელ კერკი.

პრეზიდენტმა ჯექსონმა რენდოლფი ელჩად დანიშნა რუსეთში და მანაც მიიღო ეს თანამდებობა, მიუხედავად იმისა, რომ ათვალწუნებით უყურებდა ჯექსონურ დემოკრატიას, მაჟორიტარულ დემოგოგიას, შტატების უფლებათა დაკნინებასა და პოპულისტურ რიტორიკას. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ორატორული ქმნილებაა „მეფე რიცხვები", სადაც გმობს მაჟორიტარულ ტირანიას და მოითხოვს კონსტიტუციურ, „შეთანხმებულ უმრავლესობას". რენდოლფი ამტკიცებდა, დემოკრატიას მაშინ მოაქვს სიკეთე, როცა ადგილზე ხორციელდება, ხოლო ცენტრალიზებული კი – ტირანიად გადაიქცევაო. საკუთრებას დაპირისპირებული უმრავლესობის მთავრობა იაკობინიზმია, მძვინვარე იაკობინიზმიო, აცხადებდა იგი.



ჯონ რენდოლფ როანოკელი

ჯონ რენდოლფ როანოკელი გახლდათ ლიდერი ტერტიუმ ქუიდის (ლათინურად "მესამე რამ"), ჯეფერსონელ რესპუბლიკელთა მკვეთრად კონსტიტუციონისტური, კონსერვატული ფრთისა. ჯეფერსონელი რესპუბლიკელებიც იყოფოდნენ ცალკეულ ჯგუფებად, მათი მოწინააღმდეგე ფედერალისტებივით. ქუიდების წინამძღოლები იყვნენ: ჯონ რენდოლფი, ჯონ ტეილორი და ნათანიელ მექონი. ბოლოს ისე მოხდა, რომ მთლად განყვიტეს კავშირი ჯეფერსონთან, ჰამილტონელებთან კომპრომისები არ აპატიეს. ქუიდების მცირე საძმო მტკიცედ იცავდა კლასიკურ რესპუბლიკანიზმს, აგრარულ ინტერესებს, კონსტიტუციასა და შტატების უფლებებს. რომელიმე შტატისათვის უფლებათა ნაწილობრივ დათმობა იმას ნიშნავს, რომ ქალბატონს ნამუსის ნაწილობრივი დათმობა მოსთხოვოთო, ამტკიცებდა რენდოლფი. მისი აზრით, შტატების უფლებები ბუნებრივი უფლებანი იყო, მათ უნდა შესძლებოდათ ანგარიში მოეთხოვათ ფედერალური მთავრობისგან და დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს უკანასკნელი კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებდა.

ჯონ რენდოლფი მიწებით სპეკულაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა და ამაშიც ჯეფორსონის მთავრობას სდებდა ბრალს. პესიმიზმი იპყრობდა და ველარ გაეგო, ბოლომდე პრინციპულად ებრძოლა თუ გადამდგარიყო, ხელი ჩაექნია და ყველაფერს გასცლოდა. „ძველი რესპუბლიკური პარტია დაემხო, წარსულს ჩაბარდა. ახალი ადამიანები და ახალი წესრიგი მბრძანებლობს, დროის მსახურები და მევახშეები დგანან სცენაზე", წერდა იგი. არ უყვარდა ომის მქადაგებელი ქორები და მიიჩნევდა, რომ ინგლისთან ომს ვერ გაუძლებდა ახალი ქვეყანა.

დღეს ისე ვიცით, რომ სამხრეთელები იყვნენ გამოყოფისა და დაშლის მომხრენი. პირიქით, ტერტიუმ ქუიდები იცავდნენ შტატების ერთიანობას, განსხვავებით ჩრდილოელი ფიშერ ეიმსისა და ტიმოთი პიკერინგისაგან. შემორჩენილია წერილები, სადაც რენდოლფი ახალინგლისელ სენატორებს ბრალს სდებს, შტატების დაშლას აქეზებთო. ძალზე ფიცხი ხასიათი ჰქონდა და ენამწარობა ყოველთვის იოლად არ შერჩებოდა ხოლმე. სწორედ დაცინვის გამო გამოიწვია დუელში ჰენრი კლეიმ და კიდევ კარგი ორივე იოლად გადარჩა. ამის მერეც არ იშლიდა დაცინვას რენდოლფი და ირონიულად ჩაიქირქილებდა ხოლმე, ჰენრი კლეი რომ არა, შტატები დაიშლებოდაო.

რესპუბლიკელებს კი დაშორდა, მაგრამ რესპუბლიკური პრინციპებისათვის არასოდეს ულალატია, პირიქით, რასელ კერკის აზრით სწორედ იგი იყო ჭეშმარიტი რესპუბლიკელი, როცა სამოქალაქო ომამდელ ამერიკაში ცდილობდა სიცოცხლე შთაებერა შეურყვნელი სამხრეთული კონსერვატიზმისათვის, მიხედავად იმისა, რომ უმცირესობაში იმყოფებოდა და ყოველმხრივ ალყაში იყო მოქცეული.

ტერტიუმ ქუიდის წევრთა და პირადად რენდოლფის ადათებრივი სიბრძნე წინასწარმეტყველური აღმოჩნდა; ფულით გალაღებულმა ბობოლებმა გადააგვარეს სახელმწიფოს ორგანიზმი და დაშლამდე მიიყვანეს 1861 წელს.

რენდოლფი იზოლაციონისტი იყო და ამიტომაც გამოდიოდა ამერიკის საერთაშორისო ომებში ჩართვის მოწინააღმდეგედ. არც ფედერალური მთავრობის ჩარევა მოსწონდა ბიზნესსა და კომერციაში; არადა, მაშინ ამერიკის ფედერალური მთავრობა ძალზე პატარა და სუსტი იყო დღევანდელთან შედარებით. და მაინც, რენდოლფი შიშობდა, ქვეყანა დესპოტიზმისაკენ არ დაექანოსო.

თუმცა მონობის საკითხში იგი ნელი და თანდათანობითი ემანსიპაციის მომხრე გახლდათ, ჯეფერსონისაგან განსხვავებით, მან გაათავისუფლა მონები, რომლებიც ვირჯინიის შტატში ვერ დარჩებოდნენ იქაური კანონის გამო და ოჰაიოში გადასახლდნენ, სადაც მტრულად განწყობილ ჩრდილოელებს შეეჯახნენ, რომელთაც არ სიამოვნებდათ თავისუფალი შავკანიანების დამეზობლება.

რენდოლფი განსხვავდებოდა იმდროინდელ პოლიტიკოსთაგან. ნიჭიერების მიუხედავად ვერ გასცილდა კონგრესმენობას, რადგან არ გააჩნდა დიდი პოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელი კომპრომისების უნარი. თანამიმდევრულად ეწინააღმდეგებოდა სწრაფ, რევოლუციურ ცვლილებებს და ამით სანიმუში ფიგურაა ამერიკელ კონსერვატორთა შორის. დღევანდელ პოლიტიკოსთაგან ალბათ პატ ბუქენანს უნდა შევადაროთ.

27899

რენდოლფის წერილებისა და სიტყვების კითხვისას ეგებ კიერკეგორიც გაგვახსენდეს, ვინც დინების მეორე ნაპირზე კი იდგა, მაგრამ რენდოლფივით სუსტი ჯანმრთელობა, კონსერვატორული და პურიტანული მსოფლმხედველობა გამოარჩევდა. რენდოლფს უფრო არისტოკრატული და ევროპული ბუნება ჰქონდა, და მეტისმეტად იყო მოხიბლული ბრიტანული კონსტიტუციური სისტემით, რომ ამერიკელებს მოსწონებოდათ. როგორც უკვე აღვნიშნე, ხშირად იმეორებდა ხოლმე: ვეტრფი თავისუფლებას და მძულს თანასწორობაო, – და ამით უფრო მეტად უახლოვდება დიდ ამერიკელ მოაზროვნეებს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, რადგან, თუმცა ჯეფერსონი ამბობდა: ყველა ადამიანი თანასწორად შეიქმნაო, – ალბათ არ გულისხმობდა, რომ თანასწორობა საუკეთესო რამ იყო ადამიანთათვის.

შეიძლება ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს თუ რატომ შევანუხე ორასი წლის წინათ მოღვაწე ამერიკელი პოლიტიკოსის სული, ან რაღა ეს არცთუ ისე პოპულარული სახელი ამოვარჩიე, ახირებული და უცნაური კაცი, ვისაც ბრწყინვალე კარიერის გაკეთება შეეძლო, მაგრამ კრიჭაში ჩაუდგა თავისი დროის პროგრესულ პოლიტიკას და დასავიწყებლად განწირა საკუთარი სახელი. მაგრამ რომ არ ივიწყებენ! ისევე როგორც არ ივიწყებენ სხვა მის მსგავს პოლიტიკოსებსა და მოაზროვნეებს, განსაკუთრებით დღეს, როცა მსოფლიოს იმ სუპერსახელმწიფოს, დედამიწის ყველა ერს ჭკუას რომ არიგებს, თვითმყოფადობის დაკარგვის შიში შეპპარვია და შეწუხებული ამერიკელი მოაზროვნეები კითხულობენ, ეს რა უბედურება გვემართებაო.

ამერიკის აკადემიურ წრეებში პოლიტიკურ მოაზროვნეთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ფედერალისტებისა და ანტიფედერალისტების კამათში ფედერალისტები იყვნენ მართალნი და სწორ გზაზე დააყენეს ამერიკა. დღესათვის კი სულ უფრო მეტი პოლიტოლოგი უმტკიცებს თავის სტუდენტებს, რომ ანტიფედერალისტთა არგუმენტები გასათვალისწინებელი იყო და ცენტრალიზაციას ასეთი გასაქანი არ უნდა მისცემოდა ამერიკაში.

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში მრავალი სახელი მოიძებნება, რომელნიც წინ აღდგომიან ცენტრალურ ხელისუფლებას (მეფეს) და თვითეულის სახელი მეტ-ნაკლებად უარყოფით კონტექსტში მოვიდა ჩვენამდე.

ყუთლუ არსლანზე ვიცით, რომ ჯორის სახისა ყოფილა და სპარსული წესის შემოღება სდომებია საქართველოში.

ლიპარიტ ბაღვაში ერის მოღალატედაა შერაცხული.

როსტომ რაჭის ერისთავმა თურმე სოლომონ მეფეს უღალატა და ამიტომ დასაჯეს.

შიოლა ლუდუშაურზე ვიცით, რომ თავისი კუთხისათვის იღვწოდა, მაგრამ იმასაც გადმოგვცემენ, თურმე ხალხს ჩაგრავდა და იმიტომ მოკლესო.

ისინი ცენტრალიზებული მმართველობის შეზღუდვას მოითხოვდნენ ანუ არ ემორჩილებოდნენ ცენტრალიზებული მმართველობის მეტისმეტ გაძლიერებას. ამიტომაც დაისაჯნენ.

მოვუსმინოთ მეორე მხარესაცო, ვიტყვით ხოლმე და, რა სამწუხაროა, რომ მხოლოდ ორიოდე ისტორიკოსი თუ უსმენს მეორე მხარეს და ერთხელ დადგენილი მსჯავრის გადახედვა არ ეხალისება ქართველ ისტორიკოსთა თუ პუბლიცისტთა უმრავლესობას.

ნოდარ გურაბანიძე

# „ო, ბედისწერავ, გარდუვალო, ბრმაო და გულქვავ“

*ვუძღვნი ზინა კვერენჩხილაძის ნათელ ხსოვნას*

რუსთაველის თეატრში მიხეილ თუმანიშვილი ჯერჯერობით ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი რეჟისორია, რომელმაც ფრანგულ კლასიცისტურ ტრაგედიას მიაპყრო თავისი ყურადღება – 1969 წელს (03.XII) მაყურებელს წარუდგინა ჟან რასინის შედევრი „ფედრა“ (ბრწყინვალედ თარგმნილი ოთარ ჭილაძის მიერ). ფრანგული ლიტერატურისა და თეატრის შესანიშნავი მცოდნის გასტონ ბუაჩიძის მართებული შენიშვნით, „ფედრა“ არის ვნებით დატყვევებული უძლური გონების ტრაგედია, ხოლო ყოვლისშემძლე გონების განდიდების ხანაში, ამგვარი კოლიზიის ასახვა მხოლოდ და მხოლოდ გაბედულ გენიას თუ ძალუძდა“ („ფრანგული დრამა“ 1982).

მართლაც, მე-17 საუკუნის ფრანგული აბსოლუტიზმის ხანაში, როცა ლუი მეთოთხმეტეს სამეფო კარს სამყაროს ცენტრად მიაჩნდა თავი, როცა პასკალისა და დეკარტის ფილოსოფიაში გონის პრიმატი იყო აღიარებული, ხოლო დიდი პიერ კორნელის პიესებში ტრაგიზმის ღერძი გრძნობისა და მოვალეობის დაპირისპირება იყო, რასინის „ფედრამ“ თავისი ულრმესი ტრაგიზმით, გრძნობათა უკიდურესი გამძვინვარებით განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა, ხოლო მთავარი პერსონაჟი – ფედრა, ყველა დროის გამოჩენილი მსახიობი ქალებისათვის სანუკვარ როლად იქცა.

რასინი, რომელსაც ჭაბუკობიდანვე საფუძვლიანად ჰქონდა შეთვისებული სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიები, ხშირად მიმართავდა ანტიკურ სიუჟეტებს, მაგრამ მათ თავისებურად ამუშავებდა, განსაკუთრებით — მთავარი გმირების ხასიათს. განსხვავებით ევრიპიდესაგან, რომელმაც ფედრას უმძიმესი ტრაგიკული დანაშაულის ტვირთი აჰკიდა, – საკუთარი გერის იპოლიტის ვნებადაუოკებელი სიყვარული, უპირატესად შიშველი სექსუალური ლტოლვით გამოწვეული — და არც ეს აკმარა – თვითონ ეს ქალი აქცია იპოლიტეს ბრალმდებლად, და ბოლოს, იმდენი ღვარძლითა და სიმდაბლით სავსე ცილისწამება დაატეხა თავს, რომ იგი ტრაგიკულ თანალმობის ნაცვლად ამაზრზენ გრძნობებს იწვევდა.

ტრაგედიის წინასიტყვაობაში რასინი წერდა: „აი, კიდევ ერთი ტრაგედია, რომლის სიუჟეტიც ევრიპიდესგანაა აღებული, მიუხედავად იმისა, რომ ევრიპიდესთან მოქმედება სულ სხვა მიმართულებით ვითარდება“... ფედრას ხასიათის საერთო იდეის გარდა არაფრით არ ვარ დავალებული ევრიპიდესგანო – დასძენდა იგი. რასინის ფედრა დღევანდელ მაყურებელშიც იწვევს თანაგრძნო-

* ჟან რასინი. „ფედრა“

ბასა და შეშფოთებას, რაც არისტოტელეს კათარზისის ერთ-ერთი აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

სახელგანთქმული მეფე-გმირის, თავზეხელაღებული არშიყის — თეზევსის ვაჟიშვილი, პირმშვენიერი ვაჟკაცი იპოლიტი ქმუნვასა და შფოთვას შეუპყრია: აგერ უკვე ექვსი თვეა, რაც არავინ იცის სადაა მამამისი, მეფე თეზევსი, „მაცდურმა ბედმა სად გარიყა, რა შეამთხვია". იპოლიტს გადაწყვეტილი აქვს მის საძებნელად წასვლა და ამ განზრახვას თავის აღმზრდელ ტერამენს უმხელს. თვით ტერამინმა ბევრი ეძია, „აქერონამდეც მივაღწიეო", „ის წყლებიც ვნახე, ფრთაშეტრუსული იკაროსი სადაც ჩავარდა" — მაგრამ ყველგან ხელი მომეცარაო. თუმც დაბეჯითებით არ უშლის წასვლას – ეგებ სურს განეშოროს დედოფალ ფედრას („მართლაც ძნელია დედინაცვლის ჭერქვეშ ცხოვრება"), რომელიც მას სდევნის და ავიწროებს და თეზევსის ძებნა მხოლოდ საბაბიაო, მაგრამ იპოლიტი გამოუტყდება – ტყვედქმნილი არიციასადმი სიყვარულმა დამრია ხელი და მინდა მას გავეცალოო.

იპოლიტზე გაცილებით უარეს დღეშია დედოფალი ფედრა. ეროსმა იგი აუტანელი ტანჯვისათვის გასწირა – ფედრას თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი გერი – იპოლიტი... „შემზარავია. მიყვარს! ვკვდები... არ შემიძლია... მიყვარს" – გამოუტყდება თავის ძიძასა და მესაიდუმლეს ენონას. ამის გამგონე ენონას თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინა, ზარდაცემულმა ამოიგმინა:

***ო, დაწყევლილო და ცოდვილო გვარო და მოდგმავ!***
***ო, ბედისწერავ, გარდაუვალო, ბრმაო და გულქვავ!***
***ამ ვერაგ ნაპირს ჩვენი ნავი რატომ მოადგა.***

აქ „ბედისწერა" ტყუილად არ უხსენებია ენონას – ეს სიყვარული მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა ფედრასა და იპოლიტისათვის... გამგზავრების წინ იპოლიტმა გადაწყვიტა სამუდამოდ განშორებოდა თავის სატრფოს არიაცას და ამცნო უმნიშვნელოვანესი ამბავი – თეზევსის სიკვდილი („ის ჰადესშია, მიაშურა ქვესკნელის წყვდიადს"), ახლა კი თავისუფალი ხარ არჩევანშიო. თავი ვერ შეიმაგრა და თავის დიდ სიყვარულშიც გამოუტყდა. იპოლიტის მგზნებარე გრძნობამ დაიმორჩილა არიცია, რომელიც არც ადრე იყო მისადმი გულგრილად განწყობილი. თეზევსის სიკვდილის ცნობამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და ყველა უწინდელი გეგმა ჩაშალა. ახლა სამეფო ტახტს უკვე სამი მოცილე ჰყავს – ფედრას შვილი, იპოლიტი და არიცია. სწორედ ამ შემაშფოთებელი ამბის საბაბით ფედრა ეახლა იპოლიტს, რათა თავისი შვილი შეავედროს, შენი ჩემდამი სიძულვილის გამო ნუ იძიებთ მასზე შურსო.

***იპოლიტი:*** *მე, დედოფალო, არც ისეთი სულმდაბალი ვარ!*

ამ სიტყვების შემდეგ ფედრა ისეთი გზნებით, ისეთი სიმძაფრით გაუმხელს ამ სუფთა, უმწიკვლო ბუნების ჭაბუკს თავისი ცოდვილი სიყვარულის ამბავს – („აჰა, იხილე სიყვარულით შეშლილი ფედრა, დიახ! მიყვარხარ!" ..."ხოლო ჩემს გულში ურჩხული ზის, განგმირე ჩქარა! გადაარჩინე მარადიულ სირცხვილს ქვეყანა!"), რომ გაოცებულმა იპოლიტმა წამოიძახა:

***ოი, ღმერთებო! ეს რა მესმის! თუ დაგავიწყდა***
***რომ შენი ქმარი, გმირი ქმარი, ჩემი მამაა?!***

თავზარდაცემული იპოლიტი გაეცლება დედინაცვალს, ფედრა – შერცხვენილი და დამცირებული, უკიდურესად სასოწარკვეთილი, მზადაა იპოლიტეს მახვილი დაიცეს მკერდში...

ამიტომ საყვედურობს თავის აღმზრდელ ენონას:

***ხელი რაღაზე შემიშალე, არ ჯობდა განა***
***წყეული გული მის მახვილზე რომ დამეხია.***

რაღა დროს ოხვრა და ცრემლის ღვრააო, – ეუბნება ენონა, „აიღე სკიპტრა და იმეფე, როგორც წესია", მაგრამ ფედრას ჯერ კიდევ შერჩენია საღი აზრი

***ვიმეფო? მაგრამ ხალხზე როგორ ვიმეფო***
***როცა ჩემზედაც ველარ მეფობს ჩემი გონება.***

მართლაც საშინელ სატანჯველშია ფედრა, იპოლიტის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. დამახრჩოო „სამარცხვინო ვნების უღელმა". მაგრამ მოულოდნელად თეზევსი დაბრუნდა და ვითარება ახალი ტრაგიკული კუთხით შემობრუნდა. ახლა „მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილიაო ჩემი მშველელი" – ამოიკვნესებს ფედრა. იგი დარწმუნებულია, რომ იპოლიტი ყოველივეს აუწყებს მეფეს. მაგრამ ცბიერი ენონა ასეთ თათბირს მიანვდის დედოფალს: იპოლიტი „საშიშია, ამიტომაც დაასწრო უნდა, შენ გაამტყუნე, სანამ შესძლებს შენს გამტყუნებას". ევრიპიდეს ფედრასაგან განსხვავებით რასინის ფედრა ადამიანური ღირსებისაგან მთლად როდია დაცლილი – როგორ უნდა დავწამო ცილი უდანაშაულო ადამიანსო? ამ საქმის მოგვარებას ისევ ენონა იკისრებს და უკულმა უამბობს ყოველივეს თეზევსს. გმირთა-გმირ თეზევსს უკიდურესი მრისხანება დაეუფლება ენონასთან საუბრის შემდეგ. მზადაა ხმლით აკუწოს შვილი, მაგრამ სასიკვდილოდ ვერ იმეტებს და საბოლოოდ მხოლოდ გააძევებს. ჩემი ხელით არ მოვკლავ შვილსო, დე ჩემმა ღმერთმა ნეპტუნმა აღასრულოს განაჩენიო. ფედრაზე კი ამბობს – თავს არიდებსო მის გამტყუნებას „და ამ საზიზღარ დანაშაულს დუმილით ფარავს". მაგრამ დიდხანს არ დუმს ფედრა, გადაწყვეტს კიდეც სიმართლე უთხრას. ჯერ შეევედრება, „არ წაიბილწო შვილის წმინდა სისხლით მარჯვენაო", მაგრამ თეზევსისაგან როგორც კი შეიტყობს, იპოლიტს არიცია ჰყვარებიაო, მასში იფეთქებს სიყვარულზე უფრო მძლავრი გრძნობა შურისძიებისა. აღიარებს კიდეც:

***კახპა ვარ, კახპა, სიმრუშით და სიცრუით სავსე!***
***და შეპყრობილი უსამართლო შურისძიებით.***

და განრისხებული გააძევებს ენონას – „მომწყდი წყეულო".

ფედრას ახალი სატანჯველი გაუჩნდა: ხომ შეიძლება დაიღუპოს უდანაშაულო იპოლიტი, „ხომ შეიძლება ნეპტუნმაც მართლა შეუსრულოს პირობა თეზევსს?" როგორც ვხედავთ, კეთილშობილების დვრიტა მთლად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ამოუძირკვავს მასში ცოდვილ სიყვარულს და არანაკლებ ცოდვილ შურისძიებას. ...მშვენიერი არიცია კი საყვედურობს იპოლიტს – თეზევსს „სიმართლე რატომ დაუმალე! როგორ გაჩუმდიო" – მამას კი არა საკუთარ თავს ვერ ვუმხელდი ამ საშინელებას, ამ საიდუმლომ არასოდეს არ უნდა იხილოს მზის სინათლეო, „დაე განსაჯონ ყველაფერი თვითონ ღმერთებმა". ამასობაში თეზევსი ეჭვებს შეუპყრია, „სიმართლეს ვეძებ და ვერაფრით ვერ მიპოვნიაო" – წუხს. არიცია შეეცდება ამ სიმართლეს ცოტათი მაინც ახადოს ფარდა, მაგრამ მხოლოდ მიანიშნებს და ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, რადგან იპოლიტთან ფიცითა აქვს შეკრული ენა. მხოლოდ ამას სთხოვს მეფეს:*

***უკან წაიღეთ უსაფუძვლო რისხვა და წყევლა,***
***თორემ იცოდეთ, მსხვერპლსაც მართლა შეიწირავენ,***
***ამგვარად სჯიან სიბეცისთვის ღმერთები მოკვდავთ.***

*ახლა კი გაუათკეცდა ეჭვები თეზევსს, უმალ ენონა მოიკითხა.მოახსენეს: აბობოქრებული ზღვის უფსკრულში გადაიჩეხაო, ფედრა კი თითქმის შეშლილა.*

***თეზევსი**. ენონა მოკვდა, ფედრაც მალე მოკვდება, ალბათ.*

*ახლა კი მოეგო გონს თეზევსი, მიხვდა, რომ შეიძლება სიმართლე შეიტყოს ისევ იპოლიტისაგან. მზადაა მოუსმინოს მას, მაგრამ იგი ხომ ნეპტუნს გადაულოცა სასჯელისათვის.*

***დიდო ნეპტუნო, მომიტევე ეს აჩქარება,***
***ნურც ჩემს სათხოვარს ნუ შეისმენ, ნუ აღსრულდება***
***ის, რაც სიბრაზემ და სიბეცემ გულს ათქმევინა.***

*მაგრამ გვიანაა ეს შენანება: იპოლიტი მკვდარია უკვე, ზღვის ურჩხულის მოულოდნელი გამოჩენით დამფრთხალმა ცხენებმა ეტლი გაიტაცეს და სადავეში გახლართული იპოლიტი საშინელი სიკვდილით მოკვდა:*

***მისი სხეული უზარმაზარ ჭრილობად იქცა...***
***ის, რაც გადარჩა განრისხებულ ღმერთების რისხვას,***
***საბრალო ნაშთი, ვერ იცნობდა მშობელი მამაც.***

*ამ დღიდან თეზევსის ცხოვრება ერთ გაბმულ ტანჯვად და წამებად იქცა. ფედრას გულწრფელმა აღსარებამ და მისმა სიკვდილმაც ვერ ჩააცხრო მის გულში აგიზგიზებული ტანჯვის კოცონი.*

*ერთი რამ დარჩენია მხოლოდ:*

***წავიდეთ, გულში ჩავიხუტოთ წმინდა ცხედარი***
***მდუღარე ცრემლით ჩამოვრეცხოთ ყალბი ბრალდება.***

...თითქოს აკროპოლისის მეორე ტაძრის, ერეხთეონის კარიატიდები ძირს დაშვებულან და დასცქერიან სცენასაკურთხეველს (სცენოგრაფი გოგი ლაფაჩი), სადაც სულ მალე სულისშემძვრელი ტრაგედია გათამაშდება. ამ რვა კარიატიდის – რვა მარმარილოს ქალის, ცივი და უგრძნობელ-გაყინული სახეები მძაფრი კონტრასტია ფედრას სიყვარულისა და ვნებისაგან ანთებული სახისა, რომელზედაც ტრაგიკული განცდების მთელი გამა იკითხება. რასინის ტრაგედიაშიც და მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლშიც უმთავრესი გმირი, რომელსაც გრძნობათა ქარტეხილი დაატყდა თავს, ფედრაა. ეს როლი თითქოს ზედგამოჭრილია ზინაიდა კვერენჩხილაძის ტრაგიკული სიმძაფრის ტემპერამენტისათვის და მსახიობმა შექმნა ღრმა განცდით, ცვალებადი, ურთიერთგამომრიცხავი გრძნობებით შემსჭვალული ქალის სახე.

თავის გენიალურ წინამორბედებთან და მეტოქესთან პიერ კორნელთან შედარებით, რასინმა „ძირს დაუშვა" კლასიცისტური დრამის ე.წ. „მაღალი სტილი", თორმეტმარცვლიანი ალექსანდრიული ლექსი გაათავისუფლა – რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო – პათეტიკურობისაგან და უფრო ბუნებრივი გახადა მისი ჟღერადობა და ინტონაციები. „ფედრას ტკივილით, განცდითა და აღსარებით აღსავსე დიალოგები ერთ-ერთი უმაღლესი ქმნილება ფრანგული ლირიზმისა, აქ თითოეული კომპონენტი აძლიერებს მეორეს: ზუსტი და გამჭვირვალე ეპითეტი, მდიდარი მეტაფორა, რომლის ევფონიური შესაძლებლობა უსაზღვროა, განცდის დამაჯერებელი უშუალობა, სასაუბრო ინტონაციისა და მაღალი პოეზიის შერწყმა... ამგვარ პასაჟებს უმადლის რასინი იმ გარემოებას, რომ მისი პოეზია... თითქოს ახალ-ახალ ფერისცვალებას განიცდის და ყველა მომდევნო თაობას კიდევ ახალ, მანამდე უცნობ თავის იერსახეს აზიარებს" (გასტონ ბუაჩიძე, იქვე).

თავის მხრივ, მიხეილ თუმანიშვილმა კიდევ უფრო „გააადამიანურა", თუ შეიძლება ასე ითქვას, ტრაგედიის პათოსი. ჩვენს წინ არა კვარცხლბეკიდან ჩამოსული გმირები მოქმედებდნენ, არამედ მიწიერი, ცოცხალი ადამიანები, რომლებიც საკუთარი ვნებების, შეცდომების, მცდარი გადაწყვეტილების მსხვერპლნი გამხდარან, ხოლო მათი ტკივილები, განცდები სავსებით გასაგები იყო 70-იანი წლების მაყურებლისათვის. მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ მიხეილ თუმანიშვილმა ღრმად გვაგრძნობინა ტრაგედიის უჩვეულო პოეტურობა, უფრო ზუსტად, რასინის დრამატიული პოეზიის მთელი ძალა და მომხიბვლელობა. სპექტაკლის ყველა პერსონაჟი, და პირველ რიგში ზინა კვერენჩხილაძის ფედრა, თავისუფალი იყო კლასიცისტური სპექტაკლისათვის თანამდევ პოზიორობისაგან, ხაზგასმული ჟესტისა და „გარინდული სიდიადისაგან", ეს არ ნიშნავს, რომ მიხეილ თუმანიშვილმა ტრაგედია ყოფით დრამამდე დაიყვანა. პირიქით, მსახიობთა პლასტიკა ბუნებრიობასთან ერთად შეიცავდა თეატრალურად გამშვენიერებულ, დახვეწილ, ლაპიდარულ გამომსახველობას. მხოლოდ ზინა კვერენჩხილაძეს მისცა მეტი თავისუფლება – და ეს ასეც უნდა ყოფილიყო – აბობოქრებულ გრძნობათა გამოხატვისას, რადგან თვით განცდების მრავალფეროვანი პალიტრა მოითხოვდა ამას.

მთელი სპექტაკლის დინამიკურ მოქმედებაში (რომელიც სერგეი პროკოფიევის მუსიკის წყალობით დამატებით დრამატიზმს იძენდა) ანუ სპექტაკლის კომპოზიციაში, რამდენიმე საკვანძო, ემოციურად და აზრობრივად ყველაზე გამოკვეთილი ეპიზოდი განსაზღვრავდა ტრაგედიის დაძაბულ ტონუსს და ეს ეპიზოდები ზინა კვერენჩხილაძის ოსტატობასა და განცდის სიღრმეზე იყო გათვლილი.

თუ თავად რასინის ერთ გამონათქვამს ცოტა შევცვლი, მაშინ უნდა ვთქვა, რომ აქ ვნებები მხოლოდ იმიტომ მჟღავნდებიან, რომ თავიანთი დამანგრეველი ძალა გვიჩვენონ.

„მ. თუმანიშვილმა თამამად შეიტანა სპექტაკლში სანახაობითი ელემენტები, გამოამზეურა „ფედრას" გმირების ფარული ტრაგიკული ვნებანი და ეს ყველაფერი გააკეთა ისეთი ტაქტით, ისეთი დიდი გემოვნებით, რომ სპექტაკლში ოდნავაც არაა დაჩრდილული პიესის ბრწყინვალე სიტყვიერი ქსოვილი, არ უჩენია თავი წინააღმდეგობას კლასიციზმის ამ საუკეთესო ნიმუშსა და მის სცენურ განსხეულებას შორის" („ზარია ვოსტოკა" 22.XII.1969).


ზინა კვერენჩხილაძე (ფედრა)

ზინა კვერენჩხილაძე დასაწყისშივე მაღალ აკორდს იღებდა – იგი ისე შემოდიოდა სცენაზე, თითქოს ცეცხლის ალში ინვოდა, თითქოს იგი სიბნელეში დიდხანს ყოფნის შემდეგ პირველად გამოვიდა მზის სინათლეზე, და ახლა მთელი მისი სხეული ისეთ ტკივილებს შეუპყრია, რომ ლამის ტანსაცმელი შემოიხიოს:

„ო, დიდო მზეო,

დღეს შენი სახე უნდა ვნახო უკანასკნელად". ამ ხანმოკლე ეპიზოდში უკვე იგრძნობოდა მოახლოებული ტრაგედიის სუნთქვა. მაგრამ სად არის ამ ტრაგედიის სათავე? არსად სხვაგან, მხოლოდ ფედრას არსებაში დაბუდებულა და სულს უმღვრევს. ეს არის სიყვარული!!! უკეთილშობილესი გრძნობა სხვა ყველა გრძნობათა შორის. მაგრამ ეს სიყვარული შებღალულია, საბედისწეროა, ყველგან და მარად რომ სდევს ფედრას – სიყვარული საკუთარი გერის, იპოლიტისადმი. ფედრას უკვე აღარ შეუძლია დაფაროს ეს სიყვარული დუმილისა და ნყვდიადის ფარდით. ზინა კვერენჩხილაძის ფედრას შემყურენი ვგრძნობდით, რომ თუ არ აღმოსთქვა ეს საიდუმლო, თუ ამით ცოტა შვებაც არ იგრძნო, იგი ახლავე, ჩვენს თვალწინ დაიფერფლება, რადგან „ჩაუქრობელი ალი შიგნიდან მწვავსო" – ეუბნება თავის ცბიერ და ჭკვიან ძიძას, ენონას. „მართლაც, ფედრა არც მთლად დამნაშავეა, არც მთლად უდანაშაულო. იგი ბედმა და ღმერთებმა გაახვიეს უკანონო ვნებაში და ამ ვნებამ ყველაზე ადრე თვითონ ფედრა შეაძრწუნა. თავისი ვნების დასაძლევად ფედრას მთელი ძალ-ღონის დაძაბვა უხდება და მის გამჟღავნებას სიკვდილი ურჩევნია" (რასინი). მაგრამ საიდუმლო მაინც გაამჟღავნა ენონას წინაშე და შვების ნაცვლად უფრო დიდი ჭირი მოირთო. ამგვარად, ტრაგედიამ გახსნა თავისი ბნელი უფსკრულის პირველი კარი და ახლა ზინა კვერენჩხილაძე უნდა შეგვიძღვეს უფრო დიდ სიღრმეში და გვაგრძნობინოს თავისი სულის ჯოჯოხეთური მხურვალება. ამის დროც მალე დგება, იგი ხვდება თავის ტანჯვის პირველმიზეზს – მშვენიერ, შეუბღალავ იპოლიტს (მერაბ თავაძე). ეს არის რასინის ტრაგედიის ერთ-ერთი უბრწყინვალესად დაწერილი სცენა, რომელიც მსახიობისაგან – დიდ ტემპერამენტთან ერთად – განსაკუთრებულ ტაქტსა და ზომიერებას მოითხოვს. ფედრა სიყვარულს უმხელს იპოლიტს. რასინმა ეს აღსარება, რომელიც ქალის უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა, მხოლოდ მაშინ წარმოათქმევინა მას, როცა საბოლოოდ ირწმუნა თეზევსის სიკვდილი. ამგვარად, დიდმა პოეტმა ფედრა საბოლოოდ არ განწირა, კიდევ უფრო არ დაამძიმა მისი ცოდვილი სიყვარული. სცენაზე ტრაგედიის ორი მთავარი გმირი პირველად დგანან ერთმანეთის პირისპირ. ზინა კვერენჩხილაძე-ფედრა თავშეკავებით, ცივად („ღმერთო, გამეყინა ძარღვებში სისხლი"), ერთგვარი დაზვერვით იწყებს ლაპარაკს. სადღაა ის შმაგი ფედრა, სულ რამდენიმე წუთის წინათ ტანსაცმელს რომ იგლეჯდა სხეულიდან. ვნებისაგან წონასწორობადაკარგული ქალის ნაცვლად ახლა ჩვენს წინ დედოფალია, რომლის ყოველი სიტყვა და მოძრაობა გონებას ემორჩილება. იგი თავმოდრეკითაც კი ესაუბრება მომავალ ხელმწიფეს – იპოლიტს, საკუთარ შვილს ავედრებს, თან გარდაცვლილი თეზევსისადმი სიყვარულზე ისე ლაპარაკობს, რომ იპოლიტე უნდა მიხვდეს ამ გადაკრული, ორაზროვანი სიტყვების ნამდვილ აზრს („ის შენში ცოცხლობს, შენში სუნთქავს, მე კიდეც ვხედავ, მე ახლაც მასთან ვლაპარაკობ"...), მაგრამ მერაბ თავაძის იპოლიტი – გულწრფელია, მამის მოყვარული და პატივისმცემელი, ვერაფერს ხვდება, პირიქით, თითქმის სიხარულსაც კი გამოხატავს, რომ მის დედინაცვალს, დედოფალს, ასე ჰყვარებია გმირი თეზევსი:

**თუმცა მეუღლე აღარ გყავთ, მაგრამ თქვენს გულში ამ სიყვარულის მწველი ცეცხლი ისევ ანთია.**

ამ პასუხით შემკრთალი ზინა კვერენჩხილაძის ფედრა უცებ სცვლიდა საუბრის ტონს, მასში შეურაცხყოფილი ქალის, მისი დაკოდილი გულის კვნესა ისმოდა. ქვეტექსტის ამოკითხვა, რომელიც არ ხელეწიფება მერაბ თავაძის იპოლიტს, ჩვენთვის გასაგებია. ფედრა შეურაცხყო-

ფილია თეზევსის დაუსრულებელი სატრფიალო თავგადასავლის გამო („ვნების მფლანგველი და უაზრო ტრფიალის მონა, ვისაც ჰადესის სარეცელის ნაბილწვაც სურდა"). დიახ! იგი დედოფალია, საყოველთაო პატივისცემით მოსილი, დიდების კვარცხლბეკზე შემდგარი, მაგრამ უპირველესად ქალია, თან ვნებიანი და უსაზღვროდ ამაყი ქალი, რომელსაც ნამდვილი, მწველი, მგზნებარე სიყვარული ეწვია. თეზევსმა დააკარგვინა ამ ქალს საკუთარი „მე", ახლა იგი ამ სიყვარულში უნდა აღდგეს თავისი სიდიადით, მაგრამ ვაი რომ ეს სიყვარული ცოდვიანია. ეს დიალოგი სავსეა გადაკრული, ალმაცერი მინიშნებით და ე.ნ. დრამატული კვიპროკვოს ბრწყინვალე ნიმუშია. ზინა კვერენჩხილაძის ფედრა როგორც კი მიხვდა, რომ მისი გადაკრული სიტყვები და მინიშნებანი თავის მიზანს ვერ აღწევს, ძველებური სიშმაგით და გახელებით მთლად შეპყრობილი პირდაპირ გადადის შეტევაზე, სხვანაირად მას არ ძალუძს, ბედისწერისაგან არის ატაცებულ-აფორიაქებული. მკვეთრი მოძრაობით ისე შემოიგლეჯდა კაბის გულისპირს, თითქოს სურდა მკერდიდან ამოგლეჯა გულისა, რომელშიაც ღმერთებმა ეს ცოდვა ჩაუდეს და თითქოს შეჰკივლებდა ნიშნისმოგებით: „აჰა, იხილე სიყვარულით შეშლილი ფედრა". ახლა კი საბოლოოდ შეკრთა იპოლიტი, უკან დაიხია თავზარდაცემულმა. ლამისაა გაიქცეს კიდეც – ეს იგრძნო ფედრამ და აქ ზინა კვერენჩხილაძის ფედრას უეცარი ფერისცვალება ხდებოდა – ახლა იგი ტანჯული, სევდითა და ცრემლით გამოფიტული ქალია, საბრალოა, გულში გაჩენილმა ურჩხულმა დაიმონა, წაართვა ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა და ჩვეულებრივ მავედრებელ დიაცად აქცია, მაგრამ საკმარისი იყო იპოლიტს ზურგი ექცია და გაქცეულიყო, რომ მასში ძველებური სიამაყე და სიშმაგე ისევ ღვიძებდა. ამ ძალზე ემოციურ სცენას მალე მოსდევდა უაღრესად დრამატული და ფარული აზრით სავსე ეპიზოდი – „აქერონის შავი ზვირთებიდან" ცოცხლად დაბრუნებული თეზევსისა და აქერონის გზაზე დამდგარი ცოცხალი ფედრას შეხვედრა. მიხეილ თუმანიშვილს თეზევსი — ედიშერ მალალაშვილი, ძალზე შთამბეჭდავად, ვიტყოდი, ერთგვარი პომპეზურობითაც კი შემოჰყავდა. ორკესტრის მაღალი, მკვეთრი ჟღერადობის ფონზე მაყურებელთა დარბაზის სიღრმიდან ისმოდა მუქ-წითელ ტუნიკაში გამოწყობილი ედიშერ მალალაშვილის თეზევსის საზეიმო ყიჟინა, ეს იყო ზეიმი გამარჯვებული, ძლიერი მამაკაცის, რომელსაც ღმერთები განსაცდელშიაც არ სტოვებენ, ეს იყო ხმა კაცისა, ვისაც არაფრის არ ეშინია, არავის ეპუება, კაცისა, რომელიც, მონატრებული, საყვარელი ცოლისკენ ვნებააშლილი მოილტვის, რათა გულში ჩაიკრას და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაატრიალოს. დიდი, მძაფრი ნახტომით აიჭრებოდა სცენაზე და ყვირილით მიეჭრებოდა ფედრას...

*აქ რეჟისორი მიმართავდა ტექსტის მონტაჟს – რასინთან თეზევისისა და ფედრას შეხვედრა ძალიან ხანმოკლეა. თეზევსი მხოლოდ ორიოდ სიტყვას ამბობს („ისევ შენთან ვარ!"), ასევე მცირე ტექსტი აქვს ფედრას, – რომელიც იდუმლად გაეცლება იქაურობას. მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლში კი თეზევსმა უკვე იცის შვილის, იპოლიტის „ღალატის" ამბავი. ამიტომ იყო ედიშერ მალალაშვილის თეზევსი ერთდროულად რისხვითა და სიხარულით სავსე, ამ მიზნით რეჟისორმა მესამე მოქმედების გამოსვლასთან მეოთხე და მეხუთე მოქმედების გამოსვლა გააერთიანა, რათა ფედრას გრძნობათა მრავალფეროვნების გამოვლენისათვის მსახიობს მეტი ასპარეზი ჰქონოდა.*

ფედრა – ზ.კვერენჩხილაძე ამ სცენაში თავისი განცდების მთელ მრავალფეროვნებას გადმოგვიშლიდა. თეზევსის დაბრუნებით ხომ ბოლო უნდა მოეღოს ფედრას სიყვარულს, ანუ თვით მასაც. უდანაშაულო იპოლიტს არ ასცდება სასჯელი – სირცხვილი და შეჩვენება ელის ორივეს. ცრემლნარევი სიცილ-ტირილით ხვდებოდა მეუღლეს ფედრა. აქ მსახიობი ზედმიწევნით გადმოსცემდა სწრაფად ცვალებად, ურთიერთგამომრიცხავ გრძნობათა მძაფრ სურათებს. მას სცხვენია თვალი გაუსწოროს მეუღლის ვნებიან მზერას, ისმინოს მისი ალერსიანი სიტყვები, მხოლოდ ეს აღმოხდა სასოწარკვეთილს:

**მე შენთან ერთად ვერ ვიცხოვრებ, ღირსი არა ვარ**
**და ისღა დამრჩა, რომ ჩავბარდე ქვესკნელის წყვდიადს.**

მისი ბედი უკვე გარკვეულია, მაგრამ იპოლიტი? და აი, ზინა კვერენჩხილაძე აქ ავლენს ამ ქალის უჩვეულო მგრძნობიარე ბუნებას, გულწრფელად შეძრული და გულგაპობილი, თითქმის ქვითინით ევედრება თეზევსს, დაინდე იპოლიტიო. მრავალი ნიუანსია ამ ვედრებაში, აქ ისმის იპოლიტის გამამართლებელი ინტონაციებიც და ქალის დაფარული სიყვარული-ვნების მოთქმაც („ნუ მომიმატებ, ნუ გამიჩენ ახალ სატანჯველს"). ამ სცენაში რეჟისორი და მსახიობი უკვე ამზადებენ ფედრას ტრაგიკული აღსასრულის მოახლოებას, და ორივე მსახიობი — ზინა კვერენჩხილაძეც და ედიშერ მალალაშვილიც – უკანასკნელ, ტრაგედიის დამაგვირგვინებელ ეპიზოდში თავიანთი გმირების გრძნობათა ბუნებას სულისშემძვრელი ძალითა და სიცხადით გადმოგვიშლიდნენ. ფედრა — ზინა კვერენჩხილაძის ვნებები უკვე დამცხრალია, დიახ, ვნებათა მისი ვულკანი აღარ აფრქვევს მცხუნვარე ლავას და ედიშერ მალალაშვილის თეზევსი უფრო მრისხანებს და ბობოქრობს, მაშინ როცა ფედრა მშვიდად მიემართება ჰადესის წყვდიადისაკენ. „მე მინდა შენს წინ ჩემი ცოდვა მოვინანიო" – წყნარად ამბობდა, რადგან მის სისხლში უკვე გამჯდარი იყო ძლიერი შხამი, ერთხელ ათენში მედეამ რომ ჩამოიტანა. ერეხთეონის კარიატიდივით გაქვავებულ, საბოლოოდ დათრგუნულ მალალაშვილ-თეზევსს ისღა დარჩენოდა, ბედს შეგუებოდა:

„წავიდეთ, გულში ჩავიკრათ წმინდა ცხედარი" — ძლივს წარმოსთქვამდა გულდათუთქული, უკვე მოტეხილი გმირი, რომელიც ერთ დროს ურჩხულებს ამარცხებდა, ლაბირინთიდან მშვიდობიანად გამოდიოდა და ტრფობის გამო ჰადესში ჩასვლისაც არ ეშინოდა...

ამ სპექტაკლში იპოლიტისა და მისი შეყვარებულის — არიციას – როლი მიხეილ თუმანიშვილმა მერაბ თავაძესა და ნანა ფაჩუაშვილს მიანდო.

მერაბ თავაძის იპოლიტი მართლაც მშვენიერი, ბერძნული ქანდაკივით ჩამოსხმული გახლდათ, სანდომიანი და მიმზიდველი სახით. თეზევსის რეპლიკა – „აგერ, შეხ-

დეთ! მე კი არა, ვის არ შეაცდენს კეთილშობილი გარეგნობით" – ზუსტად შეესაბამებოდა მსახიობის იერს. ნანა ფაჩუაშვილი, ჯერ კიდევ გამოუცდელი მსახიობი, ძალიან თამამად შემოიჭრა ამ რთულ სპექტაკლში. მოქნილი, პლასტიკურად მიმზიდველი, მისი არიცია, შეუვალი და ამავე დროს ლირიკული და თბილი იპოლიტესთან ურთიერთობაში, თანდაყოლილ მომხიბვლელობასთან ერთად მტკიცე ხასიათსა და გონებასაც ავლენდა. მშვენიერი იყო მათი სასიყვარულო დუეტი, როცა ამაყი არიცია თავის სიმპათიას შეფარულად ამხელდა სულ სხვა თემაზე საუბრის დროს

**სიმართლე უთქვამთ ყველაფერი, რაც თქვენზე**
**უთქვამთ,**
**მაგრამ ყველაფერს ვერ გამოთქვამს მოკვდავის ენა.**

ხოლო მერაბ თავაძის კლდემამოსილი იპოლიტი (ჩემს შვილს „უმანკო სახე" აქვსო, ხომ ამბობს თეზევსი) ვერ ბედავს სიტყვის დაძვრას, მანამდე, სანამ თავისსავე მოსასხამს ჩადრივით არ გადააფარებს თავზე არიციას და ამის შემდეგ უფრო თამამად და გულთბილად ამბობს:

**როცა ჩემთან ხარ — გაგირბივარ, არ ხარ და გეძებ,**
**ტყეთა წიაღშიც თვალწინ მიდგეს შენი სახება**
**და მეც ამაოდ გავურბივარ შენს სილამაზეს,**
**რითაც სავსეა ჩემი გული... მთელი ქვეყანა.**

ჭეშმარიტად ნატიფი, გულწრფელი სასიყვარულო გრძნობით სავსე სცენა იყო. მაგრამ ნანა ფაჩუაშვილის არიცია თავისი სიყვარულის სიღრმეს, ქალის მომხიბვლელ ძალმოსილებას თეზევსთან სცენაში ამჟღავნებდა. თეზევსი – ედიშერ მაღალაშვილი, ეს ძველი მოარშიყე და ქალთა გულთამპყრობელი, თავისი გაძევებული შვილის, იპოლიტის, სატრფოსთან საუბრისას, სიტყვებს იმგვარი ფარული ვნებითა და გრძნობით წარმოსთქვამდა, რომ აშკარად მისი მონუსხვა სურდა, მაგრამ ნორჩი ნანა ფაჩუაშვილი — არიცია არად აგდებდა ჭარმაგი თეზევსის სატრფიალო შემოტევებს და თავად გადადიოდა იერიშზე. შეუპოვრად იცავდა თავისი სატრფოს, იპოლიტის ღირსებას, აქებდა მის სამაგალითო კეთილშობილებას და თან რაღაც მოუხელთებელი იდუმალებით მიანიშნებდა – სიბრაზით თვალებახვეულ მეფეს, „ყველასათვის ცხადი სათნოება ვერ დაგინახავსო".

თეზევსი უმალ ხვდებოდა, რომ არიციამ უფრო მეტი იცის, ვიდრე ამხელს, რომ იგი რაღაც საიდუმლოს ფლობს და ახლა მას, თეზევსს, შეუძლია ეს საიდუმლო ამოხსნას. მისი შემპარავი, ალერსიანი ქცევა უცებ გადაიზრდებოდა უხეშ, ძალისმიერ მოქმედებაში, მიეჭრებოდა სიტყვებით: „ტყუილად ცდილობ, გაამართლო ჩემს თვალში იგი" – ძირს დასცემდა, ხელს ფეხის ტერფში წაავლებდა, არიცია ცდილობდა თავის დაღწევას (აქ ნანა ფაჩუაშვილის პლასტიკა მრავალფეროვანი იყო, იგრძნობოდა ბალეტის მოცეკვავის კლასი) და ტკივილის, უხერხული პოზის მიუხედავად ინარჩუნებდა ქალურ შარმს და პირდაპირ მიახლიდა – მართალია, თქვენმა მარჯვენამ ქვეყანას ბევრი ურჩხული მოაშორა

**მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია ერთი ურჩხული...**
**გეტყოდით, მაგრამ ფიცითა მაქვს შეკრული ენა.**

თეზევსი იმ წამსვე ხვდება თუ ვის გულისხმობდა ამ „ურჩხულში" არიცია და უფრო მტკივნეულად უტრიალებდა ფეხს, მაგრამ არიცია — ნანა ფაჩუაშვილი, რაღაც სასწაულებრივი მოხერხებით, ხელიდან უსხლტებოდა თეზევსს და სიტყვებით: „ახლა მეც უნდა მიგატოვო, ვით თქვენმა შვილმა", საბოლოოდ სტოვებდა სცენას.

სპექტაკლზე საუბარი მსურს დავამთავრო ცნობილი პოლონელი რეჟისორის ეჟი გოლინსკის სიტყვებით, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში, ნახა თერთმეტი სპექტაკლი თბილისში, სოხუმში, ბათუმში, გორში. „ჩემს ოცნებაში წარმოშობილ ელადას დავეძებდი მთელ მსოფლიოში (განა საჭიროა დავძინო, რომ მე იგი ვერ ვიპოვე თანამედროვე საბერძნეთში) და სრულად მხოლოდ საქართველოში აღმოვაჩინე... მე ვნახე, თუ რისი მიღწევა შეუძლია ქართულ თეატრს, ვნახე ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი ჩემს სიცოცხლეში, ვნახე რასინის „ფედრა" მიხეილ თუმანიშვილის დადგმით.

არაფერს ვიტყვი თეატრალურ ოსტატობაზე, რომელიც თვალში ეცემა ადამიანს დადგმის ყოველივე ელემენტიდან. ყველა როლი გათამაშებულია ოსტატურად, შესანიშნავად (მხოლოდ ერთადერთი რამ იწვევს ეჭვს, ესაა მუსიკა, რომელიც ზოგიერთ პარტიაში ისე გამაყრუებლად ჟღერს, რომ პირდაპირ კვნესიან გადატვირთული საბრალო რეპროდუქტორები). მე მინდა ვილაპარაკო ამ სპექტაკლის სიბრძნეზე. შევდივარ დარბაზში, ფარდა არ არის, თითქოს ბერძნული სასახლის პორტიკია, თალი დაყრდნობილია კარიატიდებზე. ქვიდან გამოკვეთილი, უძრავი, თავითფეხამდე ტანსაცმელშებურვილი ქალები, იწყება თამაში. გმირული სულით გამსჭვალული უძრავი მსახიობი! თეზეოსის სამეფოში ყველაფერი გარკვეული წესრიგით მიმდინარეობს. საკურთხეველზე ცეცხლი კიაფობს, შემოდის ფედრა – ზინა კვერენჩხილაძე. ვუყურებ და ვხედავ, რომ ეს არ არის ეროტიკული განცდების მაძიებელი ქალი, – იგი ბედნიერებას ეძებს, და აი ამ მომენტში მე, მაყურებელმა, ვიცი, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა მოელის მას – სიკვდილი თუ ტანჯვა, პირიქით, ასეთი გრძნობისა უნდა გშურდეს ყველგან და ყოველთვის, და მე შურის თვალით შევყურებდი მას. დიდი მსახიობის მაგია მოქმედებს, შევყურებ კარიატიდებს. ისინი უკვე მკვდარნი არ არიან. ისინი უკვე სცენური დეკორაციის ელემენტებს არ წარმოადგენენ. იტანჯებიან მონური საზოგადოებრივი სტრუქტურებისადმი დამორჩილებული დები-ქალები, სადაც თვით დედოფალიც კი მონაა.

მადლობას ვუძღვნი მიხეილ თუმანიშვილს, მადლობას ვუძღვნი ზინაიდა კვერენჩხილაძეს, მადლობას ვუხდი გოგი ლაფაჩს. მათ დაამტკიცეს, რომ არ არსებობს აქტიორის, რეჟისორის ან სცენოგრაფის თეატრი, არსებობს მხოლოდ თეატრი.

არსებობს მხოლოდ თეატრი დიდი და ჭკვიანი ანდა ბოროტი და სულელური.

დროა დავასრულო, თორემ თეზეოსის და ფედრას შეხვედრის სცენის შესახებ ხომ სოლიდური მოხსენების დაწერა შეიძლება!" („თეატრალური მოამბე" №1, 1973).

ჩვენც დავასრულოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა ჯიყაშვილი

# ქალაქივით დიდი გულით

✸

## გოგი ჩარკვიანი

ყოველ დილით დგებოდა ძალიან ადრე. ფრთხილად გაიხურავდა კარს და მთაწმინდისკენ მიდიოდა წყნარი ნაბიჯით. სხვებიც მიდიოდნენ დილაუთენია მთაწმინდისკენ, ხვდებოდნენ, ესალმებოდნენ... მოიკითხავდნენ...

სხვები ვარჯიშობდნენ, ჯანმრთელობას იკაჟებდნენ. ამასაც ვარჯიშში ეთვლებოდა. და როცა სიტყვას ჩამოუგდებდნენ, როგორ აკაჟებს ჯანმრთელობას ეს დილის სეირნობა, – ოდნავ შესამჩნევად ილიმებოდა. თავს ხრიდა, ან პირიქით უფრო მაღლა სწევდა და შორს, ძალიან შორს იყურებოდა ოდნავ მოჭუტული თვალებით... ნაბიჯების რიტმს ძალიან ეწყობოდა მისივე სტრიქონები, მაგალითად ასეთი:

**კაცი ცხოვრობდა სრულიად მარტო**
**პატარა ბინაში.**
**მას ჰქონდა მძიმე და თეთრი ხელები**
**და გული ქალაქივით დიდი.**
**ის ეფერებოდა მძიმე ხელებით**
**მაგიდას, სახლებს და მთვარეს –**
**მისი გულივით დიდს.**

მთაწმინდიდან ჩანდა ქალაქი – მისი გულივით დიდი. მოსწონდა ამ ქალაქის ყურება. კიდევ მოსწონდა თბილისის შემოგარენის ტანმორჩილი ხეების, გაფხორილი ბუჩქების ნახვა. ისინი დუმდნენ, მასავით ოდნავ შესამჩნევად ილიმებოდნენ და ოდნავ შესამჩნევად ეტყობოდათ გულისწყრომა... ხედავდა სხვისთვის შეუმჩნეველ ბალახსაც, მწვანესა და სიყვითლეშეპარულს... ზამთარში სიმწვანეშენარჩუნებულ ბალახსაც ამჩნევდა. ისინი რაღაცით ძალიან ჰგავდნენ მას – გიორგი ჩარკვიანს. და გიორგი ჩარკვიანიც ჰგავდა მათ – ყველაზე შეუმჩნეველ და ძლიერ, ზამთარგამძლე არსებებს...

წლების წინათ, ძალიან, ძალიან ადრე, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას, მეგობრებს თითქოს შემთხვევით ჰკითხა: ბუნებასთან დიალოგი თუ გქონიათ ოდესმეო. იმათ არაფერი უპასუხეს... ყოველ შემთხვევაში მის კურსელსა და მეგობარს – ოლია გოგიტიძეს ასე დაამახსოვრდა... გოგისაც აღარაფერი უთქვამს.

მომხიბვლელი და საოცრად პოეტური თავისი მეგობრების წრის სული და გული იყო. უნდა გენახათ, როგორ კითხულობდა ლექსებს, უსმენდნენ და ყველა სიტყვას ისრუტავდნენ. მისგან მოსმენილი პოეზიაც ახლებურად იხსნებოდა...

ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს ამქვეყნად და იმასაც აქვს თავისი მიზეზი, რომ სტუდენტობის მეგობარმა ოლია გოგიტიძემ თავისი მოგონება ასე დაიწყო – „დიდი გოგი ჩარკვიანი“:

– დიდი გოგი ჩარკვიანი ჩემი თანაკურსელი იყო გასული საუკუნის 60-იან წლებში. ჰარმონიულად შერწყმული გარეგნობა და შინაგანი სამყარო ჰქონდა. მაღალი და ტანადი იყო, სახის სწორი ნაკვთები ჰქონდა. თავშეკავებული იყო და ემოციას არ გამოხატავდა. ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ, რუსულ, დასავლეთ ევროპის ლიტერატურას. უზადოდ კითხულობდა მაიაკოვსკისა და ბლოკს.

ერთ დღეს ლექცია გაცდა. აუდიტორიაში დარჩა რამდენიმე სტუდენტი. გოგი თითქმის სამი საათის განმავლობაში კითხულობდა ლექსებს სულგანაბული აუდიტორიის წინაშე. ზნეობრივი ადამიანი იყო და მის გვერდით თითქოს ყველა კათარზისს განიცდიდა. არასოდეს მსმენია მისგან ვინმეს გამკიცხავი სიტყვა... სულგრძელმა მასაც კი არ უპასუხა, ვინც მისი ინტელექტუალური ნაყოფი მიითვისა. ამ თემას ტაბუ დაადო. ის იყო კაცი, რომელსაც ჰქონდა ბრძენი გული და კეთილი გონება...

* * *

გოგი ჩარკვიანს შეეძლო ძირისძირობამდე შეესწავლა ნებისმიერი საკითხი, ისეთიც კი, რომელზეც მოთხოვნა არ არსებობდა მაშინდელი საქართველოს რეალობაში. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციაზე უამრავი ტომი წაეკითხა... წაუკითხავს კიდეც!

საფრანგეთის ინტერესი იქნებ დიუმას გამოც გაუღვივდა. ალექსანდრე დიუმა მისი საყვარელი მწერალი იყო და ბავშვობაში წაკითხულ, ბიჭისათვის მომნუსხველ „სამ მუშკეტერს“ უკვე 50-ს გადაბიჯებულიც ხალისით გადაშლიდა ხოლმე. განსაკუთრებით ხიბლავდა ალბათ ჭაბუკი დ'არტანიანი, რომელიც „თვითონვე გრძნობდა, რა სასაცილოს ხდიდა მამის ნაჩუქარი ჯაგლაგი, თუმცა თავს კარგ მხედრად თვლიდა. ამაოდ როდი ოხრავდა. როდესაც ეს ცხენი აჩუქა მამამ. მან კარგად იცოდა, რომ ეს „რაში“ სულ დიდი ოცი ლივრი თუ ეღირებოდა, მაგრამ მამის ის სიტყვები ამ საჩუქარს რომ დაჰყვნენ თან, ფასდაუდებელი იყო.

– შვილო ჩემო, – უთხრა გასკონელმა აზნაურმა იმ წმინდა ბეარნული კილოთი, რომელიც მთელ სიცოცხლეში ვერ მოიშორა ანრი მეოთხემ, – ეს ცხენი მამათქვენის თავლაში იშვა ცამეტიოდე წლის წინ, მას აქეთ ჩვენ სახლშია და ამიტომ უნდა გიყვარდეთ და აფასებდეთ. არამც და არამც არ გაყიდოთ, დაე მშვიდად, პატიოსნად მოკვდეს თავისი სიბერით. თუ ამ ცხენით მოგიხდათ სალაშქროდ წასვლა, ისე მოუარეთ და გაუფრთხილდით, როგორც ერთგულ მოხუცებულ მსახურს. ვინცობაა ბედმა გაგიღიმათ და დიდებულებთან ერთად სასახლეში მოხვდით, – განაგრძო მამამ, – რის სრულ უფლებასაც გაძლევთ თქვენი ძველი გვარიშვილობა, ღირსეულად ასახელეთ გვარი აზნაურისა, რომელსაც მთელი ხუთასი წლის განმავლობაში სახელოვნად ატარებდნენ თქვენი წინაპრები. მუდამ უმწიკვლო, პატიოსნებით აღსავსე იყავით, კარდინალისა და მეფის გარდა არავის არაფერი დაუთმოთ. კარგად დაიხსომეთ, რომ ვაჟკაცობით, მხოლოდ ვაჟკაცობით იკაფავს გზას დღეს აზნაური. თუ ვინმე ერთი წუთით მაინც შედრკება, შეიძლება სწორედ იმ წუთს დაკარგოს მან ბედნიერი შემთხვევა, რომელსაც ბედი ანიჭებდა. თქვენ ახალგაზრდა ხართ და

მამაცი უნდა იყოთ. ამას გავალებთ ორი გარემოება, ჯერ ერთი რომ გასკონელი ხართ და მეორე, რომ შვილი ხართ ჩემი. არ შეუშინდეთ არანაირ შემთხვევითობას, და ეძებეთ ფათერაკები. ხმლის ხმარება კარგად გასწავლეთ, მუხლი რკინისა გაქვთ და მუშტი ფოლადისა. უნდა იბრძოლოთ სადაც კი მოგიხდებათ, უნდა იბრძოლოთ მით უფრო რომ დუელი აკრძალულია და მაშასადამე ერთი-ორად მამაცი ისაა, ვინც მას არ შეუშინდება".

ჰოდა უკვე ბევრი წელი იყო, „ერთი-ორად მამაცი" გახლდათ, არც აკრძალულს ეპუებოდა. რაღაც ბავშვური – დ'არტანიანისეული ჰქონდა, რომელიც დაბერების საშუალებას არც აძლევდა და ვერც მისცემდა. ამიტომაც 70-ს მიტანებული მაინც ბიჭივით იყო. ოღონდ ის არ გახლდათ თავგადასავლებს გადაყოლილი მამაცი გასკონელი. უფრო ადამიანების სულში უყვარდა ჩახედვა...



გოგი ჩარკვიანი

გუჩა კვარაცხელია – მისი ნათესავი და მეგობარი – იხსენებს, როგორ შეხვდა სულ შემთხვევით ერთხელ ყვარელში, ილიაობაზე. თვითონ რამდენიმე მეცნიერთან ერთად იყო ჩასული. დაინახა გოგი, მარტო, ნასვამი, ოდნავ მოჭუტული თვალებით აკვირდებოდა ილიაობაზე მისულ ადამიანებს, ხან ერთგან მივიდოდა, ხან – მეორეგან. შეხედავდა, გამობრუნდებოდა... ეტყობა იმ სიმაღლეს ეძებდა, რომელიც მისთვის ასე საყვარელ და სათაყვანებელ ილიას დიდ მემკვიდრეობაში ჰქონდა ნაგრძნობი – ეძებდა ადამიანებში, გარემოში... ისე როგორც მცხეთას ეძებდა მცხეთაში...

**ჯვრის მონასტერი...**
**დიდრონი**
**ქვები...**
**ტაძარი ძველი და სამუდამო.**
**დამრეცი კალთა**
**და მცხეთა ქვევით,**
**ათას ლექსში აღწერილი მიდამო.**
**მერე უეცრად დაწვება ნისლი,**
**უკვე თითქმის ვერაფერს ხედავ...**
**გაჰყურებ სივრცეს ისევ და ისევ –**
**აქ იყო მცხეთა,**
**სად არის მცხეთა?**
**გარშემო ნისლი. დგახარ სულ მარტო**
**და ყველაფერი თეთრია ახლა.**
**ვერაფერს არჩევ და მაინც ატყობ,**
**რომ დგახარ მაღლა.**
**ძალიან მაღლა.**

*(„სიმაღლე")*

გუჩა კვარაცხელია გოგის მამის –კანდიდ ჩარკვიანის – დისწული იყო და მის შვილებთან ერთად იზრდებოდა, ამიტომაც ახსოვს უკარება, ჯიუტი ბიჭი – გოგი, რომელიც ოღონდ კი არავის ეკოცნა, ლეჩხუმში ფანჯრიდან გადახტებოდა და ატმის ბაღს შეაფარებდა ხოლმე თავს. მისი ხელით დაწერილი ლექსებიც აქვს შენახული... პირველ რვეულს იუმორითა და დიდი სიყვარულით აწერია: ლომგული გოგლა ჩარკვიანის ლექსები. გოგლა არასოდეს არავის დაუძახია, მაგრამ ლეონიძის სიყვარულით წააწერა თავის ლექსებს... იუმორი განსაკუთრებული ჰქონდა. ისე, როგორც საერთოდ იყო განსაკუთრებული. არავის გაუნებივრებია ქებით, განსაკუთრებით დედას – კათოლიკურად აღზრდილ ძალიან კულტურულ და ნიჭიერ ქალბატონს, რომელიც მკაცრი და შეუვალი იყო...

გოგის ესმოდა დედის...

როცა მძიმედ სნეული მშობელი ლოგინად იყო ჩავარდნილი, კართან იდგა... ვერ შორდებოდა და თვალს არ აშორებდა... დედას გული უკვნესოდა: წავიდეს, უთხარითო... ვერ მიდიოდა.

**დედა, დედა, მაპატიე,**
**არ მიყვარდი საკმარისად,**
**ვერ გაჩუქე თეთრი ვარდი,**
**ოცნებები ჩაიფუშა...**
**მაინც ნუ გაქვს ჩემი დარდი,**
**არაუშავს... არაუშავს...**

– გოგი იყო კაცი, რომელმაც სიყვარული იცოდა, – ამბობს გუჩა კვარაცხელია და თვალწინ უცოცხლდება მარტოსული ბიძაშვილი.

**ნალები შედღვებილი –**
**ყვითელი კარაქი.**
**მაყვლით შეღებილი**
**სასტიკი არაყი.**
**გარეთ ქარებია,**
**ლოთი ხარ საჩინო.**
**არვის ყვარებიხარ,**
**არცაა საჭირო.**

როგორ არ უყვარდათ, მაგრამ დრო დადგა უსიყვარულო, განწირული. ამ ფონზე ხომ განსაკუთრებით კარგად ამოტივტივდება ხოლმე ზედაპირზე აქამდე დაფარული ადამიანების ქვენა, ბნელი სურვილები და მისწრაფებანი...

ხშირად პირისპირ ისხდნენ ის და მისი ძმისწული – ირაკლი ჩარკვიანი. იმ პატარა სახლის პატარა ოთახიდან, პატარა მაგიდის და მწირი სუფრის გასწვრივ მსხდომარეთ ალბათ არაერთხელ უგრძვნიათ სიცივე ამ უსიყვარულობის მეფობის გამო...

ვილაცისთვის ეს კრიზისი იყო, ვილაცისთვის – გარდამავალი სოციალური საფეხური, – გოგი ჩარკვიანისათვის ღია ჭრილობა:

**მთაწმინდის მთაა ნათოვარი,**
**ყინვას სურს ქალაქი იცოლოს.**
**რუსთაველზე – ქართველი მათხოვარი,**
**ამაყი სამშობლოს სიმბოლო.**

*(„მათხოვარი“)*

ადრე, როცა გოგი ჩარკვიანი სვამდა, ზემელზე, რუსთაველის ძეგლის უკან, მწერლებთან ერთად სახელდახელოდ გადაკრული ჭიქის შემდეგ სულ სხვა სიმართლით უყურებდა ყველაფერს... ის იყო კაცი, რომელიც ნებით წამოვიდა ცეკას გამომცემლობიდან – დატოვა კომფორტი, კეთილდღეობა... მას არ სჭირდებოდა „დავარცხნილი“, ყელში ჰალსტუხწაჭერილი ცხოვრება. მართალი გამოხედვა და მართალი სიტყვა მიაჩნდა სიმდიდრედ.

სიმართლემ დააკავშირა იმ ადამიანებთან, ვისაც მეგობრებს არქმევდა. მათ შორის იყო ნოდარ თარხნიშვილიც. მისი ნასვლის მერე დაწერა:

**არ მახსოვს შენი ოხვრა ან მოხრა,**
**ვარამი მუდამ დაგიმალია.**
**შენი დალუპვა უეცრად მოხდა,**
**ვის უდევს წილი? რისი ბრალია?**
**სულ ახლოს ხმაურობს ქუჩა უხეში,**
**ეზოში სარეცხი გაუფენიათ,**
**მითხარი, თავი რით ვინუგეშო,**
**ღვინის ცრემლები არ დამრჩენია...**

მის გვერდით იყვნენ ისეთებიც, თავად რომ შეაფარეს თავი გოგი ჩარკვიანის ინტელექტსა და ვაჟკაცობას. თვალში არავის სჩრიდა საყვედურს...

ჩეხოვის ერთი ციტატა ჰყვარებია ახალგაზრდობაში: „ანი ხოჩიატ პოკაზაც სვაიუ ობრაზოვანოსტ ი ზა ვსეგდა გავარიატ ო ნეპონიატნომ“. კეთილშობილი და ქალაქისხელა გული არ აძლევდა საშუალებას ამ ყაიდის „ნიჭიერთათვის“ გზა მოეჭრა... მდუმარედ ადევნებდა თვალს მათ თავაწყვეტილ სრბოლას და მაინც არ შეეძლო წარმოდგენა, რომ ადამიანის მომხვეჭელობა და ანგარება ზოგჯერ ყველაფერზე ძლიერია!

არაფერს ხსნიდა...

არაფერს მისტიროდა...

მხოლოდ საკუთარ თავს იცავდა სიბინძურით სავსე გარემოსაგან – ზოგჯერ საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზეც!

კალმის კაცი იყო და სათქმელს კალმით ამბობდა. ულირსებისთვის საყვედურის სიტყვის მიწერა კალამსაც არ აკადრა.

სიკვდილი მოულოდნელად და შეუმჩნევლად მოვიდა... დილით უკვე აღარ იყო. მომუშტული დარჩა მარჯვენა ხელი... ეტყობა სულ ბოლო წუთებშიც რაღაცას იცავდა.

ელენე ამაღლობელი

# კიდევ ერთი კლუბი

ყველაფერი ცოტა უფრო ადრე, რამდენიმე წლის წინათ, ტელევიზიით შემთხვევით ნანახი შემზარავი რეპორტაჟით დაიწყო – როგორ ერთობოდნენ ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდები, დიდ სანაგვე ურნებზე შემომსხდარნი, დალმართზე რომ ეშვებოდნენ, ეხურათ ჩაფხუტები, ერთმანეთს თავზე ამსხვრევდნენ კოკა-კოლას ბოთლებს და... აპლოდისმენტებითაც აჯილდოებდნენ.

წლები გავიდა მას შემდეგ, **მანანა არველაძეს** კი დღესაც არ ავიწყდება ნანახი, შოკისმომგვრელი რომ აღმოჩნდა მისთვის და გადაწყვიტა...

თუმცა რა გადაწყვიტა, ამას ახლა თვითონ გვიამბობს:

– ეს იყო ისეთი საშინელი განცდა, მივხვდი, რომ უცებ ავად გავხდი. ეს ბავშვები, ღვთისგან გაჩენილები, ადამიანებად მოვლენილები ამ ქვეყანაზე, ასე საშინლად ირთობდნენ თავს, ეს არც მთლად მათი ბრალია და არც მაინცდამაინც მათი ოჯახების, ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, რეალობამ მოიტანა და ვიფიქრე, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა, რათა ეს ბავშვები ამ რეალობისთვის გამომეგლიჯა. და გადავწყვიტე ჩამომეყალიბებინა ახალგაზრდული კლუბი, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ამ იდეის გაჟღერება დამაგვიანდა. როგორც კი **როსტომ ჩხეიძეს** გავუზიარე, მაშინვე გვერდით დამიდგა, რისთვისაც მადლიერნი ვართ მისი...

– **იქნებ გვითხრათ, რა შინაარსისაა ეს კლუბი და რა მიზნებს ემსახურება?**

– ჩემი აზრით, თითის ქნევითა და პლაკატებით ბავშვი ჯანსაღად ვერ გაიზრდება. მას მაგალითი სჭირდება, რომ მოგბაძოს. ამიტომ ვიფიქრე, სკოლებიდან შემეკრიბა ახალგაზრდები, ჩემი მეგობრების შვილები, მათი ნაცნობები – მოზარდი თაობა – და დამეწყო მათთან მუშაობა. ამ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ შეხვდნენ სასურველ მოღვაწეებს – მწერლებს, მსახიობებს, მომღერლებს, ჟურნალისტებს... სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. დაუსვან კითხვები, ესაუბრონ... შეხვედრამდე გაეცნონ მათ შემოქმედებასა თუ ბიოგრაფიას. ამით, ვფიქრობ, კითხვასაც მიეჩვევიან და ცოდნასაც შეიძენენ. ამ პროექტის მიზანი უწინარესად შემეცნებითია. როცა ქუჩაში მდგომი თინეიჯერები დაინახავენ, რომ მათ თანატოლებს შეუძლიათ თავიანთი ნააზრევი საზოგადოებამდე მიიტანონ – ღვთის მადლით არსებობს ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, რომელიც ამ ყველაფერს პოპულარიზაციას გაუწევს – იქნებ თვითონაც დაინტერესდნენ და შემოგვიერთდნენ...

– **შეკრებათა თემებს როგორ შეარჩევთ?**

– სტუმრებსაც და თემებსაც თვითონ ახალგაზრდები შეარჩევენ, ისინი დამოუკიდებლადაც შეიკრიბებიან და ერთმანეთში იმსჯელებენ მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. ჩვენ არ გვაქვს აკრძალული თემები. ისაუბრებენ ყველაფერზე, რაც აწუხებთ, სტკივათ, უხარიათ... იცით, ქუჩაში ბავშვები იმიტომ დგანან, რომ გაბნეულნი და დაბნეულნი არიან დროსა და სივრცეში. არ იციან, რა გააკეთონ, დროის რაციონალურად გამოყენებაც არავის უსწავლებია მათთვის...

– **რაკი თინეიჯერები ახსენეთ, როგორც ჩანს, ასაკობრივი ზღვარი მაინც იქნება კლუბში?**

– აქამდე თუ ვფიქრობდი, რომ ყოფილიყვნენ მოზარდები 19 წლამდე, ე.წ. თინეიჯერულ ასაკამდე, ახლა გადავწყვიტე, სტუდენტებიც შემოგვიერთდნენ, თუმცა კარი ყველა ასაკის ადამიანისთვის ღია იქნება, თუკი ვინმე დაინტერესდება, რაზე საუბრო-

ბენ ახალგაზრდები, რას მიიჩნევენ პრიორიტეტად, რა აწუხებთ, როგორია მათი დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი და იმ ღირებულებათა მიმართაც, რომელთა გადაფასებასა და დაკარგვას ასე განვიცდით.

**– კლუბის წევრები რამდენჯერმე უკვე შეიკრიბნენ. ხომ არ გაგვიზიარებდით თქვენს შთაბეჭდილებას ამ შეხვედრების მიხედვით – რა თემებზე იმსჯელეს, რომელი საკითხები წამოწიეს...**

– საინტერესო იყო თემა „სიყვარული თინეიჯერულ ასაკში". სხვათა შორის, როგორც ჩანს, აქტუალურია მათთვის და ორი შეხვედრა დაუთმეს; განიხილეს სოციალური ქსელები და მათი ზეგავლენა საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე, ასევე „ჩემი ერთი დღე" – როგორ და რითი ცხოვრობენ ისინი. მათი ეს ნაშრომები ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე გამოქვეყნდება და, ვფიქრობ, ბევრ რამეზე დააფიქრებს მკითხველს...



*მანანა არველაძე*

**– დღეს ბევრს საუბრობენ ახალგაზრდა თაობის პრობლემებზე, რაც არახალია. დასაბამიდან მოდის ეს პრობლემა – მამათა თაობა კრიტიკული თვალით უყურებს შვილებს და ამ ყველაფერს რეფრენად გასდევს ფრაზა: აი, ჩვენს დროს... ჩვენს დროს შესაძლოა მართლაც სხვანაირად იყო ბევრი რამ, მაგრამ ამ ახალგაზრდებმა, ძალიან მალე ქვეყანა რომ უნდა გადაიბარონ, ომიც ნახეს, შიმშილიც, სიცივეც... ათასგვარი „იზმი" და „კრატიაც" გამოიარეს... თქვენ რას იტყოდით მათ შესახებ? გარკვეული შთაბეჭდილება შეგექმნებოდათ, თუნდაც ამ რამდენიმე შეხვედრიდან გამომდინარე.**

– საერთოდ, ეს თაობა დადებითადაა განწყობილი სიახლეების მიმართ. მათ აინტერესებთ ყველაფერი. ისინი ინფორმაციული ეპოქის შვილები არიან და ეს მათ ცნობიერებაზეც აისახა. იმდენად დიდი ნაკადია ინფორმაციისა – კარგისაც და ჩვენთვის არასასურველისაც – ცოტათი დაიბნენ კიდეც ამდენი ექსპერიმენტებით... ველარ გაიგეს, რა უნდა მიიღონ და რა – არა.

**– ფაქტობივად, თქვენი იდეაც ექსპერიმენტი იყო – არ იცოდით გაამართლებდა თუ არა, მითუმეტეს, რომ დღეს ახალგაზრდები ცდილობენ, თანამედროვე ტექნოლოგიებით მიიღონ ინფორმაცია, რასაც, ცხადია, განათლებას ვერ უწოდებ. დღეს წიგნს ნაკლებად კითხულობენ. თქვენ კი გინდათ სცადოთ, რომ ისინი ცოდნისკენ – ტრადიციული გაგებით ცოდნისკენ – შემოაბრუნოთ, ასე გაუცხოებულ წიგნთან დააახლოვოთ, ქუჩას გამოგლიჯოთ... თუნდაც სოციალურ ქსელებს, რომლებზეც ასეთი დამოკიდებულნი არიან...**

– ჩემდა სასიხარულოდ, დიდი ენთუზიაზმით ჩაერთნენ ამ პროექტში. მე თუ მკითხავთ, ამ ასაკში მოზარდს არ უნდა აგრძნობინო, რომ შენ მასზე დიდი ხარ – არც ასაკის და არც გამოცდილებისა თუ ინტელექტის თვალსაზრისით. უბრალოდ, მაგალითი უნდა უჩვენო. საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ასეთი მაგალითები. გარდა ამისა, მინდა ამ ახალგაზრდებს ჰქონდეთ სამყარო, სადაც უფროს-უმცროსობა არ იქნება, იქნება გარემო, სადაც შეძლებენ გაიხსნან და ყველაფერი თქვან თავიანთი ცხოვრებისა და ინტერესების შესახებ...

**– და როგორ ფიქრობთ, იხსნებიან?**

– სხვათა შორის, მახსოვს შეხვედრა, რომელსაც შვილთან ერთად მისი მშობელიც ესწრებოდა და სასიამოვნოდ გაოგნებული დარჩა თავისი ვაჟის მსჯელობით. დედაზე უკეთესად შვილს ვინ იცნობს, მაგრამ ასეთ ვითარებაში ის არასოდეს უნახავს და არც ის იცოდა, მისი შვილი ამგვარ საკითხებზეც თუ დაფიქრებულა, ამიტომ ეს შეხვედრები უფროსებისთვისაც კარგი სკოლაა საიმისოდ, რომ გაიგონ, რა აღელვებთ მათ შვილებს, საერთოდ, ამ თაობას.

მიხარია ის, რომ ეს ახალგაზრდები თავისუფლად აზროვნებენ. საერთოდ, თავისუფალი აზროვნებისთვის საჭიროა თავისუფალი თემები. მათ ეს თავისუფლება ექნებათ კლუბში. თვითონვე აირჩევენ საკითხებს, თვითონვე შეაფასებენ და თვითონვე მოძებნიან გზებს წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად... მერწმუნეთ, ეს ძალიან საინტერესოა.

**– და, რაც მთავარია, გარდატეხის ასაკის ენერგია, ის მოზღვავებული ენერგია, რომელიც ამ პერიოდს განსაკუთრებული სიმძაფრით ახასიათებს და ხშირად საგონებელში აგდებს მშობელს, სწორად წარიმართება და ნაყოფიერად დაიხარჯება...**

– ძალიან კარგ, საგულისხმო და საჭირო თემას შეეხეთ და მადლობა მინდა გითხრათ ამისთვის. ეს მოზღვავებული ენერგია, რომელიც ხშირად მათ გაღიზიანებას იწვევს და არასწორად იხარჯება, ან სულაც დაუხარჯავი რჩება, ახლა რეალიზებული იქნება და სწორად რეალიზებული. ამ დროს მათ აქვთ განცდა, რომ თავს ვერ პოულობენ, მათი არ ესმით, ვერ უგებენ... და აი, აქ შეუძლიათ თავიანთი სათქმელი თანატოლებს გაუზიარონ... ამ ახალგაზრდებს ექნებათ ასპარეზი, სადაც ბევრ რამეს იტყვიან და საკუთარ თავში არ ჩაიკეტებიან. გარდა ამისა, ისინი სხვადასხვა სკოლიდან იქნებიან და ახალი ნაცნობობაც გაჩნდება. დღეს ესეც ძალიან მნიშვნელოვანია – სოციალურმა ქსელებმა ხომ ისე მიაჯაჭვა თაობა კომპიუტერს, რომ პირადი ურთიერთობისთვის ვერ იცლიან...

აი, ასეთი გეგმები გვაქვს. რა გამოვა, არ ვიცი, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ვცადოთ.

შესაძლოა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ რაღაც ხომ უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ თაობა ჩვენკენ, წიგნისკენ... მნიშვნელოვანი ღირებულებებისკენ შემოვაბრუნოთ...

ამირან არაბული

# „რა ფერისაა ქვეყანა“...

*ძნელია ვაჟას ცხოვრების აღწერა; შაბლონით ხომ ვერ მიხვალთ მასთან. ვაჟა მაღლაა და მის ცხოვრებას უფსკრული ავლია წრედ.*

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

ვაჟა-ფშაველას ცხოვრება ერთი გაბმული, ლუგუმ ყოფაზე მოთქმით ნაქსოვი, დროის დიდ-მცირე მონაკვეთებში ჩანურულ-დანაწილებული, შორსმყოფთა ყურისთვის ამოდ სასმენი, სევდიანი სიმღერა იყო.

მის მშობელ და დამფრთიანებელ მთაში უთქვამთ: **„დარდიან გულზე სიმღერა ტირილის მაგიერია“.**

**„ტირილით გაუმთელდება გულს მოტეხილი პირია“**, – ამბობდა თვითონ და, „ტირილში“, ალბათ, თავნმინდა ხალხური პოეზიის იმ ნაცად და, ამასთან, რამდენადმე უცნაურ ნაირსახეობასაც გულისხმობდა, „ხმითნატირალთა“ სახელწოდებით რომ იცნობს მუხლადი მხატვრული სიტყვის ზეგარდმო მადლს ნაზიარები ქართველი მკითხველი...

მთას იქით სავსე, სრული, თითბრისფერი მთვარე ამოდიოდა, ხოლო „აქით“, სადაც პოეტი შეჰყუჟვოდა ღამის სველ კალთას, ნისლი ნვებოდა და **„უხილავად ჰქმნიდა ქვეყანას ხილულიანს“.**

**„ნინანდებულად მკვდარ“**, ვაების გრიგალებში გამონატანჯ გულს გაუნელებელი ცეცხლი ედებოდა, თმა-წვერში ჭაღარა ხშირდებოდა, მატულობდა, „ტიალი წუთისოფელი“ თავის გზას მიუყვებოდა, ბევრდებოდა **„საცხოვრებისო ნუხილი“** და მაინც „მღეროდა“...

მიენდობოდა და... ჩატყდებოდა ხიდი (ბენვისა – ნყდებოდა); **„ერთხელც იქნება, მოვკვდები, მივებარები მინასაო“**, – ინუგეშებდა შხამიანი, შეუბრალებელი ცხოვრებისგან უმონყალოდ ნაგვემ თავს და სევდის **„ბჟღალით“** შეპყრობილი ხსნის **იმედს „ყელმოღერებული იის“** თანხლებით კარსმომდგარი გაზაფხულის ნახვაზე ამყარებდა...

გაზაფხულდებოდა და ბექ-ბუქში თოვლი დადნებოდა, ჩამოშრებოდნენ და შავად დაჩნდებოდნენ მთები; სამოთხესავით **„ველიან-ქალიანებს“** ჩადუნა და თიკნისყურა მოედებოდა; გაიხსნებოდნენ საპირიქითო გზები და ნვიმით ჩარეცხილ, ჩამუქებულ საფლავის ქვაზე სავარცხლიანი ოფოფა **„მოჯდებოდა“**...

სოფლისგან ხელნაკრავსა და დავინყებულს აღარც სატრფოს ერთგულების უნინდელი იმედი ჰქონდა. ძველებურად აღარ მზეობდნენ მისი **„ფოფინა“** თვალები. თუ ადრე **„მოვკვდე შენ დაუტირებლად, თუ შევადარო მზესთანაო“**, – ეფიცებოდა, ახლა **„არ დაინდობა დიაცი, მინყივ ორპირი, ფლიდიაო“**, – ნერდა... გაღმა-გამოღმა მყოფებს, ლუკას და მოლოდინაანთ სალომეს, შუა ავად ალრენილი, **„სატიალე“** მდინარე ჩაუდიოდათ და მოუთმინარი ფიქრით დასეტყვილი პოეტი ნუგეშსა და შვებას შორით ცქერაშიღა ჰპოვებდა.

ამასაც აიტანდა.

ცხოვრებამ ასნავლა განსაცდელში გაძლება.

დათმობდა სოფლის ყოველგვარ სიამეს (ანკი რა ებადა დასაკარგი და დასათმობი!), ოღონდაც **„ციდამ“** ნასმენი უხილავის ხმა არ შენყვეტილიყო, მოყამყამე არწივი არ შემონყრომოდა და მის მარჯვენა მხარზე ჯდომა არ მოეშალა...

თავის დარდიან, ვარმიან, სიმწრით და ნუხილით გაჭექილ, სენ-სამსალით გალიცლიცებულ „სიმღერებში“ – **„სულიერი მოძრაობის მეტყველებით ფორმაში“** (გრიგოლ კიკნაძე) – ერთურთთან ათავსებდა მინიერი ცხოვრების უხანობის განცდას და უმჯობესი მომავლისთვის ბრძოლის ჟინიან სურვილს; პირადი ბედნიერების დათმობისთვის ყოველწამიერ მზაობას და ქვეყნის საკეთილდღეო ფიქრს; ბილწთან ზავით შეუკვრელობის მაღალ შეგნებას და ნატვრას ამ ცოდვილ მინაზე ღრუბელთ გულ-მკერდის მონაჟურ ნვიმად მოსვლისას...

გაჩქარებული ნისლებიც, პოეტის დარად, **„მღერით“** მიდიოდნენ ვიწრო, სულნუხ ხევზე, ხოლო ცაზე მოყვავილე ქათქათა ღრუბელნი **„მზის სხივებს ჰსვამდნენ დილითა“...** „მღეროდნენ“ მთანი მაღალნი (გულში ამირანიც მღეროდა!); „მღეროდნენ“ ცელის ფხის ანანერი ქუჩი და ბუერიანში დასაშრობად განწირული გემრიელი ნყარო...

ტან-ფეხთ არაფერი ემოსა, „დედიშობილა“ დაიარებოდა და მაინც მთლად მას ეკუთვნოდა ქვეყანა, **„მთაში — მთა, ბარად – ბარია...“** მინის მჩხვერავ ნაიალალარ ხარს ჰგავდა და **„ნუ მოხვალ, მინას ეფარეო“**, – აფრთხილებდა ტურფა, ჯანსუსტ იას. შავი ღრუბელი დასნოლოდა და ნუხდა, ბორგავდა, ხმაგაბმით ბუბუნებდა. **„დამსეტყვეო“**, – ემუდარებოდა საავდროდ ნარბშეკრულ ცას და თავისი **„კაცობის გვირგვინის“** – ჭილყვავთაგან შეჭირვებული სამშობლოს – გასაგონად „მღეროდა“: **„კარგი მაქვს ნუთისოფელი, კაი დროს დავიბადია“.**

„ემღერებოდა“ და „მღეროდა“.

გულს დაჩნეული სამი პირშეუკრავი იარა (ნარსული, ანმყო და მომავალი) „სიმღერაში“ ხელს ვერ უშლიდა.

მალიმალ გაურბოდა, ებინდებოდა და მტყუვნობდა ბედი; კბენდა მოდიდებული ვარამი... მაინც „მღეროდა“.

შორი გზიდან „ცეცხლა“ ცხენით შინისკენ მიმავალი გამოციებულ მინურში ობლად დარჩენილ ბალღებზე ფიქრობდა; ჩქარობდა, გული მათი სიბრალულით ესერებოდა, ეხლიჩებოდა და ისევ „მღეროდა“.

ხანდახან დაიჩივლებდა, **„ჩონგურს სიმები დამინყდა, მღერა მნადიან აღარაო“**, მაგრამ გულით და გონებით ბაჯაღლო ოქროს ზოდების მზიდავს არ ჰქონდა უფლება, პირადი საეროვნოზე ნინ დაეყენებინა და ჟამიერი განნყობილება ყოველდღიური ცხოვრების ნარმმართველ ნესად ექცია.

**„მტირალის სტვირის პატრონი“** მალულად მავნე, უჩინარ, უსახელო მეტოქეს უტევდა, ეპაექრებოდა; ნაყროვან, ბედის ნებიერ, **„შეუნონარი სირეგვნით“** გათავხედებულ „მამულიშვილებთან“ დავობდა და საკუთარი ნიჭის, პიროვნული ღირსებისა და ავკარგის გამრჩევი მერმისის მოიმედე სიამაყით ნაფერი ნიშნისგებით აცხადებდა: **„მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვსდგევართ ღმერთთანა...“**

მღეროდა ვაჟა; მღეროდა ნაღვლიანად და რნმენა იმისა, რომ **„კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“**, მარტვილურ მხნეობას მატებდა... უცოდველი ჩვილის ცრემლივით ნრფელი და საკირესავით მნვავე, ნატანჯი და **„ნაღვლით ნაქარგი“**, სიმნარენაჭარბი და მნუხარე იყო ვაჟა-ფშაველას ხანმოკლე ცხოვრება.

ასეთია მისი „სიმღერებიც“.

* * *

ვაჟა-ფშაველას დაბადებაში, ისევე, როგორც მის აღმატებულ ნიჭიერებასა და უაღრესად შედეგიან შემოქმედებით შრომაში, ღვთის ხელი, ღვთის ნება ერია. ნიშანდობლივია თუნდაც ის, რომ ახალშობილს თმა თვალებს უფარავდა... უჩვეულო ინსიგნიებით დაბადებულთ „ნანილიანებს" ეძახოდნენ მთაში. მათ რიგითი ადამიანებისგან ზედატანის რომელიმე ნაწილზე (მხარ-ბეჭი, თავის არე, გულ-მკერდი...) „ამოტვიფრული" მზის, მთვარის, თხილის გულისა თუ ვარსკვლავის გამოსახულება გამოარჩევდათ; ასევე, ჭარბთმიანობა... გამჩენი თავის რჩეულს ქველი საქმეებისთვის ამზადებდა და თუკი ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა ცით დაკისრებული მოვალეობის ზიდვას ანდა თავისი განსხვავებულობის, ცხებულობის საიდუმლოდ შენახვას, გულსაკლავად მალე, ერთობ ნაადრევად ილუპებოდა...

ეთერ თათარაიძის წიგნში „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი" გულქან რაზიკაშვილი იტყვის: **„ნანილიანი ყოფილა პაპაჩემი პავლე. ჩემი ბალღიც ნანილიანი იყო, ორის წლისა მამიკვდა... პერანგიანი დაიბადა... ეგრეც ეტყობოდა, კოხტა მასკვლავი ეჯდა სანვერის ზემოთა... ის პერანგი გადავაგდე და იმიტომაც მალე დამეღუპა... არ უნდა გადამეგდო... ნანილიანი საუკეთესოა. ეგა ყოფილა ადამიანის ბედნიერობა ცხოვრებაში... პაპაჩემზე ამბობდნენ, კარგა მიუდიოდა ცხოვრებაო, არც ერთი შვილის სიკვდილს არ შეესწრაო. იმის სახლში სუ ქორწილი და ლხინი იყოო, იმათ ჯაჭვზეით სახინკლე ქვაბი არ ჩამაიხდებოდაო... მამა იტყოდა: ნანილი დაბადებით დაჰყვება კაცსაო, სინამდვილე არიო... მამაი იქნებოდა ღვთის ნანილიანი, იქნებოდა, იმას სხვანაირი ეტლი ედო, სხვანაირი..."**



ვაჟა-ფშაველა

არ უნდა იყოს სწორი ვაჟას ბიოგრაფიიდან მისტიკის ელემენტების გამორიცხვა, პირწმინდად ამოშლა და უგულებელყოფა. ფაქტობრივი, თვალხილული დადასტურებაც რომ არ ყოფილიყო, თვით ხალხი, თანამედროვენი თუ შთამომავლობა შექმნიდა მისი სახელის ირგვლივ ზღაპრულ-ფანტასტიკური დეტალებით ჭარბად თუ ზომიერად გაჯერებულ დაუჯერებელ ამბებს, ცნობისწადილის აღმძვრელ სიუჟეტებს.

თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ვაჟას მცნობთა, მომსწრეთა თუ სულაც თანამეინახეთა მოგონებებში არაფერია ისეთი, მყარი ნიადაგი რომ არ მოეძევებოდეს, რეალობით არ იყოს პირობადებული და შემაგრებული, სინამდვილე და თუნდაც რუტინული ცხოვრებისეული მოვლენები რომ არ ედოს საფანლად...

დაბადებითვე სხვაგვარი, არაორდინარული მომავალი უმისნეს და თუ როგორ ახდა და აცხადდა მთიელ „წინასწარმეტყველთა" ნათქვამი, მოწმეა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი წიგნიერი, კულტურული კაცობრიობა...

ვაჟა-ფშაველა დაიბადა 1861 წლის 14 ივლისს (ავტობიოგრაფიაში თვითონ 1862 წლის 15 მაისს ასახელებს!), ჩარგალში, ფშავის ერთ ყურ, გაღმა-გამოღმა მთების კალთებზე გაშენებულ უმშვენიერეს სოფელში.

ჩარგალი იმ დროს ფშავის მეთორმეტე თემს შეადგენდა (ასეა მითითებული ერეკლე მეფის 1819 წლის განაჩენის სიგელში) და, ფშავისხევის სხვა სოფლებთან შედარებით, გვიან განაშენიანდა.

ზეპირი თუ წერილობითი ცნობები რაზიკაშვილების პირველწინაპრად სოფელ სნოში (სტეფანწმინდის რაიონი) ოდითგან მოსახლე ღუდუშაურების ძველთუძველეს გვარს იხსენიებენ. ჩარგალში მისვლამდე და დამკვიდრებამდე ვაჟას (სავარაუდო) წინაპრებს ცაბაურთის თემი, აფხუშო და ლიშო გამოუვლიათ და საბოლოოდ აქ, როგორც ერთ ხალხურ ლექშია ნათქვამი, **„აბრეშუმის საბლით მოზომილ ცოტინა"** ჩარგალში დასახლებულან.

გვარ-მოდგმის ლიბუს დამდები წინაპრების ხსოვნას ყოველთვის განსაკუთრებული კდემით, კრძალვით და პატივისცემით ინახავდნენ ფშავ-ხევსურეთში. დროთა დინებაში გაცრეცილ, დანაკლულებულ გადმოცემებში ცოცხლობდნენ „პიროფლიანთა" გვერდით ხსენების ღირს ამაგდარ წინაპართა შთამბეჭდავი სილუეტები.

ვაჟა-ფშაველას „გამარტივებული" გენეალოგია ამგვარად გამოიყურება: რაზიკა-ქუმსი-იმედა-ბერო-გივი-პავლე-ლუკა.

პოეტს დიდად ეამაყებოდა საკუთარი მამულ-წყლის მცველ თავის წინაპართა სახელები და სიყრმითვე გულდაგულ ისმენდა და იმახსოვრებდა მათი მხნეობისა და ვაჟკაცობის ამსახველ ზეპირ ამბებს.

გენეალოგიურ ხაზში რიგით მესამეს – იმედა რაზიკაშვილს – მიეწერება სიტყვები, რითიც მას (ალბათ, რაღაცის გამო განაწყენებულსა და უკმაყოფილოს) მეფე ერეკლესთვის მიუმართავს: **„ორი შენ მიბრძანე, ბატონო, მესამე კი ჩემი გაიგონეო!"**

როგორც ჩანს, არასდროს ყოფილა მიზანშეუწონელი, თვით მეფეთათვისაც კი შეეხსენებინათ სოფლის „უბირ" შვილებს ის, რაც ზოგჯერ მათი ფართო, არწივული თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა და რის გაუთვალისწინებლობაც

საზიანო შეიძლება გამომდგარიყო ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის...

თეთრ ცხენზე ამხედრებული იმედა, დევგმირული აღნაგობის და ზავთიანი შესახედაობის **„ფშაველთ უფროსი“**, მრავალგზის იყო ნასახელარი ლეკთა მდევრობაში და მისი დანახვა ფერფლურს აკარგვინებდა და თავზარს სცემდა მთის ბილიკებით ფშავში სადავლოდ და სამეკოპროდ გადმოსულ, ბუნებით მულიდ გადამთიელებს.

ხალხური მელექსეები ვალში ვერ დარჩებოდნენ „მემეტე“ მეომრის მიმართ და აკი ლამპარივით მიუდევნებიათ კიდეც მისი ღირსების საფერი სიტყვები: **„ლიამც დაგხვდება, იმედო, დიდი სამოთხის კარია...“**

კაცთკითხული წინაპრების სიმცირეს ვაჟა ნამდვილად ვერ დაიჩივლებდა. თვითეულზე შეყოვნება შორს წაგვიყვანდა!

მაგრამ უსწორობა (და უმადლობა – უმადურობაც!) იქნება, ვნეროთ ვაჟაზე და თუნდაც ნამით მუხლი არ მოვიხაროთ მისი ღვთივსათნო, ადამიანური სითბოთი და სიკეთით ალსავსე მშობლების წინაშე!

პავლე რაზიკაშვილმა, სულიერების მსახურად დაბადებულმა ფშაველმა კაცმა, სრული ქონებრივი სიბეჩავისა და ირგვლივ გამეფებული გონებრივი განუვითარებლობის პირობებში, სიპ ქვაზე ისწავლა წერა.

(მოგვიანებით პაპის გზის მიმდევრად და გამმეორებლად მოგვევლინება გულქან რაზიკაშვილი, ნახირში ყოფნისას ხელისგულისოდენა ქვაზე რომ კაწრავდა ობლის გულისთქმას და „დაბზიკავებულ“ საქონელს გადევნებული ხშირად კარგავდა თითქოსდა იოლად მისაგნებ ალაგას დადებულ წარწერიან სიპს)...

ფარ-ხმლისა და მშვილდ-ისრის დროინდელ ფხოვში აუგად და უსარგებლო, საეშმაკო საქმედ ითვლებოდა წიგნის ხელში აღება და წერა-კითხვის სწავლა. საგმირო-ჰეროიკული თავგადასავლების სულისკვეთებით აღზრდილი მშობლების უმეტესობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო შვილებისთვის განათლების მიცემისა... პავლესაც უშლიდა მამა, გივი რაზიკაშვილი: თემსა და სოფელს ნუ ღალატობ, „გარუსებას“ თავი დაანებე, გვარი არ მოაყივნოო... და, როცა ვერა გააგონა რა, მოკვლა მოუნდომა, მაგრამ პავლეს არსებაში უკვე გახსნილიყო სულიერების სფეროსკენ სამზერი სარკმელი და როცა მის მონოდებას უმოწყალოდ თრგუნავდა მისსავე ოჯახში შექმნილი უნუგეშო გარემო, იძულებული გახდა, აეკრა გუდა-ნაბადი, დაეკრა ფეხი და თავისუფლების საძებრად კახეთის ერთ-ერთი მონასტრისთვის შეეფარებინა თავი.

მონესეთა შორის განისწავლა, გამოიწრთო, გათვითცნობიერდა სალვთო სჯულის საკითხებში და საფუძვლიანად მომზადებული დაბრუნდა მშობლიურ მთაში... თავდაპირველად მედავითნეობა დაევალა ჩარგალში, შემდგომ შუაფხოსა და მალაროსკარის მთავარდიაკვნად დანიშნეს, ბოლოს კი ისევ ჩარგალში იტვირთა და ატარა მღვდლის საპატიო მისია...

ვაჟა, ხასიათის მხრივ, ყველაზე მეტ და უეჭველ მსგავსებას მაინც ბიძა ბოიგართან ამჟღავნებდა; ბიძასთან, ვისაც სამჯერ ჰქონდა აზარი ათავებული (ე. ი. სამასი წმინდა, ჩლიქიანი ნადირი ჰყავდა მოკლული და, ნიშნად ამისა, თოფი სამჯერ მიწაში დამარხული)...

მიმტევებლობის სანაქებო უნარი დედისგან დაჰყვა.

ბარბარე (გულქან) ფხიკლეშვილი, ძირად გაბიდაური, სოფელ სხლოვნიდან (თიანეთის მაზრა) იყო... სულით, სახით და ტან-ფეხით თანაბრად ლამაზი ქალი, თანამედროვეთა დახასიათებით, უზომოდ გულკეთილი, ობოლ-უპოვართა შემბრალე, თავისიანთა მოსიყვარულე და მშიერთა გამკითხავ-დამპურებელიც ყოფილა. შინაური თუ შორეული სტუმრის ნდომა და სიყვარული რჯულზე უმტკიცეს ჩვევად ჰქონია ქცეული. შორს შენიშნავდა ახუნის მთაზე თავქვე მომავალ მგზავრს, გაეგებებოდა, დახვდებოდა და შინ შეიპატიჟებდა: დაღლილი იქნები, პური გეშიებაო... პავლე მღვდელი ყასიდად ჩაიჯავრებდა: წყალსა და ქარს წაალებინა სახლიო!.. ბარბარეს ზეპირად სცოდნია თავისი კუთხის სიტყვიერება. ფშავში პირველ, ტოლუპოვარ მელექსედ იცნობდნენ მის ღვიძლ ბიძას – პარასკევას. ბარბარეს უქმად მყოფს ვერავინ ნახავდა: ნახირს რომ მომწყემსავდა, მერე წისქვილში საფქვავს წაიღებდა; ქიჭახევაზე წყალზე წასული მალევე გამოჩნდებოდა და ეზო-კარს მიალაგებდა... ზამთრობით საჩეჩელს ჩაუბეჯითდებოდა, მოიმარჯვებდა ჩხირ-წინდას და ქსოვდა გაზაფხულისდრად აყვავილებულ ფეხსამოსს...

ოთხი-ხუთი წლის ლუკა საშუბისა თუ სასოვეთთავის კამკამა ჰაერთან ერთად ირგებდა და ითვისებდა გულისხმიერი მშობლების ზნის უზენაესობას; აკვირდებოდა მათ ფუსფუსს, საქმიანობას; აყურადებდა საუბარს.

პავლეს უყვარდა ძველი, უხსოვარი ჟამის საკარგყმო ამბების მოყოლა.

**„საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყავდი და სწორედ ეს ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ ჩემს შემოქმედებას“**, – იგონებს ვაჟა.

სახიერი კინოკადრის კონკრეტულობით აღბეჭდვოდა მის მეხსიერებას მშობელი დედის ნაამბობი იაკობისებური ცხად-მოჩვენება, სხლოვანის იდუმალი ღამის სუნთქვა და ზე-ბუნებრივი სურათი რომ მოაქვს ჩვენამდე...

...და დედმამიშვილები – მართა, გიორგი, ნიკო (ბაჩანა), თედო და სანდრო (ალექსანდრე) – მეტ-ნაკლებად რომ გრძნობდნენ ვაჟას სიდიადეს, შეუცნობლობის ნისლში გამომკრთალ დიდ მომავალს და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ დასაშვებ ზღვარს არ გადასულიყვნენ მასთან კამათსა თუ ხუმრობა-თავშექცევის ნანატრ წუთებში.

მათი მიმოწერა თუ უშუალო ურთიერთობა ერთობ მიმზიდველი და საინტერესო „მასალაა“ ერთი ტანადი წიგნისა, რომელიც, იმედი ვიქონიოთ, ოდესმე აუცილებლად დაიწერება!..

* * *

წიგნის სიყვარული, უეჭველია, ადრეულ სიყმაწვილეშივე აჰყვა ლუკას, რაც, შეუძლებელია ვერ შეემჩნია პავლე მღვდელს და სერიოზულად არ ეფიქრა შვილისთვის ხელის შეწყობაზე.

პავლე რაზიკაშვილი ხედავდა, რომ მთიელთა ბუნებითი, თანდაყოლილი შემოქმედებითი ნიჭი ხშირ შემთხვევაში უგეზოდ იფლანგებოდა, უკვალოდ იკარგებოდა და, თუკი ამ ნიჭს განათლებაც არ ნაეშველებოდა, წრთობა და ვარჯიში მოაკლდებოდა, კედელზე უქმად დაკიდებული ფრანგულივით დაჩლუნგდებოდა და დაჩოლფოტდებოდა...

ოჯახის რჩენა-შენახვის ფილფო გააჩნდა, სარჩო-საბადებელი, ავად თუ კარგად, მოეძევებოდა, ღვთის შეწევნით ტანთჩაუცმელი არავინ ჰყავდა და გადაწყვიტა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიებარებინა ლუკა.

რვა წლისა იყო მომავალი „მთის არწივი“, როცა მამამ ცხენზე შემოისვა, მთები გადაატარა, ალაზნის ჭალა-ველები აჩვენა და თელავში ჩაიყვანა...

ექვს წელიწადს მოუნია ლუკა რაზიკაშვილს თელავში სწავლა.

სასულიერო სასწავლებლის ცივი, ყოვლად უსახური, უინტერესო, არაჰუმანური გარემო, სწავლის მონოტონური რიტმი და სხვა ამდაგვარნი ახლოსაც არ ეკარებოდა სრულიად გამორჩეული ხედვისა და მიდრეკილებათა მქონე ყმაწვილის შინაგან მოწოდებას, სულსა და ინტერესთა სფეროს. თვითონვე აღნიშნავდა (რა თქმა უნდა, დანანებით), რომ სასწავლებელში ყოფნამ ბევრი ვერაფერი არგო მის გულსა და გონებას...

რატომღაც „რაზიკოვად" იწერებოდა და არა „რაზიკაშვილად".

მოსწონდა საკუთარი გვარის უცხო, არაქართული ჟღერადობა.

თავის პირველ კორესპონდენციებსაც „რაზიკოვის" ხელმოწერით აქვეყნებდა...

ხასიათდებოდა სიჯიუტით და შეუპოვრობით. ჰქონდა უჩვეულო ფიზიკური ძალ-ღონე; თავისუფალი დროის დიდ ნაწილს კრივსა და ჭიდაობას ანდომებდა; ყველას ჯაბნიდა. მისი მომრევი არავინ იყო.

ლუკასთვის ადგილიც კი ვერ გამოინახა იმ საკლასო ოთახში, სადაც მეცადინეობები ტარდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა — მთელი ორი წელი ჩამქრალ ბუხარში იჯდა და მტკიცედ მოზღუდული ადევნებდა თვალყურს სწავლა-განათლების ერთფეროვან, მოსაბეზრებელ პროცესს.

ბედმა ამ ღიმილისმომგვრელი ყოფითი ნიშნითაც განასხვავა და გამოარჩია თანატოლებისაგან!..

ათი წლის ლუკა, მოგონებათა ავტორების გადმოცემით, უკვე შეყვარებული იყო. გულისნადებს ვერავის უმხელდა. შორით ნვა-დაგვაში გადიოდა ნისლის ნაფლეთივით და ყვავილის ნაფერთალივით ეფემერული, მღელვარე და ფორიაქი დღეები. ვერ ბედავდა რჩეულთან მიახლოებას და მტანჯველი გრძნობის გამხელას. თავმოყვარეობა ბოჭავდა... ახლოვდებოდა ჟამი თელავთან დამშვიდობებისა და, ალბათ, ერთადერთი, რის გამოც ეძნელებოდა იქიდან წასვლა, ცალმხრივი და ისიც გაუმხელელი სიყვარულის სახმილთან პირისპირ დარჩენა იყო...

1877 წელს თბილისის სამოქალაქო სასწავლებელში შევიდა. ამ დროისათვის „ვეფხისტყაოსნის" არაერთი თავი თუ ეპიზოდი ზეპირად იცოდა.

ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში, ელისაბედის ქუჩაზე, სოლომონ ლაშაურთან, ანდრიაშვილთან და დ. ქადაგიძესთან ერთად.

თავის დაუდეგრობას, ცელქობასა და მოუსვენრობას ვერც აქ ელეოდა, რის გამოც აღმზრდელ-მასწავლებელთა შენიშვნებსა და გულისწყრომას იმსახურებდა. უყვარდა ამპარტავანი, სოციალური სტატუსით ჩვეულებრივი ოჯახის შვილებზე მაღლა მდგომი და ამით გათამამებული ტოლ-სწორების გამოწვევა და აბუჩად აგდება. ვერ ურიგდებოდა უსამართლობას... ჭროლა თუთის სიყვარულის გამო მუშტაიდის ბაღის დარაჯებმა **„ჭროლა ფშაველი"** შეარქვეს. რალაცით შვენოდა კიდეც ეს კეთილხმოვანი თიკუნი. ყოველ შემთხვევაში, არ სწყინდა...

ლუკასთვის არც თბილისში ყოფნა-სწავლის წლებს მოუციათ მნიშვნელოვანი რამ. აქაც გრძელდებოდა უშინაარსო გაკვეთილებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მუშტიკრივსა და ამხანაგებთან „განყენებულ" თემებზე საუბარში გაცილებით მეტი დრო იხარჯებოდა, ვიდრე მეცადინეობაში. ელტვოდა იმას, რაც მის სულს სწყუროდა, ავსებდა და აკმაყოფილებდა... საპირისპირო მიმართულებით მიდიოდნენ ლუკა რაზიკაშვილი და განათლების იმდროინდელი სისტემა.ამიტომაც იყო, რომ ძლივს ეღირსა სასწავლებლის ატესტატს.

ყველაზე კარგი და დაუვიწყარი რამ, რაც ამ ხანიდან შემორჩა მის მეხსიერებას, სასწავლებლის ამხანაგთან, ვინმე ანდრიევთან ერთად ანტონ ფურცელაძესთან სტუმრობა გახლდათ. მხცოვანმა მწერალმა თბილად მიიღო ცნობისმოყვარე ჭაბუკები. ლუკამ მორიდებით მიართვა და დაუტოვა რვეული, რომელშიც მისი თხუთმეტიოდე ლექსი იყო მოთავსებული. რვეულის ყდას ეწერა: **„ლექსები, შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა"**... მომდევნო შეხვედრა კიდევ უფრო მღელვარე და ემოციური გამოდგა დამწყები პოეტისათვის: გამოცდილმა მესიტყვემ მოუწონა ნაკალმევი და წარმატებები უსურვა...

შემდეგ – გორის საოსტატო სემინარია.

სემინარიის დირექტორი სემიონოვი – ლუკას პოეტური ნიჭის ერთ-ერთი პირველი დამნახავი და დამფასებელი; კეთილშობილი და უაღრესად ყურადღებიანი პიროვნება, შვილივით რომ ეთვისებოდა ახალგაზრდა ფშაველი. მისთვის არსებითი იყო მოსწავლის არა ეროვნება, მოდგმა და სადაურობა, არამედ ღირსება, გულმოდგინება და მეხსიერება... დღესაც კი რაღაცნაირი ნიშანდობლივობით ისმის და ხმიანობს ლუკას მისამართით მისი ნათქვამი: **„Высшая поэтическая натура!.."**

გორში ლუკა გაორმაგებული ინტერესით ჩაუჯდა და ჩაუღრმავდა საზღვარგარეთელ ავტორთა წიგნებს. სემინარიის მთელი ბიბლიოთეკა გადაკითხული ჰქონდა. გულისყურით დაამუშავა და შეისწავლა სოკრატეს, პლატონის, ეპიკურეს, კანტის, ბეკონის, სპენსერის, ჰომეროსის, დანტეს, ვერგილიუსის, შექსპირის, ბაირონისა და სხვათა ნაშრომები და საპროგრამო ნაწარმოებები.

მონაწილეობდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის მომზადებაში; იყო გორის ხალხოსანთა აქტიური წევრი; დაწერა რეფერატები დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე; საჩინო წვლილი შეიტანა გლეხი მგოსნის — იოსებ დავითაშვილის მხარდამჭერი საღამოს გამართვაში...

...

მოახლოვდებოდა არდადეგები და გულში მთების ჩქერო ჩაუდგებოდა.

ჩარგალში მიელოდა გრილი ჭიჭახევა და **„კალმახიანი წყალი"**, **„სვიით გაბმული"** მურყნიანი და სარაყდრის გორი, დედის მოხვეული ხინკალი და მამის გამართული ცელი, სწორებთან თამაში და ქედნებზე ნადირობა, მდინარეში ბანაობა და „ვეფხისტყაოსნის" გმირთა მიბაძვით ძმა-ბიძაშვილებსა და სხვა თანასოფლელებთან ერთად „ქაჯეთის ციხის" ანუ სულა-კურდღელათ სიმაგრის იერიშით „აღება"...

...

მთავრდებოდა სიჭაბუკის განუმეორებელი, ხალისიანი ხანა და იწყებოდა ახალი, საზრუნავით აღსავსე ეტაპი ლუკა რაზიკაშვილის ცხოვრებაში...

სამსახურში მოწყობა ადვილი არ იყო.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე) მხარდაჭერით ლუკა რაზიკაშვილი მასწავლებლად განამწესეს ტოლათსოფელში, ერწოთიანეთის მხარის მაშინ ერთადერთ ამტნისხევის სკოლაში.

თან ჰყავდა თედოც — უმცროსი ძმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკას სამსახურებრივ გზას იმთავითვე საჩივრები, ინტრიგები და დავიდარაბა დაებედა... ესარჩლებოდა და ქომაგობდა ღალის ამღები თავადებისგან შელონებულ ხალხს; კაიხანს გასტანა დავამ და სამართლის ძიებამ მღვდელ ალნიაშვილთან სკოლის მომიჯნავე ღობის გამო...

„მოურჯულებელი", უმსგავსობისა და უკეთურების მგმობი მასწავლებელი მალე სკოლიდან დაითხოვეს.

არსებული სინამდვილე დაუნდობლად ზღუდავდა, მტრობდა და სულიერი თუ გონებრივი „რესურსის" სრულფასოვანი გამჟღავნების საშუალებას არ აძლევდა (პოეტური შემოქმედების მადლთან ზიარების პირველივე წლებიდან აედევნა ტკივილი, შემდგომ ამგვარ პწკარებად რომ გარდაისახა და გამარადიულდა: **„ფრთებს მიკვეცს ალმაფრენასა ამბავი ყოველდღიური...“**).

ვრცელი ასპარეზის მიგნებაზე ფიქრში მკაცრი და უშეღავათო რეალობის ცივ, ცრიატ კედლებს აწყდებოდა...

უფროსი ძმა გიორგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

თვითონაც იქ გამგზავრება ჰქონდა გუმანში.

და აი, ლეგენდარული მოჭიდავის კულა გლდანელის უანგარო თანადგომით რუსეთში წასვლა მოახერხა...

არც პეტერბურგში დახვედრია მაინცდამაინც ნაოცნებარი, ცოდნის შეძენა-გაღრმავებისთვის ხელსაყრელი გარემო.

ვინაიდან გიმნაზია არ დაემთავრებინა, პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად მიიღეს. გაიარა იურისპრუდენციის კურსი, რაც შემდგომ დიდად ეხმარებოდა მთის ადათ-წესებისთვის მიესადაგებინა მართლმსაჯულება და კანონები ხალხის სასარგებლოდ გამოეყენებინა...

მუდმივი უსახსრობა და ლუკმა-პურის მოპოვებაზე წუხილი მთელი იქ ყოფნის განმავლობაში არ მოშორებია; უთანაბრო ჩხუბშიც ჩაბმულა და ძმასთან ერთად რიცხვით ათჯერ მეტ მოწინააღმდეგესთან მარჯვედ მორკინალს განუცვიფრებია ამ ამბის თვითმხილველნი...

1884 წლის შემოდგომაზე ლუკა (დიმიტრი ცისკარიშვილის მიერ უკვე ვაჟა-ფშაველად მონათლული) უკიდურესი გაჭირვების გამო სამშობლოში გამოემგზავრა.

ბედად სოფელ ოთარშენში გამოჩნდა შინამასწავლებლის ადგილი და ვაჟასაც ბევრი აღარ უყოყმანია: ადგა და ოთარ ამილახვრის ვაჟიშვილის აღზრდა-განათლებას მოჰკიდა ხელი...

აქ გაიცნო და მალე თავისად იგულვა ამილახვრის უკანონო შვილი კეკე (ეკატერინე) ნებიერიძე... ჩარგალში შეუთვალა და პავლემ ათამდე ცხენოსანი ფშაველი დაახვედრა მცხეთაში. თედო და ბაჩანაც, ბუნებრივია, მაყარში იყვნენ. არაგვის ხეობა ლალი საქორწილო ძახილ-ხმაურით და ცხენების ჯირითით ავლეს... არც ავყია მოქეიფეთა ქილიკი და შარი მოჰკლებიათ, რის გამოც ვაჟას ხანჯალს ერთ-ერთის ყური შეეწირა ხინვა თურმანაულის დუქანში...

**„დიდი ქვეყნიდან“ იგი წინასწარი განზრახვით ბრუნდება ფშავში. იგი უბრუნდება თავის სოფელს, ხატებსა და სალოცავებს, როგორც აღთქმულ ქვეყანას, რადგან „ფშავი“ მისთვის სამშობლოს თბილი და პოხიერი დედა-მიწა, ამქვეყნიური სავთსაყუდელი ანუ „ყოფიერების სახლია“, ის „შინა“, რომელიც მას ეშინავება“** (თამაზ ჩხენკელი)...

დაიწყო ვაჟას ცხოვრების „მდგრადი", საზრუნავმომატებული მონაკვეთი. კეკესთან ერთი ვაჟი (ლევანი) და სამი ასული (მარიამი, თამარი, გულქანი) შეეძინა...

ტანად მომცრო, ჯანსუსტ კეკეს ქმარ-შვილის სიყვარული და ერთგულება აძლებინებდა მთის მკაცრ, ურთულეს პირობებში...

და ვიდრე საბოლოოდ **„შაეხიზნებოდეს“** ჩაბნელებულ ხევებს და **„ფერცხალა“** გორებს, **„თალხკაბა“** იას და უფსკრულის პირას მბზინავ პირიმზეს, **„ენკენისთვიურ“** ნისლებს და **„ცის პირთ მავალ“** არწივებს, ვაჟას ოჯახობით მოუწევს გამგზავრება დიდთონეთში. ორ წელიწადს გასტანს მისი მასწავლებლობა და დაპირისპირება თვითმპყრობელობის ჩინოვნიკებთან, ხუცებთან, ბოქაულთან, მამასახლისთან... არც აქ დაუძვირებენ საჩივრებს, ბრალდებებსა და უსაფუძვლო ცილისწამებებს... დიდ დროს შეალევს შვილთა და მშობელთა ურთიერთობის „დალაგებას". მოძღვრებასაც დაწერს ამ საკითხზე... მაგრამ დიდთონეთში მოღვაწეობის ფინალიც კარგად ნაცნობი და უცვლელია. მიუხედავად ორასამდე ადგილობრივი მცხოვრების გამოქომაგებისა, პედაგოგიურ საქმიანობას ჩამოაცილებენ, რაც სიცოცხლის მიწურულამდე ტკივილიან მოგონებად გაჰყვება.

1902 წლის დეკემბერში, მაშინ, როცა ვაჟა ყვარელში თავის და-სიძეს, მართასა და მეტეს, სტუმრობდა, ჩარგალში მოულოდნელად გარდაიცვალა კეკე. მეხუთე შვილზე ორსულად მყოფმა მძიმე ტვირთი ასწია, რაც მისთვის ფატალური შედეგით დასრულდა... დისწულთან ერთად ყვარლის ტყეებში შვლებზე სანადიროდ ყოფნისას შეიტყო ვაჟამ მეუღლის დაკარგვა. მეორე დღეს დის თანხლებით დაადგა თოვლყინულიან საჩარგლო გზას... უდედო შინაში აბოჟირებული ბალღები დახვდნენ... კედლიდან ფანდური ჩამოიღო (სოფელ-მეზობლობამ დარდი არ შემატყოსო!), სიმებს ჩამოჰკრა და ლექსად ამოთქვა კიდევ ერთი ტკივილიანი „სიმღერა" – შედევრი: „იას უთხარით ტურფასა..."

გავიდა ორი წელი და ხორხიდან თამარ დიდებაშვილი შეირთო ცოლად.

1904 წლის 2 თიბათვით დათარიღებულ სანდროს საპასუხო წერილში ვაჟა ამგვარად ხსნის და ასაბუთებს თავისი არცთუ იოლი ნაბიჯის სისწორესა და ერთადერთობას: **„შენი წერილი ნიკოსთან გამოგზავნილი წავიკითხე და ყოველივე ვცან, მას შინა სიბრძნე რაიცა იყო. თქვენ, ჩემო ძმებო, მართალია, გწყინსთ ჩემი „გაჯეილება“, მაგრამ ტყუილად: არ იცით საქმის ვითარება და იმიტომ მამტყუვნებთ, ადვილი გგონიათ სახლის გაოხრება და ბალღების დაწიოკება; არ გამოგიცდიათ და იმიტომ, ღმერთმა ნურც გამოგაცდევინოსთ. არ არის ადვილი ასატანი და მოსათმენი, სხვათა იქით, რომ ძაღლიც გამეზობლებული დადიოდეს ყმუილით და სახლში კატებიც აღარა დგებოდენ. აი, ამ გარემოებამ დამატანა ძალა და შემართევინა დედაკაცი...“**

1905 წლის ოქტომბერში თამარისგან კიდევ ერთი ვაჟი (ვახტანგი) ეყოლა.

ვაჟას ცხოვრების უსიხარულო (გამონაკლისად ჩაითვლება გენიით გასხივოსნებული შემოქმედებითი შთაგონების უიდუმალესი წუთები) თარიღთა შორის ალბათ ყველაზე ქუფრი და თალხიანი იყო 1890 წელი, როცა, ერთურთის მიყოლებით, სექტემბერსა და ოქტომბერში, მშობლები მიწას მიაბარა. ყრუდ დაიხურა სამოთხის კარი და მამაპაპეული სახლის – **„განდეგილის სენაკის“** (სიმონ ჩიქოვანი) – მოვლისა და გაძღოლის მთელი სიმძიმე ვაჟას დააწვა მხრებზე...

**„ბიბლიური იაკობის შვილებივით დაიქსაქსნენ პავლე რაზიკაშვილის ოჯახის წევრები“** (დიმიტრი ბენაშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი

# შოთა რუსთაველი

ვაჟა ჩარგალში დარჩა, დასაყდრდა და გარეგნულად არც არაფრით განირჩეოდა დღედალამ ჯაფა-ჯაჯანში მყოფი ტიპური ფშავლებისაგან.

სამი „ჯიშიანი" ხმალი ჰქონდა: ფრანგული, გორდა და ქაჯისთმიანი; ჰყავდა ხარ-მოზვრები: ყვარელა, ღილა, ღვინია და ნიჟარა; ცხენები: ცეცხლა და ნიკორი; დიდად სანაქებო მეურნე არ ყოფილა, მაგრამ ერთი კაცის კვალობაზე არ ავად ართმევდა თავს გუთნისდედობასა თუ სათიბსამკალს; ეხერხებოდა ნიჩბების, უღლების, ტაბიკების, ნალდისა და ცულის ტარების, მარხილის გამოთლა და გამართვა; ეზოში რგავდა და ახარებდა ვაშლს, მსხალს, ბალს, კაკალს (მისი ნახელარი ხეხილის ნაწილი დღემდე მსხმოიარობს ჩარგალში); ჰყავდა მეზობლები (ოსა და ხეხერა ზურაბაშვილები, ღვთისო და მიხა მთიბელაშვილები, ბესო პირქუშაშვილი...), ზეპირად რომ იცოდნენ მისი ლექსები და პოემები...

1892 წელს „ბედნიერით" (ციმბირის წყლული) დაავადებული მნარიას ხარის ხორცის „წყალობით" ცალი თვალი დაკარგა. თვენახევარს ინვა ლოგინში, მერე თბილისში ჩავიდა, ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ უშედეგოდ. ამ სამწუხარო შემთხვევამ მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი დააკლო მის ულურსა და ეტლიანობას (ეთერ თათარაიძესთან საუბარში გულქან რაზიკაშვილი აღნიშნავს: **„თვალი ჰქონდა გადმობრუნებული. ეტლი ჰქონდა, ილეთი, სხვა მასკვლავზე იყო დაბადებული, ლაზათი ჰქონდა, შნო. ის ცოტათი ნითლად გადმობრუნებული უპე არას უშლიდა, სიბნელეში სხივები ედგა მამასა..."**).

პირველობას კვლავ არავის უთმობდა მიზანში სროლასა თუ ნადირობაში...

ვაჟა-ფშაველა არასდროს შემოფარგლულა მხოლოდ პირადი ყოფითი და შემოქმედებითი ინტერესებით. გონივრულ ნაბიჯებზე დამყარებული საზოგადოებრივი საქმიანობა გახლდათ მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო. ვაჟას უშუალო ინიციატივით მოხდა ფშავლების მასობრივი ჩასახლება შირაქში; დიდი დრო და ენერგია შეალია სამკურნალო (მჟავე) წყლის კეთილმოწყობის საქმეს. და ამ ორივე ამბის გამო საკმაოდ მწვავე შეხლა-შემოხლის, დავისა და უსიამოვნების გადატანა მოუნია... არ ეპუებოდა გულღორღიანთა, თავის ჯამში მაცქერალ ავზნიან მიწრიელთა გამუდმებულ სისინს, თავხედურ გამოხდომებს და ყოველ ღონეს მიმართავდა ჭაპანწყვეტით და უსამართლობით გასავათებულ თანამიწანყლელთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

1898 წელს მალაროსკარის საზოგადოებამ მამასახლისად აირჩია, ხოლო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში ლაშარისჯვრის საბჭეო სკამზე დასვეს და ფშავისხევის თავხევისბრად დაასახელეს.

რუსეთის კოლონიური რეჟიმისაგან გათავისუფლებაზე ფიქრი ქვეყნის მომავალს ნათელ ფერებში წარმოადგენინებდა და დაჟინებით ცდილობდა ფშავლებისა და ხევსურების დარწმუნებას ბრძოლის გზით ბედის ძიებისა და შეცვლის აუცილებლობაში.

რევოლუციური აღმავლობით აღინიშნა 1905-1907 წლები.

საგანგებოდ შემუშავებული გეგმით, ფშავიდან და ხევსურეთიდან თამარ დედოფლის და ხახმატის ჯვრის დროშებით ათას-ათასი შეიარაღებული მეომარი დაიძვრებოდა, ორწყალში გაერთიანდებოდნენ, ვაჟას წინამძღოლობით არაგვის ხეობას დაღმა დაუყვებოდნენ, ბარელ მებრძოლებს შეიერთებდნენ, თბილისს აიღებდნენ, დარიალს ჩაკეტავდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებდნენ...

ვაჟას მიერ შედგენილი აჯანყების გეგმის თანახმად, ურჩხულის კლანჭებიდან ქვეყნის გამოხსნისთვის ბრძოლა მთაში უნდა დაწყებულიყო და საქართველოს ამერ-იმერი მოეცვა...

საომრად აღტყინებულ მთიელთა ოცნებას განხორციელება არ ეწერა!

ასეთ ვითარებაში თავის მოვალეობას ასრულებდა ჟანდარმერია.

თიანეთის მაზრის უფროსმა ვაჟას დაჭერა პრისტავ ოზიაშვილს დაავალა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი თქვა.

ძებნილი ვაჟა ორი კვირა ტყეს აფარებდა თავს და საიმედო მცველებად ფშაველთა რჩეული, სანდო შვილები ეგულებოდა...

...

თანამედროვეთაგან შეუცნობლობისა და შესაფერისად დაუფასებლობის სავალალო სენი სევდიან აკომპანემენტად გასდევს ვაჟა-ფშაველას ისედაც უმზეო, ულხინო ცხოვრებას.

ილიას დიდსულოვანმა, საყოველთაოდ ცნობილმა დაფასებამ და აღიარებამ დაუდო სათავე ვაჟას ნააზრევის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის თანდათანობით გაღვივებას, თუმცაღა თვალხილული, რადიკალური ცვლილებები არც ამ აღიარებას მოჰყოლია და **„ბრეშით გამომზირალ"** მთებს შეხიზნული პოეტი ჯიქურ აგრძელებდა გზას, რომელიც ყოვლისშემძლე განგებამ არგუნა.

უსახსრობით უკიდურესად შეჭირვებულს სამდურავის მნარე, უნართაული სიტყვაც დასცდენია და მცირეოდენი ყურადღების მთხოვნელს ფულადი დახმარების თაობაზე განცხადებებითაც მიუმართავს რედაქტორებისა თუ გამომცემლებისათვის...

არ ერიდებოდა ქართველობის საერთო ნაკლის მხილებას, სასიქადულო შვილებისადმი მისი გულცივი, ინდიფერენტული დამოკიდებულების დამღუპველი ხასიათის ხაზგასმას და პირადული პრობლემების მოგვარებაზე ფიქრში თანამემამულეთა ზნეობრივ ამაღლებაზე ზრუნვაც თავისთავად იგულისხმებოდა.

უსაშველო სულიერი ტკივილი, დუმილის უნარსა და უფლებას რომ ართმევდა და სამისდღეშიო წვრილმანებზე „აწუწუნებდა" შემოქმედებითი შთაგონების მწვერვალზე მდგომ, ღმერთთან მოლაპარაკე ვაჟას, სანიმუშო სიცხადითაა გამჟღავნებული მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

პეტრე უმიკაშვილს, მისი წერილის პასუხად, მთიდან შემდეგს ატყობინებდა: **„მადლობა ღმერთს, თუ ერთს ადამიანს მაინც ვახსოვნვარ. დიდად გმადლობ, ძვირფასო პეტრე, რომ გადარდებსთ ჩემი ყოფა-მდგომარეობა. ნეტავი ისე სხვას ადარდებდეს. ვისთვის რა საჭირო და მოსაგონებელი ვარ, ხაშზე და არტალაზე ვერავის დავპატიჟებ.**

**მკითხავთ, როგორა ვარ, რას ვფიქრობ, რას ვსწერ. უნდა გატეხილი გითხრა, ვერა ვარ კარგად ვერც ერთის მხრით, უფრო კი ზნეობის მხრით..."**

მანამდე, 1909 წელს, ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორს მარიამ დემურიას მიმართავდა: **„...მე სოფლად**

**ცხოვრება აღარ შემიძლიან. უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში, თანაც ვბერდები... მეყოფა ამდენი ძაღლუმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რამე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს...“**

აკაკის გარდაცვალებით გულმოკლული და თავადაც სერიოზულად სენმორეული მიხეილ ლობჟანიძეს პასუხობდა: **„...აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოვო – მწერ. დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საჭირო. ჩვენის მოღვაწეების დამარხვაში ქართველები დიდს ნიჭსა და უნარს ვიჩენთ, ხოლო სიცოცხლის დროს იმათ დაფასების უნარისა რა მოგახსენოთ; ჩემთვის, მაგალითად, დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩინა, დანიშნა და შემოფარგლა, ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ არ იცის...“**

...

არ იცოდნენ. დიდად არც არავის ანაღვლებდა.

ცხოვრობდა ფშაურად, სხვებისგან **„საგონებრიო საქმით“** განსხვავდებოდა; წერდა ყველგან და ყოველთვის, როგორც კი მხარკვერიან არწივად წარმოსახული (**„როცა არწივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა მხარზედა..:“**) შთაგონება ეწვეოდა; წერდა გზაზე და ხელისგულებით ნალესი სახლის სიმყუდროვეში, ბუსნოსა და კალოსთავის ნიავიან გორაზე, სახნავსა და სათიბ-სამკალში, ჩარგლის **„ჭიდრო“** ქალებსა და სულაკურდღელათ მამულებში...

ცეცხლის მბჟუტავი შუქი და ბუხრის ალი რომ არ ჩაქრობოდა, კვერცხებზე გაცვლილი ნავთი მოჰქონდა თიანეთიდან; ნავთი რომ გაუთავდებოდა, ტყიდან გულქანის მიერ გუდით მოტანილ, კელაპტარივით დახვეულ ჩრაქვს, არყის ხმელ ქერქს, ანთებდა... ჭირდა ქაღალდის შოვნა და, როგორც იგონებენ, ხშირად ხის ქერქსაც იყენებდა...

უყვარდა შექეიფიანება და „მოფშავლება“, მაგრამ ფეხარეული არავის უნახავს.

თბილისში „ქოსების დუქანი“ უქარვებდა ჯიხვის რქაში ჩასაკლავ გულის ვარამს, ხოლო სოფელში იშვიათად ეძლეოდა მიზეზი ზომიერი სმისა და „დროსტარებისა“.

ხანდახან ხელჩქარად ნაჩორკნ ფანდურს მორთავდა, მოსინჯავდა და წაიმღერებდა... ლხინსა და დღეობებში მარილიანი ხალხური ლექსების, ბაჩანას „მუხისა“ და საკუთარი „არწივის“ კითხვა სჩვეოდა...

...

სიყრმიდან უტეხსა და ჯანმაგარს, გადალახა თუ არა ცხოვრების უღელტეხილი, შეუმჩნევლად შეუჩნდა და შეეპარა **„ზერე-ქვერე“** ავადმყოფობა. შიო მღვიმელის ნათქვამი რომ გავიხსენოთ, ვაჟა **„თავის ჯავარზე აღარ იყო“**... ღარიბული ყოფა მშიერი მგელივით დაჰყმუოდა და საარსებო სივრცეს უმცირებდა, ართმევდა, ეცილებოდა. უპოვრობით აჟივლებულ ცოლშვილზე ფიქრი და გამოუვალობის დამთრგუნველი შეგრძნება გულსა და გუნებას უნამლავდა. საშინაო თუ საგარეო საქმეების მოუგვარებლობა ლექსად აკვნესებდა და ალაპარაკებდა: **„ცხოვრება ჭირიანია ჭირით არ ერთით, ორითა...“**

1915 წლის თებერვალში გაციებამ, ჭვალმა და მაღალმა სიცხემ ლოგინად ჩააგდო ჩარგალში. სანდროს ნაჩუქარი რკინის „კრაოტის“ დაგლეჯილი, მავთულით ამოხლართული თუნუქის „სეტკა“ გვერდებს უეჟავდა და აუტანლად ატკიებდა. ტანჯავდა მწვავე პლევრიტი...

აპრილის დამდეგს თბილისს მიაშურა და მლეთის ქუჩაზე სანდროს სახლის ჭერს შეაფარა თავი...

დროის დაუდგრომელ დინებას მიჰქონდა (თუ მიჰყვებოდა) ახალგაზრდული სილაღის, სიხარულისა და აღმაფრენის საბაბი და საფუძველი; პირად სენსა და სატკივარს სხვაც ერთვოდა და ესართებოდა – მთელი ქართველი ერისთვის სამწუხარო და სამგლოვიარო: 1915 წლის იანვარში აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, ხოლო აპრილში – ნიკო ლომოური, გორის საოსტატო სემინარიაში ვაჟას მასწავლებელი და ტკბილმოუბარი მწერალი... გულს ისიც უსერავდა, რომ ვერცერთის გასვენებას ვერ დაესწრო, რასაც საზოგადოების აქტიური, მითქმა-მოთქმის მოყვარული ნაწილის შეუფერებელი გამოხმაურება მოჰყვა: აკაკიმ რომ ენა დაუწუნა, ვაჟა განაწყენებულია და ჩარგლიდან ამიტომ არ ჩამოვიდაო!..

23 მაისს მოღვაწეობიდან 35 წლისთავის აღსანიშნავი სალიტერატურო საღამო მიუძღვნეს სახაზინო თეატრში... მანამდე, წინა წლებში, აკაკის იუბილესა და ილიას ხსოვნის საღამოზე მიიწვიეს თბილისსა და ქუთაისში...

ვაჟას შემოქმედებას ვრცელი და ღრმააზროვანი მოხსენება მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ.

წარმატებული, დამსწრეთა ოვაციებით გაჯერებული ღონისძიება ორთაჭალის ბაღში გამართული ბანკეტით გაგრძელდა... გაზაფხულის ნიავზე ჩოხის ამარა იჯდა და უარესად გაცივდა... დილით ძმას შესჩიოდა უგუნებობას და ჯანის მოკლებას.. მატულობდა ქალაქური ხვატი და ვაჟას დღითიდღე ეკარგებოდა ფერი; ელეოდა და ეწრიტებოდა ღონე.

ივნისის შუა რიცხვებში, რაკი უკეთესობის პირი არ უჩანდა, თურქეთის ფრონტზე დაჭრილი ჯარისკაცებით სავსე წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლანდელი უნივერსიტეტი) გადაიყვანეს. იმავე დღეს დაინიშნა კონსილიუმი... ფერდიდან ორჯერ ამოუღეს წყალი. მკურნალობდნენ რჩეული ქართველი ექიმები... გაზეთებში ვაჟას ავადმყოფობის ბიულეტენები ქვეყნდებოდა...

მომჯობინებას იმედოვნებდნენ და ორი კვირით აგარაკზე – სურამსა ან წაღვერში – დასვენებას ურჩევდნენ. ბინის დასაქირავებლად „სახალხო ფურცლის“ თანამშრომელი გაგზავნეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: უკან დაბრუნებულს ვაჟა გარდაცვლილი დახვდა...

თვითონ ჩარგალს რჩეობდა.

მჟავე წყალთან ჩარდახი გამიკეთე, ამოვალ, ვიმკურნალებ და მოვრჩებიო, – მისწერა დავით ჯანაშვილს და ორი თუმანიც გაუგზავნა...

მამადავითის კლდის ნაჟური ინატრა – გულს დამიამებსო. სანდრომ და შიო მღვიმელმა „მტოფით“ მიართვეს გრილი, გემრიელი წყალი. სიამოვნებით დაეწაფა...

თავს ადგნენ და დაჰფოფინებდნენ მოწყალების დები: ნინო ციციშვილი, ანიკო კობიაშვილი... ერთ დღეს იატაკზე დაგებულ ლოგინში ჩააწვინეს და გარს ბალახი და ყვავილები მიმოუფანტეს... ველურ მცენარეთა სურნელმა ფშავი წამოაგონა და წამიერი შვება მოჰგვარა... გამხნევდა, გახალისდა, წაიოხუნჯა კიდეც...

1915 წლის თიბათვის თერთმეტში უკანასკნელი წერილი დაწერა და ბაჩანას ხელით გაუგზავნა ჯალაფთ. წერილში სავარგულებსა და წისქვილზე წუხდა. თამარს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა: სათიბებს ჩქარ-ჩქარა დაავლე

თვალი, თორემ ხომ იცი ახლანდელი ხალხის ამბავიო... თანაც აიმედებდა: ცხრა-ათ დღეზე მანდ გავჩნდებიო...

იოსებ იმედაშვილმა ცნობილი ფოტოგრაფი ევტიხი ჟვანია მიიყვანა და სურათები გადაალებინა.

ბურანში გახვეული და ნიათგამოცლილი ჯარისკაცის წერილს და ფრონტის რლვევას ახსენებდა...

სულთმობრძავს **„ყველა კუთხიდან მტრიანი“** საქართველო ედგა თვალწინ...

27 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სამუდამოდ დახუჭა თვალი.

...

**„ვაჟა დამარხეს თბილისში ფშაური წესისა და დატირების გარეშე. ფშავში კი წესი დაუყენეს და დაიტირეს დამარხვის გარეშე“** (გიგი ხორნაული).

ვერც აღსასრულის მერე აისრულა საგულისგულო სურვილი: ჩარგლის შორიახლო მდებარე სარაყდრის გორი მოსწონდა საუკუნო განსასვენებლად და ახლობლებს უბარებდა, როცა მოვკვდები, იქ დამასამარეთო.

სარაყდრის სულფონი გორის ნაცვლად დიდუბის მიწამ მიიბარა მისი დამდნარი, დალეული, დამსუბუქებული ცხედარი...

ნინო ქართველიშვილისა და ბეროთ ნათელას ჩარგლურასპირულმა ნატირლებმა გაუკვლიეს და გაუნათეს სულეთის სუფთა, ურიოშო, უსასრულო გზა...

* * *

**„ბალღი რასაცა ვხედავდი, იმასვე ვხედავ დღესაცა“**, – „მღეროდა“ ვაჟა თავისი გარდაცვალების წელს და გამოვლილი გზის გასიგრძეგანება მის დაღლილ, დანაპრალებულ გულს კვლავაც სიმტკიცისკენ, გაძლებისა და უტეხობისკენ უხმობდა: **„ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს, ნუ დავბერდებით შავადა!..“**

თავის თავს უკვირდებოდა და მადლს ათასობით ითვლიდა, მხრები ესხმოდა, ასაფრენად იწევდა, კალთაში ვარდი ეშლებოდა და თავზე მანანა დასდიოდა..

გარემომცველი სამყაროს უცვალებლობის შემყურე **„რა ფერისაა ქვეყანა, ნეტავ მაჩვენა თვალითაო“**, – კითხულობდა და ნატრობდა ერთსა და იმავე დროს... და პასუხგაუცემელი კითხვების სიმრავლით შეფიქრიანებული **„ტანჯულის გულის ნაცრემლ“** სიტყვაში ატევდა და წარმოსახავდა ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული „ჰარმონიის“ უძრავ, სტატიკურ სურათს: **„...ათასჯერა წვიმს, სეტყვაა, მთებზე ნისლები ჰკიდია, ბევრი რამ ხდება ქვეყნადა, შიგ ცოდო-ბრალი დიდია, ბუნება წარბსაც არ იხრის, მაინც მშვიდი და მშვიდია...“**

# ჯერაც უდაბნოში ხეტიალისას




ამ ოციოდე წლის წინათ და უფრო ადრეც ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავი იყო ქართველი მწერლის მიერ აფხაზური ნაწარმოების თარგმნა, და პირიქით. ავადსახსენებელმა კონფლიქტმა – უფრო კი ნამდვილმა ომმა რუსეთთან – რადიკალურად შეცვალა ვითარება და ახლა გაოცებას, სასიამოვნო გაოცებას იწვევს **გურამ ოდიშარიას** მიერ აფხაზი მწერლის, **დაურ ნაჭყებიას** რომანის **„ღამის ნაპირი“** ქართულად თარგმნა. ითარგმნა და წიგნად გამოიცა რედაქტორის — **ზაზა აბზიანიძისა** – და მხატვრის – **ოლესია თავაძის** – მონაწილეობითა და მონდომებითაც. წიგნი გამოიცა ფონდ **„ღია საზოგადოება — საქართველოს“** მხარდაჭერით.

როგორც უჩვეულო და საინტერესო გამოცემა სალიტერატურო ცხოვრებაში, შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, სადაც 9 ნოემბერს გაიმართა დაურ ნაჭყებიას ამ რომანის წარდგინება.

ინსტიტუტის დირექტორმა **ირმა რატიანმა** სწორედ ამ ფაქტის უჩვეულობა აღნიშნა მოკლე შესავალ სიტყვაში. შემდეგ მთარგმნელმა **გურამ ოდიშარიამ** ამ აფხაზ მწერალთან ძველი მეგობრობა გაიხსენა და აღნიშნა, რომ ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა როდესაც აფხაზი მწერლის წიგნი ითარგმნა ქართულად.

**ზაზა აბზიანიძემ** წაიკითხა ციტატები რომანიდან. ფრაგმენტებმა რომანის მიმართ ინტერესი და მოლოდინი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. ბატონი ზაზას თქმით, ამ რომანის, ისევე როგორც გურამ ოდიშარიას მთელი შემოქმედების მთავარი სათქმელი არის ის, რომ ომი და მისი შედეგები ორმხრივი ტრაგედიაა. ამიტომ აუცილებელია დაფიქრება შეცდომებზე და მათი აღიარება, რაც მონანიების ტოლფასია.

**ინგა მილორავამ** ომის შემდგომ ხანას ხატოვნად 18-წლიანი უდაბნო უწოდა. ეს ხეტიალი კი, რომელიც 18 წელს მოიცავს, რაღაცით უნდა შეივსოს. დაახლოების გზაზე გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალა ეს წიგნი და შეაფასა, როგორც ძალიან კარგი — მხატვრულად, შინაარსობრივ — ინფორმაციულადაც, ემოციურადაც – ვიგრძენი, რომ ისევ ერთად ვართ — საერთო ტკივილითა და საფიქრალით, აღნიშნა ქალბატონმა ინგამ.

**ნონა კუპრეიშვილის** თქმით, რომანი გამოირჩევა რეალისტური პასაჟებით. იმდენად, რომ ზოგჯერ თვალნათლივ შეგიძლია წარმოიდგინო, სად ხდება მოქმედება, ან ფანტაზიით შეავსო ნაამბობი, წარმოსახვით, რომელიც სინამდვილისგან შორს არ იქნება.

**ლევან ბრეგაძის** აზრით, ხალხების დამეგობრების გზა გადის ერთმანეთის კულტურის შესწავლაზე. რემარკმა დახატა ომი ისე, როგორც უნდა იხატებოდეს — ჰეროიკული ეპიზოდების გარეშე. ამგვარი რომანია დაურ ნაჭყებიას „ღამის ნაპირიც“ – აღნიშნა ბატონმა ლევანმა.

**კახა ჯამბურიას** თქმით, ამ მწერალს, ისევე როგორც მთარგმნელს, აქვს სათქმელი ქართველებისთვის, აფხაზებისთვის. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ჩვენს დაახლოებას.

ასევე საინტერესოდ ისაუბრეს ქალბატონებმა: **ქეთი ელაშვილმა, თინა ბოლქვაძემ, ზოია ცხადაიამ.** მათი თქმით, დაურ ნაჭყებიას გაუმართლა, რადგან მისი რომანი გურამ ოდიშარიამ თარგმნა. ასევე აღინიშნა ისიც, რომ მსგავსი წიგნებით ახალგაზრდობა უნდა დაინტერესდეს, რათა უდაბნოში ხეტიალი კიდევ დიდხანს არ გაგრძელდეს.

**თეკლე ჯანელიძე**

როსტომ ჩხეიძე

# თვალები ბერნარდ შოუსი

გიორგი შატბერაშვილის პანაშვიდზე ოთარ ჩხეიძე ეტყოდა გიორგი ხორგუაშვილს: რახან თათბირ-სემინარზე გამოუგზავნიხართ და ამ კვირას აქ იქნებით, ბარემ გიორგი ლეონიძესთანაც შეიარეთ, „ლიახველების" გაცნობა მოინადინაო.

ეს ისედაც აპირებდა პოეტი-აკადემიკოსის მონახულებას, რადგანაც მამამისი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლეონიძე, კარგა ხანს საქმიანობდა კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში, ბევრი საგულისხმო პუბლიცისტური ნარკვევი დაენერა ამ მხარეზე და გიორგი ხორგუაშვილი აპირებდა ამის შესახებ კასპის მუზეუმისათვის მასალები ეთხოვა.

ლიტერატურის ინსტიტუტში მისვლისას დირექტორის კაბინეტში ჯერ ეს რომ შეჰყოფდა თავს, გიორგი ლეონიძე დაკვირვებით შეათვალიერებდა, მაგიდიდან წამოსწევდა განიერ მხრებს და მისებურად დაიბუხუნებდა:

– შენა ხორგუაშვილი არა ხარ?!

– დიახ, ბატონო გიორგი!

– მოდით, მოდით, რას მორცხვობთ, ესეც... ესეც... – ახლა მეორეს დააკვირდებოდა.

– ესეც ფირუზ ჯანაშვილი, – ეს წაეშველებოდა.

– მივხვდი, „ლიახვში" გამოქვეყნებული სურათებით გიცანით.

ესენი გაიოცებდნენ და ალტაცებითაც ალტაცდებოდნენ, ამ ბუმბერაზ ადამიანს ჩვენისთანა რიგითი მოქალაქეებიც არ დავიწყებია და სურათების მიხედვითაც კი გამოგვიცნოო.

ეს შეახსენებდა მასთან პირად შეხვედრას, გიორგი შატბერაშვილს რომ წარედგინა აკადემიური წიგნის მაღაზიაში ორიოდე წლის წინათ.

– არა, ის არ მახსოვს, – გულწრფელად მიუგებდა გიორგი ლეონიძე, – მაგრამ რაც „ლიახვი" წავიკითხე, მას მერე ჩამრჩით მეხსიერებაში, აი ხომ ხედავთ, სურათით გიცანით.

და „ლიახვზე" რომ გაგრძელდებოდა საუბარი:

– საქართველოში ვინ გაგვაკვირვებს წერითა, მაგრამ კარგი ალმანახი გაგიკეთებიათ, ყოჩაღ, გორელებო!

– ოთარ ჩხეიძეს ვუმადლით!

– ოთარ ჩხეიძე დიდ საქმეს აკეთებს, ნიჭიერი და მშრომელი მწერალია, – გიორგი ლეონიძეს არასოდეს დაუშურებია კეთილი სიტყვა მის მიმართ.

მერე სათითაოდ მოიკითხავდა გორში მოღვაწე ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსებს – ყველა გვარ-სახელი ახსოვდა. დაინტერესდებოდა, ვინ სად მუშაობსო. შეპირდებოდათ: გორისაკენ გამოვლა მინდა და უთუოდ ყველას გინახულებთო. და თაოსნობასაც მოინადინებდა: რას შვრება ლიტერატურული საზოგადოება, „ლიახვის" მომდევნო ნომერს რატომ აგვიანებთო.

და დასძენდა:

– როცა მასალებს შეაგროვებთ, მეც გამასინჯეთ ლექსები!

ეს ხომ ნიშნავს, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა გიორგი ლეონიძე „ლიახვის" გამოცემას, მის მკვიდრ დაფუძნებას, მისი ავტორები უთუოდ ჩვენი სამწერლო პროცესის მონაწილეებად მიაჩნდა და დიდი იმედითაც შეჰყურებდა, თორემ, ცხადია, თავს ასე არ გამოიდებდა, ლექსები მეც გამასინჯეთო.

მხოლოდ ლექსები რატომ?

და გიორგი ხორგუაშვილი თავის მხრივ შესთავაზებდა:

– მოთხრობებს არ წაიკითხავთ, ბატონო გიორგი?

და მისი პასუხი, თავმდაბლობასთან შეზავებული ფარული სიამაყე:

– მოთხრობებს... როგორ არა, მაგრამ მეც დამწყები პროზაიკოსი ვარ!

ვის-ვის და გიორგი ლეონიძეს კარგად მოეხსენებოდა, „ნატვრის ხე" ერთი აკვრით თავისივე პოეზიის სიმაღლეზე რომ აიტანა და დებიუტანტი პროზაიკოსი პირდაპირ კლასიკას რომ შეემატა.

მარტო „ლიახვში" ბანაობა არ კმარაო, – მეგობრულად არიგებდა სტუმრებს, – რატომ თბილისის ჟურნალ-გაზეთებშიც არ შემოიჭრებით, მაგ დონის ლექსები და მოთხრობები არც აქ შეირცხვენენ თავსო.

და მოუწყინრად გააგრძელებდა საუბარს გორის ლიტერატურულ ტრადიციებზე.

– მამათქვენიც იქ არის მოღვაწის მირონით ცხებული, – თავს გამოიდებდა გიორგი ხორგუაშვილი.

– მამაჩემი ვაჟა-ფშაველას კარგი მეგობარი იყო! – ეს ყოველთვის საამაყოდ ჰქონდა, როგორც თავისი პოეტური ნათლობა: როგორ დამლოცა ვაჟა-ფშაველამ, დამსკდარი ხელი თავზე დამადოო.

მასალები თუ გაქვთ რამეო, – ეს თავისი სტუმრობის მიზეზს როდის-როდის რომ გაუმხელდა, იმას მწარედ ჩაეცინებოდა: იმდენი არაფერი, სხვისი მაზიარებელი დარჩა უზიარებელიო, მამაჩემზე ჯერ კალამი არ მიცდიაო.

არამცთუ ფოტოსურათებით ამოეცნო, თურმე „ლიახველთა" ცალკეული სტრიქონებიც დამახსოვრებოდა.

ამას უკვე ჯემალ ინჯიას მოგონებაში ამოიკითხავთ, ბათუმიდან თბილისისაკენ მომავალი ერთი ღამით გორში რომ დარჩებოდა და „ლიახველთა" ერთი ჯგუფი „ინტურისტის" რესტორანში მიიპატიჟებდა (ჩვენი „კეისარი" ოთარ ჩხეიძელა გვაკლდაო). და იქ:

– ჩვენეული სტრიქონებიც გაიხსენა, უზომოდ გავიხარეთ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის – საქართველოს სახალხო პოეტს ზეპირად ახსოვს შენი ფრაზა.

დიდი დრო აღარ რჩებოდა ამა ქვეყნიდან მის გასვლამდე.

ხოლო გიორგი ლეონიძის დაკრძალვის დღეს თბილისიდან გორში რომ გამობრუნდებოდნენ „ლიახველები", ოთარ ჩხეიძე მცხეთაში შეაჩერებდა მანქანას.

– გიორგი ლეონიძეს გაუმარჯოს! – სასმისს მაღლა ასწევდა, თანამეინახეებს გადმოხედავდა და ამით აგრძნობინებდა, რომ მეტად უხერხული იყო ღვინის დაწვეთება პურზე, როდესაც სადღეგრძელო მეოცე საუკუნის საქართველოს სახალხო პოეტს ეძღვნებოდა.

* მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებიდან „ორი მდინარის შესაყარზე (ვარიაციები „ჩემი სავანის" თემებზე).

და მოგონების მოხდენილი ფინალური აკორდი:

– და მართლაც რა ჰქონდა შესანდობარი?!

...არ დამცალდა, პროზაშიც როგორმე მომეკიდებინა ფეხიო, – ყრმობის სურათებს ღიმილით და თავმომწონედ გასცქეროდა და ისე აპირებდა ახლა უკვე რომანს შებმოდა, თითქოს „ნატვრის ხე" მოზაიკური აგებულების რომანი არ იყოს.

ლექსები მეც გამასინჯეთო, მის უნებურად რჩებოდა ამაო დაპირებად, თუმც სიტყვის გატეხვა არა სჩვეოდა.

გიორგი ლეონიძეს გაუმარჯოს! – სასმისი მაღლა აეწია ოთარ ჩხეიძეს.

* * *

როდის-როდის დაადგებოდა საშველი „ლიახვის" ახალ ნომერსაც.

მრავალფეროვანსაც, მრავალმხრივ საგულისხმოსაც... უპირველესად მაინც მისი გამოჩენა ნიშნავდა, რომ გორის სალიტერატურო წრე შეჩერებას არ აპირებდა, რაკილა ახალი სახელებიც ჩნდებოდნენ ალმანახის ფურცლებზე და უკვე ცნობილი პოეტებიც და პროზაიკოსებიც უფრო კანთიელად მოჩანდნენ.

სამწერლო ცხოვრება ჩქეფდა გორში, ერთ ადგილას კი არ ტრიალებდა, არამედ სწორედაც ჩქეფდა და მკითხველი ამიტომაც ეცნობოდა გულისყურით ამ ახალ კრებულსაც.

მომხრეები გამრავლებოდათ.

მოწინააღმდეგენიც არ ისვენებდნენ.

და მაინც: როგორღაც მიიკარგა ეს, თავისთავად ჩინებული, ნომერი, „უბიოგრაფიო" აღმოჩნდა. არ მოჰყოლია არც დიდად საქებარი რეცენზია და არც მწვავე კრიტიკა.

რა აუცილებელია ალმანახისა თუ სხვა გამოცემის ყოველ ნომერს ხმაური მოსდევდეს პრესაშიც?

არც არავითარი, და არც გამახვილდებოდა ყურადღება ამ მხრივ, იმ ორი კრებულის ბიოგრაფია რომ არა: ერთი ამ – 1966 წლის გამოცემის – უშუალო წინამორბედის, და მეორე – მისი მომდევნოსი.

ის აკი კინაღამ დაასამარეს, წინამორბედი.

ეს მართლაც დასამარებად ითქმის, მომდევნოსი, რაკილა რვა წელიწადს „ლიახვს" აღარ ეღირსებოდა გამოცემა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტისაგან შერისხვის შემდგომ.

მათ ფონზე მართლაც „უბიოგრაფიობაა" უჩუმრად ჩავლა.

გამორჩევით პუბლიკაციებიდან ალბათ მაინც იროდიონ ოქროპირიძის (1859-1933) მოგონებათა ფრაგმენტი („სიო ცხრაასხუთისა") უნდა გამოირჩეს, ერთი ნაწყვეტი ალმანახის წინა ნომერშიც რომ დაბეჭდილიყო („საინგილოში") და რედაქციის მინაწერში კი აღინიშნებოდა, რომ იროდიონის სიტყვას ანტონ ფურცელაძის დასაფლავებისას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ სოფრომ მგალობლიშვილს საგანგებოდ ჩაუწერია თავის „მოგონებებში".



ბერნარდ შოუ

– მას შემდეგაც ხშირად უხდებოდა იროდიონ ოქროპირიძეს ხალხის წინაშე გამოსვლა და ყოველთვის ქადაგებდა სიყვარულის, სათნოების, მეგობრობის, თავისუფლების უკვდავ, მარადიულ აზრებს. ქადაგებდა გულში ჩამწვდომად, როგორც ძველი, დარბაისელი მჭევრმეტყველი. კარგადაც წერდა. არქივებში დაცული მისი მრავალი სამსახურებრივი მოხსენებითი ბარათები შეიცავს ბევრ ძვირფას მასალას საქართველოსა და ამიერკავკასიის უახლესი ისტორიისათვის. იროდიონ ოქროპირიძემ დატოვა ვრცელი მემუარებიც...

„ლიახვის" სამ ნომერში ზედიზედ გამოქვეყნდებოდა ნაწყვეტები ამ მოგონებებიდან, და ისე მოხდებოდა, რომ მესამე ფრაგმენტი მოჰყვებოდა იმ კრიტიკის ქარცეცხლში, „ლიახვის" მეექვსე კრებულს რომ დაატყდებოდა თავს.

თუმც იქამდე ჯერ ადრეა.

და ოთარ ჩხეიძე, უკვე საკმაოდ განამებული ცენზურისგანაც, საბაბად მოიდებდა ბერნარდ შოუს ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი გარემოების აღდგენას და „ლიახვის" მეხუთე წიგნში გამოქვეყნებული ესეით გამჭვირვალედ მიანიშნებდა ქართველ მწერალთა ამ კიდევ ერთ მძიმე გასაჭირსაც, ისედაც სულისშემხუთავ სინამდვილეს ეს ათასთავიანი ჰიდრაც რომ ემატებოდა, კონსტანტინე გამსახურდიას როგორც შეერქმია მისთვის.

არადა:

გარეშე კაცს სხვა რა შთაბეჭდილება დარჩება, თუ არა ეს – ოთარ ჩხეიძე ბერნარდ შოუს პიროვნებასა და იუმორის თავისებურებებს პირწმინდად ესთეტიკური თვალთახედვით გაიაზრებსო.

ულრმეს შრეებამდე რომ ჩასდევდა ამ ხასიათს და შიგნიდან ახერხებდა მის გახსნას?

ეს ამ მხატვრული სამყაროს ყოველმხრივი ცოდნითა და ძიების იშვიათი უნარით, წარმატებით რომ მიგიძღვის მხატვრულ თავისებურებათა და ნიუანსთა ბილიკებზე.

დიდი ექსპრესიით რომ წარმოსახულა ახლებურ და მახვილგონივრულ დაკვირვებათა მთელი წყება?

ეს ესეისტის ოსტატობაა, საკითხავადაც მომხიბლავს რომ ხდის მეცნიერულ ძიებათა ნაყოფს.

გარეშე კაცს სხვა რა შთაბეჭდილება დარჩებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ ვინც ჩახედულა ოთარ ჩხეიძის პიროვნულ ხასიათსა და ბიოგრაფიაში, „იუმორი ბერნარდ შოუსი" ნარმოუდგება ლამის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერად, ან რაღა ლამის – ავტობიოგრაფიული ჩანაწერია, საკუთარ მწერლურ მრწამსს რომ აცხადებს და ირლანდიელი დრამატურგივით დაურიდებლად ედავება ყველას, ვინც ლამობს ცხოვრების საშინელებათა მიჩქმალვას, შელამაზებას, გამზადებულ სტერეოტიპებზე მორგებას და დევნა-შევიწროებით ემუქრება იმ ადამიანებს, რომელთაც არაფრისდიდებით არა სურთ შეეგუონ სიცრუისა და სიყალბის გარემოცვას და თავსაც განირავენ, ოღონდაც სიმართლე გააცხადონ, მამხილებლად მოევლინონ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემასაც და ზოგადადამიანურ მანკიერებათაც, და ცრუმატიანეთა გვერდით დატოვონ დროების პირუთვნელი სურათები იმ სარკედ, რომლის შექმნისთვისაც გამოვლეს ათასგვარი სატანჯველი.

მტრობლის მიერ გამოძერწილ სკულპტურულ პორტრეტში თვითონ შოუსაც ბაგეთა და თვალთა განსაკუთრებული ელვარება მოსწონდა თურმე. თვალები თითქოს მოღუშულიყვნენ, და იქიდან ისეთი მზერა გამოსჭვიოდა, შეატყობდი – ხედავდნენ იმას, რაც ბევრს არავის დაენახა, მათ არაფერი დაემალებოდათ, მათთვის ყველაფერი ნათელი გახლდათ. ხოლო ბაგენი თუ გადაიხსნებოდნენ, შემბრალედაც და მწარედაც, საცოდაობითაც და სიძულვილითაც.

ესეიში გახსენებულია „უამური პიესების" წინასიტყვაობის ის პასაჟი, თუ როგორ გაუსინჯინებია შოუს თვალები ექიმისათვის, ვისაც განუცხადებია: ჩემთვის საინტერესოს ვერაფერს ვხედავ, სავსებით „ნორმალური" თვალები გაქვსო. ამას გახარებია: მაშ ისეთი თვალები მქონია, როგორც ყველა დანარჩენსო. მაგრამ ექიმს ეს სიტყვები პარადოქსად ჩამოურთმევია და საჩქაროდ აუხსნია: თქვენ ბრძანდებით იმ იშვიათ და უაღრესად ბედნიერ ადამიანთაგანი, რომელთაც ძალუძთ საგანთა გარჩევა მკაფიოდ და ზედმინევნით. ასეთია კაცობრიობის მხოლოდდამხოლოდ ათი პროცენტი, ხოლო დანარჩენი ოთხმოცდაათი პროცენტი „არანორმალურად" ხედავსო.

შოუ იცინებდა ამ ეპიზოდის გახსენებისას, ამჯერად კი მის მხიარულებას ოთარ ჩხეიძის სიცილიც შეერეოდა, სიცილიც და თანაგრძნობაც, იმასაც რომ უცხადებდა გულშემატკივრობას „იქ, სივრცეებში", და საკუთარ თავსაც მოაგონებდა კიდევ ერთხელ, კვლავაც ნაბიჯშეუშლელად უნდა მიჰყვე შენს მოვალეობასო:

– მისთვის ეს იყო დიდი აღმოჩენა, მისაგნები და გასაგები, თუ რად უშლიდნენ, ეთქვა ისე, როგორცა ხედავდა, ეთქვა იმაზე, რასაც ხედავდა, ისე ეთქვა, როგორიც იყო. – მაგრამ თურმე სხვანი ასე როდი ხედავდნენ, არცა ხედავდნენ და არც უნდოდათ სხვათათვის დაენახვებინათ, ვითომ რად უნდა დაენახვებინათ, როცა თვით ბუნებას არ უნდოდა ასე, არა, არ უნდოდა, რომ სდომოდა, ხომ ყველას დააჯილდოებდა სალ თვალებსა, ყველასათვის ნათელს გახდიდა ყველაფერსა; ვილაც იშვიათი გამონაკლისები, ვთქვათ შოუსნაირი უბედნიერესი მოვლენანი, ვითომ ვისი მეტიჩრები იყვნენ, რას გადასდგომოდნენ ბუნებასა, რა თავი გამოედოთ, რატომ ლამობდნენ თვალი აეხილათ უმრავლესთათვისა, თვით ბუნების მადლით ამა ქვეყნის უძლიერესთა საწუგეშებლად დაბრმავებულთათვისა...

იშვიათი გამონაკლისები, შოუსნაირი უბედნიერესი მოვლენანიო...

ან თვითონ რა თავი გამოედო ოთარ ჩხეიძეს, რატომ ლამობდა თვალი აეხილა უმრავლესობისათვის?

თვითონაც რატომ იხედებოდა საფარველების, ბრჭყვიალებისა და ნისლების შიგნით?

ხომ თვალნათლივი გახლდათ, რამხელა ძალაუფლებისა და გავლენის გუშაგნი მოვლენოდნენ დამცველად ადამიანის სიბეცესა და უხილველობას, როგორც წმიდათაწმიდა უფლებას თავისუფალი პიროვნებისა.

შოუ იქ იცინოდა ალალი და მწვავე სიცილით ამ აღმოჩენის გამო, ოთარ ჩხეიძე აქედან შეაწევდა ცრემლნარევ მხიარულებას.

არა, ინგლისურ დრამატურგიასა და თეატრს მაინც რა მოსვლოდა ამისთანა, რომ დაქვეითებულიყო, დაშრეტილიყო და ძნელი სათქმელი გახლდათ, ოდესმე აღდგებოდა თუ არა შექსპირის, შერიდანის, ფილდინგის დიდი ტრადიციები, არადა, როგორი გადასატანი იყო ამ ტრადიციების თანდათანობითი განადგურებისათვის თვალის დევნება?

ვინ მტკივნეულად შეჰყურებდა ამ პროცესს და გულში იკლავდა მოწოლილ ჯავრს, ეგაა და ეგ.

შოუ გულში არ ჩაიკლავდა და მიზეზსაც ამოხსნიდა, თუ რას გამოეწვია დრამატული ხელოვნების ასეთი დაქვეითება:

– სიცილი სალი ადამიანისა და სალი აზრის დიდი უნარია, – და სწორედ ეს დიდი სისალის განცდა აცვიფრებდა, აოცებდა და საგონებელში აგდებდა და მაინც ვერ გაეგო თუ როგორ შეიძლებოდა დაეშრიტა ინგლისელთა დრამატურგიული ნიჭი ვილაცა თუ რალაცა უსასოობასა, უმწეობასა, გონებაშეზღუდულობასა, ვილაცასა თუ რალაცასა, რომლისთვისაც სამეფო ცენზორი დაერქმიათ?..

სულს უმწარებდნენ ოთარ ჩხეიძესაც ცენზორები – მთავლიტის სახელით შენიღბულნი, რედაქტორებისა თუ კორექტორების, რედაქციებშიც, გამომცემლობებშიც, მზირებად ისხდნენ, გაფაციცებით ჩამყურენი მისი ყოველი სტრიქონისა და ცალკე სადავიდარაბო მათთან გახდომოდა, და რალაცას თუ გადაარჩენდა, რალაცა მაინც გაიწირებოდა. შოუს უცხადებდა თანაგრძნობას და ანგარიშსაც გაასწორებდა ასე გამჭვირვალე ქარაგმით ახალი დროის ჰიდრასთან, ყველაფერს რომ მოსდებოდა რკინის საცეცებით. ამხელდა მის საზარელ ბუნებას და არნახულ ზეგავლენას სამწერლო ცხოვრებაზე:

– მაშ ვილა იყო უფრო დიდი, უფრო შემძლებელი – შექსპირი თუ, ვთქვათ, „ვინმე ჯენტლმენი", რომელსაც თეატრალური ცენზორის ადგილი ეჭირა 1893 წელს და რომელთანაც შოუს ჰქონდა უთანხმოება „მისის უორენის ხელობის" დადგმის თაობაზე, ჰო, ვილა იყო უფრო დიდი, უფრო შემძლებელი?!. – ეჰა, რა ძნელი გადასაწყვეტი გამხდარიყო, თოჯინები მორიეოდნენ გმირებსა, უჭკუოები ამარცხებდნენ გენიოსებსა.

შოუსდროინდელ ინგლისში ბევრი რამ გახლდათ მოუწესრიგებელი, უთავბოლო, მძაფრი პროტესტის აღმძვრელი, მაგრამ მთლად ისეც არ უნდა ყოფილიყო, თოჯინებსა და უჭკუოებს ამხელა გავლენა მოეპოვებინოთ, სრულიად დაეთრგუნოთ გმირები და გენიოსები. საამისოდ ფართო ასპარეზი კი მისცემოდათ, მაგრამ ისე ულმერთოდაც ვერ დასცემდნენ ძირს, როგორც საბჭოთა რეჟიმის პირობებში,

რომლის განუკითხაობაც ამ ფორმულაშიც თავისთავად თავსდება: თოჯინები მორეოდნენ გმირებს, უჭკუოები ამარცხებდნენ გენიოსებსაო.

კრიტიკოსები რომ ასტეხოდნენ შოუს და რას აღარ უთხზავდნენ და საიდან აღარ ცდილობდნენ თავს დაეარათ – ესაო და, გრძნობის ნატამალი არც თვითონ აქვს და არც პერსონაჟებისათვის დაუყოლებიაო, ესაო და, არასოდეს გონივრულად არ დაფიქრებულა ადამიანის ბედზე და სულ სიცილის გუნებაზე ყოფილაო, ესაო და, მიზანთროპადაც ჩამოყალიბდაო, და სხვა ამგვარები – ოთარ ჩხეიძე მის დაცვას რომ შეეცდებოდა, თავის კრიტიკოსებსაც გადაჰკრავდა, მართალია შეურაცხყოფილი და დამცირებული მოჩანს ადამიანი შოუს კომედიებში, მართალია შემაშფოთებელია ამ სულისშემძვრელ სურათებს რომ შეჰყურებ, მაგრამ შოუს ხომ არ გამოუგონია ეს სახენი თუ მდგომარეობანი, შოუს ხომ არ გამოუჭედავს და ჩაუყრია ცხოვრებაში, შოუს ხომ არ გაუხდია იძულებული ადამიანი, ეს ყოველივე დამართნოდაო:

– რა სათქმელია, ის ხომ მხოლოდ მხატვარი იყო, ალალი, პირუთვნელი, მართალი მხატვარი, ის ხომ სალი თვალის ადამიანი იყო, იშვიათი გამონაკლისი ბუნებისა, სალი თვალი ჰქონდა და ყველაფერსა ხედავდა ნათლადა, მკაფიოდა, ჰხედავდა, ხატავდა რაც იყო, როგორც იყო, ჰხატავდა ისე, რომ უმწვავეს სურათებშიც აქსოვდა სიცილსა – და განა უგრძნობელს ძალა ეყოფოდა სიცილისთვისა, განა უზრუნველი ჩადრს ჩამოგლეჯდა ბოროტებასა და უბედურებას, განა უზრუნველი, მოძულე ადამიანისა ასე თავგამოდებით შეებრძოლებოდა თავგასულებსა, მატყუარებსა, მწამებლებსა, მკვლელებსა?

ვერ უარყვეს მისმა მონინააღმდეგეებმა ბერნარდ შოუს მიერ წარმოსახული მხატვრული სამყარო?

ის ხომ მაინც შეეძლოთ, რომ ლაფი შეესხათ, დამუქრებოდნენ და ხშირად კიდეც შეესრულებინათ მუქარა.

შოუს რომ ვერ მორეოდნენ, ეს იმიტომაც:

– ის მოესწრო კრიტიკოსების რამდენიმე თაობის გადაშენებასა...

ცრუკრიტიკოსები იგულისხმებიან, ცხადია, დაქირავებულნი, სულგაყიდულნი, მიწაში რომ მიჰქონდათ ჯავრი, ეს შოუ რა გაგვიხდა, როგორ ვერ მოვსპეთ და გავანიადაგეთო. საუკუნეებიც გასულიყო, შოუს მაშინაც ვერავინ ვერ დააკლებდა ვერაფერს, „ამაო იქნებოდა როგორც პირდაპირი შეჯახება, ისე არაპირდაპირი თუ გვერდითი შემოვლანი", მაგრამ სიცოცხლის გამძლეობის წყალობით საკუთარი თვალით რომ ეხილა კრიტიკოსთა თაობების გადაშენება, ოთარ ჩხეიძეს ეს ალაფრთოვანებდა, თითქოს შოუს სხეულში ჩასახლებულაო, და: ნეტა მეც ჩემი თვალით მეხილა ჩეკისტ კრიტიკოსთა ერთი თაობის გაქრობა მაინცო, – ფიქრობდა.

ეს ჯერ კიდევ ის დროა, როდესაც ოთარ ჩხეიძე დარწმუნებულია, 50 წელიწადს ან გადავაშორებ ან ისიც არაო. და რას წარმოიდგენდა, თვითონაც თუ მოესწრებოდა კრიტიკოსთა რამდენიმე თაობის გაქრობას.

გადაშენებასო, – თვითონ ეს სიტყვა ემჯობინებინა.

ჩეკისტური კრიტიკა ჩეკისტურ კრიტიკად, თუმც ესეც მარადიული საწუხარი გახლდათ, რომ: კრიტიკოსებს ყოველთვის დუნე გრძნობათა მოფერადენი, ჩლუნგი ვნებების მლებავნი და ბედნიერებაზე ლაშმორღვეული მოქაქენი წამოუყენებიათ ნიმუშებად:

– ჰო, უბადრუკნი წამოუყენებიათ, მაგრამ მაინც თავიანთი გაუტანიათ, დაფნის გვირგვინებიც მიურთმევიათ, მაშ რაო, ზედაფენანი ამათკენ ყოფილან და ამათაც ზედაფენათა სურვილებისათვის ხელოვნების პრობლემები და თეორიები დაურქმევიათ, რისი განსახიერებაც უბადრუკთა ნაცოდვილევში აღმოუჩენიათ. ასე ყოფილა და არ შეიძლებოდა ბერნარდ შოუ ასცილებოდა ამ მძაფრსა თუ უცნაურ დაპირისპირებას, არ შეიძლებოდა ხშირად არ გამხდარიყო საკილავი და საქოლავი, როგორც ვითომც მძვინვარე მტერი თავისი საზოგადოებისა, თავისი სამშობლოსი.

შოუს ახსენებდა და ილია ჭავჭავაძისა თუ მიხეილ ჯავახიშვილის სახებანი თავისთავად ამოისვეტებოდა, განა ისიც მტრებივით არ გაენაპირებინათ არამარტო სიცოცხლეში, არამედ ტრაგიკული აღსასრულის შემდგომაც?!.

განა მათი სიცილიც მწარედ არ ჩაესმოდა თავქვეზე დაშვებულ საზოგადოებას და მითუფრო გაფაციცებული არ იხედებოდა გარშემო, ახალი სატირიკოსი აღარავინ გამოჩნდეს, ისედაც გავბეზრდით მათი სახელების ჩაქოლვითო.

შოუს ეპოქის ინგლისურ საზოგადოებას რომ ახსენებდა, იქვე საგანგებოდ დაურთავდა, რომ: დიდი მხატვრები არასოდეს შემოსაზღვრულიყვნენ არც თავიანთი საზოგადოებითა თუ თავიანთი დროის პოლიტიკური სისტემებით, არც თავიანთი სამშობლოთი და თავიანთი ხალხით.

რას იზამ, ეს გარემოებაც უნდა აღნიშნულიყო, რადგანაც ოთარ ჩხეიძე განაზოგადებდა დიდ ხელოვანთა მხატვრულ სამყაროს ადამიანის ბედისწერის გამომხატველად, და იმაზეც მიანიშნებდა, რომ არც მისი შემოქმედება ეგულისხმა ვინმეს გარკვეული ჟამისა და პოლიტიკური სისტემის სურათებად, არც მისთვის ჩამოეკიდათ ხელაღებით ასეთი აზრა.

მემატიანეობაც ედო თავს საკუთარი ეპოქისა, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი მისი მხატვრული სამყაროსი. დაე ისტორიკოსებსა და სოციოლოგებსაც ბლომად მასალა ამოეკრიბათ თუნდაც მისი რომანებიდან და ციკლის საერთო სახელწოდებაც – „მატიანე ქართლისაი" – სავსებით გამართლებულად ელიარებინათ. მთავარი აქ მაინც ის გახლდათ, რაც არ იფარგლებოდა საბჭოური ხანითა და მარქსისტული იდეოლოგიით და ძალდაუტანებლად შეიძლება განზოგადებულიყო ყველა დროისა და ქვეყნის ადამიანზე. და თუ უპირველესად მცირერიცხოვან ერთა შვილებზე, დიდ სახელმწიფოთა მოქალაქეებსაც ბევრი რამ მოხვედროდათ გულზე და მწერალში საკუთარ განცდათა თანაზიარი და კეთილი მრჩეველი ეპოვნათ იმისდა მიუხედავად, გარეგნულად როგორი წარმოდგებოდა ეს მხატვრული შენობა – თუნდაც ადამიანის დაკნინების სურათები სურათებს მიჰყოლოდა და წამიერად ისიც მოგჩვენებოდა, ხომ არ სძულს ამ მწერალს ადამიანი, და თუ არა, ასე რატომ გაუმეტებიაო.

თუმც კარგი გული მაშინვე სცნობდა...

და თუ არაერთ სულიერ საერთოს დაიდასტურებდა ოთარ ჩხეიძე ბერნარდ შოუსთან, ამ ტრაგედიას მაინც გადარჩენოდა, რომ რუსულად არ უწევდა თავის თხზულებათა შექმნა, როგორც შოუ გამხდარიყო იძულებული – ინგლისურად ეწერა, დამპყრობლის ენაზე გამოეხატა მწარე გულისწუხილი, სიცილის მირონწაცხებული.

ირლანდიური ენა მგონი სამუდამოდაც განწირულიყო.

ქართული ენა ინარჩუნებდა საკუთარ იერს და იდუმალ დუღილს და შინაგანი მადლით ადვილად არ უტყდებოდა უსახურობის შემოტევასა და, რაც მთავარია, რუსული ენის უმძიმეს „პრესინგს“.

იქ კი, სასიკვდილო სარეცელზე ბერნარდ შოუ გრძნობის ბურანში რომ გაეხვეოდა, თითქოს პატარა ბერნარდს გაჰყურებდა აკვანში მწოლიარეს და მეუღლის ხელი რომ შეეხებოდა სახეზე, საოცარი განცდა ალავსებდა მის სულს: ოხ, რა კარგია შუბლზე რომ გეხება სათუთი ირლანდიური ხელი, ოხ, რა კარგია, როცა გესმის ბგერები ლბილი ირლანდიური ხმისაო!..

ასეთ შემძვრელ ეპიზოდს ხელიდან როგორ გაუშვებდა ოთარ ჩხეიძე, მითუმეტეს, მის ამ ესეისაც დაამშვენებდა ბელეტრისტული პასაჟები, და უთანაგრძნობდა ლმერთთან იობივით მოკამათე შოუს, სიკვდილისწინა ამ ფრაზებში რომ მოექცია ის ტკივილები, ყველაზე მეტად რაც სტანჯავდა, სულს უმწარებდა მთელი სიცოცხლე.

სულ სხვა რამ გახლდათ შუბლზე ირლანდიური ხელის შეხება და ლბილი ირლანდიური ბგერების მოსმენაც სულ სხვა რამ გახლდათ, მთელი ცხოვრების ნანატრ-ნაოცნებარი.

...კრიტიკოსთა რამდენიმე თაობის გადაშენებას ხომ მაინც მოესწარიო, – სხვა რითი გაეკეთებინა გული ქართველ მწერალს ირლანდიელი თანამოძმისათვის, განამებულისთვის, გატანჯულისთვის...

კრიტიკა

ნინო ჩხიკვიშვილი

# თუკი პოეზიამ ალსარებისაკენ არ გიბიძგა

*პროლოგის ნაცვლად:*

*ჩვენს დაელმებულ ყოფიერებაში, როცა ყოველდღიური საზრუნავი ძილშიც არ გტოვებს, ლიტერატურა ერთგვარ ფუფუნებად იქცა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ნამდვილად ასეა...*

*და აქვე არსებობს კიდევ კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება: ძალზედ რთულია აგამლელვაროს ლიტერატურამ, მით უფრო პოეზიამ, თუ ის მართლაც გულწრფელი არ არის...*

*ამიტომაც ზოგიერთ პოეტთა ახალ პუბლიკაციას რატომლაც მორიგ საგაზეთო თუ საჟურნალო ინფორმაციასავით ვკითხულობ და ვნატრობ – ლექსის მკეთებელთა ტექსტებს შორის (ზოგჯერ მართლაც ჩინებულადაც შეთხზულის, მაგრამ მაინც ლექსს რომ ვერ ვარქმევ, რაკი უსულო საგანია და მეტი არაფერი) ნამდვილ პოეტურ სტრიქონებს გადავაწყდე;*

*ალბათ, როგორც ყველას, მეც ჩემებური კლასიფიკაცია გამაჩნია (სავარაუდოდ, დიდი ორიგინალურობითაც არ გამოვირჩევი). ვფიქრობ, არსებობენ ავტორები, რომლებიც ლექსებს წერენ. საზოგადოებაში პოპულარობითაც სარგებლობენ, ჯილდოვდებიან სხვადასხვა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი პრემიებით, წიგნებს წიგნებზე გამოსცემენ... მაგრამ ეს არაფერსაც არ ნიშნავს, რადგან მათი შემოქმედება გულს არ ეკარება, არც სულს აფორიაქებს!... მათი ყოველი სტრიქონი მხოლოდ მკვდრადშობილია!*

*თუმცა ასეთ ავტორთა გვერდით არიან ისეთი პოეტებიც, რომლებიც ტიციან ტაბიძისა არ იყოს, მეწყერივით მოვარდნილ ლექსში თვითონვე „იმარხებიან“! მხოლოდ ასეთი ავტორებისა მჯერა. ასეთთა ნუსხაში, თანამედროვეთაგან არცთუ ისე ბევრი პოეტია, შეიძლებოდა მათი ჩამოთვლაც, მაგრამ ამაზე საუბარს სხვა დროისთვის გადავდებ და მხოლოდ ერთს დავძენ: ერთ-ერთი ასეთი პოეტთაგანია მანანა ჩიტიშვილი!*

შარშან, 2010 წელს, გამომცემლობა „ინტელექტში“ დაისტამბა მანანა ჩიტიშვილის კრებული – ***„მაინც საქართველო ერქვა“*** – ამ კრებულს პოეტის – ბორენა ჯაჭვლიანის – წინასიტყვაობა დაერთვის.

წინასიტყვაობაში წერია: „როდესაც მანანა ჩიტიშვილის ლექსებს კითხულობ, თითქოს უშუალო მონაწილე ხდები პოეტის გულწრფელი განცდისა. იქვე, შენს თვალწინ, უბრალოდ, ძალდაუტანებლად იხატება პოეტის სამყარო, მისი ფიქრი: გესმის მისი ხმა, მისეული ინტონაცია, რომელიც შემდეგ ძნელად თუ აგერევა სხვის ლექსში.“

ვფიქრობ, ზუსტი შეფასებაა!

ჩვენი ბორენა თვითონაც საინტერესო პოეტი იყო. ამავე დროს მიუკერძოებელი მკითხველი. ამიტომაც მისეული შეფასება მანანა ჩიტიშვილის პოეზიისა, დარწმუნებით შემიძლია გავიმეორო, მეგობრისადმი დამოკიდებულებამ კი არ განაპირობა არამედ უშუალოდ იმ პოეზიამ, რომლის შემოქმედიც მანანა ჩიტიშვილია.

*რაკი მე არა ვარ ლექსმცოდნე, ამდენად მის პოეზიას (და არა მის პოეტურ ტექსტებს, როგორც ახლა უყვართ გამოთქმა) „ვერ დავშლი მარტივ მამრავლებად“, ვერც მის სტრიქონებში დავითვლი მარცვალთა რაოდენობას და ვერც ამ ლექსთა რითმების სპეციფიკაზე მოგახსენებთ, მაგრამ* ***მოკლედ შევეცდები აგიხსნათ თუ რატომ მომწონს მანანა ჩიტიშვილის პოეზია:***

პირველი, რაც ყველაზე მთავარია ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, არის ის ინტიმი, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს პოეტს და არ უნდა იყოს მხოლოდ კარგი ვერსიფიკატორი...

ამ შემთხვევაში მანანა ჩიტიშვილის ლექსებსაც თან სდევს ეს ინტიმი და ამიტომაც არ გბეზრდება მათი კითხვა.

**სიყვარული არ მინახავს,**
**სიყვარულზე დარდი ვნახე.**

ან კიდევ:

**შენამდე ახლა ისე შორია,**
**არა აქვს აზრი ცდას და მოლოდინს,**
**მე სიყვარულით არ მიცხოვრია,**
**მე სიყვარულის ახლოს ვცხოვრობდი.**

და კიდევ:

**და სიყვარულის მძაფრი წყურვილი**
**ორთქლდება ჩემი ლურჯი ტანიდან.**

სხვა რომ არაფერი იცოდე ამ პოეტის ლექსებიდან, ეს სტრიქონებიც კმარა, შემოქმედის განსაკუთრებული პორტრეტის შესამჩნევად და დასამახსოვრებლად.

ის, რომ პოეტი სიყვარულზე წერდეს, სულაც არ არის გასაკვირი. ეგ კი არა, ზოგჯერ მგონია, რომ პოეზიის საგანი მხოლოდ სიყვარული უნდა იყოს და სხვა არაფერი!

ერთხელ კოლაუ ნადირაძემ მითხრა: სიყვარულიც ისეთივე ნიჭია, როგორიცაა ვთქვათ ნიჭი – სიმღერისა, ხატვისა, ლექსის წერისა. ეს ნიჭი ხომ უფლისგან გეძლევა ან არ გეძლევა... და სიყვარულის გარეშე რჩებიო!.. და იცი რაო, იქვე დასძინა: ზოგჯერ მგონია, რომ ჩვენ, პოეტებს, ღმერთმა მოგვიწოდა, რომ აქ, ამ დედამიწაზე, ნამდვილი სიყვარული დაგვეცვაო!..




და ამ პოეტთა, ღვთისგან რჩეული, უფლისგან მონოდებული, სიყვარულის დამცველთა კასტის ნამდვილი წარმომადგენელია მანანა ჩიტიშვილი. ერთობ ბანალურად ალიქმება, მაგრამ მაინც ვიტყვი: მას კარგად მოეხსენება ნამდვილი ფასი სიყვარულისა და თანალმობის.

თუმცა პოეზიის საგანი არ არის მხოლოდ ქალისა და კაცის სიყვარული. ეს მხოლოდ საწყისია იმ სიყვარულისა, რომელიც ბადებს უზენაესთან თანაზიარობისა და სამშობლოს განცდის იმგვარ სიმძაფრეს, მხოლოდ პოეტური ხილვებით რომაა ნასაზრდოები. მისი არცერთი სტრიქონი არ არის ყალბი, მხოლოდ იმისთვის დაწერილი, მკითხველს რომ თავი მოაწონოს, როგორც ერუდიტმა, სხვადასხვა ახალ, მოდურ მიმდინარეობათა მიმდევარმა. ან რაღაც ამოუხსნელი, ბუნდოვანების იდუმალებაში „გამოხვეულმა პოეტმა"...

მრავალფეროვანია მანანა ჩიტიშვილის ტროპული აზროვნება, მაგრამ ისინი არამც და არამც არ ალიქმება, როგორც ერთგვარი სამკაული ლექსისა, არამედ მხატვრული შედარებანი, მეტაფორები და სიმბოლოები იმისთვის იწერება, მკითხველში სულიერი ტრანსფორმირება რომ მოახდინოს.

კითხულობ მის ლექსებს: „კვლავ ქართლის გზაზე", „დღე იმნაირი დამიდგა", „ანანური," „მე ვერ წავალ უსიმღეროდ", „ჯვრის უღელტეხილიდან დანახული", „სამასი არაგველის გახსენება", „ჯვარცმა" და კიდევ სხვებსაც (ახლა ყველას ნამდვილად ვერ ჩამოვთვლი) და ამ ლექსებში სამშობლო სულ სხვანაირია. ნამდვილია და მხოლოდ შენია. აი, ამიტომაც ვამბობ: მანანა ჩიტიშვილის ლექსების ზემოქმედება სცილდება მხოლოდ კარგი ლიტერატურით გამოწვეულ აღფრთოვანებასა და საფშვინველიდან სულიერში „გადადის"!

მისი მრავალი ლექსი რაღაცით ემსგავსება უჟანგბადო ვაკუუმში მთის სუფთა, კრიალა ჰაერის შემოჭრას...

ახლა, ამაზე საუბარი რომ წამოვიწყე, ცოტა არ იყოს გავკადნიერდი, რაკი თავის დროზე ოთარ ჩხეიძემ სწორედ ამის შესახებ ბრძანა მისეული სიდინჯითა და დაბეჯითებით.

***„მანანას წიგნი"*** – ასე ეწოდება ამ წერილს, სადაც მანანას ჩიტიშვილის პოეზიაზე გვესაუბრება ბატონი ოთარი და არ შემიძლია იქედან ვრცელი პასაჟი არ მოვიხმო:

„მოდერნიო. პოსტმოდერნიო. ავანგარდიზმიო. სხვადასხვა ესთეტიკური გრეხილები, სხვადასხვა ფასეულობანი უცნობნი არა ყოფილან ამისთვისა, არა, ოღონდ განრიდებია, შორს ჩაუვლია. უცხოა ამისთვის თავსმოხვეული, გარეგანი, ამჩატებული მიბაძვანი. მისაღებია მხოლოდ უშუალო, მხოლოდ ბუნებრივი.

ხელოვნებაც მისი ბუნებრივია, საკუთარია, ქართულია და საკუთარი.

ის არ ცდილობს, გინდა თუ არა ლექსი რო წეროს, გინდა თუ არა, ასე წეროს, ამაზე წეროს, ამისთვისა წეროს – არა, არაო: ლექსი ლექსად მოსკდება მასში, მოსკდება და მოედინება ცრემლებადა, ფერადებადა, ნაირხმებადა, ნაირსახეებადა. მოედინება, მომჩქეფარებს. აგატივტივებს და მიჰყვები თანა, ჩანჩქერებსაც რო მიგცეს, რო შეგიტყუოს ტბორებშიაცა, მიგცემს ზღვასაცა. გადმოგახედებს მწვერვალებიდანაც. ხნარცვებშიაც გადაგიძახებს.

თვითონაა ასეთი. ლექსი აქვს ასეთი. და თუ ლექსს განიცდი, აჰყვები შენცა."

...და მეც ასე ავყევი, როგორც ერთი მკითხველთაგანი.

მანანა ჩიტიშვილის აქვს შესანიშნავი ლექსი: – „მაცხოვრის ფერხთით" – სადაც გაცხადებულია პოეტის კრედო, და ეს ლექსი, როგორც ავტოპორტრეტი, ისე ხელშესახებად გადმოსცემს პოეტის სულიერ მღელვარებას... ეს მისტიკური განცდა მკითხველსაც გადმოედება და ამ შემთხვევაში ყოველგვარი ამქვეყნიური ზიზილ-პიპილო, სალონური გასართობი და სნობთა თავშესაქცევი – მოდური ლიტერატურა – ფერმკრთალდება!

...და არა მხოლოდ ეს, ყოველდღიური საზრუნავიც სადღაც მიღმა, კულისებში ინაცვლებს და ცხოვრების სცენაზე რჩებით ორნი – შენ და პოეტი.

ოღონდ ეს ისე უნებურად ხდება, როგორც ნამდვილ, ფასეულ ხელოვნებას ძალუძს: უნებურად დაგავიწყოს ყოფითობა და მიგახედოს იქითკენ, სადაც უნდა იხედებოდე, და არა იქ, სადაც შენ და ბევრს, შენს მსგავსს, გაურბის თვალი და გავიწყდება მთავარი – ის, რომ სული უკვდავია!

**P.S.**

...და თუკი პოეზიამ აღსარებისკენ არ გიბიძგა, მაშ ასეთ ლიტერატურას რა ფასი აქვს?!

ელისაბედ ზარდიაშვილი

# „ხე ნაყოფით იცნობება“

ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (№8, 2011) დაბეჭდილია ელგუჯა თავბერიძის წერილი „კომენტარად ხომ მაინც გამოდგება“, რომელშიც ავტორი ეხება აკაკის სტატიას „ფეხთა ბანა“.

იგი დასაწყისშივე აღნიშნავს, წერილის დაწერის ბიძგი აკაკის ოცტომეულის I ტომმა მომცაო: „წამქეზებელი „ფეხთა ბანაზე“ რაიმეს დაწერისა, აკაკის თხზულებათა ოცტომეულის პირველი ტომი აღმოჩნდა. ბუნებრივია, თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემაზე უკეთესი არაფერი შეიძლება იყოს. გამოცემაცაა და გამოცემაც. პირველი ტომი აქამდე გამოცემულ აკაკის თხზულებებს შორის ყველაზე სრულყოფილია, მეცნიერულად ყველაზე პატიოსნად შედგენილი. არის ისეთი სიახლეც, აუცილებლად რომ უნდა ითქვას... მაგრამ შეიძლებოდა ეს გამოცემა უკეთესი ყოფილიყო... აკაკის პირველი ტომის წაკითხვის მერე რაღაც უკმარისობა მაინც შეიძლება დარჩეს მკითხველს“.

ავტორი ასახელებს სამ ლექსს – „ასათიანებს“, „გამოცანას“ და „პ.წ.“-ს და შენიშნავს, რომ ამ ლექსებში მოხსენიებულ ადრესატთა შესახებ მეტი ბიოგრაფიული კომენტარი შეიძლებოდა გაკეთებულიყო: „ალექსანდრე მიქელაძის მწირი ბიოგრაფიული ცნობების მოძიებას დიდი მეცნიერული გარჯა არ ჭირდებოდა. ქუთაისში გამოცემულ წიგნებს თუ არ მოვიძევდით, აქაურ არქივში ზეპირად გვეტყოდნენ მისი მარშლობისა და დაბადება-გარდაცვალების თარილებს“.

შემდგენლებს ტომის ასეთი გულდასმით წაკითხვისა და საქმიანი შენიშვნების გამო მადლობის მეტი არაფერი გვეთქმოდა სტატიის ავტორთან, რომ არა წერილის სულ ბოლო ფრაზა: „ამ გამოცემამ ის მაინც გააკეთა, „ფეხთა ბანაზე“ რაღაც დავწერე“-ო.

აღნიშნული ფრაზა მრავლისმეტყველია და იგი ერთდროულად კარგიც არის და ცუდიც. კარგია, როცა ლიტერატურული პროდუქცია გამოდის და მისი გამოჩენა შეუმჩნეველი კი არ რჩება, არამედ მსჯელობის საგნად იქცევა; და თუ ის სხვადასხვა წერილისა და გამოკვლევის დაწერის ბიძგიც გახდება, კიდევ უკეთესი. ეს ფაქტი უკვე მეტყველებს მის მნიშვნელობაზე. ცუდია იმიტომ, რომ, როგორც მის ავტორს ჰგონია, ამ გამოცემამ ის მაინც გააკეთა, რომ მას გამოკვლევა დააწერინა. სანამ იმის განხილვაზე გადავალთ, მართლაც ასეა თუ არა, წერილის ავტორს ლექსების ადრესატთა ბიოგრაფიების შესახებ გამოთქმულ შენიშვნაზეც უნდა მოვახსენოთ: აკადემიური გამოცემა თავისი სპეციფიკით ბევრად განსხვავდება სხვა ტიპის გამოცემებისაგან. აკადემიური გამოცემის მთავარი მიზანია თხზულების ძირითადი ტექსტის დადგენა, კარგად შედგენილი პასპორტებისა და ვარიანტების, ლიტერატურულ-ტექსტოლოგიური კომენტარების დართვა. შემდგენლის ვალდებულებაში არ შედის ლექსების ადრესატთა (მითუმეტეს მათი ახლობლების) სრულყოფილი ბიოგრაფიების შედგენა.

ეს ცნობისათვის.

ახლა კი მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ზოგიერთ სიახლეს, რითაც აკაკის ახალი აკადემიური გამოცემა გამოირჩევა.

როგორც ცნობილია, აკაკის თხზულებათა კრებულები პოეტის სიცოცხლეშივე რამდენჯერმე განხორციელდა, თუმცა მათ გამოცემას ყოველთვის ხელს უშლიდა ცენზურა, უსახსრობა ან გამომცემლებთან უსიამოვნებები. პოეტი ვერ მოესწრო თავის თხზულებათა სრულ გამოცემას და ამის გამო გულდაწყვეტილი იყო.

აკაკის თხზულებათა ყველაზე სრულ კრებულად 1950-1963 წლებში გამოცემული თხუთმეტტომეული ითვლება, რომელსაც ლიტერატურის კორიფეები ახორციელებენ. ამით თითქოს ახდა პოეტის ოცნებაც, მაგრამ საბჭოური კონიუნქტურის პირობებში, სამწუხაროდ, ამ გამოცემის მიღმა დარჩა ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომელიც მძაფრი პოლიტიკური ხასიათით გამოირჩევა და აკაკის შემოქმედების მშვენებას წარმოადგენს. გარდა ამისა, შეცვლილად დაიბეჭდა თხზულებათა ბევრი ადგილი. თხუთმეტტომეულის გამოსვლიდან დღემდე გამოვლინდა პოეტის ბევრი უცნობი თხზულება, მათი უცნობი ვარიანტები, დაიბეჭდა სამეცნიერო ნაშრომები, სიახლეები აკაკის შემოქმედების შესახებ... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა ახალი აკადემიური გამოცემის მომზადება. 80-იანი წლების ბოლოს ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო თხზულებათა სრული კრებულის მომზადება 18 ტომად. 1991 წელს გამოვიდა I ტომი, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო გამოცემა შეწყდა...

საბედნიეროდ, 2009 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსდა აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის პირველი ნაწილის (ათი ტომი) გამოსაცემად მომზადება და 2010 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა I ტომი, 2011 წელს – II ტომი (სარედაქციო კოლეგია: ირმა რატიანი – მთავარი რედაქტორი; იუზა ევგენიძე, მაკა ელბაქიძე, ნანა ფრუიძე, როსტომ ჩხეიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, თამაზ ჯოლოგუა, ჯულიეტა გაბოძე – პასუხისმგებელი მდივანი), ასევე მომზადებულია კიდევ 8 ტომი, რომელთაგან III-ს და IV-ს მალე იხილავს მკითხველი.

აღსანიშნავია, რომ თხუთმეტტომეულთან შედარებით ახალ გამოცემაში აკაკის შემოქმედება გაიზარდა 5 ტომით (!). მხოლოდ ამ გამოცემით მიეცემა მკითხველს საშუალება, გაეცნოს იმ თხზულებებს, რომლებიც საბჭოური კონიუნქტურისა თუ სხვა მიზეზთა გამო გამოტოვებული იყო წინა გამოცემებში. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ პოეტის ჯერაც გამოუქვეყნებელი ლექსები, სიტყვები, განცხადებები, წერილები რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული და ქართულ-სომხურ ურთიერთობათა შესახებ, სკაბრეზული თხზულებები, პირადი წერილები, რომლებიც „აკრძალულ ფონდში“ ინახებოდა და ცოტა ხნის წინათ გახდა მკვლევართათვის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, არის კიდევ უამრავი სიახლე, მათ შორის თხზულებათა ახალი წყაროები, ვარიანტები, საძიებლები და სხვა. ასე რომ, აღნიშნული გამოცემა იქნება ყველაზე სრული აკაკის თხზულებათა აქამდე არსებულ კრებულებს შორის ახალ მასალათა სიმრავლისა და მრავალფეროვნების მიხედვით.

* აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის I ტომის შემდგენელი.

ახლა უფრო კონკრეტულად ახალი აკადემიური გამოცემის I ტომის შესახებ. სქემატურად ჩამოვთვლით მხოლოდ იმ საკვანძო სიახლეებს, რომლებსაც შეიცავს აღნიშნული ტომი.

1. I ტომს წინა გამოცემების I ტომებთან შედარებით დაემატა 11 ახალი, სრულიად უცნობი და ბევრი მივიწყებული ლექსი.

2. ტექსტოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობითა და ავტორის ბოლო ნების გათვალისწინებით, შეიცვალა ბევრი ლექსის ძირითადი წყარო, რითაც მკითხველმა მიიღო უკვე არსებულისგან განსხვავებული მათი კანონიკური ტექსტები, რაც აუცილებელია სწორი მეცნიერული კვლევისთვის.

3. თავიდან დათარიღდა ზოგიერთი ლექსი.

4. შეიცვალა რამდენიმე ლექსის სათაური.

5. დაიხვეწა სამეცნიერო აპარატი, მკაცრად განისაზღვრა ლექსების პასპორტების დალაგების პრინციპი, შენიშვნა-კომენტარებისა და ვარიანტების ადგილი.

6. წინა გამოცემათა I ტომებს ახლავს საკმაოდ სრულყოფილი შენიშვნა-კომენტარები. ახალ გამოცემაში შეიცვალა, შეივსო ან ახლიდან დაიწერა ბევრი ლექსის კომენტარი და შენიშვნა.

7. დაზუსტდა ხელმოწერები, ქვესათაურები, მინაწერები, ხელნაწერთა და ნაბეჭდ წყაროთა ლიტერები.

8. დამრგვალდა I ტომში შემავალი ლექსების ქრონოლოგიური ჩარჩოები, კერძოდ, მასში შევიდა 1880 წლით დათარიღებული ლექსები (ამით გამოსწორდა ის ხარვეზი, რომელიც წინა, 1991 წლის გამოცემას ახასიათებდა. ამ გამოცემის I ტომი მთავრდებოდა 1879 წლით და II ტომი იწყებოდა 1881 წლით).

9. ლექსში „ჩვენი მიხაკა" ძირითად წყაროზე დაყრდნობით აღდგა სკაბრეზული სიტყვის პირველი და ბოლო ასოები, რამაც მკითხველს საშუალება მისცა წინა გამოცემებში მხოლოდ წერტილებით დაშიფრული ადგილის გაგებისა.

10. როგორც ახალ აკადემიურ გამოცემაში მთლიანად, ისე კონკრეტულად I ტომში, განხორციელდა აკაკის პროზაში ჩართული ლექსებისადმი მიდგომის ახალი პრინციპი. ის ლექსები, რომელიც ჩართულია პუბლიცისტურ წერილებში და პოეტს არასოდეს გამოუქვეყნებია როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოებები, დაუბრუნდა ისევ პროზას და მკითხველი მათ გაეცნობა პუბლიცისტიკის შესაბამის ტომებში.

11. გასუფთავდა სამეცნიერო აპარატის ნაბეჭდი წყაროების ჩამონათვალი იმ ზედმეტი გამოცემებისგან, რომლებშიც პოეტის თხზულებები დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ.

12. ასევე ოცტომეულის I ტომზე მუშაობისას მიკვლეულ იქნა იმ ავტოგრაფისა და ხელნაწერის ასლი, რომელსაც თვრამეტტომეულის I ტომის შემდგენელმა ვერ მიაგნო, დაკარგული ეგონა და ამის შესახებ სპეციალურად კიდეც მიუთითა ტომში. ესენია ლექსების „ჩემს მეგობარს" ავტოგრაფი თ-18542 და „აღარ გვაქვს გრძნობა" ხელნაწერი ასლი თ-17496. აღნიშნული ლექსების ვარიანტები ახლებურად შევავსეთ ამ ხელნაწერების მიხედვით.

13. დაიხვეწა და გასწორდა წინა გამოცემათა I ტომის ვარიანტებში დაშვებული ცდომილებები. ლექსის სამეცნიერო აპარატზე მუშაობა („აპარატზე" და არა „აპარატურაზე", ეს სიტყვა ნახმარია ბატონი ელგუჯა თავბერიძის წერილში და ვვარაუდობთ, რომ იგი კორექტურული შეცდომაა და არა ავტორის მიერ გამოყენებული ფორმა) რთულ და მძიმე შრომასთან არის დაკავშირებული, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თხზულებათა ვარიანტების შედგენის საკითხი. ეს სირთულე მეტ-ნაკლებად გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექსტოლოგ-შემდგენელს უხდება მარტო ერთ ტომში შემავალი დაახლოებით 200 ან მეტი ლექსის ათასობით ვარიანტის ერთმანეთთან შეჯერება, განსხვავებების პოვნა, ლიტერების მიცემა, გვერდების, სტროფებისა და სტრიქონების აღნუსხვა.



14. უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, რომ ახალი აკადემიური გამოცემის I ტომს ახლავს საძიებლები, რაც სიახლეა წინა გამოცემებთან შედარებით, მათ შორის ანბანური საძიებელი. სარჩევში შესულია არა მხოლოდ თხზულების გვერდის ნომერი, არამედ კომენტარის გვერდის ნომერიც, რაც აადვილებს ლექსზე მუშაობას.

15. I ტომს წინა გამოცემებთან შედარებით დაემატა 100-ზე მეტი ლექსის ახალი წყარო, ანუ ვარიანტი. ისინი მოძიებულ იქნა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის ფონდში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა არქივებში, ასევე პერიოდულ გამოცემებში... მარტო ლიტერატურის მუზეუმში დაცული აკაკის I ტომის ლექსების ახალმა წყაროებმა 90-ს გადააჭარბა. ყველა ახალმიკვლეულ წყაროს მიეცა ახალი ლიტერი და შეჯერდა წინა გამოცემების ვარიანტებთან. ამის შედეგად თავიდან დაიწერა, მაგალითად, ლექსების „დიდხანს ვსძებნე იდეალის", „შამილის სიზმრისა" და სხვათა შემოქმედებითი ისტორიები („შამილის სიზმრის" ახალი ვარიანტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ამით შეიძლება როგორც ლექსის სათაურის, ისე შინაარსის გააზრება, რადგან ძირითად წყაროში მას ბოლო რამდენიმე სტროფი აკლია). ასევე ვარიანტებში აღდგენილ იქნა „აპელაციის მცოდნის" ხელნაწერ ასლში თ-25909 ავტორის მიერ გადახაზული ადგილი, რომელიც ლექსის თავდაპირველ ჩანაფიქრზე მიუთითებს და კარგ მასალას იძლევა მისი სამეცნიერო კვლევისათვის, ვარიანტებში დაბეჭდილია აგრეთვე „იმერული ნანინას" ფრაგმენტი (თ-17674), რომელიც დღემდე არცერთ სხვა გამოცემაში არ ყოფილა შეტანილი.

დაბოლოს, მოკლედ, მაგრამ საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მთლიანად ოცტომეულის, კონკრეტულად კი I ტომის, ერთ-ერთ მთავარ ღირსებაზე, მარტო მის გამოც რომ ღირდა ამ გამოცემის განხორციელება. ეს გახლავთ ლექსებში ავტორისეული ფორმების საკითხი. როგორც ცნობილია, გამომცემლებთან ურთიერთობა აკაკის ხშირად იმის გამო უფუჭდებოდა, რომ ისინი პოეტისეულ ფორმებს ცვლიდნენ. თხზულებებში ცვლილებების შეტანა ავტორის ნების დარღვევას იწვევს. ჩარევას განსაკუთრებით ვერ იტანს ლექსები. მათი ვარიანტები მეტყველებს იმაზე, რომ აკაკი სათუთად ზრუნავდა ლექსის რითმასა და ალიტერაციაზე. უმრავლეს შემთხვევაში (გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალმისმიერი ლაფსუსებისა) სიტყვის მცდარი ან არაბუნებრივი ფორმა თხზულების კეთილხმოვანებას ემსახურება და, ამასთანავე, იგი იმ პერიოდის გრამატიკული ნორმების სიჭრელეზე მიუთითებს, რაც კარგი მასალაა ენათმეცნიერული კვლევისათვის. ფორმათა შესწორება ავტორის ნების უხეშ დარღვევასაც იწვევს და ასევე შლის ეპოქის სურათს. სამწუხაროდ, ლექსების ვარიანტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ წინა გამოცემებში თანამედროვე ნორმების შესაბამისად იყო შესწორებული პოეტისეული გრამატიკული ფორმები. სარედაქციო კოლეგიამ მხარი დაუჭირა იმ ძირითადი ტექსტოლოგიური პრინციპის გატარებას, რომ თხზულებებში ყველგან აღდგენილიყო გადაკეთებული სიტყვები. I ტომში შემავალ ყველა ლექსში აღდგა ავტორისეული ფორმები, პირველ რიგში კი ვითარებითი ბრუნვის ნიშნების —ად, -დ და —ათ, -თ-ს მონაცვლეობა, I სუბიექტური პირის ნიშნის ვ-ს ხმარების ავტორისეული ფორმები, პოეტის ინდივიდუალური გამოთქმები და ა.შ.

მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება და სათქმელიც უამრავი დაგვრჩა, თუნდაც თხზულების ვარიანტების მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ხშირად ბევრ საიდუმლოს ხდის ფარდას; თუნდაც ის,რომ ზოგჯერ დღეები სჭირდება ავტოგრაფის ერთი სიტყვის ან ფრაზის გაშიფვრას, საათობით ფიქრი, თუ რომელი ვარიანტი გამოხატავს ავტორის ნებას, რომელი ფორმა დარჩეს და რომელი გადაკეთდეს ტექსტოლოგიური კანონების დაცვით, რომ აზრის ბუნდოვანება მოიხსნას, არის თუ რა სიტყვის მცდარი ფორმა კალმისეული ლაფსუსი და ა.შ. აღარაფერს ვამბობთ ტომის ვარიანტების მძიმე კორექტურასა და სხვა სასტამბო სამუშაოებზე... მხოლოდ ზემოთ აღნიშნულიც საკმარისია იმის გასაგებად, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული აკაკი წერეთლის ოცტომეული არის ის გამოცემა, რომელშიც მოხერხდა ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტა, რაზეც აკაკი მთელი ცხოვრების განმავლობაში ოცნებობდა. მასში ყველა არქივიდან, პერიოდიკიდან ერთად შეკრებილი, დახვეწილ-გაანალიზებული და დაზუსტებულია თხზულებათა ტექსტები, თარიღები, სათაურები, ქვესათაურები, ხელმოწერები, მინაწერები, ვარიანტები, სრულადაა აღდგენილი თხზულებათა საარქივო სურათი. ყველაფერში, თითოეულ ბწკარში, გათვალისწინებულია პოეტის ბოლო ნება. ეს ყველაფერი არცთუ ცოტა მიზეზია არა მხოლოდ ახალი გამოცემის განსახორციელებლად, არამედ წინა გამოცემებთან მისი განსხვავებულობის დასანახად.

თუ მკითხველს აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაზე კომენტარის გაკეთება სურს, მან სხვადასხვა გამოცემის ტომების მარტო შენიშვნა-კომენტარები კი არა, თხზულებათა პასპორტები და ვარიანტებიც გულდასმით უნდა შეადაროს ერთმანეთს. ჩამოთვლილი სიახლეების დანახვას სპეციალური მეცნიერული გარჯა არ სჭირდება. I ტომი, ელგუჯა თავბერიძისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქამდე გამოცემულ აკაკის თხზულებებს შორის ყველაზე სრულყოფილია, მეცნიერულად ყველაზე პატიოსნად შედგენილი. არის ისეთი სიახლეც, აუცილებლად რომ უნდა ითქვას". ჭეშმარიტად რომ ასეა!

ნათქვამია, „ხე ნაყოფით იცნობებაო". აკაკის ახალი აკადემიური ოცტომეულის ყველა ტომის გამოსვლის შემდეგ მკითხველი თავად შეაფასებს, თუ რა მნიშვნელობა ექნება მას არამარტო აკაკის შემოქმედებისთვის, არამედ ზოგადად ქართული ლიტერატურის ისტორიისთვისაც.

ეკა ბუჯიაშვილი

# „აბა რით ვერ დამიმახსოვრე?!"

ამ რამდენიმე ხნის წინათ რატომღაც ისეთი ვითარება შეიქმნა, ზემოდან დაჰყურებდნენ საბავშვო მწერლებს და ეკითხებოდნენ:

– სადიდო ნაწარმოებებს არ წერთო?

თითქოს საბავშვო მწერლობა რამით ნაკლები ყოფილიყო.

ავიწყდებოდათ, რომ ჯონათან სვიფტი საბავშვო მწერალი იყო.

ისევე, როგორც დანიელ დეფო.

აღარაფერს ვამბობთ ვაჟა-ფშაველაზე, ვისი პოემებიც არაფრით ჩამოუვარდება მოთხრობების იმ ციკლს, საბავშვო მწერლობის ჩარჩოებში რომ მოაქცევენ ხოლმე.

ამ ამბავს **როსტომ ჩხეიძე** გაიხსენებს „ჩვენი მწერლობის" სალონის შეკრებაზე, პოეტ **მარიამ წიკლაურს** რომ მიეძღვნა.

გაიხსენებს იმიტომ, რომ მარიამ წიკლაურიც ცნობილია როგორც საბავშვო მწერალი, „სადიდო" ნაწარმოებებსაც რომ ქმნის და ორივე განზომილებაში შესანიშნავია. მისი ახალი კრებული „თეთრი ხბორები" კი არაორდინარული მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

## „ყვავილის ცრემლი"

– იტყვით, ისეთი კარგი წიგნია, როგორ შეიძლებოდა პრემია დაემსახურებინაო, მაგრამ ჩვენს პარადოქსულ რეალობაში ასეც ხდება ხოლმე – ხანდახან კარგი წიგნებიც ღებულობენ პრემიებს და „თეთრი ხბორებიც" სულ ახლახან გამოარჩია ლიტერატურული კონკურსის „გალას" ჟიურიმ, – ასეთი ტკივილნარევი იუმორით დაიწყებს საუბარს ბატონი როსტომი, – თავის საავტორო მინაწერში პოეტი ამბობს, რომ პოეზია სიზმრების ახსნაა და მის საკრალურობას აღნიშნავს.

ეს თითქოს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში დავიწყებული, რადგან ვცხოვრობთ იმ რეალობაში, რომელმაც ას და ორმოცდაათსიტყვიანი „პოეტებიც" იცის, სრულიად რომ აკმაყოფილებთ სიტყვათა ეს მარაგი – მათაც და იმ აუდიტორიასაც, რომლის რჩეულებიც არიან.

მაგრამ არსებობს ნამდვილი ლიტერატურაც.

და თუ გინდა, შენი შემოქმედება მისი ნაწილი იყოს, უნდა ჩაწვდე ენის სიღრმეებს, ჩაწვდე ისე, როგორც ამას მარიამ წიკლაური ახერხებს. მხოლოდ მახვილ და მოხდენილ ნეოლოგიზმებს არ ვგულისხმობ, მასთან თვითონ ენის განცდაც ძალიან ფაქიზია, და ის სიტყვებიც კი, რომლებიც თითქოს გაცვეთილია, ყოველდღიურობისგან გაუფერულებული, მარიამ წიკლაურის ლექსებში ისეთ კონტექსტში მოექცევა ხოლმე, რომ სულ სხვაგვარად აელვარდება და უჩვეულო ელფერს იძენს.

იგი იმასაც ამბობს, რომ პოეზია არის დამოკიდებულება ცოცხლებთან და გარდაცვლილებთან, ხილულთან და

უხილავთან. სწორედ ამ ზღვარზე გადის მისი პოეზია, ყოფით თემებშიც კი ხმიანობს ის იდუმალი სიმი, ალარაფერს ვამბობ ლექსების იმ ციკლზე, რომლებშიც თავისებური ბურუსი იქმნება და რეალურისა და ირეალურის გადაკვეთაზე გაგატარებენ.

„თეთრი ხბორები" მარიამ ნიკლაურის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია, ერთგვარ პოეტურ მანიფესტადაც რომ შეიძლება გავიაზროთ – რაკი თვალსაჩინოდ გამოხატავს მის დამოკიდებულებას პოეტებთან და პოეზიასთან – მაგრამ მინდა ერთი პატარა ლექსი გავიხსენო, „წვიმის წვეთი", რომელიც შესაძლოა „თეთრ ხბორებზე" უფრო ავტობიოგრაფიულიც იყოს:

**მე ვგავარ წვიმის წვეთს,**
**უფეროს, უსახოს,**
**უჩუმრად მომავალს**
**არსიდან, არსისკენ,**
**მიწას ნუ დამახლი,**
**ტალახად ვიქცევი,**
**უფალო, ყვავილის**
**ცრემლობა მაღირსე.**

ვისაც პოეზია უყვარს, არ შეიძლება ალტაცებული არ დარჩეს ამ სტრიქონებით, რომლებთანაც შორეული გამოძახილი ისმის ვაჟა-ფშაველასი, მაგრამ თავისია – ეს ის შემთხვევაა, როცა პოეტის ლექსებში ლირიკული გმირი თვითონ ავტორია, თავისი გულწრფელობითა და გულახდილობით, ისევე როგორც ამ სტრიქონებში:

**ეძლვნება იმათ,**
**ვინც ერთხელ მაინც შემაყვარა თავი ამქვეყნად**
**და ჩემს ლურჯ ცაზე დღის თეთრ მთვარედ**
**მოჩანან მზეშიც.**

ასეთ მზეში მოჩანს მარიამ ნიკლაურის პოეზიაც, ახლა, ამ წუთას რომ ამბობს:

– ეს სალონი ლიტერატურის ყველა მოყვარულისთვის დასაფასებელი და მოსაფრთხილებელია, რადგან კეთილგანწყობის გარდა, აქ იმასაც გრძნობ, რომ შენს საქმიანობაში თანამოაზრე გყავს, მუდმივად გვერდში მდგომი...

და რა დროც უნდა იყოს, აქ ყოველთვის სცალიათ ლიტერატურისთვის.

## „პოეზია – სამყაროს სიზმრების ახსნა"

ეს სათაურია **მაია ჯალიაშვილის** მოხსენებისა, მარიამ ნიკლაურის ახალ კრებულს რომ მიმოიხილავს, ცალკეულ სტრიქონებს ულრმეს შრეებამდე ჩაჰყვება და, სამყაროს სიზმრების გარდა, პოეტის ხილვებსაც აუხსნის მკითხველს. აი ამონარიდიც ამ საინტერესო მოხსენებიდან:

– **„მე მახსოვს პირველი სიტყვების წვიმაში რომ იდგა ღმერთი და სამყაროს ნათლავდა"**, – წერს ერთ ლექსში მარიამ ნიკლაური და გრძნობთ, როგორ გეხსნებათ დახშული მზერა, სმენა და რაღაც უჩვეულოსა და უცხოს განიცდით. ეს სტრიქონები ხილვის დარად შესაქმის საიდუმლოს აზიარებენ მკითხველს. ღვთის მიერ სიტყვების წვიმაში სამყაროს მონათვლა იმგვარი პოეტური ხატია, რომელიც ამხელს სამოთხიდან დევნილი ადამიანის მწუხარებასა და შინ დაბრუნების მარადიულ წყურვილს.



მაკა ჯოხაძე და მარიამ ნიკლაური

მარიამ ნიკლაურის ლექსი ცინცხალი მზერით შემოიჭრება შენს გაუფერულებულ ნაცნობ გარემოშიც და გულგრილობის გამოქვაბულიდან გამოგიყვანს, რათა დაგანახოს ცაზე აკიაფებული ახალი ვარსკვლავი აქამდე რომ ვერ ხედავდი. ეს ვარსკვლავი სიტყვაა, მხატვრული სახეა, სიმბოლოა, რომელიც აღმოგაჩენინებს, რომ ფენიქსივით აღდგება ყოველივე, უპირველესად, სიყვარული, თუკი მას პოეზიის ჯადოსნურ მალამოს წაუსვამ.

„სიყვარული ღმერთია" – ეს არის ამ პოეზიის მძლავრი მუხტი, რომელიც გიბიძგებს, გასცდე მატერიალური ყოფის სამანებს და იქცე ერთიანი, ჰარმონიული მთელის ნაწილად, სამყარო რომ ჰქვია.

ახალი კრებული „თეთრი ხბორები" (გამომცემლობა „პეგასი", 2010) მარიამ ნიკლაურის პორტრეტია. ამ წიგნში წარმოჩნდება მისი სულიერი მისწრაფებანი, სამყაროსთან ურთიერთობის მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი გამოცდილება. ამ პოეზიაში თანაბრად ირეკლებიან ხილულნი და უხილავნი, სულიერნი და უსულონი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ადამიანს სულს, გულსა და გონებას უშფოთებს, ამოძრავებს და აღძრავს სიცოცხლის მისტერიის შესაცნობად.

მარიამი ქართული პოეზიის შვილია. ეს იგრძნობა მისი ლექსების ინტონაციაში, იმ მხატვრულ სახეებში, რომლებიც ნასაზრდოებია ტრადიციით, ფოლკლორით, მშობლიური კულტურის გამოცდილებით, თანვე, როგორც იტყვიან, არც მას „უსეირნია პალმების ჩრდილში ამაოდ" და ამ ლექსებში ჩანს „სხვათა" ნაყოფიერი გამოძახილებიც – თანამედროვე თუ კლასიკური პოეზიის ტენდენციები. ეს არის მართლაც მშვენიერი პოეზია, უჩვეულო პოეტური სახეებით, განცდების სიღრმით, „გაცვეთილ" თემათა განედლებითა და საგულისხმო ვარიაციებით...

მარიამის პოეზია სითბოთი და სიყვარულითაა სავსე, რაღაცნაირად ჩამყუდროვებული, თანვე „ყოველი კედელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარია“ (რალფ ემერსონი), რომლებსაც მკითხველი უსაზღვრო და ნათელი გულისა და სულის სივრცეში გაჰყავს სახეტიალოდ.

„პოეზია სამყაროს სიზმრის ახსნაა – ხსოვნისა და წინასწარმეტყველების უძველესი ენა, მარადიული განახლების ენერგიით სავსე“, – წერს მარიამი და ლექსებით მკითხველს თავისებურად გადმოუთარგმნის განცდილსა და განჭვრეტილს.

და გრძელდება პოეზიის მისტერიაც, რადგან კიდევ უამრავი „სიზმარია ჯერ სანახავი“ და თანაც „ხელახლაა ამოსათქმელი მთელი სამყარო“.

## „ჩვენი გულების მეფარნე“

ჯერ XX საუკუნეს, მერე კი ახალ ათასწლეულსაც გამოუვალ მდგომარეობაში მოექცია ადამიანი და ამ ვითარებაზე, აპოკალიფსურ შიშსა და ძრწოლაზე ინერებოდა, ეს შემზარავი ხმები გაისმოდა ბუნებაშიც და შემოქმედებაშიც.

ამ ხმებს აუფორიაქებია **ნინო სადღობელაშვილიც,** ვისთვისაც მარიამ ნიკლაურის შემოქმედება გამონაკლისია, რაკი მიიჩნევს, რომ ეს არის ნუგეშის, ხსნის, გამოსავლის ძიების პოეზია. და თუ მარიამის თვალებით, მისი ლექსებით შეხედავ აპოკალიფსური შიშივით გაზრდილ და გაუცხოებულ სამყაროს, აღმოაჩენ, რომ კედელი, რომელიც მასთან გაშორებს, სულაც არ არსებობს – აქ მართლაც „ყოველი კედელი კარია“ – შეგიძლია გაიარო და სინათლეში გახვიდე. მამოძრავებელი კი ამ ყველაფრისა არის დიდი რწმენა, სიყვარული, უცნაურად დედობრივი განცდა მთელი სამყაროსი, განცდა, რომელიც ღვთისმშობლის სახესაც მოიცავს და, ამავე დროს, ბუნების, როგორც ყველაფრის სანყისის სიმბოლოსაც.

– ეს ყველაფერი ამ პოეზიას დიდ მანუგეშებელ ენერგიად აქცევს და მკითხველისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს ასეთ დროში, ამიტომაც მარიამ ნიკლაურის შემოქმედება დღევანდელი, გუშინდელი ან ხვალინდელი დღის კი არა, მარადისობის პოეზიაა, რადგან ადამიანს ეძღვნება, ადამიანი კი... მარადისობამ დაიტია მხოლოდ – ისეთიც, როგორც დღეს არის.

სწორედ ამ თემას გამოარჩევს **ელდარ ნადირაძე,** პროფესიით ისტორიკოსი, პოეზია ძალიან რომ უყვარს:

– ხანდახან წაგილებს ფიქრი, რომ დამთავრდა ყველაფერი, ხვალ აღარაფერი იქნება, პოეზიაც მთავრდება, მითუმეტეს იმ გაუფასურებული ღირებულებების ფონზე, სატელევიზიო შოუებით რომ გვიქადაგებენ... მაგრამ უცებ აღმოაჩენ, მოდის ასეთი ლექსი სხვანაირი მუხტით და იმედს გაძლევს ხვალინდელი დღისა. მარიამის ყველა ლექსი ადამიანს ეძღვნება. არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, როგორიც ადამიანური ურთიერთობები, ადამიანი საერთოდ, ვინც შეიძლება უდიდესი ტკივილიც მოგაყენოს და უბედნიერესადაც გაქციოს. რაც ადამიანს სტკივა, ის არის მარიამ ნიკლაურის სათქმელი.

ეს არის მისი ჯილდოც, ტვირთიც და ნიჭიც.

ამიტომაც გვჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს **„მზე ააშრობს და წაილებს ღმერთისკენ სოფლის სამდურავს“**. და პოეტიც, „გულების მეფარნედ“ ქცეული, ისე გაგვითენებს წვიმიან ქუჩებს, რომ **„გულის სინათლე არასდროს, არასდროს, არასდროს ჩაგვიქრეს“**.

ამიტომაც იტყვის **რამაზ ბერაძე** რომ მარიამ ნიკლაურის სულზე მისი ლექსები საუბრობენ და ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა პოეტიც და პიროვნებაც ერთნაირად მაღალი ღირსების არიან.

– აქ იწყება ადამიანი და აქ იწყება პოეტი, და ადამიანიცა და პოეტიც არასოდეს უნდა დამთავრდეს, რადგან ამქვეყნად სასრული არაფერს აქვს. ამის დასტურია მარიამ ნიკლაურის პოეზიაც. აი, თუნდაც:

**ადამიანო,**
**ამოლაგდი შენი თავიდან!**
**ღმერთს უხარიხარ,**
**წამისტოლა მარადისობავ,**
**დიდი ფიქრით აძრული**
**და იმედიანი,**
**რო არ ისვენებ.**

## „სამყარო იმისთვისაა, რომ გაიოცო“

– მარიამ ნიკლაურის ლექსებს, დღევანდელი პოეზიიდან, დღეს შექმნილი ლექსებიდან გამოარჩევს ერთი იშვიათი (გაიშვიათებული) თვისება: ისინი დიდი სიმშვიდისა და დიდი ავსების ჟამსაა დაწერილი, ეს **მაკა ჯოხაძე** საუბრობს, ვისი ემოციური და ექსპრესიული გამოსვლებიც განსაკუთრებულ მუხტს სძენს ხოლმე „ჩვენი მწერლობის“ სალონურ შეკრებებს.

სიმშვიდეც და სისავსეც ერთ-ერთი ურთულესი მონაპოვარია დღევანდელი შემოქმედისათვის, რადგან მუდმივი სწრაფვა ზეცისაკენ და მუდმივი მიჯაჭვულობა მიწასთან, განუწყვეტელი ფიქრი მარადიულზე და განუწყვეტელი ყოფნა წარმავალი ყოფიერების ფერხულში, მიწისა და ზეცის შეთავსება-შეუღლება ამოცანა კი არა ბედისწერაა ხელოვანისათვის. ბედისწერას კი გამკლავება სჭირდება. უნდა ითქვას, რომ მარიამ ნიკლაური ამას ღირსეულად ახერხებს.

მარინა ცვეტაევა ერთგან წერდა, რომ ლექსის კითხვისას განათების მიხედვით იგი გრძნობს დღე-ღამის რომელ მონაკვეთშია ლექსი დაწერილი. რა თქმა უნდა, სამყაროს ბუნებრივ შუქს გულისხმობდა, რომელიც წარმოსახვას თავის ნიაღში ხვევს და ფერმწერივით შუქჩრდილებს ანაწილებს. დროის ნებისმიერ მონაკვეთს კი თავისი გამოსხივება აქვს, თავისი მუსიკა, სითბო და ფერი.

მე არ ვიცი როდის იწერება მარიამის ლექსები რეალურად, მაგრამ მათი გამოსხივების მიხედვით რიჟრაჟი მიდგას თვალწინ. მხოლოდ ამ დროს შეიძლება მოვიდეს ხილვა:

**მხოლოდ შენ, ზამთრის თეთრო მზეო,**
**თეთრო მზეო მარადისობის.**

მის „თეთრ მზეს“ ტახტი იერუსალიმში უდგას.
ანდა ლექსში „ნეპალი“:

**ველურად უწვრთნელი წითელი**
**მზის ცრემლი მოგორავს ტატნობზე.**

„მარადისობის თეთრი მზე", „ველურად უწვრთნელი ნითელი"... პოეზიაში ეს მარიამის აღმოჩენილი ფერებია, რადგან ფერი აქ არსებით დატვირთვას, მსოფლმხედველობრივ დატვირთვას ატარებს.

როგორც გურამ რჩეულიშვილის ხილვებიდან ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა ალაზნის ველიდან მოულოდნელად თეთრი გედივით ამოვარდნილი ალავერდი, ისე მარიამის დიდებული ლექსის („მცხეთა") წაკითხვის მერე სამუდამოდ გრჩება ხსოვნაში:

**სვეტიცხოველი ვით მაცხოვარი**
**დგას ამოსული იორდანედან.**

ვაჟა-ფშაველას ცხედარი 20 წლის შემდეგ მთაწმინდაზე გადაასვენეს. რა თქმა უნდა ეს, ფაქტი, ეს ინფორმაცია პოეტმა უნდა იცოდეს, მაგრამ თუ არა სრული განცდა ვაჟას პოეტური მემკვიდრეობისა, მისი კაცობისა, ადამიანობისა, თუ არა ცოდნასთან ერთად საოცარი სიყვარული, ასეთი სტრიქონები ვერ დაიწერებოდა:

**ნეტავი იმას ვინც შენი**
**ნაცვამი მიწა მოირგო.**

ასეა, იმ მიწამაც, რომელშიც ადრე ვაჟას სხეული ესვენა, თავისი წილი ვაჟა-ფშაველა მიიღო, შეირგო, შეიტკბო... ამიტომაა სასურველი და თუნდაც სანატრელი — ძვირფას სამარეში ჩაწოლა.

რამდენნაირად, რამდენნაირი, რამდენგზის გამოხატულა სამშობლოს განცდა გასაკვირველი ქართულ პოეზიაში. მარიამმა ჩვენი საყვარელი პოეტების მხოლოდ დარდი, ნატვრა, მხოლოდ სიყვარული გაიმეორა და ეს სრულიად ახლებურად, საკუთარი ხელწერით მოახერხა. რამდენიმე ლექსთან ერთად ამის შესანიშნავი ნიმუშია ლექსი „ნეტავ ქვეყანას", რომლის რეფრენში ყველაფერი ჩაატია პოეტმა –სამშობლოზე დარდი, ნატვრა, სიყვარული, იმედი, ოცნება, სინანული:

**ნეტავ ქვეყანას,**
**სადაც ქარი აბრუნებს წისქვილს,**
**სადაც წისქვილი მშვიდად**
**ფქვავს ხორბალს.**

აქ ლამანჩელის რომანტიზმიცაა და ასე გაძნელებული არსობის პურის გაცხადებაც.

გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ დღეს, როგორც ექსპერტები, ისე მოყვარულები, ხელოვნების ნიმუშის შეფასებისას განსაკუთრებით სწორედ გემოვნებას უსვამენ ხაზს.

არადა ადრე, გურამიშვილის, ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას, ანას... შეფასებისას ვინ ახსენებდა ამ სიტყვას, ეს ბუნებრივად, თავისთავად იგულისხმებოდა.

ჩემთვის მიფიქრია – ამის მიზეზი ალბათ ის გლობალური გახსნილობაა და ზღვა ინფორმაციის ტყვეობაში ყოფნა, რომელიც თავბრუდამხვევი ტემპით ახდენს ჩვენზე ზეწოლას და, რომლის არა მხოლოდ მიღება და არჩევა ხდება, არამედ რომელსაც სიფრთხილეც სჭირდება, რომ მხატვრული ლოგიკის, მხატვრული წარმოსახვის ქსოვილი არ დააზიანოს. ინდივიდმა შეინარჩუნოს თავისი მორალური სახე, ღირებულებები, ესთეტიკა. არ აყვეს ზერელობის მაუწყებელ ტემპს, ნაირნაირ ცდუნებებს, არ ჩავარდეს სნობიზმის ტყვეობაში.

ბრწყინვალე პოეტმა ესმა ონიანმა იცოდა: „სამყარო იმისთვისაა, რომ გაიოცო".

ისეთი განცდა ჩნდება, რომ მარიამ წიკლაური, ეს ჭკვიანი, ღრმად ნიჭიერი პოეტი და ადამიანი ამ განცდით დაიბადა და ამ განცდით ცხოვრობს. და სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ მის პოეტურ სამყაროსთან მიახლოებული მკითხველიც მადლიერი და გაოცებული რჩება. ეს კი, ამ ტოტალური და მუდმივი გაწბილებების ჟამს დიდი მონაპოვარია.

## ნაყოფი ქართული ხიდან

**ჰოდა, ახლა ამ სიზმრიდან როცა ავდგები**
**და მოვადგები სასუფევლის წნულ ღობეს ისევ,**
**სადაც ჩემი თეთრი ხბორები მეგულებიან,**
**სადაც სიწრფელე სუფთა ფურცლის ისე გალეულვებს,**
**თითქოს ბილიკებს გადათელავს შენი ნაწერი,**
**მოვალ და გკითხავ, როგორ მენდე და დამემგზავრე?**
**შენ კი თეთრ ხბორებს ხელს აუქნევ და ჩაიცინებ –**
**„ღმერთით, ღმერთითო..."**

თეთრი ხბორები...
თეთრი ირმები...
თეთრი ღრუბლები...
თეთრია მისი პოეზიაც.

– რატომ მოდის ამდენი სითეთრე ამ ლირიზმით ალსავსე ქალში? – ამას შეკრებაზე **დოდო ხიმშიაშვილი** იკითხავს და იქვე უპასუხებს:

ნიჭიერია და იმიტომ.

ღვთისმშობლის მადლითაა მოსილი და იმიტომ.

და თუ ასეთი სიყვარული არ შეგიძლია, თუ ასეთი მადლი არ გაქვს, ვერც ასეთი პოეტი იქნები.

ამავე დროს ის ძალიან მზრუნველი ადამიანია. სულ რომ არ ელოდები, ისე აღმოაჩენ, რომ შენს ფიქრსა და ტკივილზეც ზრუნავს და უცებ შეიძლება ისეთი საქმე გაგიკეთოს... მადლობა ცოტაა ძალიან, ძალიან უკმარია და ვერ იტევს იმას, რაც მას გინდა უთხრა.

ეს მზრუნველობა მის პოეზიაშიც არის და იცით როგორი სახე აქვს? იცით როგორ ფეთქდება მის უჩვეულო ლირიზმში?

საოცარი მოვლენა რომ ხდება ბუნებაში – გაშიშვლებული ხე უცებ გაიკვირტება, მწვანედ იფეთქებს, მერე ფერად ყვავილებს დაისხამს და ნაყოფსაც დაგაგემოვნებინებს.

ქალბატონი დოდო ლიტერატურის თეორეტიკოსი არ არის, მაგრამ უხარია, რომ ლიტერატურისმცოდნეების ასეთ შეფასებებს ისმენს. მისი თქმით, საქართველოში იყვნენ კრიტიკოსები – ძალიან ცოტანი, მაგრამ მაინც – ისინი მეცნიერები იყვნენ და სხვანაირი თვალით უყურებდნენ ლიტერატურას. „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე წაკითხული წერილები კი სულ სხვა დანაშრევებს ხსნის მკითხველისათვის.

– ეს როსტომ ჩხეიძის ღვაწლია, ასეთი ადამიანები რომ შემოიკრიბა გარშემო და ძლიერი ლიტერატურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატმოსფერო შექმნა, ასეთი მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ჩვენთვის, მკითხველებისთვის, არამედ პროზაიკოსებისა და პოეტებისთვისაც – მათთვის კიდევ უფრო მეტად, რადგან ასეთ მძიმე ყოველდღიურობაში სტიმული ძალიან სჭირდებათ. თავის დროზე მარიამ ნიკლაურისთვის სტიმული აღმოჩნდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების რეპორტაჟი, რამდენიმე წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ დაიბეჭდა და ერთგვარი გზის დალოცვაც აღმოჩნდა დიდ პოეზიაში.

– ჩემი მეგობრის, თამარ გაბროშვილის წიგნის განხილვის შესახებ იყო ეს პუბლიკაცია, სადაც ბატონმა როსტომმა ასე მომიხსენია: „პოეტი მაია ნიკლაური“. უჩვეულო განცდა მქონდა, როცა ეს სიტყვა „პოეტი“ წავიკითხე ჩემს სახელთან და გვართან მიმართებით.

მას შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა და ბედს მადლობას ვეუბნები, რომ დღეს აქ ვარ, მაქვს უფლება ლექსები წავუკითხო საზოგადოებას, რომელმაც იცის ლექსის, სიტყვის, ლიტერატურის და, რაც მთავარია, ადამიანის ფასი.

მარიამ ნიკლაურის პოეზიის ფასი კი დიდი ხანია **თამაზ ტყემალაძემაც** იცის, მისი ახალი კრებულის რედაქტორმა, წლების წინათ შემთხვევით რომ ჩავარდნია ხელში ამ პოეტის ლექსები და არც მოუძებნია, ისე დაუბეჭდავს ერთ-ერთ გაზეთში რუბრიკით: „აი, პოეზია“.

– ქალბატონი მარიამი თბილისშია დაბადებული, მაგრამ წიგნი რომ წაიკითხოთ, გეგონებათ, ივრის ნაპირებიდან გამოაღწია და იქაური მადლი და სურნელი მოაქვს.

მისი ლექსები უჩვეულო სინედლითაა გამსჭვალული. ეს პოეტური ხილვები ეყრდნობა ხალხურ შემოქმედებას, რომლის სადარი არ არსებობს და უბედნიერესი ერი ვართ, ასეთი ფოლკლორი რომ გვაქვს. მარიამ ნიკლაური ამ ყველაფერს თავის სათქმელს უმატებს – საკუთარი ინტელექტით და პოეტური შეგრძნებებით.

ბოლო ხანებში ინტერნეტსაიტებზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის რამდენიმე ლექსს, რომლებიც ისეთი გულწრფელია, ისეთი საინტერესოა თავისი ღრმად ქართული პოზიციით, უცნაური ქალური ხილვებით, რწმენითა და იმედით გავსებს. დღეს, როგორც არასდროს, ისეა საჭირო სწორედ ასეთი ლექსი, რადგან პოეზია ძალიან ძლიერი უნდა იყოს.

მან უნდა შემოაბრუნოს ახალგაზრდობა საკუთარი წარსულისკენ.

მარიამ ნიკლაურის შემოქმედება სწორედ ასეთი მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

## „დუმილიც ლოცვად მიგვითვალე“

– ამ რამდენიმე წლის წინათ მე ეს პოეტი აღმოვაჩინეო, – ასე უთქვამს **ხათუნა ლორთქიფანიძეს** ნონა კუპრეიშვილისთვის, როცა მას უცნობებია, რომ „ჩვენი მწერლობის“ სალონში შეხვედრა იქნებოდა მარიამ ნიკლაურთან.

– რაკი მაინც გამამხილა ქალბატონმა ნონამ, გიამბობთ კიდეც, – მოგვიანებით იტყვის იგი, – რამდენიმე წლის წინათ გემოვნებიან, ლიტერატურისმოყვარე საზოგადოებაში ხელიხელ საგოგმანები გახდა მარიამის ლექსები. მაშინ ვაღიარე, რომ აღმოვაჩინე პოეტი ქალი.

საერთოდ, ქართველი ლექსისმოყვარულის გაკვირვება პოეზიით დღეს ძალიან ძნელია. მარიამ ნიკლაურმა სწორედ ასე გამაკვირვა. ის ციკლი, რომელიც მაშინ გახმაურდა, გავიაზრე როგორც „ქალის ტვირთი“ და ამის შესახებ მინდა გითხრათ:

მოგეხსენებათ, ქალის ტვირთი მძიმეა, ქართველი ქალის ტვირთი – კიდევ უფრო, ქართველი პოეტი ქალის ტვირთი კი – უმძიმესი. მაგრამ როგორც ჩანს, მან მოახერხა ამაღლებულიყო ყოველდღიურობაზე და ეს ყველაფერი ღირსეულად ეტარებინა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყოველ დილით დგება მარიამი და უფრო მეტს ლოცულობს შვილებისთვის, ვიდრე აქამდე ლოცულობდა, ხურდა ფულივით ეძებს საქმეს (**„დედები ადრე დგებიან დილით. ხურდა ფულივით ეძებენ საქმეს, რომ გაამართლონ უსიზმრო ძილი, დაღლილ თვალებს რომ ვერაფრით აგნებს“**), უფრო მეტად იხარჯება, ვიდრე გუშინ ან იმის წინ... მაგრამ... ჩემთვის მნიშვნელოვანი იცით რა არის? მას აქვს თავისი წარმომავლობისთვის დამახასიათებელი პოეტური ნიჭი და დახვეწილი ინტელიგენტობა, რაც დღეს სანთლით საძებარია.

აი, **თამილა წოწორიას** კი პოეტი ქალის დილა სხვანაირად წარმოუდგენია:

განთიადისას მას ხონჩით მიერთმევა ათასი კილო სიყვარული, კიდევ უფრო მეტი სითბო და სიკეთე... და მასაც სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ლექსები წეროს.

მაგალითად, ასეთი და ასეთ სიყვარულზე:

**მერე ფიფქებივით ჩავადნეთ ჩვენი გულის მზეებს**
**ხელებში,**
**ვით ნისლს შეასხეპენ მზერაზე, ჩაჩეხილ**
**მთამსვლელებს, ხევები.**
**შობამდე შორია... მარტში კი, იქნება სიცოცხლე**
**პირიქით –**
**უფალი სათიბში გვირილად მომიყვანს ქვესკნელის**
**პილიგრიმს,**
**გულიც გამისკდება, შენს ცელზე სათივე ღერად**
**რომ შერჩება.**
**ამდენი უშენო სიზმრის და უშენო სიკვდილის შეჩვევა.**

ამ ლექსების სათაურებს დაკვირვებია პოეტიკის თვალსაზრისით ქალბატონი თამილა, სემანტიკურ-ემოციური თვალსაზრისით უკვლევია, კვალიფიკაციაც შეუდგენია და ახლა ამბობს:

– ეს მართლაც სინათლის, მზის პოეზიაა, „დედა ციცინათელა“ კი თვითონ არის (**„სინათლის დედა“ დამაქვს მუცლით და სკნელის ჭეროხზე დავალ კარდაკარ. ღამე კი არა, ათასწლეულიც ჩემს სიფრიფანა ფრთებზე გადატყდა“**, თავის თავში რომ ანათებს და თან მიგიძღვება სამყაროში სიბნელის დასამარცხებლად.

რაღაცნაირად გადამდებია მისი სიყვარული. ალბათ იმიტომ, რომ მას უნდა ყველა ადამიანი პოეტი იყოს, პოეტური სულით გამორჩეული და ეს სურვილი თითქოს ფორმულაა, ჩვენთვის შედგენილი.

შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო – ასე მოხდა მარიამ ნიკლაურის პოეზიასთან მიმართებითაც. მე მარად ვიქნები მისი ქნარის ერთგული, ეს დუმილი კი...

ეს დუმილიც ლოცვად მიგვითვალე ლექსთმცოდნეებსო.

ამ ყველაფერს მერე მოისმენს შეკრებილი საზოგადოება. ცოტა მოგვიანებით.

ჯერ კი **ნონა კუპრეიშვილი** საუბრობს, იმით იწყებს გამოსვლას, როგორ აღმოაჩინა ერთმა ძალიან კარგმა ქართველმა ქალმა ერთი ძალიან კარგი ქართველი პოეტი და ასე აგრძელებს გამოსვლას:

## „გიყვარდეს შენთვის!“

– მიუხედავად იმისა, რომ მარიამ ნიკლაური მკითხველის გასაგონად ასე ახმოვანებს თავის პოზიციას (და ამგვარი განწყობა არც ჩემთვისაა უცხო), ჩვენივე პროფესიული ჩვევიდან გამომდინარე საჭირო ხდება ხმამაღალი საუბარი იმ განსაკუთრებულ შეგრძნებებზე, რასაც აი, ამ კრებულში, სახელწოდებით „თეთრი ხბორები", მოქცეული პოეზია აღძრავს.

როგორ იქცა პოეტად? სულ „უბრალო" მიზეზის გამო: „ლექსიც მოვიდა./ ერთხელ! ათასჯერ!/ სიყვარული უნდოდა და / რომ არსად დახვდა, / დაიჩემა და დაიბრალა." ასე, პასუხისმგებლობა სიყვარულის ბედზე („...მე რომ არ ვიყო, მთელი ქვეყანა /მოეკიდება სიყვარულს სამტროდ") იქცა იმ მთავარ იმპულსად, რომელმაც თვითრეალიზების ეს ურთულესი ფორმა აარჩევინა. დღეს უაპელაციოდ შენიშნავენ ხოლმე, რომ არ არსებობს ქალთა და მამაკაცთა პოეზია, რომ ამგვარი გამიჯვნა არაკომპეტენტურობისა და ზედაპირული მიდგომის შედეგია. სწორია.

და მაინც, მარიამ ნიკლაურის ლექს-განდობები ისეთი სიფაქიზითაა მოტანილი, რომ ეჭვს არ იწვევს მათი ავტორის ქალობა. მეტიც, სწორედ ეს ქალობაა აყვანილი მხატვრულ- ესთეტიკური სრულყოფის ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც აბსოლუტურად გამართლებული ჩანს სამყაროსადმი გამჟღავნებული ესოდენ მნიშვნელოვანი და იმავდროულად ესოდენ გაიშვიათებული დედობრივი მზრუნველობის განცდა.

თუმცა მიჯნას, რომელიც, ცხადია, უნდა არსებობდეს ქართული ცხოვრების საყრდენად ქცეულ ქალსა და პოეტს შორის, მაინც თვითონ ანესებს: „...გაყურსული ვარ. / ცეცხლისპირს არა. /ცისპირას ვზივარ." „ცისპირი" , როგორც ვაჟა იტყოდა, „სამზეოსა" და „უჩინის" გასაყარზეა. იგი განსაკუთრებული ხედვის ადამიანებს ეხსნება და რამდენადაც ვიცით, ხშირად დიდი მსხვერპლის ფასად. თუმცა მარიამ ნიკლაურთან ამ ღვთაებრივი გამორჩეულობით გამოწვეულ თავმოწონებას ვერსად იპოვით. რატომ? „ბედნიერების უქონლობაც ამამღერებდაო" რომ ამბობს, ჩემთვის ეს მინიშნებაა იმ ყოვლისამტანობასა და გაუტეხელობაზე (უფრო სწორად, სულიერი სისუსტის უუფლებობაზე), რაც ქალს ახასიათებს. სამშობლოც მისი, „გარდაქარულ სახლხანაგს" შედარებული, ზოგჯერ განურჩევლად რომ მიხვეტ-მოხვეტავს იმას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია, „მონობის ნაგავს " კი იტოვებს — მაინც ქალური, დედობრივი სიჯიუტით არ თმობს სიცოცხლისათვის წამოწყებულ უძველეს ბრძოლას. და ამგვარი დამთხვევა შემთხვევითი სულაც არ არის.

ამ სწრაფვით თუ მიდრეკილებით მარიამი აშკარად გამოირჩევა იმ თანამოკალმეთაგან, რომელთაც საუკუნოებრივი ქართული პოეტური ტრადიციისაგან (ამ ტრადიციაში, ბუნებრივია, ხალხურ პოეზიასაც ვგულისხმობ) მოწყვეტა ევროპეიზმის თანამედროვე გაგების უპირველეს გამართლებად ესახებათ.

აქ პირიქითაა. თავისი დიდი წინაპრის, ვაჟა-ფშაველას, მიერ გავლებულ ონტოლოგიურ წრეზე სიარული არა უკვე რეალიზებული, არამედ ახალი, მარიამ ნიკლაურისეული, პოეტური ფორმების აღმოჩენის საშუალებად ქცეულა: „ვარდკაჭკაჭები ლურჯად ღვივიან... / ერთხელაც არ გავივლებთ გულში / ამოდიან მიწიდან თუ თავუკულმა ეკიდებიან / ჩვენთვის ცის ჯვრებზე?"

სწორედ ეს მზერა, მიმართული არამარტო ქვევიდან ზევით, არამედ ზევიდან ქვევით, ...აღმოგვაჩენინებს სამყაროს იმ მთლიანობის განცდას, რომელიც ნაირ-ნაირი და ყოველთვის მაცდუნებელი ნიჭიერებით ჩამოყალიბებული დესტრუქციული თეორიების საპირისპიროდ არსებობს და რომელთა ზემოქმედების ძალაში აქ და ამ ლექსებით კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ.

მარიამ ნიკლაურის პოეზიის გამოძახილი, რომელსაც იგი მკითხველში იწვევს, ალბათ, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: იგი ეძებს ჩვენს ცნობიერებასა თუ სულაც ჩვენს ცხოვრებაში მიმობნეული მარადისობის ნიშნებს, აკოწიწებს მათ, საკუთარი სუნთქვით ათბობს და გვაწვდის. ეს არის სწორედ „ეგზისტენციალურ მეგზურად" წოდებული ის „ნუგეშისმცემელი პოეზია", რომელიც გარდაცვლილად კი გამოაცხადეს, მაგრამ ჩვენ მაინც ძველებურად გვეიმედება.

თვითონ **მარიამ ნიკლაურმა** კი:

– არ ვარ განებივრებული ასეთი საღამოებით – პროფესიონალებმა რომ იფიქრონ და დრო დაუთმონ ჩემს ნაწერებს.

არაფერია ლექსს რომ დაწერ, თუ მას წამკითხველი და გამზიარებელი არ ეყოლება. ვიდრე ადამსა და ევას ღმერთმა სული არ ჩაბერა, სიცოცხლეს ვერ ეზიარნენ. ამ ლექსების სიცოცხლეც მკითხველზეა დამოკიდებული და ამისთვის ვარ მადლიერებით სავსე. ასევე მადლიერი ვარ გამომცემლობა **„პეგასის“** და მისი ხელმძღვანელის **მარინა ცხადაიასი**, რომელმაც სერიით **„ახალი ლიტერატურა“** გამოსცა **„თეთრი ხბორები“**, აგრეთვე ორი საბავშვო წიგნი: **„ნანინები“** და **„ნატვრისთვალო მზისაო“**, – იტყვის და ლექსებით შეკრავს საღამოს, იმ ლექსებით, რეალურისა და ირეალურის ზღვარზე რომ გაგატარებენ, რაღაცნაირ ბურუსში რომ გამოგახვევენ, ხილულისა და უხილავის მიჯნას დაგანახებენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგყვებიან იდუმალ სიმად ახმიანებული თუნდაც ეს სტრიქონები:

**აბა, რით ვერ დამიმახსოვრე?!**
**მარიამი მქვია სახელად და აქვე ვცხოვრობ.**
**ჩემს უმძრახ ცრემლებს შენზე ფიქრის ნაცარში გავრევ,**
**დამაწმინდავე, ტკივილებით მცვარე, ცისკარო!**
**სულ მეშინია, სიყვარულს რომ წავაწყდე გზაზე,**
**ვეცოტაო და ახლოსაც კი არ გამიკაროს.**
**რამდენი გვრიტი ეყოფოდა შენს გამოსყიდვას?**
**სევდას ვმღეროდი, სიყვარულს რომ ვყავდი ნახელთი.**
**მთელი სამყაროს სახსოვარი მიმქონდა გულით,**
**როცა ვკვდებოდი და სიცოცხლეს შენში ვახელდი,**
**მე მარიამი მქვია სახელად,**
**მარიამი, დამიმახსოვრე!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა გვასალია

# მოზაიკური სულის დღიური

პოეტი ზაურ გერგედავა... წვეთში ოკეანე და კენჭში — ჯადოსნური მთა. ის არის კვირტში უსიერი ტყე და უდაბნო ქვიშის ნამცეცში ბედუინისა. იგი სვეტია სინათლისა ჭიდან ოწინარით ამომავალ ბადიიდან და კიდევ მეტიც — იგი სულია არეკლილი ორსულ ზვიგენთა და დინოზავრების ნიალიდან, გნებავთ ფეხმძიმე ფალიკური აღნაგობით ამხედრებული მწვერვალების გამოისობით, როგორც უსაზღვრო ნეტარებით დაგრილებული მთელი ველობი. მას ვერ იპოვი ტელესკოპით თუ არშინდიუმით.

ზაურ გერგედავას პოვნისა და მოხელთების თილისმა ექსკლუზიურად მიისაკუთრა თვითონაც ბრწყინვალე მწერალმა მაკა ჯოხაძემ და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ამ ოქრო გასაღების მორგებისათვის ზაურ გერგედავას ცხრაკლიტული სულის განხვნისათვის — სეზამ, გაიღე.

ზაურ გერგედავა კანტიკუნტად იბეჭდებოდა ჟურნალებში — „ნობათი", „ცისკარი", „რიწა" და არ ესმოდათ მისი სიტყვის მეტრებს, ესთეტიკის მოგვ-ქურუმებს, როგორც ნიკო სამადაშვილი ვერ აღვიქვით ჩხენკელისეული „ბეთანიიდან". და ვერც მის წიაღში აღმომსკდარი საყდრის ჩიტის ჟივჟივ-სტვენას მივადევნეთ თვალი, რადგანაც მან საგან-მოვლენათა სიმწყობრეს და რიგითობას ზურგი შეაქცია იმთავითვე. მეტიც, მან მიზნად დაისახა ნემსის წვერზე დაესადგურებინა სამყარო — ხილული თუ თვალშეუდგამი.

პოეტურ კრებულში „არ წამიკითხო, თუ შეიძლება!" ერთ ნაკადად წარმოგვიდგება ლექსები, რომელიც თარიღებითაა დასათაურებული (7. 05. 1999, გვ. 14; 15. 97. 1999, გვ. 23; 15. 05. 1999, გვ. 47; 11. 05. 199, გვ. 51; 17.07. 2001, გვ. 54; 15. 05. 1999, გვ. 55; 22. 09. 1991, გვ. 64; 20. 04. 2009, გვ. 79; 15. 05. 1979, გვ. 92; 27. 09. 1979, გვ. 93; 27. 09. 1979, გვ. 94; 11. 07. 1979, გვ. 107; 17. 09. 1999, გვ. 108; 17. 11. 1999, გვ. 109; 09. 07. 1999, გვ. 110; 22. 05. 1979, გვ. 115; 22. 07. 1969, გვ. 117). სულ 18 ლექსია მსგავსი სტილისტიკით, თანაც ისინი სინქრონულადაა გაბნეული მთელ წიგნში, ისე, რომ ზოგი თარიღი რამდენჯერმე მეორდება. ჩანს, ავტორს მისთვის თუ მთლიანად ერისთვის ყველაზე სამახსოვრო წუთები მეოცე საუკუნის მიწურულისა ქრონოსის მოშველიებით დაუდალავს. და ჩვენც, როდესაც ვცადეთ მათი ქრონოლოგიით წაკითხვა, აქ არანაირი ცვლილება არ გამოკვეთილა ამბის, მოვლენათა თუ განცდის სიმწყობრის თვალსაზრისით. და რადგანაც ფაქტობრივად ეს თარიღები უფრო კრებულის სტილურ ინდივიდუალიზმს ემსახურება, აჯობებდა დროის თანამიმდევრულობით დალაგებულიყო, მითუფრო, მათი აღრეულობა არც „ცნობიერების ნაკადის" მეთოდოლოგიითაა ნაკარნახევი. ამ ლექს-დღიურებს არაფერი ანათესავებს ამ ჟანრის ლიტერატურასთან. ქრონოლოგიური თანამიმდევრობა კი ძაფზე ასხმულ კრიალოსანს დაამსგავსებდა ნაწარმოებს, დაამსგავსებდა ცხოველმყოფელი მალებით ჩამოძერწილ ხერხემალს თავის ქალიდან კუდუსუნამდე.

ავტორისათვის ნიშანდობლივია სიტყვის მაღალესთეტიკური შეგრძნება, ეროვნული გრამატიკული კანონებით მათი ნეოლოგიზაცია, თანაც ხშირია მათი ამპლიტუდა განსხვავებული განწყობის პასაჟებში: გადმოვაენო, დასტიგმული, გამსხლტარი, ვესაიდუმლო, წამსასწაული, სისხინა, შემოეთარგმნა, ციეთ-ხმელეთის, სასტიქიონოს, შეგანქრევს, მესასწაულა, ენიაზება, შერიჟლინებული, იანგელოზე, ამიშხივლა, ეგრძნეულება, უთქმადში, ცისად-ცისადი, აღივილება, ჩაფასკუნჯებული, სხივადი, განრღვეული, იოდოჟღერონ და სხვ.

ამ ჩამონათვალში ფონემა „სხლტომა", „გამსხლტარი" მრავალნაირი არქიტექტონიკით მეწინავე სიტყვათა რიგს განეკუთვნება ზაურ გერგედავას პოეტური ფრაზეოლოგიისათვის, რადგან თითქმის ყოველ მესამე ლექსში მაინც მეორდება განგებ თუ უნებლიე აკვიატება-აჩემებად. ისხლეტს — ოტების, გაქცევის, მოკურცხვლის, განრიდების ნიუანსითაა დატვირთული და სადაც ტავტოლოგიის საშიშროება ჩნდება, ჩანაცვლებულია სინონიმით „ვირეკლავ".

წესით მშვენიერის, ამაღლებულისათვის მოწადინებული ზაურ გერგედავას პოეტური პალიტრა უნდა მოერიდოს მოძველბიჭო ფსიქოლოგიის ელფერით შეკმაზულ წამხედურობებს: „დაიკიდე", „ყვერებში მახათგაყრილი", „გაგვიცისფერდა ის თეთრი ვირი შავი ყვერებით" და ა.შ.

რითმა კრებულში კიდურების ნაცვლად შემოხიზნულია შუაწელში, თვით პოეტურ ქმნილებათა სხეული კი თავისუფალი ლექსის კანონზომიერებითაა მოქსოვილი.

არის გენეტიკური მინიშნებები: „ჩემო 46-ჯერ ჯვარზე გაკრულო ამაოებავ". ეს ციფრი 46 ადამიანის გენის ოდენობისაა, რომელიც კროსინგოვერის დროს 23-23-ად განიყოფა და კოიტუსის მერე ისევ აღსდგება თავისთავში 46-ად, ბიოლოგიის კანონთა შესაბამისად.

არის ასოციაციური ალუზიები კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებთან: „ჩემსავ-არავის": გავიხსენოთ ღვთაებრივი ოდისევსის ეშმაკური განდობა ციკლოპთან. კითხვაზე, ვინ ხარ, რა გქვია, „კაცი-არავინო" შეეპასუხება ჭკუაულევი ლაერტიდი. იმავე სამაგალითო სივრცედ გამოდგება ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალის" სენტენცია — „ჩელოვეკ ნიკტო".

განსაკუთრებით თვალშისაცემია და ქართულ პოეზიაში გამორჩეული ზაურ გერგედავას ანტინომიური, მოულოდნელი და აფექტივით ფეთქებადი ფრაზეოლოგია. ეს ხელწერა საწყისდება ბესიკ ხარანაულის პალიტრასთან ლანდური გაელვების დოზით, და შემდგომ ვერავინ შეემეტოქება სამამულო არეალიდან; უცხო განედებში უიტმენთან გაიდება ბეწვის ხიდები და კიდევ — ბროდსკისთანაც, მაგრამ ზაურ გერგედავას „არ წამიკითხო, თუ შეიძლება" მკითხველის ერთგვარი გაფრთხილებაა, დღენთით სავსე სარდაფში სტუმრის შემობრძანებამდე აბრაზე გაკრული; როგორც ამას ქრისტე მიმართავდა მრევლში რაიმე შეგონების გაცხადების შემდეგ — ამას წურავისთან იტყვით, არავისთან წამოგცდეთო, — ვინაიდან თუ გააცნობიერებდა, პლებსისთვის გახსენით ჩემი სალაროებიო, მაშინ გაასაიდუმლოებდნენ სწორედ, მაგრამ როცა დამიზნებულია ფრაზა — მიჩქმალეთ, დაფალითო, აი, მაშინ აეშლება სალღერღელი ჭორიკანათა ყბებს და წისქვილის დოლაბებით მოაყოლებენ ხვიმარ-სარეკელათ საფქვავს.

იმავეს მოიმოქმედებს დანტე ალიგიერი მკითხველის შესაძრწუნებელ რეალობად: აქ შემომსვლელნო, იმედები დატოვეთ ყველამ, ასე ეწერა ჯოჯოხეთის კარს. და რადგა-

ნაც ზაურ გერგედავასთვის გაცნობიერებულია კაცობრიულ ფასეულობათა არსენალის ძირითადი საუნჯენი: მომერიდეთ, ძვირფასებო, – ოფლისმომდენ განსაცდელში ნუ ჩაიგდებთ თავს ჩემთან მობრძანებითო, გვაფრთხილებს მოკრძალებით, და თამამად შემიძლია განვაცხადო: ცამდე მართალია ჩვენი მასპინძელი, ისეთი ფანტასმაგორიული, კოშმარული ფრაზეოლოგია აღმოცენდება კრებულის კითხვისას, უკმარია კინკრიხო თმის ასაჯაგრად და ტანი — ბეწვის ასაშლელად. ნათქვამს ნიმუშით დამოწმება უყვარს და შევეცდები ეს დებულება ამონარიდებით დავადასტურო:




*„და კატას თავვი რომ გამოენთო, რომ აშრიალდა ფარდის ნაკუწი, და აჟღრიალდა რაფასთან თუნგი, ჩავჭიდე ხელი რქებში კუთხესთან მიმწყვდეულ ხარს და გამომეღვიძა“;*

*„ჯერ არშობილებს ვაწოვო ძუძუ, ელვით დასტიგმულ მაკე ზვიგენთა, შევულიტინო შინაბერა მთებს, წამოწოლილებს ჩრდილში უტიფრად“;*

*„როდემდე უნდა ვწყემსო და ვჩხიბო, გამსხლტარი ჩემგან მოკუნტრუშე ხბო? არა სჯობია, გულში ჩავიწო თითი და ვწერო, ქაღალდს აფრქვეულ მტკივნეულ სტიგმებს სული ვუბერო, ვესაიდუმლო“;*

*„მე აჩრდილივით დავუსხლტი გუმბათს“;*

*„ნეტავ ხე ვიყო მოთმინების... მეხი მაინც დამკრავდა ერთხელ“;*

*„ამ ჩემს დაწყევლილ ნეკნებზე ბალახი მაინც ხარობდეს ნეტავ, მყვირალობის ჟამს არხეინად გადამქელავდა ჯოგი ველურთა“;*

*„ვისი ძუკნები ანკარუნებენ ეჟვნებს და ვისაც იდუმალ გადაუწერგეს ქამელეონის ძვირფასი ტყავი; მე სად გავწვდები ტაშებით ორსულ თეატრალების ჭირვეულობას, დღეში შვიდასი ნიღბის გამოცვლას როგორ მოვასწრებ?..“*

*„ორსულდება სიჩუმე, თითქოს შემოეთარგმნა რეკვიემი, მფეთქავს ჯერ“;*

*„ნანგრევებს ამსხლტარ ორეულს“;*

*„ზღვა სიზმარია მაკე ზვიგენის“;*

ამ კრებულში ოდნავი ბზარი, ღიობი თუ ჭუჭრუტანა დედის საშოა, პირველყოფილი სამყაროს საკრალური ნიალი, ხოლო წამოშვერილი კლდე თუ ფერდობი — აღრეკილი, ფალიკური ხილვების ციტადელი.

*„იერიქონის მუნჯო საყვირო, საკუთარ თავში შეჭრილო მხეცო“;*

*„არც სანნახელში დაფლული ცხედრის მდორე მაჭრიდან ამორხევით, არც კი გვიცდია შეჯვარება ციცართან ხვლიკის“;*

რა აქვს საერთო ამ ფრაგმენტებს, ორივე ჭრელი რომ არის, ნებითი შედარებაა თუ ლოგიკური. გვახსენდება ჰორაციუსი, როცა „არს პოეტიკაში“ ხბოს უერთდება ლომი უმეცრებით.

*„რძე დამიშრება?“ — შეჰკივლა ქალმა ოთახს, რომელიც განწირული გემის ლურჯი კვამლივით გაქცეულ ნაპირს შესციცინებდა“* — აქ, ამ ლექსში („გაქცეული ნაპირი“) ცნობიერების ნაკადი ბუნებრივადაა შემოჭრილი. აბსტრაქტული ხილვები მოჩხიბულია მხატვარ მაცი ხორავას გახსენებით, ვისაც მიძღვნია ეს სტრიქონები.

*„ბებიაქალი რბილ ხერხემალზე ნალამევ ნაწნავს მიტყლაშუნებდა“* — გასაოცარი ხილვაა საკუთარი გაჩენისა ჯერ კიდევ თვალაუხელელი ბავშვისაგან, რომლის ცნობიერება იმყოფება ყველას და ყველაფრის მიღმა. დაბოლოს: *„სადაც ვმარხივარ და ახლაც ვსუნთქავ“* რაფიელ ერისთავის „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარის“ გამოძახილად.

*„ტყავის გამოცვლას გადაჰყოლია“* — *თქვა წინამძღოლმა და ქალს ბრიალა თეძოში უცებ — ბაირაღის ტარი აძგერა“* — ზღვის ნაპირას აგდია სამი მიცვალებული: ქალი, კაცი და უხსენებელი, თითქოს პერანგის გამოცვლას რომ გადაჰყოლია. და უნებურად გახსენდება რობაქიძის გველის პერანგი, არჩიბალდ მეკეში და სხვა მისტერიები. აქ და სხვაგანაც თვალშისაცემია განჩარჩოება, სურათები გაურბიან შემზღუდველ არეებს, აქ ფესვებმოშიშვლებული ხეების სტიქიაა, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება სიმეტრიის კანონებს. *„თეთრი ზანგივით მოკეკლუცე დილა“* კი ლუკინოა, პოეტის მეტისური გარეგნობის შვილიშვილი, სანუკვარის მოჟღურტულე და — არანაირი სინანული — პაპის პროტოქართული სისხლი რომ განთხეულა მასში.

*„შორს, ირაოდან ორბი აფრინდა“*, გაგვახსენდება — *„ყორლანებიდან გნოლი აფრინდა“*, ირაოს კრავენ, მაგრამ ირაოდან გაღწევა იგივე დადარაჯებული სამსხვერპლოსკენ გაშურდულებაა, ზაურ გერგედავასეულად თუ მივეოსტატებით სიტყვას, ანუ მიზანთან თანხვდომა *„და წყალს სინითლე რომ შეეპარა, სიჩუმე ორად გახლიჩა ზარმა“*;

*„ხე — საკუთარ ჩრდილს — ჭრიალით, ზათქით აფხიზლებს, იგლოვს, ჩვენ: სიზმრებს ზემოთ უსხეულობას ვუსინჯავთ გემოს“*;

*„მე ჯადო-სიტყვებს ვუცვლიდი ტყისმკვლელს ცხედარზე ცაცხვის“*; აქ ტყისმჭრელის ნაცვლად ტყისმკვლელია, მორების მაგივრად — ცაცხვის ცხედრები;

*„ურა ულაყზე შემჯდარი ქალი ველურ ყიჟინით გარბოდა ტყისკენ. ონინარზე ქანაობდა ტიტლიკანა ბავშვი. სახურავახდილ ოდიდან გამოსულმა ცალფეხა კაცმა თოფი ესროლა სივრცეს, ბავშვი აფრინდა, და ონინარი ჯვრის ფორმაში გაშეშდა უცებ“*;

*„და დავედევნო დედალ აისბერგს“*... — მამალი რაღა იქნება, დაგვებადა აზრი.

ყველა პოეტს ჰყავს გულის მურაზი, მესაიდუმლე. ზაურ გერგედავასთვის ასეთი პოეტური წყალობაა „ქალი — სახელად — ემინე“. მის გამოსახმობად წარმოსახვას „ქედმაღალი მთაც“ კი დაუძრავს, რომელიც „გადმოალაჯებს ნისლებს და შემთვრალ მაყარივით ცერულს დაუვლის ზღვაზე“...

მერე კი ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ამოიფრქვევა განცდები და განწყობილებანი:

*„ბოდვა ჯობია კაზმულ სიჩუმეს, და მოფერება მაკე კენტავრის“*;

*„ბნელზე აფრქვეულ კოცონს ზემოდან დავტრიალებ ჩემს გვამს მიგდებულს“*;

*„ნამარხულევზე, ცრიატ რიჟრაჟზე გამომყავს ოქროს გველი ხვრელიდან. მივიზმორებით, მივაშხრიალებთ ცეცხლოვან ჯვრებზე დამყნობილ ცხედრებს“;*

*„მაინც ვერ აქცევ ბალდახინს აკვნად“;*

*„მე მხოლოდ ლექსთა სასაფლაო ვარ და ყვავილები ამომდის გულზე“;*

*„ქორონიკონის გამჭოლ სცენაზე ქვაც დაახველებს ორსული ქვაზე“;*

*„სულმა სხეული გამოანგრიოს... გაქრეს, განქარდეს სასასწაულოდ“;*

*„შემოვაჯდები ორფა ონინარს, ჭიდან წყლის სვეტი ამომყავს ქმენით“*, — ეს სვეტი ნათლის სვეტია, ცხოველი სვეტი, არა ფრაგმენტი, არა ჭავლი და ნაკუწი, არამედ ნაგრძელებული, უწყვეტი ნაკადი-წყალობა.

*„ქარი მძუნაობს, ასკდება, აცხრობს ტანატეხილს კლდეს“*, და იბადება კითხვა, რატომ უნდა იყოს კლდე ტანატეხილი, რადგანაც იგი ვიზუალურად ფალიკურია, აშვერილი? აქ მე და მე, ორი პიროვნებით ორსული სული მძუნაობს. ეს ხილვები სალვადორ დალის ფერწერის რემინისცენციაა.

ზაურ გერგედავას ვერ გაუგეს სამოცდაათიანელებმა, ვერც — ოთხმოციანელებმა და ოთხმოცდაათიანელებმა. ახალი საუკუნის გარიჟრაჟი დამდგარა და „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდის რამდენადმე გათავისება ნელ-ნელა აწდევებს უბირ თვალთათვის მოშლილ ფოკუსს, გამოსახულება თანდათან საჩინოვდება. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ზაურ გერგედავას პარტერი თანდათან მწიფდება შესამეცნებლად.

*„კატებისა მშურს, უფრო — ცინდალის, უთენია რომ შემოპინკინდა; რა მოხდენილად გახტება მხრებზე, გყნოსავს, კრუტუნებს, გელამუნება, გეტყვი მე შენ და — ცხრა სასაფლაოს ვერ მოივლიდა?“*

*„იქნებ და მამლის დაყივლებამდე გავწვიმდე კიდეც“*, ძერწავს სტრიქონებს პოეტი და უნებლიეთ გახსენდება პეტრე ახალი ალთქმიდან, ვაჟა-ფშაველა თავისი საარაკო ლექსიდან: „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა“.

ალუზიები სხვაგანაც გვხვდება. თუნდაც ეს ერთი, მარიტას რომ გაგვახსენებს „ნატვრის ხიდან“: *„პირუკულმა შესვამენ ვირზე... და მეხთატეხა ცაში ახიზნავს“*. პოეტი აისხლეტს ამ სახეებს ანუ ცნობიერში გადმოჰყავს ხილვანი ესე. იგივე მიმართებაა გენიალური ხუროთმოძღვარის მთამომავლისადმი, რომელიც ან სვეტიცხოველთა აღშენების ნაცვლად აცხელებს წყალს და პონჭავს ჭინჭებს, და მოკვეთილ მკლავსაც კი იკაპიწებს.

მეშინია, ზომაზე მეტად არ გავერთო ზაურ გერგედავას სინდიყივით დაშლილ-განმრავლებული სულის ფრაგმენტული წარმოჩინებით, მაგრამ აქ დასალიერიც მომწიფებულა და ყველასთვის საჩინოდ მინდა მაკა ჯოხაძის მიერ გაცხადებული გაკვირვება პოეტის ესოდენად დაგვიანებით მობრძანების გამო, ფრაზით: „სად იყო ეს კაცი აქამდეო“.

მოკრძალებით განვმარტოთ: კომბლებს თლიდა, ბატონებო, და ჭერში აწყობდა-მეთქი, ანუ ბიბლიის ენით თუ მივესადაგებით: აგროვებდა ფეხმძიმე ქვებს და ამიერიდან მათი მშობიარობის თუ განბნევის დროც დამდგარა.

აგერ ისიც — წინამდებარე კრებული, — მოზაიკური სულის დღიური, მოულოდნელი შეწნეხვა სიტყვისა ხილვასთან, დაუჯერებელი შეხმატკბილება სათნოსი კომმარულთან, ჯერეთ არსმენილი დაძმობილება მეზერისა ვასაკასთან...

გიზო ზარნაძე

# ჰაიჰარად ნუ დავსწამებთ ერთმანეთს პლაგიატორობას!

ნათქვამია, ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი – ორივე ქურდიაო.

საეჭვოა, ეს ანდაზა ენდემური ანუ ქართული „ჯიშისა“ იყოს, რადგან ჩვენში აქლემს მხოლოდ ქარავანში თუ მოჰკრავდა კაცი თვალს, ქარავნები კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის უცხო ქვეყნისანი გახლდათ.

ჩვენ პოეზიის ქვეყანა უფრო ვიყავით და ვართ. ამიტომ, იქნებ აჯობებდა, ეს ანდაზა ოდნავი პერიფრაზით დაგვეზუსტებინა – *„რითმის ქურდი და ნემსის ქურდი – ორივე ქურდიაო!..“*

ანუ, ნემსი კი დავტოვოთ ნემსად, მაგრამ რითმას დავადოთ აქლემის ფასი.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი თვალთახედვითა და ყურთასმენით, ასე უფრო მშობლიურად გაისმის, რადგან, გალაკტიონსაც თუ დავესესხებით: *რითმებს არსად არ სწაპნიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში!...*

თუმცა ერთიცაა, ზოგჯერ ხომ არ ეჩვენებათ, რომ სწაპნიან?

სულაც არ ვვარაუდობდით, სათქმელი ასეთი შორეული ნიალსვლით დაგვეწყო, მაგრამ *„პირზე მომდგარ სიტყვას“* ვერაფერი მოვუხერხეთ – სუყველას თუ არა, ზოგიერთს მაინც ხომ უნდა თქმა!

ასე რომ, რაც იქნება – იქნება!

სადღეისოდ, იმდენადაა გაიოლებული „რითმათწარმოება“, რომ, თუ ძალიან ვაიძულებთ ან საწუწკარს რასმე დავპირდებით, მესამეკლასელი ღლაპიც კი გამოგვიკვარახჭინებს ერთსტროფიან „ლექსს“!

და კიდევ, თუ ის ბავშვი იმდენად განათლებული გამოდგა, რომ **გალაკტიონის** *„სილაში ვარდი – სილაყვარდისთვის“* ერთხელ მაინც მოუკრავს ყური, არასდიდებით არ იკადრებს და თავისად არ შემოგთავაზებთ, მაგრამ შესაძლოა ცნობილი პოეტის **ჯემალ ინჯიას** – *„ვინ ავიდა ზე – პირამიდაზე“* – ნასძლიოს სულმა და ქე მიითვისოს.

რა თქმა უნდა, ეს მას სიცელქედ ჩაეთვლება, რადგან ვერც სისხლის სამართლის საქმეს აღუძრავთ და ვერც მორალურ სასჯელს მიუზღავთ, მაგრამ, თუ ღმერთი გაუწყრება და ქრისტეს ასაკს გადამცდარ, რამდენიმე კრებულის ავტორსაც წასცდება ხელი, ციხეში ნურც იმას გამოამწყვდევთ, მაგრამ *„ხელი ფაფას-თქო!“* – ნამდვილად უნდა შესძახოთ!

ვფიქრობთ, რაც აქამდე მოგახსენეთ, სადავო ნაკლებადაა, მაგრამ, უნდა ვეცადოთ და, რასაც აწი მოგახსენებთ, ისიც უდავო იყოს.

უსაფუძვლო ეჭვიანობა, როგორც ასეთი, ყოვლად

უღირსი თვისებაა და ხშირად არასასიამოვნო ნაყოფსაც გამოიღებს ხოლმე, რისი ქრესტომათიული მაგალითიცაა შექსპირის „ოტელო".

ამიტომ, ვიდრე რომელიმე თანამოკალმეს დაადებდეთ ხელს, რითმა მომპარაო, ნუ აჩქარდებით ვერდიქტის გამოტანისას.

ღვთის შიშიც ხომ უნდა იქონიოთ! ხომ შესაძლოა უბრალოს სდებდეთ ბრალს?! ეს კი მორწმუნე ადამიანისათვის ყოვლად მიუტევებელი ცოდვაა – *„არა ცილი სწამო!"*

რატომ ასე პათეტიკურად *(ლამის მენტორულადაც კი!)* ვსაუბრობთ წერილის შესავალ, ექსპოზიციურსაც რომ ეძახიან, ნაწილში?

იმიტომ, რომ ჩვენი დაკვირვებით, სიტყვათა ქაოსურ სამყაროში არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც თავისთავად, ძალაუნებურად, სატყუარასავით გაცთუნებენ რითმის მაძიებელ კაცს და, გინდა-არგინდა, სალექსო სტრიქონში უკრავთ თავს!

ასეთი მაცთუნებელი სიტყაა, მაგალითად, *„ღმერთმანი". „ხელი ჩავსჭიდეთ ერთმანეთს, სული მოვითქვით, „ღმერთმანი!"*

სხვათა შორის, რამდენიმე პოეტს აქვს გამოყენებული ეს უმარტივესი რითმა, მაგრამ, რასაკვირველია, ერთმანეთისგან კი არ მოუპარავთ, დამოუკიდებლად *„მიაგნეს"*.

ასეთივე მარტივი რითმაა – *„მთა და ველო – საქართველო," „ადრიან – ადრიან" (ანუ ადარებენ)* და მრავალი სხვ.

ამიტომაც არანაირი უფლება არა გვაქვს, ისინი პლაგიატორებად მოვიხსენიოთ! თუმცალა უმჯობესი კი იქნებოდა, გუმანით მიხვედრილიყვნენ, რომ შესაძლოა სხვასაც გამოეყენებინა იგი.

დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინანდელ ამბავს გაიხსენებთ.

ორ უშესანიშნავეს ქართველ პოეტს, მურმან ლებანიძესა და შოთა ნიშნიანიძეს, დედისადმი მიძღვნილ ლექსებში, ერთი და იგივე რითმა – *„დედავ – გხედავ"* გამოუყენებიათ. უფრო მეტიც – ერთი და იგივე ეპითეტიც!

*„**ჩემო პაწია**, საბრალო **დედავ,** ბედკრულს, გატანჯულს, გაძარცვულს **გხედავ**". (მ. ლებანიძე. რჩეული ლირიკა. თბ., 1977, გვ. 11).*

*„რა გალეულს და ფერნასულს **გხედავ, ჩემო პაწია,** ცოდვილო **დედავ**" (შ. ნიშნიანიძე, ლირიკა. „მერანი", თბ., 1989, გვ. 277).*

როდესაც ცალ-ცალკე, ორთავე პოეტს ვაჩვენე მათივე ლექსები, მხოლოდ მხრები აიჩეჩეს და ღმერთი და რჯული იფიცეს, არ ვიცოდი, იმასაც თუ ჰქონდაო!

ან რა საჭირო იყო ფიცი-მტკიცი! ან ერთს რა სჭირდა, ან მეორეს სხვისგან მოსაპარავი!

გაკვირვებით კი ნამდვილად გაიკვირვეს, თუმცალა, საკვირველი არაფერი იყო – *„გხედავ"* და *„დედავ"* სწორედ იმ მაცთუნებელ სიტყვათა რიგს განეკუთვნება, ზემოთ რომ ვისაუბრეთ. თუმცალა ეს *„ჩემო პაწია"*-ს თანხვედრა რაღა იყო!

შესაძლოა მავანმა და მავანმა ცნობისმოყვარულად იკითხოს, რაღა მაინცდამაინც წინა თაობის პოეტებს გვისახელებს, ახალგაზრდებს რას ერჩისო!

გულახდილი ვიქნებით და, თუ ქედმაღლობაში არ ჩამოგვართმევთ, ვიტყვით: კი, ნამდვილად ძველი თაობის შემოქმედებას მეტი გატაცებით ვკითხულობთ და არც ის გვგონია, გამონაკლისს წარმოვადგენდეთ.

ცნობილი ლიტერატორი, კრიტიკოსი მაია ჯალიაშვილი, ბრძანებს: *„ლიტერატურას როგორც კულტურის ნაწილს, არ აქვს პროგრესი იმ თვალსაზრისით, რომ რომელიმე 21-ე საუკუნის მწერალი სჯობდეს, მაგალითად, სერვანტესს. ჩემი აზრით, დღეს მწერლობა ბევრად „უკანაა", ვიდრე, გუშინ იყო.*

*ეს ჩემი აზრია, რადგან მე ძველი თაობის მწერალთა კითხვა მირჩევნია... თუმცა, ვისაც რა მოსწონს, ის იკითხოს და იმაზე წეროს! კითხვას ხომ სიამოვნება უნდა მოჰქონდეს, სიამოვნება ფიქრისა, სიამოვნება წარმოსახულ დროსა და სივრცეში პერსონაჟებთან ურთიერთობისა. ვფიქრობ, მწერლობა სამყაროს მეოთხე (თუ მეხუთე?) განზომილებაა და მასში მოგზაურობა ადამიანს ცვლის, ზრდის სულიერად".*

ჭეშმარიტად, ქალბატონო მაია, ჭეშმარიტად!..

სხვათა შორის, სრულიად შემთხვევით წავაწყდით ანალოგიურ თანხვედრას ბატონების: ბაჩანა ბრეგვაძისა და ჯარჯი ფხოველის, შესაბამისად, ნააზრევსა და ლექსში.

„ლიტერატურული გაზეთის" 2011 წლის 11 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ ბაჩანა ბრეგვაძის „ჩანაწერებში" ვკითხულობთ: *„სიკვდილი – **უაზრო ძილია,** სიცოცხლე – უძილო სიზმარი"*, ხოლო ჯარჯი ფხოველი ლექსში – „თუშური სიმღერები" გვთავაზობს: *„...უკვე გაწვდილი ხმლები ეჭირათ და მიდიოდნენ ბახტრიონისკე.../ სალეკოს ყელის ბილიკებზე მიდიოდნენ და იძინებდნენ **უსიზმრო ძილით**".*

ახლა კი უფრო იდუმალებით შეფერილ მაგალითს მოგიყვანთ და წინასწარვე ვითხოვთ პატიებას, რადგან საკუთარ პერსონაზეც მოგვიწევს რამდენიმე სიტყვის თქმა.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" წლევანდელ მე-16 ნომერში კიდევ ერთხელ წავიკითხეთ გამოჩენილი ქართველი პოეტის, ვალერიან გაფრინდაშვილის ცნობილი ტრიოლეტი.

**ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,**
**ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი,**
**შენ სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.**
**ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,**
**მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა,**
**ვტიროდი ხარბათ – მარტოობით ნაალერსალი.**
**ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,**
**ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.**

კიდევ ერთხელ კი არადა, რატომღაც რამდენიმეჯერ წავიკითხეთ და, ჰოი საოცრებავ! – მოულოდნელად მოგვესურვილა ისე, ჩვენთვის, გართობის მიზნით, გვეცადა ბედი და ჩვენც შევბმოდით ტრიოლეტს.

გავკადნიერდებით და გთავაზობთ მას.

**ახლაღა ვხვდები, ეს სოფელი მუხანათია,**
**ბრძენიც რომ იყო, რეგვენივით ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ!**
**ნუ გეგონებათ, სულ სიამე, სულ შარბათია.**
**ეხლაღა ვხვდები ეს სოფელი მუხანათია,**
**ვისთვის სადაგი, ვისთვის კიდევ სულ შაბათია.**
**სულ რომ არ ელი, სულ არაფრის ᲒᲐᲛᲝ ᲒᲘᲧᲔᲚᲔᲑᲡ!**
**ახლაღა ვხვდები ეს სოფელი მუხანათია,**
**ბრძენიც რომ იყო, რეგვენივით ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ!**

ცნობილია, რომ ბავშვობაში თუ არა, ყმაწვილკაცობაში მაინც თითქმის ყველანი წერენ „ლექსებს," მაგრამ სერიოზულად, გაცნობიერებულად თავი არასოდეს ჩაგვითვლია პოეტად. მხოლოდ ეგ იყო, რამდენიმე პოეტის ზოგიერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსზე ვცადეთ პაროდიის დაწერა და კიდევაც გამოვაქვეყნეთ ლიტერატურულ პრესასა და წიგნში „გალაკტიონი, ოკუჯავები და სხვები."

ბუნებრივია, არც ამ ტრიოლეტის გამოქვეყნება მოგვსვლია აზრად და, ახლა თუ ვაქვეყნებთ, მხოლოდ წერილისათვის.

საქმე კი ის გახლავთ, რომ მეტად ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს, **ბატონ გოჩა ხარანაულს**, თავის მშვენიერ ლექსში – „პოეტის გული" – ასეთი ტაეპი აქვს:

***ნაიღეთ გული! ძაღლის შვილი ვიდრე* მიყელებს,**
***რა თავში ვიხლი, რა ფარ-შუბად* გამოვიყენებ.**
*(„ლიტერატურული გაზეთი", 2.09.2011)*

როგორც ხედავთ, ჩვენს ნაცოდვილარშიც და პოეტის ლექსშიც აბსოლუტურად ერთი და იგივე რითმაა გამოყენებული.

მოდი ახლა და თქვი, მისტიკა არ არსებობსო!

ჩვენ ლექსი 17 ივლისს დაგვიწერია, ბატონ გოჩას კი თავისი – 2 სექტემბერს გამოუქვეყნებია.

ასე რომ, ჩვენო ძვირფასებო, საკმაოდ სარისკოა მხოლოდ და მხოლოდ თანხვედრი რითმების გამო, მყარი არგუმენტაციის გარეშე, უყოყმანოდ ვამხილოთ ერთმანეთი პლაგიატორობაში.

**P.S.**

კიდევ კარგი დროულად გაგვეხსნა გონება და წერილი ასეთი სახით არ გამოვაქვეყნეთ! აკი ვამბობდით, ჰაიჰარად, დაუფიქრებლად ნუ გამოვიტანთ ჩვენს ნააზრევს საჯაროდ-თქო! *„გამოგიყენებს და გამო გიყელებს"*, არც ჩვენია და არც გოჩა ხარანაულისა. ეს სარითმო წყვილი ჯერ კიდევ ეგერ ე, ნახევარი საუკუნის წინათ გამოიყენა ჩვენმა სასიქადულო მუხრან მაჭავარიანმა: *„წუთისოფელი როცა მიყელებს, თიხად ქემაინც გამომიყენე!"*

ქრონიკა

17 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიმართა პრეზენტაცია **ამირან არაბულის ახალი წიგნისა „ვაჟკაცობისას ამბობენ"**.

ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.

როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ** აღნიშნა, „ვაჟკაცობისას ამბობენ" ლოგიკური გაგრძელებაა იმ გზისა, რაც ესოდენ ცხადად არის გამოკვეთილი გურამ ასათიანის, აკაკი ბაქრაძისა და ზვიად გამსახურდიას ნაშრომებსა თუ წერილებში, რომლებიც ქართველი ერის ბუნება-ხასიათის არსობრივ თავისებურებათა განხილვას ისახავენ მიზნად.

შეკრებაზე წიგნის შესახებ ისაუბრეს: **მანანა კვაჭანტირაძემ, ნონა კუპრეიშვილმა, ვახტანგ სართანია, გიორგი ალიბეგაშვილი, გიორგი ცოცანიძემ, ტარიელ ფუტკარაძემ, ქეთევან შენგელიამ, მზექალა ჭინჭარაულმა, თუმიშა ხანგოშვილმა.**

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ამირან არაბულის წიგნის საზოგადოებრივ და მხატვრულ-შემეცნებით მნიშვნელობაზე; წიგნისა, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავს რომ ეძღვნება და დაბეჭდილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია II-ის** ლოცვა-კურთხევით.

# ჩაფერფლილი ცხოვრების ზღაპარი

„სიტყვით ვერ გამომითქვამს ჩემი სიმძიმილი. დიდად ნიჭიერი, ყველასათვის საყვარელი, შესანიშნავი მომავლის მქონე ახალგაზრდა ვაჟი, დაუვიწყარი ნოშრევანი გამოგვეცალა ხელიდან. მეგონა ის აილებდა ჩემს კუბოს, ბუნებამ კი სხვაგვარად, საზარლად იზრუნა მის ბედზე. განუზომელია ჩემი მწუხარება მომხიბლავი ნოშრევანისადმი, უახლესი მეცნიერების თაობის შესანიშნავი წარმომადგენლისადმი... როგორი ერთგული, პატიოსანი, ყოველმხრივ დამშვენებული უმცროსი მეგობარი დავკარგე!" – ასე ეთხოვებოდა იმ ცრემლიან-ტკივილიან დღეებში ნოშრევან ჯიშკარიანს აკაკი გაწერელია.

**ნოშრევან (ჯამბულ) შალვას ძე ჯიშკარიანი** დაიბადა 1953 წლის 29 დეკემბერს მარტვილის რაიონის სოფელ ნაგვაზაოში, ფილოლოგების ოჯახში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1988 წლის 9 თებერვალს, 34 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა.

ნოშრევან ჯიშკარიანი იყო შესანიშნავი პოეტი და მეცნიერი, ფრიად განსწავლული ადამიანი. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან ბევრი საინტერესო ნაშრომი შესძინა ძველ ქართულ ლიტერატურას. თარგმნიდა და წერდა ლექსებს, მისი პოეზია ტერენტი გრანელის პოეზიის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ტერენტის მსგავსად მისი ლექსებიც სევდითა და პატრიოტიზმითაა გაჟღენთილი და აშკარად ატყვია პოეტური ოსტატობა. ნოშრევანის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი პიროვნებები: საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი აკაკი გაწერელია, აკადემიკოსები: ალექსანდრე ბარამიძე და სარგის ცაიშვილი, პროფესორები: კორნელი დანელია და რევაზ ბარამიძე, პოეტი ჯემალ ცერცვაძე, მარტვილის მუზეუმის დამაარსებელი და მხარეთმცოდნე გივი ელიავა და სხვანი.

ნოშრევანის ცხოვრება, როგორც თვითონ გვიმხელს, ქალი და ლექსია, რასაკვირველია, პატრიოტიზმთან, ტრადიციებთან, ადათ-წესებთან ნაზიარები. მის პოეზიაში დიდი ადგილი ეთმობა სილამაზისადმი ტრფობას.

ჩვენს შორის მყოფი, სიცოცხლეში სათანადოდ არდაფასებული კაცის საზომი ერთეული ადამიანობა გამხდარა. შოთასმიერი ჩაგონებით: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა", უცხოვრია და ულაღია, უკეთებია კარგი, დახმარების ხელი გაუწვდენია იმათთვის, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდა, და იმათთვისაც, ვისაც საერთოდ არ იცნობდა. განსაკუთრებულად ჰყვარებია ქართული გლეხური სუფრა, გლეხის დარდით გაბოლილი ბუხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრული სიტყვის ეშხი, ჩვენებური სალალობო სიმღერები, კოლხური მიწის ოხშივარი.

„ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!“

აი, ამგვარი კაცობისათვის ღირსეულად, გარდაცვალებიდან 23 წლის შემდეგ დაფასდა, სამარადჟამო სახელი დაუტოვა მომავალ თაობებს, მადლიერ ახალგაზრდობას. ამის დასტური: 2011 წლის 2 ივნისს შემოქმედებითი ახალგაზრდობის ინიციატივით (საინიციატივო ჯგუფი: ბესიკ გვაზავა, დავით სურმავა, გიორგი და ბადრი სილაგავები), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/6 ბრძანების საფუძველზე ზედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლას მიენიჭა მეცნიერებისა და ლიტერატურის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე პირის – ნოშრევან ჯიშკარიანის სახელი.



ნოშრევან ჯიშკარიანი

ამასთან დაკავშირებით გაიმართა მისი შემოქმედებითი საღამო. ნაგვაზაოს სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა წაიკითხეს ლექსები, ჩანაწერები, მოგონებანი, მისმა თანასოფლელმა ვარდენ სილაგავამ კი ააჟღერა ნოშრევანის ლექსებზე შექმნილი ჰანგები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: პროფესორ-მასწავლებლები, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, რესურსცენტრის თანამშრომლები და საზოგადოების წარმომადგენლები.

ნოშრევან ჯიშკარიანის ბიუსტი საზეიმოდ გახსნეს: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ომარ გვეტაძემ, სკოლის დირექტორმა ინგა ფირცხალავამ და საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბესიკ გვაზავამ.

შესავალ სიტყვაში მასპინძელმა **ინგა ფირცხალავამ** თქვა:

„დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ემატება ჩვენი სკოლის მდიდარ ისტორიას. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ზედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლისათვის სახელოვანი ოჯახიშვილის ნოშრევან ჯიშკარიანის სახელის მინიჭება და უკვდავყოფა უთუოდ დიდი საქმეა.

ნოშრევან ჯიშკარიანის სახელის ტარება პატივია სოფლის მკვიდრთათვის, მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და ამავე დროს დიდი მოვალეობაცაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს სკოლა მომავალშიც არაერთ ღირსეულ მემკვიდრეს გაუზრდის ნოშრევან ჯიშკარიანს.

დიდი მადლობა ბატონ დიმიტრი შაშკინს, რესურსცენტრს, ამ საქმის ინიციატორს ბესიკ გვაზავას, რომელმაც ძალიან დიდი სამუშაო გასწია, ასევე ჩვენს ახალგაზრდებს: დავით სურმავას, გიორგი და ბადრი სილაგავებს.

მთელი კოლექტივის სახელით მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო გამომცემლობა „ინტელექტის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს ბატონ კახმეგ კუდავას, სკოლისათვის გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

მინდა ნოშრევანის სიტყვებით დავასრულო:

**ვაი, როგორ ჩაიფერფლა ამ ცხოვრების ზღაპარი,**
**ვით მდინარემ ჩაიარა, იყო და აღარ არი.**
**გინდა იყავ მეფეთმეფე, გინდა გლახა, საპყარი,**
**ბოლოს მაინც სიკვდილია, მიწაა და სამარი...**

**ომარ გვეტაძე (პროფესორი):**

„სულგანაბული ვუსმენდი ნოშრევანის შემოქმედებას და თვალწინ ცოცხლდებოდა მისი სახე, ნოშრევანი ყოველთვის ჩვენთან, ჩვენს გვერდით იყო და ახლაც, როდესაც მეგობრები ვიგონებთ ასპირანტურის წლებს, გვაქვს შეხვედრები, ნოშრევანს ყოველთვის ვიხსენებთ, როგორც ცოცხალ პიროვნებას.

მინდა მივულოცო რაიონს, სკოლას, მთელ საქართველოს ეს ღირსშესანიშნავი დღე, შესანიშნავი ადამიანის, თვალსაჩინო მეცნიერისა და მოღვაწის მშობლიური სკოლისათვის სახელის მინიჭება. ეს იყო ოცნება, რომელსაც, საბედნიეროდ, ფრთები შეესხა. მადლობა კეთილი საქმის წამომწყებთ, ბესიკ გვაზავას, მთავარ სულისჩამდგმელს.

მართალია, ნოშრევანს დიდხანს არ უცოცხლია, ისევე როგორც ბარათაშვილსა და ასათიანს, მაგრამ რაც გააკეთა ამ ხნის მანძილზე, სრულიად საკმარისია ისტორიაში შესასვლელად. თავს ბედნიერად ვთვლი, რადგან მქონდა პატივი ასპირანტურის წლები ერთად, ერთ ბინაში გაგვეტარებინა. იმ ლექსებს, რომლებსაც ჩვენ ვუსმენდით ახლა, ვისმენდი წლების წინათაც ბევრ რალაცებზე ვდავობდით, ვკამათობდით, დავდიოდით შიომღვიმეში, ზედაზენზე, გელათში, ბაგრატზე და ყველაფერს ერთნაირად განვიცდიდით.

ქართულმა მეცნიერებამ, თუნდაც აკაკი გაწერელიას სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელსაც შვილივით უყვარდა ნოშრევანი, დაკარგა დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდა მკვლევარი. ნოშრევანი იქნებოდა ჩინებული მედიევისტი, მან ბრწყინვალედ იცოდა სპარსული ენა და ლიტერატურა, სხვათა შორის, მეც შემაყვარა. ეს იყო კაცი, რომელიც პირადულს გვერდით გადადებდა და მეგობრისათვის თავს გასწირავდა. არ ეძინა მოყვასის სიყვარულში, საქართველოს სიყვარულში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, შეიცვალა კანონი და ყველა მეცნიერებათა კანდიდატი არის პროფესორი. უნდა ვაღიაროთ, რომ ნოშრევანმა ამქვეყნიური მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ არის პროფესორი. ამრიგად, შეიძლება ითქვას, პროფესორ ნოშრევან ჯიშკარიანის სახელობის ზედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლა.

მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო „მარტვილის“ რედაქტორის, ბატონ ფაუსტ ნადარაიას მიერ გამოშვებული სპეციალური გაზეთი „ნოშრევან ჯიშკარიანი“, რომელიც მართლაც მაღალი დონის გამოცემაა და ნატამალიც არ ეტყობა პროვინციალიზმის. პროფესორ ნოშრევან ჯიშკარიანის სკოლას ქუთაისის უნივერსიტეტიდან ყველანაირი მხარდაჭერა ექნება – ღია გაკვეთილით თუ შემოქმედებითი საღამოთი, თქვენს გვერდით გვიგულეთ.

დაბოლოს ასეთი ექსპრომტი:

**საძმოს თასში ღვინო**
**არასოდეს არ ამოშრება,**
**გაგიმარჯოთ სუყველას და**
**გაუმარჯოს ნოშრევანს.“**

**გიგლა ონიანი (პროფესორი):**
„იდგა 1975 წლის ნოემბერი...

ასპირანტურის პირველი კურსი დამთავრებული მქონდა, როდესაც შემოვიდა ჩვენი კომენდანტი, სხვათა შორის, სვანი ანზორ მარგველანი და შემოიყვანა სასიამოვნო შესახედაობის ახალგაზრდა კაცი და გვითხრა (სამ ოთახში ვცხოვრობდით ოთხი კაცი) თქვენთან იქნებაო. ასე წარმოგვიდგინა ნოშრევან ჯიშკარიანი. 1978 წლის მაისამდე ერთად ვცხოვრობდით, „სტუდენტურად“, ჩვენი სიმდიდრე სწორედ რომ სილარიბე იყო.

ერთად ვიყოფდით ლუკმას, ერთად ვსვამდით და დღე-ღალამ ერთად ვიყავით.

ნოშრევანი იყო საოცრად კარგი და ერუდირებული პიროვნება. გავიხსენოთ ფილმი „თეთრი ქარავანი“, სადაც დალუპულ მწყემსზე საუბრისას არის ასეთი დიალოგი: „ვინ იყო ის?“ პასუხი მარტივია: „კაცი იყო, შვილო!“ ვინ იყო ნოშრევან ჯიშკარიანი? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნოშრევან ჯიშკარიანი იყო კაცი!

დისერტაციაზე მუშაობისას მას შესთავაზეს ირანში წასვლა (ყველასათვის საოცნებო წინადადება იყო), მოგეხსენებათ საბჭოთა კავშირის დროს რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ყოველივე ეს. ნოშრევანმა ჯაშუშობა არ ისურვა და ირანის ნაცვლად შუა აზიაში გაემგზავრა. ამით მან ზემაღალი ზნეობა გამოხატა.

ნოშრევან ჯიშკარიანმა მოკლე პერიოდი იცხოვრა, მაგრამ კაცური კაცის სახელით წავიდა ამქვეყნიდან, მის სახელს არ უწერია დავიწყება და დღევანდელი დღეც ამის დასტურია“.



ფაუსტ ნადარაია, კახა მოსიძე, ბესიკ გვაზავა, გიგლა ონიანი, ომარ გვეტაძე, ედიშერ ჯიშკარიანი, მამუკა ახალაია

**ილია კუხალაშვილი (პოეტი):**
„ვაჟა-ფშაველა თავის ერთ-ერთ ლექსს ასე ამთავრებს: „...მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“.

ვფიქრობ, დღევანდელი დღე დასტურია, რომ ნოშრევან ჯიშკარიანი ახლოს იყო ღმერთთან. ნათელში იყოს მისი სული. მინდა აქვე ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც ამ საქმეში მიუძღვის წვლილი. არ შემიძლია ბატონი ბესიკ გვაზავა არ გამოვყო. ის ჩემს თვალწინ ტრიალებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში და მინდა გულწრფელ მადლობასთან ერთად ვუსურვო: ღმერთმა დალოცოს და გააკეთებინოს ასეთი კარგი საქმეები“.

ნოშრევანზე გულითადად ისაუბრა მისმა მეგობარმა **ნომადი ბართაიამ:**

„ნოშრევანი სიცოცხლით სავსე იყო მუდამ, მას ნამდვილი ხალისი შემოჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. დაუვიწყარია მასთან გატარებული დღეები, საათები... ამ ახალგაზრდა კაცს ურთიერთობის დიდი ნიჭი ჰქონდა მომადლებული და ერთნაირი სიყვარულით ალბობდა სხვადასხვა ასაკის ადამიანთა გულებს. ნოშრევან ჯიშკარიანს ფართო აუდიტორია სიცოცხლეში იცნობდა როგორც მეცნიერს, გარდაცვალების მერე კი იგი გამოეცხადა მათ, როგორც პოეტი და მთარგმნელი.

რა ხანმოკლე იყო ნოშრევანის ცხოვრების გზა, მაგრამ – რა ლამაზად განვლილი!

იმ სკოლას, სადაც ის სწავლობდა, შეუძლია იამაყოს მისი სახელით.

საგანგებოდ ამ დღისთვის ექსპრომტად:

**თურმე ნოშრევანი გაცოცხლებულა,**
**თურმე ნოშრევანი ცოცხალია,**
**რამდენიც გინდა გაიკვირვე**
**თურმე საოცრება მომხდარია!“**

ნოშრევანი გაიხსენა მისმა მეზობელმა, 80 წელს გადაცილებულმა ჭიჭიკო გვაზავამ, რომელმაც მოკლედ და ტკივილიანად ისაუბრა: „ნიჭიერი და თავაზიანი ბიჭი იყო, ხშირად ჩამოდიოდა სოფელში, უყვარდა სოფლის ქუჩებში ხეტიალი, რომ დამინახავდა, კილომეტრიდან მომესალმებოდა, მომიკითხავდა. რომ არა ავბედითი სიკვდილი, რა სიმაღლეებს მიაღწევდა“.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე გაზეთ „მარტვილის“ რედაქტორი **ფაუსტ ნადარაია** და საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი **ბესიკ გვაზავა.**

დასასრულ ნოშრევან ჯიშკარიანის გახსენებისათვის მადლობა გადაიხადა მისმა ძმამ **ედიშერ ჯიშკარიანმა.** მან სიხარულითა და სიამაყით აღნიშნა, რომ პოეტი ახსოვს არა მხოლოდ მის სანათესაოს და მეგობრებს, არამედ რაიონის ინტელიგენციასა და ფართო საზოგადოებას, მადლიერ ახალგაზრდობას.

თემურ ქორიძე

# თურმე არც რამე დაკარგულიყო

ცოცხალი შთაბეჭდილებები დროთა განმავლობაში ფერმკრთალ მოგონებებად იქცევა და შესაძლოა, დავიწყებასაც მიეცეს. მაგრამ ადამიანის მეხსიერება არც ისე ცივი და ანგარიშმიუცემელია, რომ იქ თავმოყრილი ძვირფასი საგანძური ხელაღებით უარყოს და მარადიული დავიწყებისთვის გაიმეტოს.

უბრალო ნივთის დაკარგვაც კი ჩვენ ისე გვაფორიაქებს, რომ ამის გამო ზოგჯერ წონასწორობას ვკარგავთ და ვერ ვისვენებთ, სანამ დაკარგულს არ ვიპოვით.




ეს, ერთი შეხედვით, მოსაბეზრებლად რუტინული მდგომარეობაც ადამიანის სიღრმისეული ფსიქოლოგიის თვალსაჩინო ანარეკლია. ალბათ, სწორედ ამაზე მიანიშნებდა ნეტარი ავგუსტინე, რომელიც კაცებრივ მეხსიერებას „უსასრულო და გონებამიუწვდომელ ტაძრად" მიიჩნევდა. მართალია, დღეს ამ „ტაძარში" წესრიგი არ სუფევს, მაგრამ მოდით ვიკითხოთ: „როცა მეხსიერება კარგავს რაიმეს, ანუ როცა გვავიწყდება რაღაცა და მის გახსენებას ვცდილობთ, მაშინ სად ვეძებთ დანაკარგს, თუ არა თვით მეხსიერებაში?.. ვინ დაუწყებს ძებნას დაკარგულ ნივთს, მისი დაკარგვის ამბავიც რომ დავიწყებოდა?" შუა საუკუნეების რიტორიკისთვის დამახასიათებელი ეს მეტაფიზიკური ნიაღსვლა იმ უხილავი კანონზომიერებისადმი ნდობით და პატივისცემით არის გამსჭვალული, რომელსაც ჩვენს მეხსიერებაში **„წესრიგის აღდგენა"**, ანუ დაკარგულის და დავიწყებულის გაცოცხლება ხელეწიფება.

დღეს ხშირად ვსაუბრობთ მყარ და დაურღვეველ ისტორიულ მეხსიერებაზე. გვსმენია, რომ არსებობს შორეულ წარსულში ღრმად დამარხული ეროვნული ყოფიერების ირაციონალური და ინტიმური საიდუმლოებანი; ისიც ვიცით, რომ ერი არის ისტორიული პროცესის მარად ცოცხალი სუბიექტი და მასში არა ნაკლებად ცოცხლობენ გარდასული თაობები, ვიდრე თანამედროვენი. ჩვენ ურყევად გვწამს, რომ ეროვნული ყოფიერება უთუოდ სძლევს დრო-ჟამს, რომ ერის სული პრინციპულად ეწინააღმდეგება წარსულის შთანთქმას აწმყოთი, ის ყოველთვის ესწრაფვის უხრწნელობას და სიკვდილის ძლევას. ისტორიული მეხსიერება ჩვენს წინაპრებსაც ისეთივე ცოცხლებად აღიარებს, როგორც ჩვენ ვართ და როგორც ჩვენი შთამომავლები იქნებიან.

აი, ასეთი უწყვეტობის და შინაგანი კავშირის უზრუნველსაყოფად არის მოწოდებული ისტორიული მეხსიერება. თუმცა ტრაგიკული დანაკარგები და წყვეტილობანი აქაც თვალშისაცემია.

**„რაღაც მნიშვნელოვანი დაგვეკარგა სამუდამოდ, გლოვის, ტრაგიზმის იერით აღბეჭდილი და, იმავდროულად, ჰეროიკული სულით გაჟღენთილი".**

დიახ, დავკარგეთ! დავკარგეთ მთელი თაობის ბრწყინვალედ შესრულებული პორტრეტები, ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ფრთაშესხმულ გმირთა საარაკო თავგანწირვის ამსახველი ნაირგვარი სურათები და ავი დროების თავზარდამცემი სისხლიანი ქრონიკები. ეს ყველაფერი კი იმიტომ დავკარგეთ, რომ რომანი **„შავი ჩოხა"** მიხეილ ჯავახიშვილს არასოდეს დაუწერია. 1926 წელს მან მხოლოდ მომავალი ქმნილების სათაურის ჩანიშვნა მოასწრო: – **„შავი ჩოხა"**, მაგრამ ეს ქმნილება **შექმნამდე დაიკარგა!**

აი, კიდევ ერთი ტრაგედია! ტრაგედია და თანაც როგორი მასშტაბისა!..

რამდენი პროტაგონისტი, რამდენი მოქმედება, რამდენი მღელვარე და გულისგამყინავი სცენა, რამდენი ცრემლი და აღმაფრენა, **აღმაფრენა და ცრემლი!..**

ეს ტრაგედია ათეული წლების განმავლობაში ელოდებოდა ღირსეულ დრამატურგს, რომელსაც ზედმიწევნით უნდა აღედგინა ისტორიული სიმართლე და ქართველი ერის სულიერი რაობა სრულყოფილად წარმოეჩინა; მას უნდა გაეცოცხლებინა რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალული სახეები და ხასიათები.

**როსტომ ჩხეიძემ ეს შეძლო!**

„რაღაც მნიშვნელოვანი სამუდამოდ დაგვეკარგაო..." მაგრამ არა! **თურმე არ დაკარგულა!**

სად ვეძებთ დანაკარგს, თუ არა თვით მეხსიერებაში?

**როსტომ ჩხეიძემ ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში იპოვა ის, რაც აქამდე დაკარგული გვეგონა!**

მან თავად დაწერა თავისი **„შავი ჩოხა"** და 1924 წლის აჯანყების გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი სწორედ ისეთი სიმართლით დახატა, როგორც თვითონ მიხეილ ჯავახიშვილი დახატავდა. მეტიც: ამ სქელტანიანი რომანის თითქმის ყოველ ეპიზოდში დიდი მწერლის ფიქრიან მზერას ვაწყდებით.

როსტომ ჩხეიძე ამაოდ წუხს: „ვაითუ მიხეილ ჯავახიშვილის თემების კვალში ჩადგომა სახიფათო გაგვიხდესო..." საქები თავმდაბლობაა, მაგრამ მის ხელთ არსებული კოლოსალური ისტორიული მასალა და ამ მასალის მხატვრულ-ექსპრესიული დამუშავების **უბადლო ხელოვნება** როსტომ ჩხეიძის რომანს სრულიად ორიგინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ ელფერს ანიჭებს. ამიტომ ერთობ ძნელდება **„შავი ჩოხის“** მოთავსება სათავგადასავლო ჟანრის ჩარჩოში. აქ თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცნობიერების მრავალფეროვანი პანორამა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ამ მოვლენათა ანალიტიკური ფონი კი **ინტელექტუალური არისტოკრატიზმის** მთელი სრულყოფილებით იზიდავს მკითხველის ყურადღებას. რომანში შთამბეჭდავად არის გაცოცხლებული ერის ისტორია და ისტორიული გონი, **ამოქმედებული და ამეტყველებულია ყველა რესურსი** — მითებით დანწყებული, პოლიტიკური დეკლარაციებით დამთავრებული.

* * *

1924 წელს ქართველ ხალხში მისივე უმანკოება აჯანყდაო, — იხსენებდა შალვა ამირეჯიბი. გაცილებით ადრე, დიდი რევოლუციების მომსწრე ლაფაიეტი აჯანყებათა პირველმიზეზად ადამიანის წმიდა გრძნობებს ასახელებდა; ხოლო ვიქტორ ჰიუგო ამ მოვლენას **„აღშფოთებული სიმართლის“** ჯანყს უწოდებდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილისთვის კი 1924 წელი სამშობლოს გათავისუფლების ჰეროიკული ნყურვილით იყო დამუხტული. მანამდე, 1921 წლის თებერვალში, როცა წითელმა არმიამ საქართველოს საზღვრები გადმოლახა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთგული თანამებრძოლი და ბიოგრაფი ალექსანდრე სულხანიშვილი თანამემამულეთა უნიათობით გაოგნებული და აღშფოთებული, — ასე აღწერდა ქვეყანაში დატრიალებულ ტრაგედიას: „რა ნახა ჩემმა თვალებმა! გვარდიელებს თოფები ჯოხებივით გაედოთ მხრებზე და ოც-ორმოცკაციან ჯგუფებად მიეხეტებოდნენ სახლებისკენ... საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას მანამდე არ ახსოვდა მტრის ასეთი სამარცხვინო შემოშვება ჩვენ მიწა-წყალზე“. **რატომ მოხდა ასე?** დაკვირვებულ და გამოცდილ გონებას ასეთ შემთხვევაშიც შეუძლია მზამზარეული პასუხის შემოთავაზება. ის გვეტყვის, რომ ხალხი ზოგჯერ თავის თავსაც ღალატობს და ამაში არც არაფერია გასაკვირი. ასეთ დროს ის არაფერს მოითხოვს, გარდა დასვენებისა; თუ ნატრობს რასმე, მარტოოდენ მშვიდობას: ოღონდ მოასვენონ და თავი დაანებონ დაღლილს... მადლობა ღმერთს, ყველაფერი ნახა და იგემა, დიდებული ამბებიც და საზარელი შემთხვევებიც. გაჭიანურებული დღის საღამოს ჟამს ხალხი მოქანცულია, ლოგინი და ტკბილი ძილი ენატრება. კიდევ უფრო ღრმა სასონარკვეთილების აღმძვრელია იმის შეგრძნება, რომ **„დაილალნენ თავგანწირულები, დაბერდნენ გმირები, დიდებულთა ხელის კოცნით გაძღნენ მლიქვნელები, დიდი სიმდიდრე შეიძინეს ანგარების მოყვარულებმა და ყველაფერი ამით დასრულდა“** (ჰიუგო).

მსგავსი კრიტიკული მდგომარეობის ანალიზს არც როსტომ ჩხეიძე გაურბის, მაგრამ ის უმალ ეროვნული ხასიათის სიღრმისეული შრეებისკენ მიაპყრობს მკითხველის მზერას: „ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეროვნული ხასიათი ჟამთასვლისა თუ თავსმოხვეულ ვითარებათა გამოისობით ფარულ ცვლილებებს — გამკვეთრებას თუ დაგლუვებას განიცდის; და ამიტომ მთავარია, რომ იმ ძირეული ნიშატისა თუ ბირთვის ირგვლივ ბრუნავდეს, მას არ მოწყდეს ან არ გადააგვაროს, თორემ გარეგან გადასხვაფერებას ყოველთვის ეშველება რაღაც“.

**ასეთი პასუხი ამომწურავიცაა და იმედის მომცემიც.** მაგრამ მოუსვენარი სკეფსისი თავს მაინც არ ზოგავს, რათა ძირისძირამდე ჩაჰყვეს ჩვენს მეხსიერებას და იქიდან თავისი არსებობის გამამართლებელი მტკიცე არგუმენტები ამოატივტივოს. არადა, დედამიწაზე არ დარჩენილა ხანგრძლივი ისტორიის მქონე არც ერთი ხალხი, რომლის ეთნოგენეზშიც ურთიერთგამომრიცხავი, ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ, — ანტინომიური ხასიათის მაგალითები არ მოიძებნებოდეს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც როსტომ ჩხეიძის მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი უაღრესად მკაფიოა და ამასთანავე, ბოლომდე გაცნობიერებული რწმენით არის გამყარებული.

„აზვიადებდნენ რამეს ძველები? დაკარგულ რაინდულ სულზე გამცნობდნენ?“ — კითხულობს იგი და თავისი გაუნელებელი რწმენის დასტურად, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმ **დაუკარგავ რაინდულ სულზე მიგვითითებს, რომელიც ასე მომნუსხველად და მომაჯადოებლად გაცოცხლა თავის „შავ ჩოხაში“.** „თურმე არც რამე დაკარგულიყო, ოღონდაც არაფერი მოკლებოდა ამ სულის სრულქმნილებას, რადგანაც ისე ძალდაუტანებლად ამოჩნდებოდა ახალ და ახალ რეალობაშიც, თითქოს უწყვეტ ჯაჭვზე ჩაუჭიდია ყველას ხელი და იქიდან იწოვს მადლსა და ძალას, იქიდან აღენთება მისთვის გასაკვირი მუხტით“... აქვეა **სულიერი სრულქმნილების გამაოგნებელი უბრალოებით წარმოჩენილი კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც, თავის მხრივ, ნებისმიერი დიდი ერის ისტორიას დაამშვენებდა:** „ამასთანავე, ამ ბუნების პიროვნებათათვის განსაკუთრებით შემძვრელია წამის სილამაზე და ერთი ჰეროიკული გაელვებისთვის დაუნანებლად გაიღებენ სიცოცხლეს“.

სამშაბათს, 23 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა
მომღერალ
**დათო არჩვაძესა**
და
**მის მეგობრებთან**
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

* * *

ადამიანები დღემდე გარინდებულნი შესცქერიან დედამიწის სხვადასხვა კუთხეში აღმართულ გრანდიოზულ პირამიდებს, მავზოლეუმებს, აკლდამებსა თუ მემორიალებს, სადაც მშვიდად განისვენებენ ფარაონები, იმპერატორები, მაჰარაჯები და ბელადები. თუმცა არავინ იცის გაიხსენებდა თუ არა მათ სახელებს შთამომავლობა, — ისტორიის ამ პირქუში მუზეუმებისთვის რომ არ მიენდოთ თავიანთი უკვდავება.

ინგა აბელე ლატვიური ლიტერატურის ახალი თაობის წარმომადგენელია. ის 1972 წელს დაიბადა რიგაში. სწავლობდა ლატვიის უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტზე. დაამთავრა ლატვიის კულტურის აკადემიის თეატრისა და ტელევიზიის დრამატურგიის განყოფილება. არაერთი პროზაული კრებულისა და პიესის ავტორია. მისი პიესები „ბნელი ირმები" და „მწველი ბალახი" წარმატებით დაიდგა ლატვიის, გერმანიის, ფინეთისა და დანიის პროფესიულ თეატრებში. 2003 წელს დაჯილდოვდა ლატვიის ლიტერატურული პრემიით, როგორც წლის საუკეთესო დრამატურგი, 2004 წელს – როგორც წლის საუკეთესო პროზაიკოსი. ევროპულმა კრიტიკამ ავტორი შეაფასა, როგორც ფსიქოლოგიური პროზისა და ნატიფ დაკვირვებათა ბრწყინვალე ოსტატი და მას ნამდვილი აღმოჩენა უწოდა.

ინგა აბელე

# სიყვარულის წლები

თუ გინდა, რომ გაიგონო, როგორ ჩაურბენენ კენტავრები შენს ფანჯარას, ჩუმად ინექი და არ გაინძრე. ასე მითხრა ემამ, რომელიც ახლა რამდენიმე კვარტალის იქით ლუთერანული ეკლესიის კართან დგას და ელოდება, რომ მივალ და ცოლად შევირთავ. ჩუმად ვწევარ და ველოდები, ვცდილობ გავიგონო, როგორ ჩაურბენს ჩემს ფანჯარას თუნდაც ერთი კენტავრი, მაგრამ ამაოდ. ფანჯრის მიღმა მხოლოდ ქუჩის ორომტრიალია, ქალაქის ყოველდღიური ზუზუნი, რომელიც ფანჯრიდან ოთახში იღვრება და ნელა ბრუნავს უხილავი ცენტრის გარშემო, როგორც მორევი სამყაროს გულში, შემდეგ კი კარის ღრიჭოებიდან გაედინება ჭიანჭველებსა და ტარაკნებთან ერთად. კედელთან, საწოლში ჩემს დისშვილს ძინავს. ფიქრები მოდიან და მიდიან, ვფიქრობ და ვუყურებ, როგორ ეხება ძილი ცივი თითებით გოგონას სახეს, ურხევს წამწამებს, ხან კი სწრაფად უნათებს სახეს ცივი ათინათით.

არც ისე იოლი იყო მისი დაყოლიება, თვალები რომ დაეხუჭა. ვგრძნობ, როგორ მოუთმენლად მელოდება ემა ეკლესიის ქვის კიბეზე. ყვავები რკინის ჯვრებზე ხტიან, ნაძვებიდან კი მტვერი ცვივა შავ თოვლში. ამიტომაც ავლაპარაკდით კენტავრებზე. პატარამ მკითხა, მჯერა თუ არა, რომ კენტავრები არსებობენ. არ ვიცოდი, რა მეთქვა. საერთოდ, რა იცი მათზეო. ვუპასუხე, კენტავრი ნახევრად ადამიანი და ნახევრად ცხენია-მეთქი. გოგონა დაფიქრდა და დაამატა, ნამდვილად ლურჯები იქნებიანო. არ ვიცი, რატომ არის ასე დარწმუნებული ან საიდან აქვს ასეთი მყარი რწმენა ასე პატარას. ბავშვი მიყუჩდა და ფიქრებში წავიდა. თვალები ლურჯი ნისლით დაებურა და ეხუჭება. ძილმა მოწყვიტა, როგორც მწიფე ნაყოფი ხიდან.

ემა კი ცრუობს. იცის, რომ კენტავრები არ არსებობენ, მაგრამ ვერ ვაიძულე, აღიაროს. მალე მიხვდება, რომ არც მე ვარსებობ, არ ვარ და არ ვიქნები. გაბრაზებული და უსაზღვროდ სევდიანი, კიბეზე დააგდებს და ფეხით გადაქელავს უცნაურ ყვავილს, რომელიც ძვირად იყიდა. თუმცა მე არასდროს მომწონდა ისეთი ქალები, როგორიც ემაა – შავი ფარაჯა ნიკაპამდე აქვს შეკრული, თავზე სოფლის ბაზრობაზე ნაყიდი ჭრელი ქუდი ახურავს. ან როგორ დადის, ატორტმანებული და შეუპოვარი, თითქოს ფეხებს შუა მამაკაცის ზომაზე დიდი ასო ებლანდება, თითქოს ცხოვრება მდინარეა, რომლის მორევიც ფეხს ვერ იკიდებს. ემა მიიჩნევს, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერს ანარქია მოიცავს. „ყველაფერი ანარქიისკენ მიდის" – უყვარს თქმა. მისი გაგებით, კენტავრიც წმინდა წყლის ანარქიაა. უცნაურია, როგორ დავიყოლიე, ეკლესიაში დაგვეწერა ჯვარი. იქნებ იმიტომაც დამთანხმდა, რომ მინდოდა მოწმეები ქუჩიდან მიმეწვია. „პირველივე შემხვედრი!" – წამოიძახა ანთებული თვალებით. ამ აზრმა გაიტაცა და ალაგზნო. სამწუხაროდ, ეკლესია ეკლესიაა და საკუთარი პრინციპებიდან გადახვევა ემას ძვირად დაუჯდება. შინაგანი თვალით ვხედავ, როგორ ბრდღვნის თხელი თითებით წითელ ყვავილს, ერთმანეთის მიყოლებით ვიწრო ზოლებად აცლის ღეროს კანს. რა დასანანია. საათი თავისი მოწიკნიკე საცეცებით ყოველ თხუთმეტ წუთში სულ უფრო ღრმად მმარხავს. მტკივა, მაგრამ მე ხომ არ მომწონს ისეთი ქალები, როგორიც ემაა.



მე მალალი, ქერა ქალები მომწონს, ხალისიანი გონებით. ისეთები, როგორც ჩემი და ქრისტინაა, რომლის შვილსაც ახლა თვალს არ ვაშორებ, რომ საწოლიდან არ გადმოვარდეს... მომწონს, როცა ქრისტინა სამზარეულოში ზის და კარტოფილს თლის, მის თმას კი სუფთა ყვითელით გამოჰყავს მისი მრგვალი სახის სილუეტი... ბინძური კიბიდან სარდაფის სუნით გაჟღენთილი ნიავი უბერავს... ხინვებიანი იატაკი, გაყინული კარტოფილის სუნი, მეზობლები, რომლებიც განუწყვეტლივ ჩხუბობენ ან ჟიმაობენ, მზის ათინათები გახუნებულ შპალერზე, ჩართული მაგნიტოფონი სამზარეულოს მაგიდაზე და ის შლაგერებიც, რომელთა გაგონებაზეც ემა ზიზლისგან ვერცხლისწყლის შხამიან ბურთულებად დაიშლებოდა... ქრისტინა, უბრალოდ, ფანჯარასთან მიდის, ერთი უწყვეტი მოძრაობით გადაწევს ფარდებს და ულიმის სამყაროს ისეთი შუქით განათებული, როგორისთვისაც თვალის გასწორებაც კი ძნელია. ეს საკმარისია, რომ ემას სანთლების შუქი მიინავლოს, ბებიაჩემის დამჭკნარი კარტოფილივით სახე კი სიყვარულით განათდეს.

კარი ჭრიალებს. მოხუცი ფლატუნით შემოდის ოთახში. დილიდან წრიალებს, რადგან დღეს პენსიის დღეა. ამ დღეს დილის ხუთ საათზე დგება, ომამდე შეკერილ პალტოს თეთრ საყელოს აკერებს, პასპორტს ბალიშზე გადმოდებს, შემდეგ კი კარგად გამომშრალი ხომალდივით შეცურდება სიბნელიდან დილაში. მხოლოდ უსაზღვრო

მოთმინებას და დროს შეუძლია შექმნას ასეთი რამ ძარღვების, ხორცისა და სისხლისაგან. ჩუმად ბუტბუტებს და ბავშვს საბანში ფუთნის, სახეში მაცქერდება. ყელზე მის სუნთქვას ვგრძნობ, ქიშმიშის და რაღაც ბალახის სუნი უდის. ასეთი სუნი დგას მის კარადაში, რომლის ქვედა უჯრაშიც ალბომი აგდია ახალგაზრდა, მაღალი, მომცინარე ქერა ქალის ფოტოსურათებით. ქრისტინა მისი მოდგმისაა. მაინც ვერ ვიგებ, როგორ შეიძლება ეს ხორცი, ძვლებიდან ასწლიანი კუს ხორცივით რომ გადმოკიდებულა, ოდესმე ყოფილიყო ცხელი და ძლიერი, როგორც ემას თეძო ღამით საწოლში, როცა ჩახუტებულებს გვძინავს, მოხუცი კი ჩვენს შესამოწმებლად მოდის. საწოლის თავზე იხრება და დგას, დიდხანს და საყვედურით, როგორც დანაოჭებული ანგელოზი სანთლით ხელში, რომლის გარშემოც წყვდიადი ქრება და ოქროს ჭუჭრუტანაში გაედინება, როგორც შავი შოკოლადი. ემა კი ჩემი იღლიის ქვეშ ფშვინავს. მინდა, ისე ძლიერ მინდა ემა, როგორც არასდროს. საწოლთან კი ეპოქალური არსება დგას სანთლით ხელში და უკმაყოფილოდ ბუტბუტებს, რომ სამზარეულოს მაგიდა არ ავალაგეთ, კარი არ ჩავრაზეთ, ამ გოგომ კიდევ სირცხვილი სულ დაკარგა. ემას შეკავებული სიცილი ახრჩობს, მე კი მინდა ვუთხრა შურისძიების ქალღმერთს, რომ კმარა, რომ მეზიზღება დრო, რომელიც სპობს ყველაფერს კარგს, რაც იყო ჩვენს შორის, რომ არ მინდა ამაში მონაწილეობა. მაგრამ ბებერი ერინია ზურგს გვაქცევს და ჩუსტების ფლატუნით გადის სურნელოვანი სიბნელით სავსე ოთახიდან.

ახლაც დაჟინებით მიყურებს სახეში. თვალებს მაგრად ვხუჭავ, რადგან არ მინდა ვუპასუხო კითხვაზე, ვინ გატეხა ფინჯანი ან სად დაეთრევა ჩემი და, რომელსაც მესამე დღეა, შინ ფეხი არ შემოუდგამს.

ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე განვიხილეთ, მრავალი წლის განმავლობაში ვლაპარაკობდით იმაზე, რაც მიწის ზედაპირიდან თანდათან ქრება და იკარგება. სულ უფრო იშვიათად გამოკრთება ჩვენს თვალებში რაღაც სხვა – არა ტკივილი, რომელიც ძვლებში გვამტვრევს, ან პური, რომლის ყიდვაც დაგვავიწყდა.

ხმამაღლა ოხრავს, თითქოს მთა აწევს მხრებზე, და ნელა უჩინარდება სამზარეულოში, სადაც თავისი კუთხე აქვს.

სამყარო ვნებით არის გადავსებული. მას კი არა აქვს ადგილი, სადაც შეიძლება დაწვეს და მოკვდეს. ღამღამობით კედლებს მიღმა საწოლები ჭრიალებენ და დაცურებულ ლეიბებზე ხან წამოიყვირებენ, ხან წაწყვეტ-წაწყვეტ სუნთქავენ, ლოთების ღამეულ ალსარებებს მთელ ხმაზე აყვირებული ინგლისური ენის სასწავლო კასეტები ცვლის. შუაში დაკემსილი თეთრი ზეწარი ახურავს და ყურს უგდებს ყოველ ბგერას, გულგრილი და სევდიანი. არ შურს იმ ძალის, რომელსაც აფრქვევენ გარშემო ჩავლილ ავტომობილთა ანთებული ფარები და მამაკაცთა ძლიერი ბარძაყები. და საერთოდ, თითქმის აღარაფერი შურს და აღარაფერზე ფიქრობს, მხოლოდ იშვიათად თუ აალდება მისი ჩაფერფლილი სიამაყე, იფეთქებს უსინდისო, დაუმსახურებელ სიჩუმეში, როგორც მაშინ, როცა ოთახში შედის, სადაც სკოლის ასაკის ბიჭები, ქრისტინას ვაჟიშვილის მეგობრები, შეკრებილან. ჰაერი გაცხელებულია მათი ქორფა, ბიჭური სხეულებით, რბილი დათხვრილი თითებით, წითელი ტუჩებით, მათი აღრენილი სიცილით და, რაც მთავარია, უტიფარი გამოხედვებითა და სიჩუმით. იძულებულია გაიქცეს, როგორც ქურდობაში დაჭერილი მოახლე, და ბალიშის ქვეს დამალოს თავისი მოახლოებული სიკვდილი, როგორც ნაქურდალი, როგორც სამარცხვინო საიდუმლო. დილით ქრისტინა შემოაღებს სახლის კარს კვამლისა და სუნამოს სუნით გაჟღენთილი ტანსაცმლით. როგორც იქნა, დაბრუნდა და უკვე შეიძლება მის ცხელ მხარზე ტირილი, მის დამამშვიდებელ სიტყვებზე შეპასუხება: ასე მირჩევნია, რაც უფრო მომიძულებენ, მით იოლი იქნება ჩემთვის.

ვწევარ და არ მესმის კენტავრის ფლოქვების ხმა. მხოლოდ ერთი დილა მახსენდება ბუნდოვნად. ადამიანთა სუნთქვით სავსე ავტობუსით ბებიასთან ერთად პაშვალისში მივდივართ მის ვიტაუტასთან. ავტობუსი დგანდგარითა და რყევით მიქრის. ირგვლივ ლიტვის გადაყვითლებული ველებია. მე და ჩემი და ბებიას მუხლებზე ისე ვგრძნობთ თავს, როგორც რბილ და თბილ ბუდეში. მძღოლი დროდადრო ეწევა, სივრცე მწარე კვამლითა და მოვარდნილი ქარის ნაფლეთებით ივსება. გარინდებული ნახნავები, ცის მორღვეული კიდე, პატარა ყვითელი სახლები... ნაძვებში ინდაურები სეირნობენ – წითელი, ცივი ქარისგან დასუსხული კისრებით.

პაშვალისში ბებია თავისი ვიტაუტასისთვის იმის სათქმელად ჩავიდა, რომ მათი ერთადერთი ქალიშვილი, ჩვენი დედა, მდინარემ წაიღო. მაგრამ ვიტაუტასი არ მოვიდა. თვალებში ვუყურებ. მის დიდ, ნაოჭებით გარშემორტყმულ თვალებში უცნაური განურჩევლობაა. ამბობს: სიყვარულის წლები.

უკან რომ ვბრუნდებოდით, მოთოვა.

კარზე ვიღაც რეკავს. თვალები მეხილება. პატარა გოგოს წარბებს ვხედავ. ესეც ბებერი ერინიას მოდგმისაა. ალ-

**სტრესთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური მეთოდი**

სასეკის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) მკვლევარებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლითაც გადაწყვიტეს შეესწავლათ სტრესთან ბრძოლის ყოველგვარი – არამედიკამენტური – მეთოდი. ექსპერიმენტის მსვლელობისას მხატვრული ლიტერატურის კითხვა სტრესის სიმწვავეს ნახევარზე მეტად – 68%-ით – ანელებს. სტრესისას პულსის მოწესრიგებისა და განტვირთვისათვის კითხვის მხოლოდ 6 წუთიც კი აღმოჩნდა საკმარისი.

კითხვის კონკურენტებად დასახელებული იყო: მუსიკის მოსმენა, ჩაის სმა და სეირნობა.

საბოლოოდ ადგილები ასე გადანაწილდა: წიგნის კითხვა – 68%, მუსიკის მოსმენა – 61%, ჭიქა ჩაისა თუ ყავის დალევა – 54%, ფეხით სიარული კი – 42%.

ბათ დედაჩემიც ასეთი იყო. უცნაური მოუსვენრობა მიპყრობს. დილით, როცა დედაბერს კარებში შევეფეთე, უცაბედად რაღაც ძალამ მიბიძგა, დავიხარე და ვაკოცე, დანაოჭებულ ტუჩებზე დავეკარი, თითქოს უკან დაბრუნება მინდოდა, იქ, სადაც ასე მშვენივრად ვგრძნობდი თავს და სადაც შეუძლებელია დაბრუნება, სადაც არავის არავინ სძულს.

ისევ რეკავენ. ველოდები, როდის გავიგონებ სამზარეულოდან კარის გასაღებად მალიმალ აფლატუნებული ნაბიჯთა ხმას. ერთი კენტავრი, ერთი ერინიაც არსად არის. თვითონ უნდა ავდგე. შიშით ვიჭყიტები სამზარეულოში. იქ მხოლოდ რაღაც პატარა, დაჭმუჭნული შეკვრა დევს დაკემსილი გადასაფარებლის ქვეშ. ისეთი სიჩუმეა, ყოველი ჩქამი შეგიძლია გამოაცალკევო და ქოთანში გადარგო.



მხატვარი ნინო ზაალიშვილი

კარებში სასიამოვნო ქერა ფოსტალიონი ქალი დგას. ისეთი სახე მაქვს, შეკრთა. მადლობას ვუხდი და ბებიას ნაცვლად საპენსიო უწყისზე ვაწერ ხელს. გმადლობთ-მეთქი, კეთილო ადამიანო, ვეუბნები და ოთახისკენ ვექაჩები. ბებიაჩემი დღეს გარდაიცვალა, ჩემი და კახპაა და ბავშვები მიატოვა, არ მოდის. მთელ ფულს მოგცემთ, ოღონდ ამ პატარასთან დარჩით, სანამ მე ერთ საქმეზე გავალ. თქვენც ხომ გიყვებოდათ ბებია, რომ ბავშვების მარტო დატოვება არ შეიძლება, ბაბა-იაგა წაიყვანს და მათ ნაცვლად სხვას დატოვებს, უზარმაზარი თავითა და დაყვლეპილი თვალებით. მე კი აუცილებლად უნდა ვნახო ერთი ადამიანი.

ქუჩაში თოვლჭყაპია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ ტალახიან თოვლს, ჭუჭყიანი მანქანები რომ მაშხეფებენ. შიმშილისგან ღონემიხდილ ძაღლსაც კი წამოვკარი ფეხი. ძაღლი აწკმუტუნდა და საყვედურით შემხედა თვალებში. გარშემო სიჩუმეა. სიჩუმე ბოჭავს და აახლოებს ადამიანებს ამ ცივ და ჭუჭყიან სამყაროში, ის ყოველთვის გვერდითაა, ერთ ნაბიჯზე. ემა მშვენივრად უმკლავდება მას. თუმცა, მე არ მომწონს ისეთი ქალები, როგორიც ემაა.

ეკლესიაში უნდობლად მათვალიერებენ. უნდათ საკურთხეველთან შემაჩერონ, მაგრამ მე არ ვჩერდები. ბნელი ძალები მიმაქანებენ, როგორც სარკინოზს. ვყვირი, რომ ავაყირავებ ამ ეკლესიას, თუ არ მეტყვიან, რა იქნა ის გოგო, კიბეზე რომ იცდიდა.

მღვდელი საკურთხევლის გვერდითა ოთახიდან მშვიდად მეკითხება, გოგოს წითელი ყვავილი ხომ არ ეჭირა ხელშიო. ვფიქრობ, ეჭირა-მეთქი, ვპასუხობ და მიხარია. თუ ასეა, ის გოგო ერთი საათის წინათ გათხოვდაო.

ოჰ, ემა, ემა. ეკლესიის ეზოში ვზივარ გრძელ ხის სკამზე და ვგრძნობ, როგორ ვსველდები. საცვალშიც კი აღწევს სისველე. ქარი ეკლესიის წინ ფანტელებს ათამაშებს. წარმომიდგენია, როგორი თვალები ჰქონდა, როცა პირველივე შემხვედრთან მივიდა, ზემოთ აიხედა და თოვლი დაადნა ნამტირალევ სახეზე.

– შეგიძლიათ შემიყვაროთ? – ეკითხება. – თუნდაც ერთი დღით.

ჰო, ემა, მე ახლა უბრალოდ მიტოვებული კენტავრი ვარ, რომლის კუდმაც არასდროს იცოდა, რა უნდოდათ მის ყურებს. მაგრამ შენით ვამაყობ კიდეც. ეს ხომ შენი სტილია. მხოლოდ ძალიან სულელი გამვლელი არ გამოგყვებოდა საკურთხეველთან. ასე ვფიქრობდი და თან შიშველ ბებიაჩემს ვუყურებდი. ფოსტალიონი ძალიან პრაქტიკული ქალი აღმოჩნდა. ჩემს მოლოდინში ფანჯარა გააღო, რომ სული გაფრენილიყო, საითაც სურდა, თვალებზე ბოლო პენსიიდან აღებული ორლატიანი მონეტები დააწყო. ახლა შეგვიძლია გავბანოთ.

დედაბერმა ყველა მოგვატყუა. მხოლოდ სახე ჰქონია გაცვეთილი და დაჭმუჭნული, როგორც ასი წლის წინანდელი დღიური, რომელიც მხოლოდ ბუხარში შესაგდებად ვარგა. ფეხები გრძელი და მკვრივი აქვს, მკერდი – თეთრი, წიალი კამკამებს, როგორც შროშანის ყვავილი. მოწიწებით ვიღებ ამ საჩუქარს, რომელიც მერგო, როგორც უკანასკნელი საოცრება, როცა უკვე ხელი ჩავიქნიე, როცა უკვე ყველაფერი დაკარგულია.

კარზე გაბმით რეკავენ. გონზე მოვდივარ ნაშუადღევის ნაცრისფერ შუქში. ვიღვიძებ. საყვარელი ბავშვი საწოლში ზის ჯერ კიდევ ლურჯი ძილით სავსე თვალებით და სათამაშო დათუნიას ეპოტინება. შემოსასვლელიდან ჩუსტების ფლატუნი და ბუზღუნი მესმის. დედაბერი, როგორც ყოველთვის, გამწყრალია და ამბობს, რომ ქალები წახდნენ, მე კი დროა ავდგე, რადგან ერთი ასეთი წამხდარი მკითხულობს.

კიბის თავში ემა დგას გადატეხილი ყვავილით ხელში. სიხარულისგან ძაღლის კუდივით შეშლილი და ბედნიერი. უფლებას ვაძლევ, მირტყას, და ვარწმუნებ, რომ ჩამეძინა, მართლა, სერიოზულად. გეფიცები, ჩამეძინა, როცა ვინექი და ველოდი, როდის ჩაურბენდა ჩემს ფანჯარას ლურჯი კენტავრი.

ლატვიურიდან თარგმნა
**მაია გოგოლაძემ**

ლილი გიორგობიანი

# კონცეფცია გალერეის შესახებ



სახვითი ხელოვნების დღევანდელი მდგომარეობა, კერძოდ, მხატვართა აქამდე არნახული სიმრავლე და მათი მეთოდებისა და ორიენტაციების ეკლექტიკური მრავალფეროვნება, ისიც, რომ სერიოზული ხელოვნებათმცოდნეური კრიტიკა არ არსებობს, და განსხვავებული მხატვრული სტილები სისტემაში არ არის მოყვანილი – თავად მხატვრობას უქმნის პრობლემას. პრობლემად იქცა კომერციული, ან ევროპის ხელოვნების მიმბაძველი, უსახო და „უავტორო" ნამუშევრების ჭეშმარიტად ღირებული და თვითმყოფადი მხატვრობისგან განსხვავებულ კრიტერიუმთა გაუაზრებლობა და უქონლობა. რთულ პრობლემად გადაიქცა ისიც, რომ ხალხმა, უფრო ზუსტად, ხელოვნებისმოყვარე პუბლიკამ ინტერესი დაკარგა მხატვრობისადმი.

საერთოდ, დღევანდელ ეპოქაში საზოგადოების მხატვრობისადმი, სამუზეუმო სფეროსადმი და, კერძოდ, ისტორიისადმი გულგრილი დამოკიდებულება სახასიათო მოვლენა გახდა. პროგრესულ ტექნიკურ საშუალებებზე დაფუძნებული ჭარბი ინფორმაციულობის ველი, და პოლიტიკისადმი მასების მხრიდან გადამეტებული ინტერესი, ხელოვანებს ჩრდილში მყოფ მეორეხარისხოვან ფენომენად აქცევს.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოებისთვის ხელოვნების მიწოდების მეთოდს. კერძოდ, საგალერეო და, ზოგადად, სამუზეუმო პოლიტიკურ საქმიანობას – მათი მისიის განხორციელების, უფლებამოსილების შესრულების, საზოგადოებასთან მათი ურთიერთობის მუშაობის მეთოდს. ანუ იმას, თუ რამდენად შესწევთ უნარი, თავიანთი მისია საზოგადოების წინაშე ღირსეულად და პრესტიჟულად წარმოაჩინონ.

საზოგადოების წინაშე ხელოვნების ღირსეულად და პრესტიჟულად წარმოჩენის თვალსაზრისით, სამხატვრო გალერეებს საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრებათ, რამაც ქართული სახვითი ხელოვნების სახე უნდა განსაზღვროს.

იმისათვის, რომ საზოგადოებაში ხელოვნებისადმი ინტერესი გააღვივონ, გალერეებმა მხატვრობის საუკეთესო ასპექტი უნდა წარმოაჩინონ. ამისათვის კი გალერეის თანამშრომლებს სხვადასხვა პრობლემატურ საკითხთა გადაჭრა მოუწევთ: ალბათ, დაკვირვებით უნდა იქნას გამოკვლეული რამდენად სწორია და გამართლებული მხატვართა გათანაბრების პრინციპის დაუწერელი დევიზი – ვინც ხატავს, ყველა მხატვარია. ამ პრინციპისა და დევიზის მიხედვით, ყველა შემთხვევითი ნამუშევარი, ანუ ისეთი ნამუშევარი, რომელშიც ავტორისეული არაფერი იგრძნობა, ჭეშმარიტ მხატვრულ ღირებულებას უთანაბრდება.

მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს პრინციპი სრულიად მცდარია. იგი გვკარნახობს, რომ არ შეიძლება ნიჭიერთა და უნიჭოთა გათანაბრება. გამოფენებზე დაბალი დონისა და შემთხვევითი „უავტორო" ნამუშევრების სიმრავლე აქვეითებს მხატვრობის პრესტიჟს, ადუნებს საზოგადოების ყურადღებას, უხალისოს ხდის მხატვრულ ატმოსფეროს.

რა თქმა უნდა, დაცული უნდა იქნას დემოკრატიული პრინციპი, და ყველა მხატვარს მიეცეს გამოფენის საშუალება, მაგრამ, ამასთანავე, უნდა შემუშავდეს გამოფენის მოწყობის ისეთი მეთოდი, რომელიც შემთხვევითი და დაბალი დონის ნამუშევრებით ვერნისაჟის გაუფერულებას და გაწყალწყალებას თავიდან აგვაცილებს.

ხელოვნების ხარისხიანად წარმოჩენისთვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება, ალბათ, გამოფენის მოწყობის კონცეფცია იქნება. გამოფენის ესთეტიკურ ატმოსფეროს კონცეფციის საშუალებით დაემატება თვალსაზრისი, რომელიც მაყურებელს თავისებური მხატვრული გაგების ინტრიგით გამსჭვალავს. კონცეფცია დადებითად და გასაგებად წარმოადგენს მხატვარს ან მხატვართა ჯგუფს. კონცეფცია ხელოვანისთვის იგივეა, რაც საკუთარი მხატვრული ორიენტაციის ძირითადი თვალსაზრისის ჩამოყალიბება. უფრო ფართო გაგებით კი კონცეფცია არის მსოფლმხედველობის პირველადი მნიშვნელობა ხელოვნებაში.

ამიტომ, თვით მხატვრის გარდა, კონცეფციის შემუშავებაზე გამოფენების ორგანიზატორებმა, გალერისტებმაც უნდა იზრუნონ, რათა ყოველი გამოფენის კონცეფცია, დაწყებული იდეური ჩანაფიქრიდან, ექსპოზიციის მოწყობით დამთავრებული, ჭეშმარიტად მხატვრულ ფასეულობათა წარმოჩენას ითვალისწინებდეს.

ხელოვნების სხვადასხვა საორიენტაციო ესთეტიკური ნიშნების მიხედვით, შეიძლება მრავალფეროვანი კონცეფციების ჩამოყალიბება და შესაბამისი გამოფენების მოწყობა.

რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდს, ერთ-ერთი ეფექტური დამხმარე საშუალება ინფორმაციის მიწოდებაა: იქნება ეს ტექსტუალური ფორმით, ვიზუალური საინფორმაციო საშუალებისა თუ თანამედროვე ციფრული სისტემის გამოყენებით. რაც უფრო ეფექტური იქნება ინფორმაციის მიწოდების ფორმები, მით მეტად გაიზრდება ინტერესი საზოგადოებაში არტხელოვნების მიმართ. მთავარია ინფორმაცია იყოს დროული და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სწორ აქცენტებზე გათვლილი.

# როიალი და ვიოლინო

მუზა ყოველთვის ქალღმერთი როდია – მხრებზე ჩამოშლილი ოქროსფერი თმითა და გაცისკროვნებული ცისფერი თვალებით. პოეტის მუზად ზოგჯერ შეიძლება რომელიმე ფილმი მოგვევლინოს და კინორეჟისორის მუზად – რომელიმე ლექსი. ძალაუნებურად იფიქრებ, ნუთუ შემოქმედებაშიც, ცხოვრებისა არ იყოს, თავის გადამჭრელ სიტყვას, არცთუ იშვიათად, ამბობს ხოლმე შემთხვევითობა?!

ახლა ყური ვათხოვოთ მემუარისტს.

ნიკ. ვილმონტი გახლავთ კულტურის ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი. თავისი სიცოცხლის ნახევარ საუკუნეზე მეტი შეალია გერმანული კლასიკური ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლას. გოეთე და შილერი, კანტი და თომას მანი – აი, ის „დიდი თანამგზავრები", ვისაც უკავშირდება გამოჩენილი გერმანისტის სამეცნიერო და მხატვრულ ინტერესთა წრე.

ვილმონტი მრავალი წლის მანძილზე მეგობრობდა თავისი ცხოვრების კიდევ ერთ „დიდ თანამგზავრს" – ბორის პასტერნაკს და ვრცელი მოგონებაც მიუძღვნა მის ხსოვნას.

ვილმონტის სიტყვით, პასტერნაკი არის შემოქმედი XX საუკუნის, ეგებ, ყველაზე სრულქმნილი რუსული ლექსისა, „საშობაო ვარსკვლავი" რომ ჰქვია, სადაც მისი პოეზია აღწევს არნახულ ვირტუოზობას და – მიუხედავად ამ ვირტუოზობისა და მასთან კავშირში – უკიდურეს უბრალოებას.

„საშობაო ვარსკვლავი" – მართლაც რომ ვარსკვლავივით კიაფობს რუსული პოეზიის ცაზე. რეალისტური დეტალებით დატვირთული თხრობა, სასწაულის მომლოდინე უბრალო მოკვდავთა ბეჯითი სვლა ბეთლემისაკენ... და მომავალ ჟამთა უცნაურ ხილვად მოჩანს შორეთში ყოველივე ის, რაც უნდა მოჰყვეს ამ ღამეს – საუკუნეთა ყველა ნააზრევი, ყველა ოცნება, გალერეათა და მუზეუმთა მთელი ბრწყინვალება, ფერიების ყველა ცელქობა, ჯადოქართა ყოველი ნამოქმედარი, მთელი ქვეყნიერების ნაძვის ხეები, უმანკო ბალღთა ყველა სიზმარი.

სუსხიანი ღამე ზღაპარს ნააგავდა. ვირებსა და აქლემებს მოჰყავდათ დაქანცული ადამიანები სასწაულის შესახვედრად. იმავე გზაზე ხალხის დინებას შერეოდა რამდენიმე ანგელოზი. უხორცონი ყველასთვის უჩინარნი იყვნენ, მაგრამ მათი ნაფეხურიც აღბეჭდილიყო თოვლზე.

და თენდებოდა... გარიჟრაჟმა ნაცრის ნამცეცებივით ჩამოყარა ცის თაღიდან უკანასკნელი ვარსკვლავები. მოჯარული ჯგროდან მხოლოდ ძვირფასი ძღვნით მოსული მაშრიყელი მოგვები შეუშვეს გამოქვაბულში. ერთიანად გაბრწყინებულ ახალშობილს ეძინა მუხის ბაგაში, როგორც მთვარის სხივს ფუღუროს სიღრმეში. ცხვრის ტყაპუჭის ნაცვლად ათბობდა ლაშები სახედრისა და ნესტოები ხარისა; ხოლო ზღურბლიდან სტუმარივით შეჰყურებდა ღვთისმშობელს საშობაო ვარსკვლავი...

ოცდაცამეტი წლის პასტერნაკი თურმე ნატრობდა, რომ პოეზიის ენაზე აესახა ქრისტეს ლეგენდარული, ჭეშმარიტად სამაგალითო ბიოგრაფია, ადამიანთა თაობებს ცხრამეტ საუკუნეზე მეტხანს რომ მოჰყვებაო. იმოწმებდა პუშკინისეულს „მე რომ დედოფალი ვიყო" და ვაი, რომ არა ვარო. დალოცვილმა ფორტუნამ წილად არგუნა „დედოფლობა" შემოქმედებითი სიმწიფის ჟამს და, ღვთის კარნახით, დაიწერა დიდებული ლექსების ციკლი, რომელიც პოეტმა გულუხვად უწყალობა თავისი რომანის მთავარ გმირს და, ალბათ, „ალტერ ეგოს" – ექიმ ჟივაგოს.

ვილმონტი გვარწმუნებს, რომ პასტერნაკის ბიბლიური ლექსების ციკლი ჩაისახა 1923 წლის 20 დეკემბერს და მისი შთაგონების წყარო შეიქნა ანტონ ჩეხოვის პატარა მოთხრობა „სტუდენტი".

გახსოვთ? თავის მშობლიურ სოფელში ჩასული სასულიერო აკადემიის სტუდენტი, შვილი დიაკვნისა, ნადირობიდან შინ ბრუნდება და მდინარის მახლობლად მდებარე ბოსტნებში დანთებულ კოცონთან გადაეყრება ორ ქვრივს – დედასა და შვილს. გამოელაპარაკება. ხელებს მიუშვერს ცეცხლს და შენიშნავს: სწორედ ასეთი ცივი ღამე იდგა, როცა პეტრე მოციქული კოცონთან თბებოდაო. აგონდება ის „საზარელი ღამე", საიდუმლო სერობას რომ მოჰყვა და ქვრივებს შეახსენებს გეთსემანიის ბაღში მომხდარს: პეტრესგან სამგზის უარყოფა მაცხოვრისა – ქათმის ყივილამდე, მერე კი „განვიდა გარე და სტიროდა მწარედ".

ამის მოსმენაზე ქვრივებიც აცრემლდებიან.

როგორც გვაუწყებს ვილმონტი, ახალგაზრდა პასტერნაკი ჩეხოვს მაინცდამაინც არ სწყალობდა. ქამელეონი, უნტერ პრიშიბეევი, ასული ალბიონისა (ლამის ანეკდოტები!) – ესენი ჩვენს მამებს ეჭაშნიკებათო. მერე ამბობს, მრცხვენია, რომ ჩეხოვს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ აგერ რილკეც ხომ აღიარებდა, შექსპირს ძალზე ცუდად ვიცნობო.

და აი, ვილმონტი გატაცებით უკითხავს ზემოხსენებულ პატარა მოთხრობას და წამით თვალს შეავლებს გაყუჩებულ პოეტს. აცრემლებული ქვრივების კვალდაკვალ პასტერნაკს თვალებში კურცხალი მოადგაო.

მერე განაგრძობს კითხვას. ეს სტუდენტის შინაგანი მონოლოგია:

„რაკი ვასილისა ატირდა, და იმიტომ როდი ატირებულა, რომ გულში ჩამწვდომად მეხერხება თხრობა, არამედ იმიტომ, რომ პეტრე ეახლოება და კიდევ იმიტომ, რომ იგი მთელი თავისი არსებით განიცდის იმას, რაც პეტრეს სულში ტრიალებდა. და უეცრად სიხარულმა აუჩქროლა გული, ნუთით შეჩერდა კიდეც, რომ სული მოეთქვა. წარსულიო, ფიქრობდა იგი, დაკავშირებულია აწმყოსთან ერთიმეორეზე გადაბმულ მოვლენათა უწყვეტი ჯაჭვით; ეგონა, რომ ეს-ეს არის ამ ჯაჭვის ორივე ბოლო იხილაო – როცა ერთს შეეხო, მეორეც შეთრთოლდა... სტუდენტი ფიქრობდა, რომ სიმართლე და სილამაზე, რომლებიც წარმართავდნენ კაცის ცხოვრებას იქ, ბაღსა და მღვდელმთავრის ეზოში, შეუწყვეტლივ გრძელდებოდა დღემდე და, როგორც ჩანს, შეადგენდნენ მთავარს ადამიანის არსებობაში და საერთოდ – დედამიწაზე... და ბედნიერების, შეუცნობელი და იდუმალი ბედნიერების გამოუთქმელად ტკბილმა მოლოდინმა ნელ-ნელა შეიპყრო იგი. და მომხიბლავი, საოცარი, ღრმა აზრით აღსავსე ეჩვენებოდა ცხოვრება".

გამოხდა ხანი – ლამის ნახევარი საუკუნე.

ერთ მშვენიერ დღეს ვილმონტს გული აუჩუყდა და ბედნიერების გრძნობა დაეუფლა, როდესაც დადასტურდა მისი ვარაუდი ანუ პოეტის ვაჟმა – ლეონიდ პასტერნაკმა უამბო მას, რომ მამას უჩვენებია შვილისთვის ბიბლიურ მოტივებზე შექმნილი ლექსების ციკლი და მერე უკითხავს, როგორ გგონია, საიდან მოდიანო? შვილი დაბნეულა და პასუხი ვერ გაუცია. პასტერნაკი ოდნავ გამწყრალა კიდეც ამგვარი მიუხვედრელობის გამო (სრულიად უსამართლოდ გაწყრაო, – შენიშნავს ვილმონტი, – მეც დავდუნდებოდი, ჩემი ძველისძველი მოგონება რომ არ გამცოცხლებოდაო) „ნუთუ შენ ვერ დაიჭირე აქ ჩეხოვური საწყისი?!" – უთქვამს პასტერნაკს შვილისათვის.

ცხადია, ოდესღაც ვილმონტისგან მოსმენილ „სტუდენტს" გულისხმობდა.

არსებობს გადმოცემა, რომ ცნობილი რუსი პიანისტი ნიკ. რუბინშტეინი ცდილობდა დაეკრა როიალზე ისე, როგორც უკრავდა თავის ინსტრუმენტზე რომელიღაც სახელგანთქმული მევიოლინე. ლისტს თუ ფონ ბიულოვს როდი ეჯიბრებოდა, არამედ – მევიოლინესო.

ვილმონტი ფიქრობს, რომ პასტერნაკმა უბადლოდ, გენიალურად შეძლო „დაეკრა როიალზე" ის, რაც ჩეხოვმა, რასაკვირველია, ასევე უბადლოდ და გენიალურად „დაუკრა ვიოლინოზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უოტელოდ დარჩენილი კვიპროსი

ადამის ძეთა ვერაგობა-მუხანათობის ერთ-ერთ ყველაზე მჭევრმეტყველ სიმბოლოდ, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ შექსპირის მიერ ხორცშესხმული იაგო. ეს ავკაცი რომ არ მოვლენოდა ქვეყნიერებას, რასაკვირველია, არ დატრიალდებოდა ის ტრაგედია, რომელიც დამთავრდა კვიპროსის გამგებლის – ოტელოს თვითმკვლელობით და, მაშასადამე, ვენეცია ასე იოლად არ დაკარგავდა ამ „მშვენიერ კუნძულს".

ოსმალებს, ლამის ნახევარი ევროპის დამპყრობელ ოსმალებს, ძილშიც და ცხადშიც, ელანდებოდათ მათი ყურის ძირში მდებარე კვიპროსი და... მალე დაუდგათ ჟამი.

1568 წელს ოსმალეთმა შეწყვიტა ომი ავსტრიელ ჰაბსბურგებთან და გადაწყვიტა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაუფლებოდა კვიპროსს, რომელსაც თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იმხანად კვიპროსი ექვემდებარებოდა ვენეციის ხელისუფლებას და წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულ საყრდენ პუნქტს დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ეომებოდნენ ოსმალეთს.

სულთან სულეიმანის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ასული სელიმ II ატარებს ბეჯით სამზადისს კვიპროსის დასაუფლებლად. უპირველეს ყოვლისა, მან უზრუნველყო თავისი უსაფრთხოება სეფიანთა ირანის მხრიდან. კერძოდ, 1568 წლის თებერვალში დაუდასტურა ირანის ელჩს, რომ 1555 წლის ამასიის ზავი ძალაში რჩებოდა. მეორე დღესვე ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება ავსტრიასთან. სელიმ სულთანმა სცადა საფრანგეთის მოთაფვლაც. 1569 წლის ოქტომბერში ფრანგ ვაჭრებს ოსმალეთის ტერიტორიაზე ახალი პრივილეგიები მიანიჭეს. ამგვარად, ოსმალეთმა განიმტკიცა თავისი საერთაშორისო პოზიციები და 1570 წლის 15 მაისს ლაშქარი დაძრა კვიპროსის დასაპყრობად.

ძლევამოსილ მტერთან ერთი ერთზე დარჩენილი ვენეცია დახმარებას სთხოვდა რომის პაპსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს, მაგრამ ამაოდ დაშვრა.

1 ივლისს ოსმალები გადასხდნენ კვიპროსის სამხრეთ სანაპიროზე, ლარნაკაში. ბერძნულ მოსახლეობას გულშიც არ გაუვლია წინააღმდეგობის გაწევა. ვენეციელებიც მაშინვე დანებდნენ ოკუპანტებს. მერე ოსმალთა ლაშქარმა გაუსაძლის სიცხეში გადაკვეთა გადახრუკული ველი, რათა ნიქოზია მოექრა ფამაგუსტასგან.

ნიქოზიის გარნიზონს სარდლობდა ნიკოლო დანდოლო, წარმომადგენელი ვენეციური წარჩინებული გვარისა. ციხე-სიმაგრის მყარი კედლების მიუხედავად მან მცირე წინააღმდეგობა გაუწია ოსმალებს (სად იყო ოტელო!) და, ორი თვეც არ იქნებოდა გასული, ოსმალებმა აიღეს ნიქოზია. ჩამოგდებულ იქნა წმ. მარკოზის დროშა და მის ადგილას აღიმართა ნახევარმთვარის გამოსახულება.

ვენეციელი თვითმხილველი გვამცნობს: „გამარჯვებულნი ხანდაზმულ ქალებსაც კი თავებს ჰკვეთდნენ". მითქმა-მოთქმის თანახმად, ოცი ათასამდე ქრისტიანი დაღუპულა.

კვიპროსის დაცემამ დააჩქარა შექმნა „საღვთო ლიგისა", რომელშიც რომის პაპის გარდა გაერთიანდნენ ესპანეთი, ვენეცია, გენუა, სავოია და იტალიის სხვა სამთავროები.

რომის პაპი პიუს V და ესპანეთის მეფე ფილიპე II იყვნენ მთავარი შთამაგონებელნი ოსმალთა წინააღმდეგ ომისა. მათი მიზანი, უწინარეს ყოვლისა, იყო ოსმალთაგან დაპყრობილი კვიპროსის დაბრუნება, რაც მიჩნეულ იქნა მთელი საქრისტიანოს გადაუდებელ ამოცანად.

ამ „საღვთო ლიგის" შექმნის უშუალო შედეგი იყო მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების მიერ 1571 წლის 7 ოქტომბერს ოსმალთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის განადგურება ლეპანტოს ყურეში.

ოსმალები პირველად დამარცხდნენ ზღვაზე. მათი უძლეველობის მითს ბზარი გაუჩნდა. ეს გამარჯვება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს იტალიასა და ესპანეთში. მაგრამ ლეპანტოს რეალურად გავლენა არ მოუხდენია ომის მსვლელობაზე. ოსმალეთმა ძალზე მოკლე ხანში შეძლო აღედგინა თავისი ფლოტის ბრძოლისუნარიანობა.

ამასთან ერთად, „საღვთო ლიგა", მიზეზთა და მიზეზთა გამო, მალე დაიშალა. ვენეცია, რომელსაც თავს დაატყდა საგრძნობი ფინანსური და ეკონომიკური პრობლემები, შეურიგდა კვიპროსის დაკარგვას და დაეზავა ოსმალეთს.

შექმნილმა ვითარებამ გამოაცოცხლა ვენეციის ურთიერთობა სეფიანთა ირანთან, დაუძინებელი მტერი რომ იყო ოსმალეთისა.

---

ქრონიკა

## შეხვედრა სამშობლოსთან

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახის საჯარო სკოლამ ერთ ლამაზ საღამოს უმასპინძლა. ქართული ენისა და ლიტერატურის სერთიფიცირებულმა მასწავლებელმა **მარინე დოლენჯაშვილმა** მე-5 ბ კლასში ღია გაკვეთილი ჩაატარა **ვახტანგ როდონაიას** ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელსაც ამ ჯგუფის წარმომადგენელი ქალბატონი **ნინო ნაკუდაშვილი** ესწრებოდა. ბავშვებმა ტექსტის კარგი ცოდნა გამოავლინეს, რაც უდავოდ პედაგოგის ოსტატობას ადასტურებდა. **იაკობ გოგებაშვილის** მოთხრობის **„იავნანამ რა ჰქმნა?"** აღქმა და გაგება მეხუთეკლასელ მოსწავლეებს არ გასჭირვებიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ბირთვი-პროგრამა ამართლებს.

იმ დღეს ჩატარდა ზნეობრივი გაკვეთილიც – პედაგოგმა ბავშვებთან ერთად განიხილა **ია ანთაძის** წერილი **„ნოეს კიდობანი"**. შემდეგ გაიმართა პოეზიის საღამო – **„ვკითხულობთ ქართველ პოეტთა ლექსებს"**, რომელშიც მონაწილეობდნენ: მე-5-11 კლასის მოსწავლეები. **მანანა ჩიტიშვილის, თამარ შაიშმელაშვილის, იზა ჭიკაიძის** ლექსები ბავშვებმა ზეპირად წაიკითხეს. მათ ავტორებიც მიესალმნენ და საკუთარი წიგნები უსახსოვრეს.

ეს საღამო გურჯაანის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრისა და კარდენახის საჯარო სკოლის ერთობლივი პროექტი იყო (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მაია ღლიღვაშვილი**). მოწონება დაიმსახურა მომავალმა ჟურნალისტმა, გურჯაანის 1 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ, **„სპექტრისა"** და **„კახეთის ხმის"** კორესპონდენტმა **ანა მაჩიტაძემ.**

გურჯაანიდან გაკვეთილს დაესწრნენ: რესურსცენტრის უფროსი **ლალი გაბიტაშვილი,** რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი **თამარ რუაძე.** პოეზიის საღამოს დაესწრნენ: გურჯაანის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს განათლებისა და კულტურის წარმომადგენელი **გია ენუქიძე.**

„ჩემთვის ეს საღამო ცხონებული ოტია იოსელიანის ანდერძის აღსრულება იყო, – განაცხადა ქალბატონმა **მარინე დოლენჯაშვილმა,** – დავაახლოვო ბავშვები პოეზიას, ქართულ მწერლობასა და წიგნს!" ხოლო **ია ანთაძემ** ამ შთამბეჭდავ დღეს კარდენახში „შეხვედრა სამშობლოსთან" უწოდა. იმ დღეს სტუმრებმა კარდენახის საბაწმინდა და იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს. ჩვენი სამშობლო მართლაც სოფლადაა, სადაც ქართული სული და ღვრიტაა დავანებული, და სადაც ხშირად უნდა ჩავდიოდეთ. ქართულ სოფელს ყველაზე მეტად ცნობილი ადამიანების სიტყვა ენატრება, სიტყვა ქართული, იმედიანი, გადამრჩენელი...

**ნატა ნიბლაძე**

# როგორ ენას ვახვედრებთ მაცხოვარს?

*კარგა ხანია, გონებაში ამ წერილის ქარგა მოვხაზე, მაგრამ რატომღაც ვერ მოვიცალე, დასრულებული სახე მიმეცა. თათია ჯგუშიას ღრმად სევდიანი ჩანაწერი „წერილი სამშობლოს“ და წვიმიან-ბურუსიანი დღე ერთგვარი სტიმული გახდა საამისოდ.*

ხომ არაერთხელ წამიკითხავს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და მაინც ერთიანად შემძრა ჯემალ ქარჩხაძის სიტყვებმა, „განზომილებაში“ რომ ამბობს: „საქართველოსგან ენაღა დარჩა და თუ მაცხოვარი მეორედ მოსვლისას მართლა ამ ენაზე აპირებს ქადაგებას, მაშინ ქურუმებს... ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი... რათა მაქსიმალურად მოამზადონ ენა ესე - დაწურონ, ჩამოქნან, სანთელივით აანთონ და მაცხოვარს ღირსი და საფერი დაახვედრონ“.

ქართული ენა - ღირსი და საფერი მაცხოვრისა!...

ღირს დაფიქრებად...

***

მაკა ჯოხაძე ერთ-ერთ ესეიში როსტომ ჩხეიძეზე წერს: „მისი წიგნი ბიბლიური მდინარის მშვიდ ტალღებს გამოყოლილ კალათას ნაავავს, რომლის წიაღშიც მარადიული ჩვილივით ჩაწოლილა სიტყვა“.

სიტყვა - მარადიული ჩვილივით!

საოცარი შედარებაა, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რამდენად სათუთია სიტყვა (და ცხადია, ზოგადად - ენა), რომ მას ჩვილივით სჭირდება დაცვა, მზრუნველობა, რუდუნება, მოვლა და გაფრთხილება ყოველი ქართველისგან, მაგრამ... ხართ კი ასეთნი?! - ისევ გაისმის ერის მამის ტკივილიანი შეკითხვა. დავფიქრებულვართ თუნდაც ერთხელ მაინც, როგორ ენას ვახვედრებთ მაცხოვარს?

თითქოს ჩვენს ენას დღემდე შემორჩენილი რუსული ბარბარიზმები არ ეყოფოდა (რომელთა ხმარებას ვერაფრით ვერ გადავეჩვიეთ), ძვირფას მარგალიტებად რომ გაბნეულა ჩვენს მეტყველებაში, ახლა ინგლისური ენიდან უხვად შემოჭრილი სიტყვები ამდიდრებენ ქართულს. უკვე ნაცნობ კუხნას, ლუსტრას, კრესლოს, სპიჩკას... ღირსეულად ამოუდგნენ გვერდში - ფართი, შოპინგი, შორთ ლისტი, ფეშენ ვიკი, ფლეიმეიკერი, ბექგრაუნდი, ლაივი, პრომოუშენი და მრავალი სხვა.

ასე გამოდის, ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ მოვსულვართ, მუდამ სხვის წისქვილზე ვასხათ წყალი. ამიტომაც არის ასე გახარებული ვინმე მისტერ ლუისის დამქაში (ზვიად კვარაცხელიას მინიატურა „გეტყვი ყველაფერს“), ჩვენი სიბრიყვის შემყურე სიამაყით რომ ამბობს: „ისინი (ანუ ჩვენ, ქართველები - ე.ბ.) მით უფრო და უფრო ცდილობენ გააკეთონ ჩვენსავით, იყონ, ...როგორც ემერიქან ფიფლ არის“. მათი გლობალ ფროჯექთის მიზანს ხომ სწორედ ქართული ცნობიერებისა და მშობლიური ენის გაუფასურება-დაკნინება წარმოადგენს და ჩვენც, სწორედ ამგვარ კეთილმოსურნეთა გასახარად და იესოს გულდასაწყვეტად სულ უფრო თავგამოდებით ვებრძვით ქართულ ენას და ვკეკლუცობთ, თავს ვიწონებთ უცხო სიტყვებით.

ამიტომ არც ყარიბი მგოსნის ეს საწუხარი (ილიას გულმტკივნეულობისა არ იყოს) ჩარჩენილა მეცხრამეტე საუკუნეში -

**ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ,**<br>
**გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!**<br>
**.....................................................................**<br>
**რის ქართველობა, რა ქართველობა,**<br>
**ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?**

მხოლოდ ერთი სიტყვის ჩანაცვლებაა საჭირო და ეს სტრიქონები გუშინ დაწერილს დაემსგავსება.



ელ გრეკო „აღდგომა“

**P.S.** იმავე რომანში ჯემალ ქარჩხაძეს ასეთი ეპიზოდი აქვს აღწერილი - უფროსკლასელებს, რომლებიც, თანახმად ინსტრუქციისა, მქუხარე ტაშით შეხვდნენ ჩინ-მედლებიან რუს ოფიცერს, სამამულო ომში გამარჯვების მეორე წლისთავი რომ მიულოცა, მასწავლებელი ასე მიმართავს: „ყმაწვილებო, ყმაწვილებო! ამორძალებო და რაინდებო!... უკვე დროა, ტვინი აანძრიოთ და ვიდრე ხმაურს ატეხთ, ჯერ გაიაზროთ, რის გამო ტეხთ ხმაურს. ნუთუ აქამდე ვერ გაიგეთ, რომ როცა ორი შხამიანი ობობა ერთმანეთს შეებმება, ქსელში გაბმული პატარა, უსუსური ბუზისთვის სულ ერთია, რომელი გამოვა გამარჯვებული?!... წარმოიდგინეთ, რა ბრიყვი უნდა იყოს ბუზი, რომ ტაშ-ფანდურა გამართოს, აქაოდა ჩემმა ობობამ გაიმარჯვაო. სულელო ბუზო, რომელია შენი ობობა? რომელია თქვენი ობობა, პატარა ქართველებო?“

ასე მგონია, სულმნათი მწერლის აჩრდილი ნაღვლიანად დაგვცქერის ზეციური საქართველოდან და ჩვენი უგუნურების შემყურე, სინანულით გვეკითხება: რომელია თქვენი ენა პატარა (და არა მარტო პატარა - ე.ბ.) ქართველებო?

ეთერ ბერიაშვილი



კირილე ზდანევიჩი

ქალის ფიგურა კუბისტურ მანერაში

ISSN 1987-7730